

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

ГЕОГРАФИЧЕСКОЕ О-ВО ГРУЗИИ

С. Макалатия

ТВІШЕТИЯ

SOCIÉTÉ GEOGRAPHIQUE DE GÉORGIE

S. Makalathia

THOUCHETHIE

K 138-828  
3

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება



მეცნიერება

83

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებრივი  
SOCIETE GEOGRAPHIQUE GEORGIE  
S. Makalathia, Thouchethie


(47.93) 39

სირი მარკარდი

2160


# თ უ გ ე თ ი

943.20  
K.138.828  
3



თ უ გ ე თ ი — 1933 — TIFLIS

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ



## ტიხასიტევაობა

მთათუშეთის ლამაზი ქვაბნარი მოქალაქეულია კაცებისინის ჩრდილოეთის მხარეზე, სადაც მოშენის ორტოტა შემაგი ალაზანი. მისი წოწოლა და დახრამული მაღალი მთები შემოსილია წიწვიან ტყით და ალპიურ მდელოთი. მთათუშეთის ბუნების სიმშევნიერეს ჯერ არ შეხებია მხატვრის პალიტრა, მგოსნის ჩანგი და კალამი, რომ მისი ბუნების მთელი ესთეტიურობა აღამიანმა მძაფრად განიცადოს.

მთათუშეთი არც დიდ შარაგზაზეა გაწოლილი, რომ მოგზაურთა ლეგიონი ამ ბუნების წინაში სკენებას მიეცეს და მის სიმშევნიერით დასტუბეს.

ალპიურ იალალებით მდიდარი თუშეთი მეცხვარეობის მთავარ ბაზას წარმოადგენს და ეს მხარეც ჩენები ცნობილია თავისი თუშური ყველით. ამ მხრივ თუშეთს მნიშვნელოვანი ადგილი უკირავს საქართველოს ეკონომიკაში და ამიტომ საჭიროა ამ კუთხეს საბჭოთა საზოგადოება სათანადოდ იცნობდეს, რომ შესაძლებელი იყოს ადგილზე გეგმიანი მშენებლობის წარმოება.

ამ მიზნით საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების მთასელურმა განყოფილებამ 1931 წ. ზაფხულში მოაწყო და მთათუშეთში გაგზავნა ექსპედიცია, რომელმაც ადგილზე ორი თვე დაბყო და თავისი სამუშაო გეგმაც შეასრულა. მასალა დამუშავდა ამ წიგნის სახით და მკითხველ საზოგადოებას საშუალება ეძლევა ზოგადად გაეცნოს თუშების ყოფაერთობებას.

დასასრულ ამ მუშაობაში ხელის შეწყობისა და ცნობების მოწოდებისათვის საზოგადოების სახელით მაღლობას მოვახსენებ თუშეთის მცხოვრებლებს: მაკატო ბელოიძეს, საბედო და თინა ა სისვაურს, სონა ნაკუდაიძეს, სოფო და თინა იჭირაულს (სოფ. ომალო), ლაზარე მოსესძე იმე დიძეს (შენაქო), თისო ბელადიშვილს და სიდო ბაქოს ასულ მოზაიძეს (დიქლო), გიო ელანიძეს (ჩილო), სიმონ ბასხიჯაურს (დართლო), ლაზარე მათესძე ელიზბარიძეს (ჯვარმოსელი), საბა ლვითისოსძე ითიურიძეს, ლეო იოსებისძე ყიშილაშვილს და დავით ცისკარაშვილს (ზემოალვანი).

მასალების მოწოდებისათვის აგრეთვე მაღლობას მოვახსენებ: ტექნიკოს მოსე აზიკურს, შენაქოს მასწავლებელს ელენე მა-

ყ ა შ ვ ი ლ ს და სამხ. ი ქ ა დ ე მ ი ი ს ს ტ უ დ ე ნ ტ ს ი ლ ი ი ს ვ ი შ ლ ნ ჩ ი ძ ე ბ  
მ ი ქ ე ლ ა შ ვ ი ლ ს (მ ი ქ ე ლ ა ძ ე ს).

თ უ შ ე თ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ი ს ს ა ქ მ ე შ ი უ ნ დ ა ა ლ ი ნ ი შ ნ ი ს გ ე ო გ რ. ს ა შ. მ თ ა-  
ს ვ ლ უ რ გ ა ნ ყ. თ ა ვ მ ჯ დ ლ მ ა რ ი ს, ა წ გ ა ნ ს ვ ე ნ ე ბ უ ლ ა მ ხ. შ ი კ ე-  
ლ ა ძ ი ს გ ა ნ ს ა յ უ თ რ ე ბ უ ლ ი ღ ვ ა წ ლ ი, რ ო მ ე ლ ს ა ც დ ი დ ი ა მ ა გ ი მ ი უ ძ ლ ვ ი ს  
მ თ ა თ უ შ ე თ ი ს ე ქ ს პ ე დ ი კ ი ს მ ო წ ყ ა მ ა შ ი დ ა დ ა ა მ შ რ ი მ ი ს დ ა ბ ე ჭ დ ე ი ს ს ა ქ-

მ ე შ ი ი. წ ი გ ნ შ ი მ თ ა ვ ს ე ბ უ ლ ი ჩ ე მ მ ი ე რ გ ა დ ა ლ ე ბ უ ლ ი ფ ი რ ი ს უ რ ა თ ე ბ ი  
დ ა ა მ ხ ა დ ა ფ ი რ ი ს უ რ ა თ ე ბ ი კ ო გ ა ნ მ ა.

ნ ა ხ ა ღ ე ბ ი დ ა ნ ა ხ ა ზ ე ბ ი შ ე ა ს რ უ ლ ე ს მ ხ ა ღ ე ბ მ ა : უ + კ + უ + რ + ი + ე + მ,  
რ . შ მ ე რ ლ ი ნ გ მ ა დ ა დ . ც ი ც ი შ ვ ი ლ მ ა .

ყ დ ა მ ხ ა რ . რ . მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა .

ს ე რ გ ი მ ა კ ა ლ ა თ ი ა .

## 1. გეოგრაფიული მდებარეობა

თუშები მომთაბარე ხალხია და მათი მოსახლეობაც მოძრავია. ზე-ფხულში თუშები მთაში ბინადრობენ, ზამთარში კი ბარში ჩამოდიან და ცხოვრობენ კახეთში ალონის ალვანის ველზე, სადაც გაშენებულია მათი ორი დიდი სოფელი ქვემო და ზემო ალვანი. ამიტომ, თავის გეოგრაფიულ მდებარეობით, თუშეთი ორად არის გაწყვეტილი: მთათუშეთი და ალვანი. მაგრამ თუშერ მოსახლეობის ისტორიულ-გეოგრაფიულ ტერიტორიად დღესაც ითვლება მთათუშეთი, სადაც მათი ძელი სოფლებია გაშენებული.

მთათუშეთი მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთის კალთაზე: ჩრდილოეთის სიგანედის  $42^{\circ}32'$ — $42^{\circ}22'$  და აღმოსავლეთის სიგრძედის  $63^{\circ}17'$ — $63^{\circ}2'$  შეუ; მას უჭირავს დაახლოვებით 796 კვად. კილომეტრი სიბრტყე და თავის ფორმით წარმოადგენს უსწორო ხუთყუთხედ ქვაბანარს, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთის ღერძის სიგრძე 40 კილომეტრამდეა, განი კი-25 კილომეტრი.

აღმოსავლეთით მთათუშეთს დაკავშირდება საზღვრავს, დასავლეთით ფშავ-ხევსურეთი, ჩრდილოეთით-ქისტეთ-ჩაჩნეთი და სამხრეთით-კახეთი. მთათუშეთი შემოზღუდულია წყალგამყოფ მაღალ ქედებით, რომელთა სიმაღლე 3000—4500 მეტრამდე იღწევს. მათ შორის თავის ბუმბრაზობით შესანიშნავია ჩრდილოეთის ქედი, სადაც აღმართულია მაღალი მშვერფალები: თებულოს მთა (4507 მეტრი), ქერილო (3272 მ), ქაჩუ (3493 მ) და ყავლო (3988 მ). ეს მშვერფალები ქმნიან თუშეთის აღსას, რომელიც მას ქისტეთ-ჩაჩნეთისაგან ჰყოფს. შიგ თუშეთი მაღალ ქედებითაა დაღარული. მათ შორის პირიქითი ქედი, რომელიც ამუღლსა და ორივე ალაზნის სათავიდან სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით მიემართება, თუშეთის ორად ყოფს: ჩრდილოეთის შხარეზე პირიქითი ხეობა და სამხრეთით გომეშრის ხეობა. ამ პირიქითის ქედზე არსებობს სამი საცალფეხო გადასავალი ბილიკი: ლაროვანის 3296 მეტრი (ლაროვანის ხევიდან—ალაზნის სათავეში), ნაყაეჩოსი 2941 მ. (ფარსმიდან—წაროში) და ჩილოსი 2.416 მ. (ჩილოდან—ოშალოში).<sup>1</sup>

<sup>1</sup> Филиппов, Тушинская котловина или Тушетия. Военный обзор Тифлисск. Губ. и Закатальского округа. СПБ. 1872 г. № 15—18.

ამ მთაგორიან ქვეყნის მთელი ზედაპირი ხეე-ხუვებითაა დაზღუდული, სადაც მოშეუიან მაღალ მწევერვალებიდან ჩამონაეური ნაკლები და იწურებიან მთათუშეთის ორ მდინარეში: გომეწრისა და ინრი იქითის ალაზანში. გომეწრის ალაზანი ბორბალოს მთიდან (3.522m) გამოდის და გომეწრის ალაზნის სახელით ის სწრაფად მიმდინარეობს ალმოსავლეთის მიმართულებით. გომეწრის ალაზანს სოფ. გოგრელთასთან უერთდება ორწყალი, სოფ. ხახაბოსთან—ალატოვან-წოხეს შენაერთი ნახიდურის წყალი.

პირიქითი ალაზანი იმგოს (3965m.) მთიდან გამოდის. ნისოფლარ ჰელოსთან მას უერთდება ლაროვანის წყალი და გომეწრის ალაზნის პარალელურად მიექანება ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ზიმურთულებით. გზაზე მას უერთდება თუშეთის აღბიდან ჩამონაეური წყლები: ჰაშვის წყალი, ხაის წყალი, დანოს წყალი, ყვავლოს წყლი და სხვა.

ორივე ალაზანი იყრება სოფ. ცოკალთოსა და შენაქოს მახლობლად და ეს შეერთებული ალაზანი უკვე სცილდება თუშეთის სასლვარს და დაღესტანში იქრება. აქ ალაზანს ანდაქის ყოისეს უწიდებენ და ავარიის ყოისუსთან შეერთების შემდეგ, ის მდინარე სულაქის სახელით, კასპიის ზღვაში ჩადის..

მთელი მთათუშეთი ამ ორ ალაზნის აუზშია მოქცეული და სამხეობათ იყოფა: პირიქითი, გომეწარი და ჩალმა. გეოგრაფი ვახტეტი თუშეთის ასე აგვიწერს: „ხოლო თუშეთი არის ლოპოტისა, თორლისა და პანკისის აღმოსავლით, კავკასიის მთის ჩრდილოთ კერძოთა შინა, და არს ორხევად, და მდებარებს ჩრდილო-დასავლეთის შეადგი აღმოსავლეთ სამხრეთს შორის, და უდის შორის მდინარე თეისი, და მიერთებს სანა მდინარეს, რომელი განივლის ჩაჩანს და მიერთებს ბორალანს თერგის მდინარეს. ხოლო კავკასი იქით არს წოვა (პირიქითი ხეობა), წოვას ქვეით გომეწარი და მას ქვეით ჩალმა. და მზღვრის ორსაფ თუშეთს: აღმოსავლით კავკასი ჰაჩანსა და ამას შორისი; სამხრით-კავკასი ამასა და დიდოეთს შორისი; დასავლით-მთა კავკასი ამასა და კახეთის შორისი; ჩრდილოთ კავკასი ამასა და ღლილვ-ქისტს შირისა—ო<sup>1</sup>.

თუშეთი მოქცეულია კავკასიონის ჩრდილოეთის მხარეზე. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2800 — 4500 მეტრამდე აღწევს. ჰავა აქ ცივია და ეკუთვნის ალპიურ ჰავის ზოლს. მთათუშეთში მთელი წლის განმავლობაში ცივი ამინდებია (წლის საშეალო ტემპერატურა 5°-ია). ზამთარი სუსტიანია და თოვლიან-ყინვებიანი. იანვრის ტემპერატურა — 12°-დან — 18°- დე აღწევს და მდინარე ალაზანიც იყი-

<sup>1</sup> ვახტეტი, საქართველოს გეოგრაფია, ტფილისი 1904 წ. გვ. 171.



ସ୍ତ୍ରୀ. 1. ଟ୍ରେଶିଥା ମହା (4507 ମ.)

ნება. გაზაფხული გვიან დგება, შემოდგომა ადრე. ხშირად სერტემბერში თოვლი მოდის. ზაფხული გრილია, (იყლისის ტემპერატურა 10°-დან 14°-დევა) მოქლებ და ნესტიანი. ატმოსფერის დანალექის წლიური რაოდენობა ალწევს 1000 მილიმეტრს და უმთავრესად თოვლის სახით მოდის.

მცენარეულობით მდიდარია თუშეთის ბუნება, რომელიც ჰქნის ლამაზ პეიზაჟებს. მთები შემოსილია სუბალაპიურ ტყით, რომელ შიაც ფიჭვნარი სქარბობს (*Pinus hamata* Stev), განსაკუთრებით პარიქით ალაზნის ხეობაში. ფიჭვს გარდა აქაურ ტყეში იზრდება: კაცხეი (*Tilia caucasica* Rupr.), შებუსვილი არყი (*Betula pubescens* Ehrh.), ჯნავი (*Sorbus Boissieri* C. K. Sch.) ბოყვი (*Acer Trentvetteri* Medw.), მურყანი (*Alnus Tourn*), ვერხვი (*Populus tremula*) და სხვა.

ტყის ზემო სარტყელი შემოსილია სუბალპის მაღალ ბალახით: იგი მდიდარია სათიბით და იძლევა კარგ ლირსების თივს. სუბალპების ზოლის ზემოთ გაღამიმულია ალპიური მდელო, რომელიც წარმოადგენს ფართო და ნოკიერ იალალებს, სადაც ზაფხულის პერიოდში თუშების ცხვრები იყვანებიან.

აქაურ ტყე-კლდეებში ბუდობენ ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი: როჭო, შურთხი, არწივი, ბაყვი, ქორი, მიმინ, ყვავი, ყორანი, სოია (სვევი), ჩინკვი, ტყის ქათამი, გუგუტა, ოფოფა, ზაშივი, ჯლართვი (ცროლ, ზაშივია), ბულბული, მწყერი, ქერა ჩიტი (მოწითალო ფერისაა), ტოროლა, იელელა (ტანი ლეგა და ყელი თეთრი), ლალა, ქედანი, ხის კოდალა.

ნ ა დ ი რ ი: ჯიხვი, თხა, ვაცი, ირემი, დათვი, მგელი, იტოარი, მაჩვი, მელა, კვერნა, (ტყის კატა), კურდლელი.

- ქვეწარმავალნი: ყვარტი (ბაყაყია), შხამიანი ველი, შიტყორი (ხვლიკი), თაგვი, დეოფალა (ციყვის მსგავსია), ლიტოშექინა (ლოკოკინა).

თევზაგან აქ ორივე ილაზანში კალმახი ბუდობს; მათ ბადით და ჩანგლით (ანკესით) იქრენ.

გეოლოგიურად მთათუშეთი ნაკლებად არის შესწავლილი და მისი ბუნებრივი სიმდიდრეც ჯერ გამოვლეული არ არის.

<sup>1</sup> Г. Радде Хевсурия и хевсуры. Тифлис 1881. №. გვ. 268-300; ა. ა. გრიმსკეიმი, ფ. ი. სოსნოვიე, ბ. ი. ტროიცკი, საქართველოს მცენარეულობა, ტფილისი 1928 ფ. გვ. 115-116.

<sup>2</sup> Н. А. Буш, По горам и ущельям Хевсурии и Тушетии. СПБ. 1904 г. Н.Д. и И.К., Путешествие по Шавии и Тушетии (Зап. Кав. отд. ИРГО Кн. XV, Тиф. 1893 г. გვ. 113-132).



Topo. E. near Phnom Penh (4182 ft.)

ამ რაიონს ახასიათებს პალეოზოურ ჯიშის ფიქალქვების სიუბეგი. მათ თუშები სააღმშენებლო მასალად ხმარობენ და აქაური შენობები მხოლოდ ამ ფიქალითაა დაზურული. მინერალურ ჩატაც ბითაც ლარიბია ეს კუთხე. დაბალ ლირსების მეავე წყლებია: ხისოში, ჩილოში და ფარსმათან.

ვახუშტი მთათუშეთს ასე ახასიათებს: „არს ქვეყანა ესე-ყოფ-ლითავე, ვითარცა იღვსწერეთ ოსეთი, სიმაგრით, მოსაელით, პირუ-ტყვით, ნაყოფიერებით და ხელოფნებით. არამედ კახეთის თუშენი ინა-ხავენ ცხოვართა სიმრავლესა, ეინათგან აქეთ ზაფხულს თვისთა მთათა შინა საძოვარი და ზამთარს ჩამოვლენ გაღმამხარსა შინა და ამით უშეტეს მორჩილებენ კახთა. ხოლო ფარსმანი უფროს მწირ არს, გარა ამათ მიერ იგინიცა გამოიზრდებიან კახეთით: რამეთუ მათ მოპყავთ და ვაჭრობენ. და არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მხნენი, ძლიერნი მხედარნი წარმატებულნი და უსაქციელნი, ბრიუნი... სარწმუნოებით და ენით არიან ქართველთა... ხოლო რომელი არიან მხარეთა ქისტთა და ლლიღვთა, უწყიან ენანი უფრის მათნი. განა ფარსმანის ხევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი (იხ. გეო-გრაფია გვ. 172).

აღმინისტრატიულად თუშეთის დღევანდელი მოსახლეობა სამ თემად იყოფა: პირიქითი, გომეწარი და ჩალმა. პირიქითი თემი მოქუ-ულია პირიქით ალაზნის ხეობაში, გომეწრისა-გომეწრის ალაზნისას, სოფ. ხისომდე. ჩალმის თემი კი მოქუეულია ამ ორივე ალაზნის შეე-თების აუზში. მთათუშეთის აღმინისტრატიულ ცენტრად სოფ. ომა-ლო ითვლება, აქ მოთავსებულია მთათუშეთის თემსაბჭო, რომე-ლიც მოსახლეობასთან ერთად ქვემოალვანიდან ზაფხულობით აქ ამო-დის და შემოღვიმაზე ისევ ყლვანში ბრუნდება. მთათუშეთის თემებს შორის ჩალმის ხეობის მოსახლეობა (ომალო, შენაქო, დიქლო და ჩილო) - მომთაბარეობას არ ეწევა და ზამთარ-ზაფხულ აქვე ცხოვრო-ბენ. გომეწრის თემის დიდი უმრავლესობა საზამთროთ ქვემოალვანში ჩადის და იქ მინადრობს. პირიქით ხეობის თუშები კი ზამთრობით ზემოალვანში ცხოვრობენ, იქვე წოვა თუშები მოსახლეობენ. წო-ვები საზაფხულოთ მთათუშეთში (წოვათაში) უკვე არ გადადიან და ტბათანაში მანაკდებიან.

<sup>1</sup> О. Гаврилов и С. Симонович, Геологическое наблюдение в области речных долин Иоры и Алазани (Мат. для Геол. Кавказа, серия II кн. IX Тиф. 1895 г. гв. 15-22); პროფ. ალ. ჯავახიშვილი, საქართველოს ცენტრალური ტ. I, გეომონიტოლოგია, ტფილისი 1926წ. გვ. 116.

1930/31 წლის სასოფლო-სამეურნეო ოლწერით თუშეთში  
ირიცხება ორივე სქესის მცხოვრები:

1. მთათუშეთში — 2.388 სული
2. ქვემოალვანში — 1.465 "
3. ზემოალვანში — 3.415 "

სულ 7.268

უგზობი ს გამო თუშეთი ძნელი მისავალი ქვეყანაა. არსებობს რამდენიმე საცალფეხო მთის ბილიკი, მაგრამ ყველა ეს ბილიკები გადა-  
დიან კავკასიონის მაღალ ქედებზე და ზამთრის პერიოდში გაფართობია.

მთათუშეთიდან სამხრეთისაკენ გადის, რამდენიმე ბილიკი, რომ-  
ლითაც ის უერთდება კახეთს და მთელ საქართველოს. მათ შორის  
მთავარია: დიდგვერდისა, კეპანისა და ალაზნისთვეის გზა.

დიდგვერდ ის გზა ა-გადის სოფ. ომალოდან (2106 მ.)—ბოჭო-  
რმა (2320 მ.)—გოგრულთა (2160 მ.)—ვესტომთით კავკასიონშე გადა-  
დის დიდგვერდისა (3515 მ) და საქინის ლელის (3186 მ.) გადასახალხე  
და ლეჩურ-ფშაველის გზით კახეთში ჩადის.

კეპანის გზა სოფ. ხისოდან (1890 მ.) გადადის ზეთავის გადა-  
სახალხე (3101 მ.) და ლეჩურ-ფშაველით კახეთში მიღის.<sup>1</sup>

ალაზნის თავის გზა ჯვარბოსელ-ალისგორით (2144 მ.)  
და ალაზნის სათავით (2357 მ.) გადადის საყორნის გადასახალხე  
(2.475 მ.) და წიფლოვანის ხევით ეშვება ტბათანაში და აქედან ბი-  
რკიან-ალვანის შოსეთი კახეთში გადის.

არსებობს ამავე მიმართულებით გრეთვე სხვა ბილიკებიც: ანდა-  
რაზნისა, ყალორისა და მელთკუდის გზა, მაგრამ მათ შორის შედარე-  
ბით ყველაზე წესიერი დიდგვერდ-ნაქერალის გზაა.

დღეს მთათუშეთში გზატეკულების სამართველოს გაყვას ახალი  
მოქლე გზა, თუში ტექნიკურის მოსახ აზიკურის ინიციატივით  
და ხელმძღვანელობით. ეს გზა გაყავთ სოფ. ხისოდან და აბანის ლე-  
ლეთი კავკასიონის ქედზე ბულანჩის წევრისა და შაველდის შუა  
„საცხვე ხორბზე“ გადადის და „თუშეთის აბანში“ ჩადის. აქედან  
გზა გივლის „თორლევის აბანში“ და ლეჩურ-ფშაველით კახეთში  
ჩადა. ეს კველაზე მოკლე გზაა. ამ გზით 3-4 დღის სახალი 120 კი-  
ლომეტრიანი გზა შემცირდება ერთი დღის გზად, რომლის მანძილი

<sup>1</sup> ჩვენი ექსპედიცია ამ კეპანის გზით გაემგზავრა; ეს გზა მოკლე გზად ით-  
ლება, მაგრამ მეტად წელი გასაკლეულია. დაბრუნდა ექსპედიცია ალაზან-ტბათა-  
ნის გზით. ეს გზა მშევნეობად ალწერილია ივ. ბუქურაულის მგზავრის შენიშვნებში  
„ტბათანიდან წოვათამდენ“ უურ. „მოამბე“ 1897 წ. № VIII და № IX.



დაახლოებით იქნება 31 კილომეტრი. მთათუშეთის ამ გზის უძველეს დაწყო 1929 წლის ზაფხულიდან. გზა გაყავთ ეიჭრო, მაგრამ შემდეგისათვის განწრახულია მისი გაფართოვება და საურმედ გადაეკეთება. ამ გზას მთათუშეთისათვის უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ეძღვა და ამიტომ საკიროა გზის დროშე დამთავრება.

დასაცავებით მთათუშეთიდან გზა გადის ხევსურეთში პირიქით ალაზნის ხეობით, აწუნთის გადასავალზე (3570 მ.), ფშავში გზა მიღის ალაზნის სათავით (2357 მ.), საყორნისა და ბორბალოს გადასავალზე (3135 მ.), რომელიც წოხვის თავზე (2677 მ.) გადადის და უკანა ფშავში ჩადის.

აღმოსავლეთით თუშეთიდან ლეკეტში გზა გადადის სოფ. დიქლოდან (2153 მ.) და კერო (1852 მ.)—ხუშეთით (2046 მ.) დალესტანში ჩადის.

ჩრდილოეთით, ქისტეთ-ჩაჩინეთის მიმართულებით რამდენიმე მილიგი არსებობს: პირიქითი ალაზნის სათავიდან თებულოს გადასავალზე (3342 მ.), კონთიოდან (1995 მ.) კორილოს გადასავალზე (3272 მ.) და გირევ-ფარსმიდან (2155 მ.) ქარის გადასავალზე (3551 მ.).

## 2. ისტორიული მიმოხილვა.

თუშეთის ისტორია ჯერ გამოუყოლეველია და ბურუსითაა მოცული. არსებული მცირედი ისტორიული მასალაც სათანადოდ უენწავლილი არ არის და ამიტომ ძნელია მისი ისტორიული წარსულის მთლიან სურათის იღდევნა. მაგრამ, ჩვენ აქ შევეცდებით, ამ ნაშენებ ცნობების შეკაწიშებით, ზოგადად მაინც გავეცნოთ თუშეთის საწოდოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესებს.

პრეისტორიული ხანის ნაშთები მთათუშეთში მცირედია აღმოჩენილი და ისიც შემთხვევითი ხასიათისა. ორქეოლოგიური კელიაძიება აქ არავის უწარმოებია და ამიტომ ჩვენ არ ვიცით თუშეთის წიალში თუ რა მნიშვნელობის ნაშთებია ჩატლული. მაგრამ მთათუშეთში უკვე აღმოჩენილი პრეისტორიული ხანის ერთეული ნივთები აშკარად მოწმობენ, რომ ისტორიის წინა ხანაში ადამიანს თუშეთის აწინდელ ტერიტორიაზე უცხოერია და თავის კულტურულ შემოქმედების ნიმუშებიც კაცობრიობისათვის უანდერჩია. თუშეთში აღმოჩენილ ნივთებს შორის საყურადღებოა: ბრინჯაოს ორი ირმის ქან-

1. აღმოჩენილი ნივთები დაცულია საქ. მუზეუმის არქეოლოგიურ განკ. (იხ. Коллекции Кавказского музея, Тиф. 1902 გვ. 40 — 41. №№ 976 — 982).

დაკება, რომელიც თავის სტილით, ფორმით და ნაკეთობის ტექნიკით მიეკუთხება კავკასიის ბრინჯაოს ხანას და ლათარილებულია დაახლოებით XII—IX საუკ. ქრ. წელია ამ ფრაგმენტალურ ქანდაკების დანიზნულების გარკვევა, რომელსაც ქვემო ნაწილი აკლია.



სურ. 3. ირმის ქანდაკება.

ყოველ შემთხვევაში ირმის ეს ორივე ქანდაკება სამყაული არ უნდა იყოს. მისი დანიზნულება უფრო რიტუალურია, რომელსაც იმდროინდელი გაუთვით ცნობიერებული ადამიანი თაყვანს თუ სკემდა.

შემდეგ, საყურადღებოა აქ აღმოჩენილი უფრო გვირანდელ დროის ბრინჯაოს ბალთა, რომელიც დაფანჯრულია და ზედ გამოსახულია წარიქილი ცხენები (სურ. 5). თავის სტილით და ნაკეთობით ბალთა მიეკუთვნება სკვითურ-სარმატულ ხელოვნებას და დათარილებულია



მე-V-I საუკ. ამგვარი ბალთები ჩინდება ჩირდილო-კავკასიის ფარგლებში, განსაკუთრებით დალესტანში.

ამავე ხანას უნდა მიეკუთონოს მთათუშეთში აღმოჩენილი მამაკაცის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ხელში მოქლე კომბალი უკავია, ქანდაკება საყურადღებოა და უნდა იყოს ლვთაების კერპი. (სურ. 6).



სურ. 4. ირმის ქანდაკება.

ერთი სიტუაცით, ამ მცირეოდენ არქეოლოგიურ აღმოჩენიდან იჩევეა, რომ მთათუშეთის ტერიტორიაზე ადამიანს პრეისტორიულ ხანიდან უცხოებია და კულტურულადაც უმოლვაწია. ეს კუთხეთაეის გეოგრაფიულ მდებარეობით ჩირდილო კავკასიის ეკვრის და აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთებიც კულტურის ამ წრის ნიშნების მატარებელია.

ისტორიულ ხანაში თუშეთი პირველად იხსენიება გეოგრაფიულ პტოლემაიოსის თხზულებაში; იგი სკანორობდა მეორე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. თავის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში მას კავკასიის

ტომებს შორის შოხსენებული პყადს თუშებიც: „კავკასიისა და კირაუნის მთებს შორის არიან ტუსკები („ტუსკოი“—თუშები) და დიდური (დიდოელები)<sup>1</sup>.

ამასთანავე პტოლემაიოსი თუშეთს დიდოსთან და ჩირდილოეთის სხვა ტომებთან ერთად, მიაკუთვნებს აზიის სარმატებს და არა იმდროინდელ ალბანია-იბერიის, რომლის გეოგრაფიული აღწერაც მასვე

1. Клавдий Птоломей. Географическое руководство, Положение Азиатской Сарматии чи. V, га. VIII (В. В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, вып. I—II, СПб. 1893 г. 83, 239).

მოქმედია. ამ შემთხვევაში პტოლემიანისი ემყარებოდა თუშეთის გეოგრაფიულ მოხაზულობის, თუ აგრეთვე მისი მოსახლეობის პოლტიკურ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ დაჯგუფების, ამანებ ცნობების უქონლობის გამო, რაიმე გარკვეულ მოსაზრების გამოთქმა ძნელია.

უკველ შემთხვევაში ამ პერიოდში თუშეთის მოსახლეობის ეთნიური შემადგენლობა ჩვენთვის გაურკვეველია. მხოლოდ ვახუშტის თავის გეოგრაფიაში აქვს ნათევამი: უხოლო თუში და ლილონი



სურ. 5. ბრინჯაოს ბალთა.

უკეთუ არიან წილი ლექოსისა, არამედ შემდგომიად მეფეთა ქართველთა დაპყრობილნი და მოხარუენი მათნი"-ო (გეოგრ. გვ. 168), მაგრამ ვახუშტის ამ მოსაზრების უკომენტარიოდ გაშიგარება ძნელია. მით უმეტეს, რომ იეტორს ეს ცნობა არა აქვს უტყუარ ისტორიულ ფაქტებით შემოწმებული.<sup>1</sup>

• ქართულ მატიანეში თუშეთი პირველი ისსენიება წმ. ნინოს მიერ ქართლის მოქცევაში, როდესაც მირიან მეფემ (323 წ.) მთიელების გა-

1. თვით სახელწოდება „თუში“ ან „თოში“-ის განმარტებაც ძნელია. თუშები თავიანთ თავს თუშებს უწოდებენ. კველა ქართველ ტომებშიაც ეს სახელია გავრცელებული. ლეკები თუშებს „მოსაქე“-ებს ეძახიან, ქისტები კი „ბალუათ“. თუშების თქმით, სახელითუში მათ ლეკებმა უწოდეს და წარმომილგარია სიტყვა „დუშეთ“-იდან, ნიშნავს დღშანსო. შესაძლებელია ამ სახელს კავშირი ქვირდეს კისტურ წარმართულ ლეთაება „თუშთლ“-თან, რომელიც ნაცოფიერების ლეთაებად ითვლებოდა და მას ქისტ-ჩანჩების თემები თაყვანს სცემდენ. (Б. К. Далгат, Первобытная религия чеченцев, Владикавказ. 1898 г. გვ. 61.)

საქრისტიანებლად გაგზავნა წმ. ნინო ერისთავის თანამდებობის „დაღგეს ქალეთსა და უქადაგეს ერშო-თითანელთა, ხოლო მათ შეიჩუნარეს და ნათელი დეს. ხოლო ფხოველთა (ცხაველთა) დაუტყვიერებელანა მათი და გარდავიდეს თუ შეთს და სხვანიცა მთიულელნუმრავლესნი არა მოიქცეს. არამედ დაუმძიმე მათ მეფებან ხარკი ოდესა ინებეს ნათლისლება “-ო<sup>1</sup>.



სურ. 6. ადამიანის ქანდაკება

მემატიანის ეს მოქლე ცნობა საყრა-დლებოა, საიდანაც ირკვევა, რომ რელი-გიური თუ პოლიტიკური ხასიათის შეე-წროება აძძულებდა ქართველ მთიელებს და ამ შემთხვევაში ფხოველებს (ცხა-ლებს) გადახვეწილი იყვნენ მეზობელ თუშე-თში, სადაც ისინი მუსლიმთა ავტორის პოლონებდენ. გახიზნის ეს პროცესი სუ-კუნების მანძილზე გრძელდებოდა, ივ ხელსუმუბლებდა ქართველ ტომების ჩრდი-ლო კავკასიაში შევრას და იქ გაძლიერებას, განსაკუთრებით ფეოდალიზმისა და ბატონ-ყმობის ხანაში, როდესაც მებატო-ნებისაგან გაქცეული ყმები და მესის-ლეობისაგან დევნილი გლეხობა კავკასიონის მიუვალ ხევებში იხიზნებოდა. ამით დაინტერესებული უნდა ყოფილიყო საქა-რთველოს იმდროინდელი ხელისუფლებაც, რომლის სახელმწიფოებრივი პოლო-

რიკა მოითხოვდა ჩრდილოეთის საზღვრების შემომტკიცებას.

მე-IV-VII საუკ. ჩრდილოეთში ბატონობდენ ხაზარები<sup>2</sup>, რომ-ლებიც შიშის ზარსა სცემდენ მეზობელ სახელმწიფოებს. ხაზარები ჩრდილოეთით იმერიის სამეფოსაც უტევდენ და საგულისხმოა, რომ ქართველი მატიანის პირველი გვერდიც ამ „ხაზართა გამოსელი“ იწყება.

იბერიის ბეფები ცდილობდენ ხაზართა წინააღმდეგ ჩრდილო-კავკასიაში მობინადრე ტომები: ოსები, ძურძუნი (ქისტ-ჩაჩნება) და ლექები დაერაზმათ და ამით ერთგვარი საფარი შეექმნათ. ეს ტომებიც თავდაცვის მიზნით არა ნაკლებ დაინტერესებული იყვნენ იბერიასთან ასეთ კავშირით, რომლის განსამტკიცებლად იბერიის და

<sup>1</sup>. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, ტფილის 1906 წ. გვ. 107

<sup>2</sup>. Проф. Ю. Готье, Хозарская держава и ее культура, Железный век в Восточной Европе, Москва 1930 г. гл. 70.

შემდეგ ქართლის მეფები ძურძუეთა ასულებსაც ირთავდნენ, გაღმო-  
ყვდათ მათი მოლაშქრენი და ასახლებდენ სამეფოს ჩრდილო საზღვარ-  
ზე. ამას ქართველ მემატიანის არა ერთი ცნობაც იღასტურებს:  
„საურმავ (ქართლის მეფე) შეკრიბა დურძუეთიცა და წარმოემართა  
ქართველთა ზედა და ვერეინ წინააღმდეგა მას და დაიპყრი ქართლი  
და მოსინა განდგომილნი თვისნი. და განამრავლნა დურძუენი,  
რომელნიცა ტყვევნასა მას ხაზართასა ყოველნივე მშეიღობით დარჩო-  
მილიუნეს, სიმაგრისაგან შეუყანისა და ვერლარა იტევდა დურძუეთი.  
მაშინ ამან საურმავ წარმოიყენა... და დასხნა მთიულეთს, დიდო-  
თით-გან ვიდრე ეგრისამდე და ესენი დაიპყრი მისანდობელად  
თვისადღ“-ო. (ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა გვ. 41).

ჩრდილოეთის და განსაკუთრებით ძურძუეთა ტომების საქართვე-  
ლოში გაღმოსახლების ეს პროცესი მე-19 საუკუნემდე გრძელდებოდა,  
როდესაც მათი მონათესავე ქისტები პანკისის ხეობაში გაღმოსახლდე  
და აქ 1860 წლებიდან გაშენდა მათი სოფლები: პანკისი, დუი, ომა-  
ლო და ჯოყოლა<sup>1</sup>.

ამ ძურძუეთა ტომს კუთვნის თუშეთში გაღმოსახლებული წოეა  
თუშები, რომლებიც თავიანთ ენით ენათესავებიან ძურძუეთა ტომის  
ლლილს (ლალა) და დღესაც იმ ლლილვურ ენაზე მეტყველებენ<sup>2</sup>.


ვა ხუშტი ის ცნობით: „ხოლო რომელნი არიან (თუში) მხარეთა  
ქისტა და ლლილთა, უწყიან ენანი უფროს მათი. განა ფარსმანის  
ხევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარც ქისტი“-ო  
(იხ. გეოგრაფია 172). თუ როდის გაღმოსახლდენ წოვები თუშეთში  
ამის დადგენა ძნელია. მხოლოდ წოვათაში ნასოფლარ წაროს აკლდა-  
შებიდან ამოლებულ ნივთების შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ  
საშუალო საუკუნეებში დაახლოებით მე-8—9 საუკუნიდან სოფ.  
წარო დასახლებული ყოფილა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ჯოყოლა იყო ქისტების მამაცი წინამდლაი და რუსების მტერი. ჯოყოლას  
ძელადობით ქისტები კვერცხდნ თუშებს და ცხარა-საქონელს სტაციებდნ. 1851წ.  
ჯოყოლა თეშთ მოურავის ივ. ცისკარაშვილის შეამდგრმდობით ურიგდება რუსის  
ხელისუფლებას და მის კვერცხლომძაბასაც იღებს. ჯოყოლა სახლდება პანკისის  
ხეობაში და იგი ხელს უწყობს ქისტების აქ დაგმოსახლებას. ამის აღსანიშნავად  
ამ სოფელსაც ჯოყოლა ეწოდა. შემდეგ ჯოყოლა ჩამანში დაიკირეს და მას შამი-  
ლის შეილის ყაზი მაჟამას ბრძანებით როგორც მოლალატეს, თავი მოკვეთეს.

<sup>2</sup> Schiefner, Versuch über die Tuschi-sprache oder die kistinische Mundart in Tuschetien (Зап. Имп. Акад. Наук. сер. VI, т IX 1856); Проф. Н. И. Ковалев, Языки и народы Кавказа. Тифлис. 1931 г გვ. 20-21.

<sup>3</sup> სოფ. წაროში არქოლოგიურ გამოკვლევას 1912 წელს აწარმოებდა 6.  
მოლანანოვი. წარო წოვების ნასოფლარი, დღეს იყო ნანგრევს წარმოთადგენს. აქ  
დაცულია რამდენიმე მაწის ხემო ნაგები აკლდამები, ზოგიერთში მიცვალებულის  
დასახელებული ქეის ტანტებიც არის გამართული. მოლანანოვის აღწერით აკლდა-  
მები გამარცული ყოფილა, ნიუტონი მიცვალებული წეტერში არყული. ამიტომ კულ-  
ს. მაკალათია, თუშეთი.

და ეს გარემოება ერთგვარქშესაძლებლობას იძლევა ამავე საუკუნით განვითარებული წოვების ღლილეთიდან თუშეთში გადმოსახლების დროც. თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიკურ ნიადაგზე ხდებოდა წოვეთშების ეს გადმოსახლება უტყუარ ცნობების უქონლობის გამო ვარ. კვეულ მოსაზრების გამოთქმა ძნელია. ზოგიერთ მეკლევართა აზრით ძურძულა ტომების შინა განხეთქილებამ და თემობრივმა შეულმა აიძულა წოვები ღლილეთიდან გომეწრის ხეობაში გაძინნულ იყვნენო<sup>1</sup>.




სურ. 7. სოფ. ჭაროში აღმოჩენილი ნივთები.

ჩვენის აზრით, ამ გადმოსახლების სტიმული უფრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ძურძულებით (ქისტეთ-ჩაჩნეთი) მწირი და მეტიდროთ დასახლებული ქვეყანა იყო. მომზრაველებული და ეკონომიკურად შევიწროვებული მოსახლეობა საარსებო წყაროს მეზობელ კუთხეებში ეძებდა.

ტურქულ ფერების გარევე და დადგნა შეუძლებელი გამხდარა. აკლდამების ნაპონი ბრინჯაოს და რკინის სამკაულები. საყურადღებოა ორნამენტიანი სარკეები და ბრინჯაოს საყურე. კოლექტივი დაცულია საქართველოს მუზეუმში (№№ 92-12/1-57).

თუ ჩვენ ჭაროში აღმოჩენილ ამ ნივთებს შევადარებთ ჩრდილო კავკასიაში სახელმობრ დერგაესისა და კომუნტის ალქეოლოგიურ აღმოჩენებს (იბ. უვაროვა. Материалы по археол. Кавказа т. VIII , გვ. 105 , 292), რომელიც დათარი-დებულია VIII - IX საუკუნით მათ შორის საგულისხმო მსგავსება არსებობს.

<sup>1</sup> Р. Эристов. О Тушино-Пшаво-Хевсурском округе (Зап. Кавк. Отд. ИР Г о-ва, Тиф. 1855г. გვ. 80—81); И. Пискаров, Картина Тушетии, газ. Кавказ 1846г. №50.



ამასთანავე ლლილვი ცნობილი იყო გულად და მეომარ ტომაფ, ამიტომ იქტერიის იმდროინდელ ხელისუფლებისათვის, რომელიც მოლაშქრებად ასეთ ტომებს ექმდა ხელსაყრელი იყო ამ ლლილვების მოძმის წოვების თუშეთში, კომეტრის ალაზნის სათავეში, დასახელება და ამ ხეობის გამაგრება.

აღმინისტრისტიულად თუშეთი, ქართლის ცხოვრების ცნობით, წუქეთის საერისთავოში შედიოდა; მის შესახებ ნათქვამია: "...შემდგომ მოვიდა ორჩილ (668-718) კახეთად და ყოველთა ტაძრელთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ უკნა იგინი და დაჯდა წუქეთს... და პოვნა წუქეთს ბთავარნი, რომელთა მიებოძა გახტანგ მეფეს (V საუკ.) წუქეთი და იყო მაშინ რომელი ერისთავობდა თუშთა და ხენძთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა სახელით აბუხურო (აბუხვასრო) და ორა ინება მისგან წალცად წუქეთიან-ო (ქარ. ცხოვრ. გვ. 209-210).

მემატიანის ეს მოკლე ცნობა საყურადღებოა, აქედან ირკვევა, რომ თუშეთი ხუნძახთან ერთად<sup>1</sup> შეადგნდა წუქეთის<sup>2</sup> საერისთავოს, რომლის ერისთავად დასახელებულია აბუხასრო. ამასთანავე ნათქვამია, რომ ეს ჩრდილოეთის ტომები და მათ შარის საგულისხმოა თუშებიც, წარმართნი ყოფილან. შაგრამ ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც საქართველოდან ვრცელდებოდა, მათშიაც მალე შევრილა. ჩრდილოეთის ტომების შემოსამტკიცებულად მათ გაქრისტიანებას უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა და კახეთ-ჰერეთის ხელისუფლებაც ამ საქმეს გულმოდგინეთ შესდგომია.

ამას მოწმობენ ძეველ ძერძეკეთში, დღევანდელ ქისტ-ჩაჩნეთში, დღემდე დაცული ძეველი ქართული ტაძრების ნანგრევები და წარწერები, განსაკუთრებით ასისის ხეობაში არსებულ ალიბირლისა და თხაბა-ერდის 830 წლით დათარილებული ქართული ტაძრები<sup>3</sup>. ხენძშიცი დაცულია ძეველი ქართული ტაძარი „დათუნია“ და სხვა.

ერთი სიტყვით, ამ დათარილებულ ძეველის მიხედვით ირკვევა, რომ მე-IX საუკუნეში ჩრდილოეთის ტომების გაქრისტიანება მომხდარი

<sup>1</sup> ვახუშტი, ვეოგრაფია, გვ. 195-197; Ч. Ахриев Ингушт (Сбор. сведений о кавк. горцах, вып. VIII Таб. 1875 г.)

<sup>2</sup> ძეველი ხუნძახი შეიცავდა დაღლესტინის დასავლეთ ნაწილს, რომელშიაც შედიოდა დღევანდელ აგარ-ანდო-დიდოველების ტაძრიტორია.

<sup>3</sup> წუქეთი კაკისა და გლისენის მიდამოში იყო, დღევანდელ საინტილოში (ყოფილ ზაქართალის ოლქის, წახურის უბანში). წუქეთში იყდა ჩრდილო მთიელების ერისთავი, რომელიც ემირჩილებოდა კახთა მცუვებს (ვაშუშტი, ვეოგრაფია, გვ. 147).

<sup>4</sup> В. Михаил, Археологич. наблюдения в области Чеченцев (Мат. по археологии Кавказа, вып. I. Москва 1888 г. гв. 8-24); Г. К. Мартirosian, Нагорная Ингушетия (Изв. ингуш. научно-исслед. института краеведения, Владик. 1928. гв. 48-46).


ფაქტი ყოფილია. მთელი ამ კულტურულ - რელიგიური მოძრაობის გამტარებელი ტერიტორიიდან უნდა ყოფილიყო თუშეთი, საიდანაც ძურძეების ბილიკები გადიოდა. ამიტომ თუშეთის გარემოსტანებაც ამავე ხანებში უნდა მომხდარიყო. თუშეთის სამწყსო თავდაპირელად ხარჭაშოს საეპისკოპოსოში შედიოდა: „თიანეთის წყლის სათავეება და საშიშის თვალივის იქით, თეთრი-არავის მცენერია არის ხარჭაშოს ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი, ზის ეპისკოპოსი მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ხევსურისა და თუ შეთისა - მ. (ვახუშტი, გეოგრ. გვ. 137).

1014 წელს, როდესაც ბაგრატ მეფის მიერ დევნილმა კახეთის ქორიქოზმა კეირიკე III - ემ კახეთი დაიპყრო, მან მოახდინა საერისთავო. ების ახალი განწესება და სხვათაშორის თუშეთი მოხსენებულია პანკისის საერისთავოში, მისი მოცულობა ასეა განსაზღვრული: „მისკა ჰერეთის საზღვრის ზეითი კავკასიმდე და კახეთის მთამდე თუშეთითურთ“ - მ.<sup>1</sup> პანკისის ერისთავიად ამ დროს იხსენიება სტეფანოს, რომელიც ემხრობოდა კეირიკეს და ებრძოდა ბაგრატ IV. ბაგრატმა სტეფანოს სძლია და შეიპყრო იგი.

მე - XII - XIII საუკუნეებში, საქართველოს გაძლიერებისა და ფეოდალურ მონარქიის ხანაში, თუშეთზე ქართველი მემატიანე სდგრეს. ეტყობა თუშებს მონაწილეობა არ მიუღიათ თამარის დროს მომხდარ მთიელების ამბოხებაში, მაშინ როდესაც მის მეზობელ ფხოველებისა და დიდოელების დასამორჩილებლად საგანგებო ჯარიც კი იყო მთაში გაგზავნილი. თუშეთი არც შემდეგ საუკუნეებში იხსენიება, ვიდრე მე - XV საუკუნემდე. ეს გარემოება იმით უნდა ითხსნებოდეს, რომ ისტორიის ამ მანძილზე ჩრდილოეთის მხარემ დაკარგა თავისი პირვანდელ პოლიტიკური მნიშვნელობა, როდესაც საქართველოს სამეფოს ჩრდილოეთის ტომების მხრივ საფრთხე უკვე აღარ მოელოდა და თუშეთის პოლიტიკური როლიც პასიურია.

მე - XV საუკუნეში, ფეოდალურ საქართველოს დაცემისა და სამეფოდ გაყოფის ხანაში, კახეთის მეფემ გიორგი I (1471-1492) საერისთავოები გააუქმა და მოურაობა დააწესა: „გიორგიმ დაიპყრა სრულიად კახეთი, მაშინ მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარც არიან დღე მდე: მოურავი ქიზიყისა, ელისენის, წუქეთისა, დიდოეთისა, პანკისისა და სხვა... და განპყო ოთხს სადროოშოდ და მისკა დროშანი ეპისკოპოსთა, რათა არა განიმკიდრონ მთავართა... ამათ არა მორჩილებდენ თუ შინი და ფშავ-ხევსურნი, არამედ დიდოეთი ერთგულებისათვის დავითისა ერთგულობდენ ამათ და მსახურებდენ“ - მ. (ვახუშტი,

<sup>1</sup>. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ტფილისი 1918 წ. გვ. 151.



საქარ. ცხოვრება, გვ. 158). ამგვარად მემატიანეს ცნობით გიორგი და კუთისებუ პანქისის საერისთავო, რომელშიაც თუშეთი შედიოდა, მოუსპია და იქ მოურავობა დაუწესებია. ამ ცელილებებს ეტყობა თუშებში უქმაყოფილება გამოუწვევია და გიორგი მეფისაგან ისინი გამდგარან.

მაგრამ ეს განდგომა დიდხანს არ გავრძელებულა და კახეთის მეფეს ლევან II (1520 - 1574) თუშეთი ისევ შემოუმტკიცებია: „ამას წინათა კახთა მეფეთა ორლარა მორჩილებდენ ფშავ-ხევსურნი და თუშნი და ამან ლევან დაბყრა არა ძალითა, არამედ აღუთქეა რათა ცხოვარი მათნი უენოდ მძოვარიუნენ კახეთს და მისცა შეწირულობა ლაშას ჯუარსა თიანეთს შინა და მიერითგან მისცემენ ლაშქარსა და ბეგარასა“ (ვახუშტი, საქარ. ცხოვრ. გვ. 163). მემატიანის ეს მოქლე ცნობა ჩვენთვის საყურადღებოა; აქ გარკვეული ნათეჯებია, თუ რა პოლიტიკურ-ეკონომიკურ ნიადაგზე მომხდარა განდგომილ თუშების შემორიგება.

მეცხვარე თუშებისათვის უაღრესი საარსებო მნიშვნელობა პეონდა ზამთრის საძოვრებს, როგორიც იყო კახეთში ალონის (ალვანის) ცელი და ამიტომ თუშები იძულებული იყვნენ კახეთის ხელისუფლებასთან კეთილგანწყობილებაში ყოფილიყვნენ. თავის მხრივ კახთა მეფებიც ცდილობდენ, მოლაშქრეთა და ბეგრის მიღების მიზნით, გულად თუშების შემომტკიცებას. საყურადღებოა, რომ თუშებს ეს ისტორიული ფაქტი დღესაც ახსოვთ; მათგან ხშირად გაიგონებთ, რომ ალვანის ველი თუშებს ლევან მეფემ უმოძაო.

შემდეგ საუკუნეებში, 17—18-ში, როდესაც დალესტნისა და ჩრდილოეთის სხვა ტომებიც ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ამოძრავდენ და დაიწყო მათი გამანადგურებელი თარეში, თუშეთს, როგორც მოსაზღვრე პროვინციას, განსაკუთრებული პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა მიეცა და თუშეთიც ამ პერიოდში აქტიურ პოლიტიკურ როლს თამაშობდა. მაგრამ სანამ ჩენ ამის განხილვას შევუდგებოდეთ საქიროა ზოგადად მაინც შევეხოთ თუშეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ფორმაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ თუშეთის საზოგადოებრივი ყოფის ისტორია თემურ წყობილებას არ გასცილებია და მრავალ საუკუნეების მანძილზე თუშეთი თემურ ცხოვრებას ეწეოდა. მისი დამოკიდებულება კახეთის სამეფოსთან ნომინალური იყო და განისაზღვრებოდა ომიანობის დროს მოლაშქრეთა დახმარებით. ვა ხუშტრის თქმით: „არამედ იგინი (თუში) არა პყმობენ კახთა მებატრონეთა, ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშქრენი და მეხარჯენი არიან. და არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მხნენი, ძლიერნი, მხე-

დარნი წარმატებულნი და უსაქციელნი"-ო (იხ. გეოგრ. გვ. 172). ისაზე  
თუშებიც დღესაც ასე მღერიან:

"თუშთ არ იციან ვინ არის მონა, ბატონი.

თვითონ არიან თავისა ბრძანებელი და ბატონი".

აღმინისტრატიულად თუშეთი, როგორც უკვი ალვნიშნეთ, ჯერ  
შედიოდა წუქეთის საერისთავოში, შემდევ პანკისის სამოურაოში,  
მაგრამ ამ ერისთავ-მოურავებს ხელი არ ჰქონდათ თუშების შინაურ  
წყობილებაში. თუშეთს თემურ ადათებით ხევისბრები განაგებდენ.

თუშეთი იყოფოდა სამ თემად: გომეწრისა, ჩალმისა და პირიქითი.  
თითეულ თემის სათავეში იდგა თემის მიერ არჩეული ხევისბრი, რო-  
მელიც თავის საქმიანობაში თემურ ადათებით ხელმძღვანელობდა  
და ომის დროს ხელში სათემო დროშით ლაშქარს უქლოდა. მაგრამ  
თუშეთის საზოგადოებრივი წყობილების უზენაესი ორგანო სათემო  
ყრილობა იყო, სადაც სამივე თემის წარმომადგენლები იქრიბებოდენ.  
ყრილობა აწესრიგებდა საგარეო საქმეებს და სწყვეტდა ლაშქრობისა  
და ზავის საქმეს. თუშეთის სათემო ყრილობა იმართებოდა სოფ. ჩი-  
ლოს მახლობლად მდებარე ხევში „ლელეში“, სადაც სამივე თემის  
ხევისბრები და გვარის უხუცესები ღამის თევით დგებოდენ და სათემო  
საქმეებს არჩევდენ. მაგრამ ამ თემურ ყრილობებს ფაქტიურად განაგე-  
დენ შეძლებულ გვართა მეუფროსენი, რომელთა წრიდან ირჩევდენ ჟე-  
ვისბრებს და დეკანოზებს და ესენიც ხალხისა და თემის სახელით ამ  
შეძლებულ ჯგუფის ინტერესებს იცავდენ.

თუშურ ყრილობის საზრუნავი საგანი თავდაცვის საკითხები იყო,  
რაღანაც გაბატონებულ ჯგუფს ქართლი და შფოთი ჰქონდა ქიატ-  
ჩიან - ლეკებთან და ის მუდამ მზად უნდა ყოფილიყოთ თავდაცვისათვის.  
ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშნი ლეკები იყვნენ; ისინი სარგა-  
ბლობდნენ ქახეთის პოლიტიკურ მოუძღურებით და თავისუფლად ფა-  
თარეშობდნენ ქართლ-ქახეთში მთელს მე-16—18 საუკუნის მანძილზე.  
ლეკების ეს თარეში გამოწევეული იყო კავკასიაში პოლიტიკურ სი-  
ტუაციის გართულებით სამ იმპერიალისტურად განწყობილ სახელმწი-  
ფოთა: სპარსეთსა, ისმალეთსა და რუსეთს შორის, რომელიც  
ცდილობდნენ კავკასიის ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით მათ მიერ, პირებ-  
უოვლისა, ნიშანში იმოლებული იყო ქართლ-ქახეთი, კავკასიაში შედა-  
რებით უფრო ძლიერი და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი კუთხე-  
ამიტომ ამ სამ შოქიშვე სახელმწიფოთა დიპლომატიის ხლართები  
ქართლ-ქახეთში იკვანძებოდა.

ქართლ-ქახეთის დაპყრობის მიზნით სპარსეთი დი ისმალეთი მო-  
რიგეობით ამხედრებდენ ლეკებს და სათარეშოდ უშვებდენ.


ამ უცხო ძალის მიერ წაქეზებული და შეიარაღებული ლეკები ქართლ-კახეთისაც ანადგურებდენ. ლეკების ეს თარეში შაპ-აბაზის შემოსვების (1616) შემდეგ უფრო გაძლიერდა. ქართლ-კახეთის აოხრუ-ბის შემდეგ, შაპ-აბაზმა გაღმა მხარის ელისენ-წუქეთის და შავიხის მცხოვრებნი სპარსეთში გადასახლდა. ამ დაცარიელებულ აღგილებზე ლეკები გადმოსახლდენ და ახლა მათ უმთავრეს ცენტრად ჭარი (ძველი ფილინეთი) შეიქნა. სათარეშოდ ასეყულ ლეკებისაგან დიდ შევიწროებას ჩვენი მთიელებიც განიცდიდნ, განსაკუთრებით მათი მოსახლეობრე თუშეთი, რომელიც მე-19 საუკუნის მიწურულამდე ლე-კებს ებრძოდა. და თუშეთის ამ პერიოდის ისტორიაც ამოიწურება ლეკებთან ბრძოლის ეპიზოდებით, რომელიც იწყება ბახტრიონის აღებით.

1658 წელს სპარსეთის შაპმა კახეთის შმართველად დანიშნა სალიმ-ხანი, რომელმაც პოლიტიკურ მოსაზრებით ბახტრიონში და ალა-ეკერდში თათრები დაასახლდა. სალიმ-ხანი აგრეთვე ხელს უწყობდა ლეკე-ბის თარეშს: „მან სალიმ-ხან მოიყვანა ელნი და დასხნა შიგნით და გარეთ კახეთს და დაიპყრეს ამათ ბახტრიონი, ალავერდი და გარყვნეს წმინდა-ნი ეკლესიანი. რამეთუ იყო ჭირი დიდი მათვან კახეთსა შინა და ქურდთა ლეკეთაგან“-ო (განუშტი, საქარ. ცხოვრება გვ. 189).

სალიმ-ხანის პოლიტიკა საფრთხეს უმზადებდა თუშების მეცხვარეობას, რომლის ზამთრის საძოვრები ალონის ევლი, ნაბოძები ლეკეან მეფის მიერ, მოქეული იყო ამ ბახტრიონ-ალონის ფარგლებში. თათრების აქ გადმოსახლება და ლეკების თარეში განადგურებით ემცქრებოდა თუშების საარსებო წყაროს, მეცხვარეობას. ამიტომ, როდესაც ერწო-თიანეთ-არაგვისა და ქსნის ერისთავებმა სალიმ-ხანის წინა-აღმგდეგ გაილაშქრეს, თუშებმა მოიწვიეს ფშავ-ხევსურები და ბახ-ტრიონის აღებაში გმირულად იბრძოლეს. ეს ბრძოლა გალექსილია და მხატრულგაფორმებით მოცუმულია ვაეკა-ფშაველას „ბახტრიონში“.

ჩვენ აქ მოფიცვანთ ამ ლექსის ერთ ნაწყვეტს, სადაც გადმოცე-მულია ის სიღუბეშირე, რომელსაც კახეთის იმპერიანდელი მოსახლე-ობა თათრებისაგან განიცდიდა. ამის შესახებ აი როგორ მოსოდება თუშების მიერ ფშავ-ხევსურეთში გაგზავნილი მეცხვარე:

საქმე გატირდა, დედილო,  
ურჯულო თათრებისგანა:  
დათარეშობენ ... კახეთი  
მისცეს ქარსა და ნიავსა.  
აწიოკებენ ქალ-რძალსა,  
ნამუსსა შედიან ძალადა.  
ჰკრეფავენ ურჯულოები  
სილმაზესა ლალადა.



არა ზოგავენ, დედილამ,  
 ვინც-კი მოუათ თვეალადა.  
 მთელი კახეთი ქუმალა  
 ჩიქილ-მოხდილ ქილადა.  
 არა სიანს ხელის შამქცევი  
 მტრის იმომყრელი ჯავრისა,  
 კაცი არ ჩნდება შამყრელი  
 და წინ გამძლოლი ჯარისა.  
 იქ, ჩვენთანამდიც მოდიან  
 ცხვარსა ფარობით გვტაცებენ.  
 არეინ გადურჩით რჯულ-ძილლა  
 კველას ბეგარის აღებენ.  
 ვისაც პკელენ გზა-გზის პირაზე,  
 თავებს მარგილზე აგებენ.  
 ზაღიან სხვისა სახლშია  
 კარს უკრძალავად აღებენ.  
 დაჯავრდენ თუშნი, რო ნახეს  
 ქვეყანა ნაოხარია,  
 პირი ქნეს, იმათ წინ უძლვის  
 ზეზეა საოცარია.  
 სუყველამ ტანზე აისხა  
 აბჯარი საომარია,  
 მე გამომგზავნეს საჩქაროდ  
 ფშავს და ხევსურეთს გზირადა  
 და დამაბარეს ხევწნითა  
 სიტყვა სათქმელი პირადა:  
 „ჩვენც ხომ თქვენი ძმანი ვართ  
 სისხლით, ხორცით და რჯულითა,  
 მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ  
 გაუტეხელნო გულითა.  
 უბაროდ განა არ იცით,  
 მთანიც რო ვერა გვარობენ.  
 გვიშველეთ, ფშაველ ხევსურნო,  
 ბარზე თათრები ხარობენ“.

თათრებისაგან შევიწროვებული თუშებთ ლელაედნენ. მათ საბრძოლველი დ ჭალებიც კი მოუწოდებდენ:

„ისმინეთ თუშთა შეილებო, რას გამცნევთ თუშთა ქალები:  
 რად გხუოადთ ქუდი, აიხსენთ თავსა ნამუსი კაცისა,  
 აპა და თავსა დაიდვით მანდილი დედაქაცისა.



ურჯულო ოსმალთ დიაცნი, ბახტრიონის მომავლებია,  
დაუტაცნია დიაცთა ვერ დაუხსნიათ თავები.  
რასა უყურებთ ვაეებნო, რას დგეხართ დაღონებული,  
მეფე სახლიდგან გაგვიგდეს ვაეეა დატყვევებული“.  
ვაეყაცთა შორის უცემად კაცი მრისხანე სახისა,  
მოხუცი ბაჟურ წამოდგა ხელი წაავლო მახვილსა.  
„ეს რაი გვესმის, ვაეკაცნო, აღზღექით თუშთა შეილებნო,  
მტერი კარს გვადგა მძლავარი, აღზღექით თუშთა შეილებნო,  
ჩვენ მეფეს სდევნის მტერია აღზღექით თუშთა შეილებო.  
შორით ძმის სიკვდილს უყურებთ ესე რა თუშთა ჯერია“  
აგერ ბაჟურის კარხედა შეკრძა თუშების ჯარია,  
ბაჟურიც მალე გამოჩნდა ხალხი გაიძრა წელშია,  
გაიძრა რაზმად გაეწყო, თოფი აიღეს ხელშია.  
მოვიდა ბაჟურ, შეფერხდა, ჯარს გადაავლო თვალია,  
ასწონა თავით ფეხამდის, ასწონა თუშის შეილები,  
უცებ შესძახა: „ვარგიხართ, ნამდვილ ხართ მამათ შეილები,  
შექმადაც არას გვეყოფის მტერი რაზმ გაწყობილები,  
წავიდეთ, ნულარ უყურებთ, მტერი ვაქციოთ მძოვრალა,  
ვინკ მტრის წინ წარბი შეხაროს, დედა შეერთოს ცოლადა!“

1659 წელს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ლაშქარი შეუერთდა ზაალ  
ერისთავის მხედრობას, აიღეს ბახტრიონის ციხე და დამარცხებული  
სალიმ-ხანი გაიქა: „ზაალ ერისთავმან შემოიფიცა საყმონი თვისნი  
და ფშავ-ხევსურ-თუშნი და ერისთავი ქსნისა შალვა. შექრიბნა ეს  
ყოველი, წარუდღვანა ძე თვისი და მიუხდეს პირველად ბახტრიონის,  
მოსრენეს და მოსწყვიტნეს თათარნი, მერმე ალავერდს და შემდოგმად  
ყოველსა კახეთისა შინა მოსწყვიტნეს, რამეთუ არცა ლა-თუ დაუტე-  
ვეს აკანთი შინა მწოვარნი და განათავისულეს კახეთი“—ო (ებუ-  
შტი, საქარ. ცხოვრ. გვ. 189—190). ხალხურ გაღმოცემით ბახტრი-  
ონის ასაღებად პანკისით წამოსულ თუშების ერთ რაზმს შეუნი-  
შნას, რომ ბაშარის წყლის ბოვირნე თათრის მდევრებს ნაცარი  
დაეყარათ, რომ ცხენების ნაფეხურით შეეტყოთ თუშების რაზმის  
მოძრაობის მიმართულება, მაგრამ თუშებს ცხენები უკულმა დაუშედიათ,  
ხიდზე გადასულან და ბახტრიონისაქნ მიმავალ გზის ერთ ტყეში  
დამალულან. მდევრებმა მეციხოენე ჯარს თურმე აცნობეს თუშებს კვა-  
ლის მიმართულება. თათრის ჯარი ციხის გალავნიდან გამოსულა  
და ამ კვალს დასდევნებია. ტყეში დამალული თუშის რაზმი კი უბრ-  
ძოლველად ციხის გალავანში შესულა, მაგრამ ციხე დაკუტილი და შიგ  
გამაგრებული დახვედრია. გმირ ზეზვას მეთაურობით თუშებს ბახტ-  
რიონის ციხე ჩქარა გაუტეხიათ და თათრები ალვანის ველით გაქცე-

ულან. მაგრამ თათრებს აქ დახვედრია ნაქერალით ამოსტლი თუ?

ფშავ-ხევსურების ლაშქარი და თათრებიც გაუშევიათ. ამ ადგილსაც „განწყვეტილა“ დარქმევია. ფშავ-ხევსურებეს ნადავლი აულიათ, თუ შებს კი ალვანი რგებიათ. ეს ამბავიც ასე გაულექსიათ:

ბახტრიონს სხედან თათრები, სიტყვას ამბობენ ძნელსაო:

„ახმეტას ჩავჭრით ვენახსა, შიგ დავისახლებთ ელსო.

შეიტყვეს თუშის შეილებმა მაღლა შეირტყმენ ხვლებსაო,  
ჯერ შეაღმე არ ქმნილა, ნაქერალს გროვდებიანო.

შეელაო შეელაიძეო პანქისს გასტეხე წყალიო,

უკულმ დავსჭედოთ ცხენები, დავამაღვინოთ კვალიო,  
საგათენებლოდ დავეცნეთ, ბახტრიოვანს გალავანზედა.

„გარეთ გამოდი სულთანო, თუშნი გისხედან კარზედა,  
თუ ნებით შენ არ გამოხველ გამოვიყვანენ ძილზედა“.

მეტი ვარ სალირაშვილი<sup>1</sup> ნუ მიმზერთ ტალავარზედა,  
გადავალ გადავფრინდები, ბახტრიოვანს გალავანზედა,

შეიღი არ მოველა ხმალდახმალ გამცვალეთ თათრის ქალზედა.  
გონგავლებული ფრანგული კაბის რა კარგად სჭრისაო,

სისხლისა ნაგუბარზედა ფეხი რა ძრიელ სცურავსო,

ელ თვეს და ჩალთვეს თათრები, წითელ ჩადიოდ წყალიო.

ალვანში ციხეს აგებენ ხოჯა თათრისა ძვლისაო,

ლიბოდ უგდებდენ მალასა, ნაწვრეთის ფრანგულისაო,

დააგდებინეს ალვანი თუშთ არის საქუთარიო,

ჯერ ლმერთი, მერე ბატონი სხვა არავინ გყავს მცილავია,

ვინც ალვანს უარესობდეს ცოლმა შემოხსნას ხმალია.

საყურადღებოა, რომ თუშები ფშავ-ხევსურებთან ერთად თეო-  
მურან I-ის და მოსკოვის მეფის ალექსი მიხეილიძის შორის დაბლო-  
ბატიურ ურთიერთობაში აც მონაწილეობას იღებდენ და 1657 წელს  
მოსკოვში თავიანთ წარმომადგენლებს ხევისბერებმასაც კი გზანიან  
და „ალექსი მიხეილიძეს ქვეშევრდიმობასა და მფარველობას სოხოვკინ.  
ჩვენ აქ მოვიყვანთ ამ 1657 წლის დიპლომატიურ წერილის ტექსტს:

ქ. დიდო და ყოვლის შპყრობელო ბატონო, დიდო მეფევ და  
ყოველთ ქრისტიანეთ ხელმწიფევ, ალექსი მიხაილის შეილო! ყოვლისა  
მპყრობელო! შენის ბრძანებითა ჩვენს დედოფალსა და ბატონის შეილ-

<sup>1</sup> როდესაც თუშებმა ბახტრიონის ციხეს ალყა შემოარტყეს საგონიერებელში ჩა-  
გარდნილან, თუ როგორ აღლოთ ეს მაგარი ციხე. მაშინ მეტი სალირაშვილს პალ-  
ები დაუთლია, ციხის კედლებში ჩაურკვეთა და ამით პირველად თვითონვე გადა-  
სულა ციხის კედლებში ბახტრიონის აღებაში თუშებს ზენგა ბელადობდა თუშმე  
და გმირობით თავი უსახელია (ა. ხახანაშვილი, ბახტრიონის აღება, ივერია 1888 № 220; ურბნელი, ზენგა და ბახტრიონის ციხე, ივერია 1888 № 228).

სა კაცი ებობა, და ჩვენი ქვეყნის კაცი დაებარებინა, რომე ჩვენც ამ დღიდას ხელმწიფის ხელთა ვართო, და თქვენც ამისი ყმანი შეიქმნითო და თქვენც ამას დაუკარით თავიო, აშე... ხელმწიფებე, ჩვენი ხელმწიფით თქვენა... არის და ჩვენჯ თუშეთის და ხევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიანთ ქვყანასა პირობა გვიძნია და ზურგი მოვებიბამს ერთმანეთისათვინ და ელჩები გამოგვიგზავნია. ხევის ძერი სოზამე მაქსიმიჩი, და გრიგოლ სილორიჩ, და პავლე ივანიჩ და შენი ყმანი შევენილვართ და თავი დაგვიკრავს, როგორც თქვენი ბრძანება იქნება ჩვენ იმისი მქნელნი ვართ: ჩვენა ერთი ლმერთი ვიცით და მორჩიე ხელმწიფე თემურაზ. ჩვენ მაგარს ალაგს ვართ და არის კაცს შევეპოვებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყავნი ებრძეის და ჩვენ არც შემოვეკიშვია ყავნის კაცი, და სადაც მოვეიხელებია მოვეიქლავს და მისი სარტარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვიშვეტია: აშე დადო ხელმწიფებე, ჩვენი ხელმწიფე ყავნმა წაახდინა, და ზურგი ალარ საით გვეონდა, და მღვთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგვსვლიყო; აშე მოგვიციდა შენი ბრძანებაცა და ჩვენის დედოფლის კაციცა, და თქვენი ბრძანება გაგვითავებია, და შენ შემოგხევშინივართ, და შენთვის თავი დაგვიკრავს გვიმსახურე და გვალაშერე, ამ დღეშით შენი ყმანი შევენილვართ.

ასეთივე ხასიათის წერილი გაუგზავნეს ფშავ-თუშ-ხევსურებმა მოსკოვის მეფეს ალექსი მიხეილისძეს 1658 წელსაც:

დიდო და ყოვლის-მპყრობელო ხელმწიფებე, ყოველი ქრისტიანეთ რჯულის დამამტკიცებელო, სრულებ საქრისტიანოს საქეთ-მპყრობელო და ყოველთ ურჯულოთ ვამიქარებებელო, დიდის მოსკოვის ტახტზე მჯდომელო და სრულ საქრისტიანოს ზურგო და სიქადულო, დიდებულო ხელმწიფებე, ლვოვი გვირგვინოსანო, მეფეთ მეფებე, დიდო მეფებე, ბატონო ალექსი მიხილის შეილო: თქვენშა მონდობილმა ქვეყანამა თუშეთმა, ხევსურმა და ფშავმა სრულ ერთობილთა თავი დაგვიკრავს და თქვენს ნადგომს მიწას გმთხევენივართ: აგრევე ამას წინათაც, დიდო ხელეშიფებე, ჩვენი ელჩები გაახელით და სრულად ერთობილთა თავი დაგიკარით და ასრე მოგახსენეთ, რომ ჩვენ ერთი ლმერთი ვიცით და მეორე საქართველოს ხელმწიფე, მეფე თემურაზ და ჩვენ სხვას ურჯულოს კაცის ხელ-ქვეთ არა ვყოფილვართ, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის ყმანი ვყოფილვართ და გვიმსახურებია და ახლა, ჩვენს ხელმწიფესა ურჯულომ ყევნმა დასძლივა და რაღვან ჩვენი ხელმწიფე თქვენ ხელო ქვეშ არის, დიდო ხელმწიფებე, ჩვენც თქვენს ხელთ ქვეშ შევიქნებით და არც უსიკედილოდ ურჯულოს კაცის ყმობა არ შეგვიძლიან, თუ არ ქრისტიანის ხელმწიფის. და ახლა, მაღალო ხელმწიფებე, ჩვენი ელჩები რომ გამობრუნებულ იყო, და ჩვენის ბატონის რძლის კაცი ივანე მაქსიმეს შეილი და თერგზე რომ

მოსულ იყუნეს, ჩვენი ხელმწიფე წინ შემოჰყოდა, და ერთი ჩვენ ელჩი იქ დაეცირა და ორი კიდევ გამოუში და ერთი თავისი კაცი ივანე მაქსიმეს შეილი და ასრე ებრძანა ჩვენს ხელმწიფესა ჩვენთვის რომე ერთი ღმერთი იცოდეთო, და მოორე, ეს დიდი ხელმწიფეო, როგორც ამისმა ბრძანებამ დაგრიგოსთ, ისრე ქენითო, და სხვა კაცისათვის არამც თავი მოგიდრეებითო, და ან სხვა კაცი თქვენს ქვეყანაში შემოგიშვიათო. მოვიდა ჩვენი ელჩებიც და ჩვენის ხელმწიფის გამოგზავნილი კაციცა, და ჩვენთვის მრავალი წყალობა გებრძანებინა და მაგათი ბედნიერი ხელი დაულებია, ასრე გებძანა: ჩემი ყმანი შეიქენითო და მემსახურეთო და ვისაც გამტერო, უმტერეთო თუ რამ დაგჭირდეს, შემატყობინეთო და ლაშქარს მოგაშველებო, და თუ ჩემი ლაშქარი გამოუძახო, ან ლექზედა ან სხვაგნით, თქვენ მზას იყვენითო, რა ხან ჩემი ბძანება მოგივიდეს, შეიყარენით და ჩემს ლაშქარში გაერიებენითო და მილაშქრეთო და სხვა მრავალი წყალობა გებრძანა ჩვენთვინა: ლმერთმან ბედნიერის ხელმწიფეს კირის სანაცვლონი გვამყოფოს, და მაგათი დღე ერთი ათასად იქნის: ჩემ არა ლირს ვიყვენით, რომ ბედნიარს ხელმწიფეს ჩვენთვინ წყალობა ექნა: ახლა კიდევ ელჩები ვაახელით დიდს ხელმწიფესა რვა კაცი ნაუმ ივანეს შეილი, პეტრო ნაუმის შეილი, ალექსანდრე აბრამის შეილი, მიხაილ გრიგოლის შეილი, გრიგოლ მიხაილის შეილი, ივანე ივანეს შეილი, სვიმონ ზაქარიას შეილი, კუშმა სვიმოის შეილი გამოგვიგზავნია და შევიტყევით, რომ ჩვენი ხელმწიფე თქვენთან წამოსულა და როგორაც თქვენი ბრძანება გამოვა, ისრე ვიქთ, და ისრე გემსახურებით.<sup>1</sup>

რახაცირეველია. ფშავ-თუშ-ხეესურების ეს დიპლომატიური მიმწერა. მოსკოვის მეფესთან ნაკარნახევი იყო კახეთის მეფის თეიმურაზ I მიერ, რომელიც ისტორიულ უკულმართობის ორომტრიალში იყო ჩავარდნილი. შაპ-აბაზისაგან დევნილი თეიმურაზი ცდილობდა მოსკოვის მეფის დაბმარებით, კახეთიდან სპარსელების განდევნას და თავის ტახტის აღდგენას. ამისათვის მას სპირდებოდა ფშავ-თუშ-ხეესურეთის დიპლომატიური ენით ამეტყველება, სადაც ის ხშირად თავს აფარებდა.

მაგრამ სპარსელებისა და ლეკებისაგან არც თუშებს ჰქონდათ მოსვენება. ლეკები იტაცებდენ თუშების სარჩო-საბადებებს, საქონელს და ტუვებად ადამიანებიც მიშყავდათ, რომელთა დასახსნელად დიდ გამოსასყიდს მოითხოვდენ. თუშური ხალხური პოეზია საესეა მე ლეკეურ ტყვეობის გოდებით. აშის შესახებ ქართულ მატიანეშიაც მოიპოვება ასეთი მოქლე ცნობები: „ჩამოვიდა კახეთში დიდი ჯარი ლეკი

<sup>1</sup> М. Б р о с с е , Переписка грузинских царей с Российскими государями от 1639 по 1770 г. С.П.Б. 1861 г. гл. 74-75, 229.

მიუხდენ თუშეთს ბევრი აენეს. ჩამოვიდა ამბავი, მოახსენდა ბატონის მაშინევ წაბრძანდა კახი ბატონი კახეთს, მიემცელა თუშეთს „ა“<sup>1</sup>

რასაცირკელია არც თუშები ისხდნენ გულხელდაკრეფილი და ლექებს სამაგიროსაც უხდიდენ. დაეით III (იმამ-ყული-ხანი 1703-1722) დროს, მემატიანის უნიბით, დროებით მშეიდობიანობა ჩამოვარდნილა კახეთა და ლექებს შორის, მაგრამ ეს ზევი თუშებს თურმე დაურღვევიათ: „ხოლო კახთა და ლექები ზევთა შორის წარვიდენ თუში, მოსრუნეს რაოდენიცა პჰოვეს ლექნი და მწყემსნი და წარმოიღეს არვე დიდალი, ეწივნენ ქარელნიცა, არამედ მოსრუნეს თუშთავე და აოტნეს იგინიცა და მოვიდნენ მშეიდობით: ამისთვის მოგზაუნეს ჭარელთა: „არის მშეიდობა ჩვენ შორის, რად პყვეს თუშთა ესე“. განჩინებული იმამ-ყული-ხანი და ბრძანა მიცემა მონალებისა. ხოლო თუშთა არა ინებეს. კვალად წავიდა მოურავი მათი და არც მას უსმინეს, ამხედრდა თვით იმამ-ყული-ხანი და მივიდა და უბრძანა ცემა თოვთა, არამედ მათ რა იხილეს იმამ-ყულ-ხანი, შეაქციეს ზურგი და დასდგნენ უსაჭრელელონი, და მსროლელთაცა არღარა თუ იყადრეს. მიხედვად ამისთვის შეიწყალა მეფემან და არღარა მოსრუნა, გარნა წარუხვნა ნატყევნავი და მისცა ლექეთა ორვითურთ“. (განუშტი, საქარ. ცხოვრ. გვ. 206).

ქართლ-კახეთის საშეფოს არსებობის უკანასკნელ საუკუნის მიწურულში ლექების თარეშმა საშიში და მწვავე ხასიათი მიიღო და თუშეთის პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც დალესტნის მოსაზღვრე პროვინციისა, გაორექცია. თემიურაშ II (1744-1760) და ერეკლე II (1760-1798) განსაკუთრებულ პატივით ეპყრობოდენ ფშავ-თუშებესურებს და მათგან პეტრიდენ საიმელო და თავდადებულ რაზმებს, რომლებსაც, პირელყოვლისა, ევალებოდათ ლექებისაგან კახეთის ჩრდილოეთის საზღვრის დაცვა. და, როდესაც ლექების თარეშის ასალაგმავად ერეკლე II მორიგი ლაშერობა განაჩინა, მან იმ ბეგრისაგან თუშ-ფშავ-ხევსურნი გაანთავისუფლა<sup>2</sup>, რაფგანაც ესენი ლექების საზღვრების სადარაჯოშე მუდამ შეიარაღებულნი იდგნენ.

ამას გარდა, თემიურაშ II და ერეკლე ხშირად ფშავ-თუშ-ხევსურეთში<sup>3</sup> იხიზნებოდენ, სცხოვრიაბდენ იქ და მათში ერთგვარი პატივი და სიუბარული პეტონდათ მოპოვებული, ამიტომ მეფეს სასახლის ამაღაში თუშ-ფშავ-ხევსურნიც ერივნენ. ერეკლე II-ზე თუშებში დღესაც დარჩენილია ზოგიერთი მოგონებები. სხვათა შორის ასეთი გადმოცემაც არსებობს: ერთი თუში ერეკლეს სასახლის სადარაჯოშე თურმე მდგარა და მას ლამის წყვდიალში სასახლეში შემავალი

<sup>1</sup> საქართველოს ცხოვრება, პაპუნა თაბელიანისა. (იხ. ხ. ჭიჭინაძე, საქარ. ცხოვრა. 1913წ. გვ. 54).

<sup>2</sup> В у т к о в , Материалы для истории Кавказа, т. I СПБ. 1869 г. гл. 288.

ურეკლე ვერ უცენია და დაუძახნია, ეი ეინა ხარ? მეფეს ხშა არ გაუცია. თუში მიერღონილა და მისთვის გაუჩრებამს. იმაზე გამარტინებულ მეფეს დაუყვირია, რას ს ხიდიხარ შე ბრიყვო, მეფეს რათა სკრე? თუში შემკრთალი და მის წინ მეტელი მოუყრია. ერეკლეს ის წიმოუკენებია, მხარშე ხელი გადუსამს და უთქვამს: ყოჩალ, თუმო, რომ ასე ერთგულად ყარაულობ ჩემს სასაპლესო.

თუშების ასეთ ერგულების სტიმული პოლიტიკურ-ეკონომისტი ხასიათისა იყო. ერეკლეში ისინი ხედავდენ ლეკებისაგან მფარევულ ძალას. იმასთანეე თუშების ცხვრის ზამთრის საძოვართა ბატონ-პატრი-ნი მეფე იყო. ამგრომ თუშებს მეფესთან საფერით საქმე ჰქონდათ და მას ასე ერთგულად იცავდენ. ერეკლე II თუშებში ეძებდა ერთგულ და საიმედო ძალას, რომელიც არ იყო მოშხამელი მონქრ ბატონიშვილ და მოლალატურ სულისკვეთებით, რაც ახასიათებდა იმ-დროის ბარის საქართველოს ბატონიშვილ საზოგადოების. იმასთანეე თუშების ცხვარიც მეფის ხაზინას საგრძნობ შემოსავალსაც აძლევდა. რომ ამ შერივ ხელისუფლების დაინტერესება დიდი ყოფილა ამა მოწმობს თუშებისადმი მიცემული 1757 წლის სიგელი<sup>1</sup>, რომელსაც ხელს აწერენ მეფეთა მეფე თეიმურაზ და მეფე ერეკლე.

ამ 1757 წლის სიგლით ეს მეფეები სამეტეეილრეოდ და შედ-მივ მფლობელობაში აძლევენ თუშებს „ალონის“ ან ალეანის მინ-დორს:... არც ჩეენ და არც შეილმან ჩეენმან იქ (ალვანში) სოფელი არც დაასახლონ და არც ავაშენოთ ჩეენ და არც ალონის აღვილდ და მიწა გავცეთ.... თქვენთვის და შეილთა თქვენთათვის ამ რი-ვად გვიბოძებია.... არ მოგვშალოსთ ჩეენგან და არც სხვათა ჩეენთა შემდეგთა მეფეთა და მეპატრონეთაგან.... თქვენ როგორც ძეველთაგან ან საბალახე და საფოთლე გერთმეოდესთ და საკომლო, ისე გამოგერთმეოდესთ.... ამ რიგად ეს წყალობა გვიქნია, საცა ალონის აღვილში სოფელი არ ყოფილიყოს და დღეს არც ჩეენ და არც შეილ-მან ჩეენმან იქ სოფელი არც დაასახლოს და არც ავაშენოთ ჩეენ და არც ალონის აღვილი და მიწა გავცეთ. თქვენთვის და შეილთა თქვენთათვის იმ რიგად გვიბოძებია ჩეენად ერთგულობისათვის და სამსახურისათვის სამკეილოდ. ასე გიბოძეთ რაგვარადაც ამ სიგელში

<sup>1</sup> ამ სიგელის „ტექსტის ნაწყლები მოყვანილია დ. ა. ლ ბ ა ნ ე ლ ი ს წერილი „თუშების ორი გუჯარი“ (ის. კვალი 1897წ. №50, 51, 52), სადაც აეტორი შენიშვნა, რომ ამ გუჯარების პირები მან იპოვნა ტფილისის საგუბერნიო მართველობის არქივში 1808 წლის საქმეებში. ამ გუჯარების დენები კი, მისიც განკუთხებით, გა-უტანით თუშებს: ფოცხვერს (ცისკარაშეილი), თათოს და იგანეს. ჩეენ გვინდონა აღნიშვნულ გუჯარების პირების გადათვალიერება და ტესტის აქ მოყვანა, მაგრამ მათი მოძებნა საქართველოს ცენტრარქიუში სამწუხაროდ ჯერჯერობით შეცემლებიდან აღმოჩნდა.

დაგვეიწერია. არ მოგეშალოსთ ჩეკენგან და არც სხვათა ჩეკენთა შემდგომი მთა მეფეთა და მეპატრიონეთაგან-“ო.

ამგვარად ირკვევა, რომ ოლონის ველზე, რომელიც თუშებს ჯერ კიდევ ლევან II დაუთმო ზამთრის საძოვრად, სოფლები შენდებოდა და ამით ვიწროვდებოდა საძოვრის ფართობი. ეს კი საფრთხეს უმზადებდა თუშეთის მეცხვარეობის განვითარებას და ამიტომ მის სრულ დასაკუთრებასათვის საჭირო იყო მეფის ბრძანება და სიგელი, რომელიც 1757 წელს თუშებს უკვე ებობათ. სამაგიეროდ თუშებს მეფის ხაზინაში შექონდათ საბალახო და საკომილო გადასახადი და თავის ხმლითაც მეფებს ერთგულად ემსახურებოდნ. მაგრამ 1757 წლის სიგელში თუშებსა და მეზობლებს შორის (ბახტრიონელები, ფშაველები და ლალისყურელები) შულლი დაბადა. ეს სოფლები ოლვანის მინდორზე ხენათესებს ეწეოდენ და 1757 სიგლით თუშებშა მათ ეს აუკრძალეს. ამის მოჰყვა თრივე მოწინააღმდეგე მხარის ერთმანეთზე მტრული გადაკიდება, მიხტომა, საქონლის მოტაცება, ქურდობა და სხვა. ხელისუფლება იძელებული გამხდარა საქმიში ჩარეცლიყო და 1781 წელს ერკულემ ბრძანება გასცა თუშთა მოურავს, რომელსაც საქმის მოსაგვარებლად აძლევს სათანადო დარიგება-განმარტებებს.

როგორც ჩეკენ უკვე აღნიშნეთ, თუშები ფშავ-ხევსურებთან ერთად შეადგენენ მეფის ძლიერ და საიმედო რაზებს, რომელიც მონაწილეობას იღებდენ ერკელეს სხვადასხვა ბრძოლებში. სამწუხაროდ ქართველ მემატიანეს ამის შესახებ ჩეკენთვის ცნობები არ შემოუნახავს, მაგრამ ზეპირსიტყვაობაში ის დღემდე დაცულა. ამ შემთხვევაში ქართველ მემატიანეს სრული დუმილი ახასიათებს; იგი ვიეკაცობას საზოგადოდ მაღალ და გაბატონებულ წოდებას უქებს და მდაბიო ხალხის გმირობაზე სრულიად სდომეს.

ამ მხრივ საყურადღებოა ასპინძის ომი (1770 წ.), საღაც ხევსურებთან ერთად თუშებიც იბრძოდენ. თუშებში გმირობის სახელი მოუხევია: ხოხიო ბობლიაშვილს, ნაკუდა ქუიძეშვილს, დილოიძეს და სხვა. ამაზეა ნათევამი ლექსის ეს ნაწყვიტიც:

თვალიც უქირავს ქვეყანას, ხოხიო გაირჯებაო,  
დიდის ბატონის ჯარშიდა წინ ვერეინ დაუდგებაო,  
ბატონის თვალი წყალობდა, ბატონს არ მოუკვდებაო.  
ნაკუდა ქუიძესშვილი რა კანჯარიერით ხტებაო,

შეიდი აეაფა ხმალდახმალ, რიგი ხანჯალზედ დგებაო.<sup>1</sup>

ასპინძიდან გამარჯვებულ ჯარს წალქის სერჩე შეუსცენია. ერკლეს აქ უხმია დილოიძე და უთევამს: ჩემო, თუშო, გულადობისა-

<sup>1</sup>. რ. ერისთავი, ასპინძის ომი; ტფილის 1870 წ. გვ. 15—16.; მისვე ქართული სახალხო პოეზია (ქრებული 1880 წ. გვ. 27).

თვის აი ეს ხეობა შენოვის მიჩუქნია“ - ღ. დილოიძეს წალკის ბომებას უარი უთქვამს და მის ნაცელად ერეკლესათვის ხევსურის ხმალი უთხოვია. მეფეს ხევსურისათვის ხმლის წონა ოქრო მიუცია და ის დილოიძისათვის უფეშქაშნია<sup>1</sup>. 1785 წელს კახეთში გაილაშვილი აფარის ცნობილმა ომარ-ხანმა, რომელმაც 11.000 ჯარით გადმომახა ალაზანი და უშიშრად კახეთში თარეშმბდა. ერეკლე იძულებული იყო ომარ-ხანისათვის 10.000 მანეთი ჯამაგირი ემლია.

ამ ომარ-ხანის რისხვა თუშებსაც არ ასცდენია. მისი ჯარი ნუცალის წინამძლოლობით თუშეთს შესევება და ხარიც დაუდევია. მაგრამ ნუცალი იმასაც არ დაჯერებულა და განწირახავს თუშეთის შემოსამტკიცებლად მისი გამაპმადიანება. ნუცალისათვის თუშებს მიუგზავნიათ საპატიო მოხუცი ან თა დევდრისი და მოფიქრებისავის დრო უთხოვიათ. ამავე დროს თუშებს მხედრები უფრენიათ ლევან ბატონიშვილთან და დახმარება უთხოვიათ. მეფის ჯარიც გადმოსულა და გირევის ლელეზე დაბანაკებულა, საიდანაც ნუცალმა სინათლე თურმე შეინშნა, მაგრამ ანთამ ის დაარწმუნა, რომ ეს შეცხვირება ბანაკიდანაო. ნუცალი მაინც შიშობდა და, რომ დარწმუნებულიყო მის გულწრფელობაზი, ცხენის ხორცის შეჭმა უბრძანა. ანთამ ეს ბრძანებაც შეასრულა. ამ დროს ნუცალის ბანაკს თავს ესმის მეფის ჯარი და ანადგურებს. ეს ამბავი ხალხს ასე გაულექსია.

ქაჩუსა თავსა გადმოდის დიდი ნუცალის ჯარია,  
ჩამოდგა გირევის ვაკეს, როგორც ნაგუბარს წყალია.  
წოვათის დევდრი ანთაი ნუცალს მიუა კარზედა,  
წინ დაუდგ ოქროს ტაბაკი ზედ კუიცის ხორცი აწყვია,  
დანა ზედ უძევს ჯავარი გიშრისა ტარი აგია,  
სჭამს და ვერა ლებდის, ლვთისგან მოელოდ შეელასა.  
შეიტყო ითიბანულმა, ლურჯას დააკრა ნალები,  
საგათენებლოდ ჩივალის გრემის ბატონის კარზედა:  
„ლევანო, ჩვენო ხელმწიფევ, ჩვენა გვიბოძე ყმანია“.  
ლევანმა ჯარი შეყარა ათასი მეომარია,  
აანთო მაშხალაები ღამით გაიხონ გზანია,  
გარდადის ნაყავერისა, ღმერთო დასწერე ჯვარია.  
ითაბანულის ლურჯაი ნაყავებს გდია მკედარია,

<sup>1</sup> ზემო ალვანში მაცნობეს, რომ დილოიძის ეს ხმალი ინახება გაბო აბაშიძის სახლშიო. მე ხმალი გაესინჯვე. ხმალი მოხრილია, მას ერთ გერედზე ახატია პირდაღუბული ლომი, მეორეზე კი ჯვრიანი სფეროა. გაბო აბაშიძის თქმით, ამ ხმალს სინჯვად ხევსურები დღესაც მოდიანო, რომლებიც თურმე ეძებენ დილოიძის ამ ხმალს და დიდ საფასურსაც იძლევენ. ხევსურები ამ ხმალს სინჯვაცნე, მაგრამ მის სინაზღვილეში ეჭვობენ. ხმალი თავის ფორმით და ნაკეთობით არა გავს ხევსურულ ფრანგულას.

გვერდთ უზის თავის პატრონი დასტირის როგორც ქალია.  
ვინ გახდალთ გირევის წყალსა ვინ გაიმეტებთ თავსაო,  
წინგავიდ გირევის წყალსა, ვავი ლურჯ პერანგიანი,  
იქნებოდ საგინაშეილი, ვისაც ანდერაზ პერიანო,  
ჩავიდა, ჩამოერივა სალთხუცის ნირქაფითაო,  
ნუცალს ჩაუჭრა კარავი ნაკულაურის ხმლითაო.

ცოლი ნუცალის ტიროდა: „ნეტარ ნუცალ რაიქნა?  
„ნუცალი ანდერაზ მოკლა ყორნებს ჩაქონდა მწელითა“  
ლეკთა სტირიან ქალები, აღარ მოგვიყლენ ქმარები,  
ცხენებთ რა უყოთ ტიალთა დაწყვიტეს ლაგამთ ტარები,  
ზოგთა სთქევს: „ბაშტეს შევყაროთ, მაგრა დავვულოთ კარები“  
ზოგთა სთქევს: „მთაზედ გაუშოთ, თავზე წიგყაროთ ლაგმები“,  
ზოგთა სთქევს: „უკუღმ შევყაზმოთ, ზედ თავათ შევსხდეთ ქალები  
გავიდეთ თუშისკნ, იქავ შევირთოთ ქმარები.“

საქართველოს რუსეთთან შეერთებისა და თეითმცყრობელობის  
ჩენში დამყარების პირველ პერიოდში, იმპერიალისტური რუსეთი  
შეუდგა კავკასიის დაბჟრობის საქმეს, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობის  
იღებდა ქართველ თავადების დიდი ნაწილი. ამან უფრო  
გააღმამავა კავკასიაში მობინადრე ტომების საქართველოსადმი  
მტრული განწყობილება, განსაკუთრებით ლეკებ-ჩაჩინ-ქისტებში,  
რომლებიც გააფორებით ებრძოლენ თეითმცყრობელურ რუსეთს  
და კავკასიის ისტორიაში გმირობის სახელი მოიხვევეს. ამან უფრო  
გაართულა თუშეთის მდგომარეობა, მით უშეტეს რომ, თუშეთის  
პოზიცია ამ შემთხვევაში ლეკ-ჩაჩინ-ქისტებისათვის გარკვეული იყო,  
რომელიც მათ მოწინააღმდეგე ბანაკში იყო მოქცეული.

ამიტომ ლეკების თავდასხმას დაემატა ქისტ-ჩაჩინების შემოსევა  
და თუშეთის აკლება. ახლა თუშეთს ამ ფრონტზედაც უხდებოდა  
თავდაცვითი ბრძოლის წარმოება.

ამ შერივ საყურადღებოა ქისტის ბელადის მურთაზის შემოსევა  
და ფარსმის ციხის გარემოკვა. ხალხურ გადმოცემით, ქისტ-ჩაჩინის  
ნაიძს მურთაზს დიდი ლაშქარი წამოუსხამს, რომლის აღრიცხვა მას  
გასჭირებია და ანგარიშისათვის მურთაზის ბრძანებით მოლაშქრებს  
თითქო ქვა აუღიათ და ერთ ადგილზე დაუყრიათ, რომლისაგან მთელი  
გორა დამდგარა.

მურთაზი ზარბაზნით გადმოსულა და მისდგომია ფარსმის ციხეს.  
ციხეში თუშები გამაგრებულან და ვერაფერი დაუკლია. მაშინ მურთაზის  
უბრძანებია ციხის სანგლით აფეთქება. თუშებს ეს დროზე გაუგიათ  
და ერთ თუშის ქალს კახოს თინას თავისი მანდილი ერბოში ამოუფ-  
ლია, სანგალში გადაუგდია და ის აუფეთქებია. ამ თინას გმირობაზე  
ასეთი ლექსია გამოთქმული:

ფარსმის ბროლისა ციხე, შიშით გაქანებს ქართული დროის მანდალი. შიგ სხედან თუშის შეილები თოვე პირებს ასდის ალიო. თინაო, ღმერთმა გაცხონოს, სული ხომ ლალად არიო, თმას შემიიხევი მანდილი წელს შემაირტყი ხმალიო. გეერეოდი ლაშქარში, ჩილად დაყარე მკედარიო, უკან გაძვევებოდ თუშები, კალოდ გალეწეს მკედარიო. გაპევირევებოდა დალესტნლებს თინას ნაომარიო, ან მკლავი როგორ უძლებდა ან სამლარიანი ხმალიო. იქით გაიქცა მურთაზი, გადაიარა მთანიო, ქაჩუსის ლელეს ჩასტირის, როგორც თმიანი ქალიო. წინ ცოლი შემოეგება თურტშაულთი ქალიო, — მურთაზ, რად გამოქცეულხარ, რად შეგვირცხვინე გვარიო? — თუშით გამიწყვიტეს ლაშქარი მოველი სირცხვილიანი. — სირცხვილიანის მოსვლასა სიკედილ სჯობს ნამუსიანი».

ჩქარა თავიანთ დროშებით ხეესურებიც გამოჩენილან და ხეესურეთის კოპალეს მიჰვებებია ფარსმის წმ. გიორგი. ამტკდარა ჭეკეშილიც:

ცა ჭეხდეს ქუხდეს ელავდეს, წმ. გიორგი იქნება.  
ნოგიროს წვერზე დაბრძანდა გიორგი დობილიანი,  
მთის ძირში შემოეგება კოპალე მოვრაყიანი.

მტერს შიშის ზარი დასცემია და ძლეული მურთაზი გაქცეულ ბრძოლის ეს ეპიზოდი ასეა გალექსილი:

ქაჩუსა ძირსა შემოედ მურთაზ დიდითა ჯარითა,  
ფარსმისა თავსა გადმოდგა დაფნიან ზარბაზნიანი,  
ფარსმის ვაკეში ჩამოდგა ალმიან დროშიანია.  
ფარსმას ვერ ვატებ მურთაზო, ქეებაი ნაქსოვიანი,  
რეინის ვერ დალლეშ ქარებსა კოპალე დიჩინიანი.  
ფარსმაში კოხტა ციიხეებს შენ ვერ დაულებ ქარებსა,  
შიგნით ვერ გამორჩევდი ლამაზ ლამაზსა ქალებსა.  
შიგა ზის ალოს ალუდა ქორი იფეთებს თვალებსა,  
უკანვე დაგაბრუნებსა მტირალს გაგზავნის შინათა,  
ხირიშებს არც კი გაკადრებს მაერებით შეგვივერებსა,  
ტკია წამალი ბეკრი აქვს ასი ოსმალოს ტოლია.  
უკან გამოგყა მეკოპარ ფარსმას ნარჩევნი ყმინია,  
შემოგაბრუნებს პირ ალმა ვატირეს, როგორც ქალია.  
მთას გადატირის მურთაზი, ფარსმაში დამარტხვებული,  
ჯარ თუშებს გავაწყვეტინე დალესტანს შემრცხვენდებაო.  
გზათ დედა მოეგებების, მურთაზ რა უყავ ჯარიო?  
ჯარ თუშებს გააწყვეტინე, შინ მოხველ სირცხვილიანი.

მურთაშისათვის თუშებს წილურომეციათ ზარბაზანი, რომელიც  
დღეს ინახება სოფ. კეშოში და ქვეს ასეთი არაბული წარწერა: ამილი  
აპმაღ“ (აპმაღის საქმე ან ნაკეთები), უკან გამრუნებისას დამარცხებულ  
მურთაზს ლაშქრის დანაკლისის გამოსარკევედ უბრძანებია სააღრიცხ-  
ვად დიყრილ ქვის სათითაოდ აქრება, რომელსაც დაკლებია ერთი მესა-  
მედი. ეს ქვის გორა ქაჩუს გადასავალზე დღესაც დარჩენილა და მას  
მურთაზის გოხს (ქვას) ეძახიან.

არც საისტორიო წყაროებიდან და არც ხალხურ გარდმოკემებიდან  
არასწინს, რომ თუშებს მონაწილეობა მიეღოთ მთიულეთის ამბოხებაში  
და აგრძელებულ გამოსარკევე ალექსანდრე ბატონიშვილის შეთქმულებაში რუსეთის წინა-  
აღმდევე. მართალია ალექსანდრე სპარსეთიდან თუშებსაც მოუწოდებ-  
და რუსეთის წინააღმდევ საბრძოლველად და ასეთ ბარათსაც კი უგზავ-  
ნიდა: ქ. ჩვენ მაგიერად ერთობრივ თუშთ ასე ეუწყოსთ, მემრე ჩვენი  
ამბავი ესრეთ იუწყეთ. ჩვენს მოწყალეს ხელმწიფეს, როდესაც გიახ-  
ლეთ და ჩვენი საჩივარი მოვახსენეთ, ხელმწიფემ მაშინვე თვისის  
ურიცხვის. მოწყალეობით მთელს ერანში მრძანებები გასცა და საქარ-  
თველოში წამობრძანების თადარიგში შევიდა. სხვა რიგათაც მრავა-  
ლი წყალობები მოილო წევნშედა და ჩვენთან მყოფს თავადებზედა  
თეთრით ხალათებით, ცხენებით, იარაღებით თუ სხვა წყალობებით.  
ასეთი წყალობები მოილო ჩვენშედ და ასეთი პატივი მოგვცა, რომ არა  
ერანის ხელმწიფეს ჩვენთა მამაპაპაზედ ამისთანა წყალობა არ მოულია  
და არც ამისთანა პატივი მიუღიათ და არც სხვას დროს სხვას ხე-  
ლმწიფისაგან თავადებს ამისთანა წყალობა არ მიუღიათ, როგორითაც  
ჩვენთან მყოფთ წყალობები მიიღეს. ყოველის აღვილებიდან ორმო-  
ცის დღის ნაერთოშ წინათ ჯარები მოიყვანეს და ჯარების სანი ნახა  
ხელმწიფემ და თავის უფროს შეიღს აბაზ-მირზას დიდროვანი  
ჯარები უბომა და ჩვენც თანგვაახლა და მარტის ოცდარვას თერა-  
ნიდან გამოვედით და მანდელკენ წამოვედით. ჩვიდმეტს დღეს უკან  
თითონ ხელმწიფეც დიდროვანის თავისის ზღვისებრის ჯარებით მან-  
დეოკენ წამობრძანდება. ჩვენ ამას გწერთ, რომ რადგანაც ხელმწი-  
ფემ ურიცხვი მოწყალება მოილო და ჩვენის ოჯახის ამამგდებლების  
მანდედამ გაყრა (იგულისხმება რუსები) ინება. თქვენ არამც და  
არმც ასეთი საქმე ჰქნათ, რომ დიდებულის ხემწიფის რისხვა თქვენს  
თავზედ მოაწიოთ და საქართველოს წახდენის მიწეზი შეიძნათ და  
ან თქვენი ცოლი და შეიღი დატყვეოთ. ათას სამასი წელიწადი  
არის, რომ ჩვენი ოჯახი საქართველოს მეფენი ყოფილან და ერანის  
ხელმწიფის ყმანი თქვენს მამათა და პაპათ ყოფელთვის ჩვენის ოჯახისა-  
თვინ და ჩვენის მამაპაპათ წინ სისხლი დაულერიათ თქვენს მამა-  
პაპას. თქვენ ასეთი საქმე არა ქნათ, რომ თქვენი ოჯახიც დაღუპოთ  
და თქვენი ნამსახურობაც და სისხლის დაღურაც ჩატაროთ. ესენი ლეკები

ხომ არ არიან. ხუთი ათასი კაცი არარი ათი ათასი და ოცი ათასი ნდაარი და ყანდარ ზევით მთელი ერანი მანდ მოდის. ღმერთმა ხუ იყის, რომ ან უნდა მანდ ამოწყდენ და ან მანდედან რუსები გარეონ. თქვენ ახლავ ყველანი ჩვენთან წამოდით და წინ მოგვევებუნით ორპირად. მოდის ჯარები, ერთ ჯარში ცენი ბრძანდება და მეორეს ჯარში შაპზადა. ერთი ყარაბალის გზაზედ მოეა და ერთ გოგჩაზედ. ჩვენც იმდროს ან ცენთან ვიქნებით და ან შაპზადასთან, რომელიც გზა გეახლოებოდესთ და ამჯობინოთ იმ გზაზედ წამოდით და წინ მოგვევებუნით. ხემწიფის ფარგანიც მოგივათ ხათრიჯამობისა და დრო ეს არის. წამოდით ხემწიფის წყლობაც დიდი დავემართებათ რა როგორადაც რომ თქვენი მამაპაპანი ერთგული ყოფილა უმეტესად ერთგულად თქვენ იღმოჩებით. თუ ამ ჩვენს რჩეას და ჯერებთ და მოხვალთ ხომ კარგია, თუ არადა თქვენ იცით. ღმერთმან ხომ იცის რაც ამ წიგნში მოგვიწერია სწორე და კეშმარიტი. ყოველივე თითო ამის პირი ქართლსა და კახეთში ცენთასთვის ჩაგვიწერია და ჩვენი ვალი აგვიხდია. და ახლა თქვენ იცით. მარტი „ვ“ (6) ქრეს „უებ“ (492—1804 წ. აზის ბეჭედი. ალექსანდრე).

მეფის ძე თეიმურაზ სიყვარულით მოგიითხავთ. თუ ჩვენსა ანბაჟი იქითხავთ ჩვენც ამათს უმაღლესობას ბიძა ჩვენსა ვახლავართ და ხემწიფისაგან ასეთი მოწყალება მოადგა ბიძა ჩვენსა, რომ არას ჩვენ. მამაპაპას ხემწიფის ასეთი წყალობა არ მისდგომიათ. ახლა თუ ჩვენ რჩეას დაიჯერებთ ახლავ ამათს უმაღლესობას იახლით ღმერთმან ხომ იცის ხელმწიფისაგანაც და მამის ჩვენისაგანაც დიდი წყალობა დავემართებათ და თუ ამ ჩვენს რჩეასა არ დაიჯერებთ და არ მოხვალთ საუკუნოთ თქვენს ოჯახს დააქცევთ და ახლა თქვენ იცით. (აზის ბეჭედი. ქ. მეფის ძე თეიმურაზ.)

ეტყობა თუშებს არ პქონიათ ალექსანდრეს გამარჯვების იმედი და ამ ავანტურისაგან თავი შეუკავებიათ.

სამაგიეროდ თუშები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ დაღესტნის დაპყრობისა და შამილის დატყვევების საქმეში. შამილს ღრმა კვალი გაუცლია თუშეთის ისტორიულ წარსულზე, რაც იღბექდილია თუშურ ხალხურ საგმირო ლექსებსა და მოგონებებში. აქ დღესაც არიან შამილის მომსწრე მოხუცები, რომლებსაც მისი ტკიეობაც კი უფროიათ. ამიტომ შამილის ხსოვნა და მისი გმირული მოღვაწეობა ხალხში ჯერ არ გამქრალა და მის სახელს თუშები მუდამ ქებით იხსენიებენ.

თავის პოლიტიკურ მოღვაწეობის პირებელ ხანებში შამილი თუშეთან მეობრულ დამოკიდებულების დამყარებას ცდილობდა და ამ მიზნით თუშებთან კაბუჭის მთაზე დიპლომატიურ მოლაპარაკებასაც თურმე აწარმოებდა. მაგრამ მათ შორის შეთანხმება არ მომხდარა. მაშინ შამილს თუშეთის დასარბევად გაუგზავნია ხათილ მუხამა, რომელ

ლიც თავის ლაშქრით ლაასის მთაზე დაბანაკებულა. აქედან ხათილ მუხამას რაზმის ერთი ნიჭილი სოფ. ხისოსკენ გაუგზავნია, მეორე კი ქუმელაურთაში. ამ ორ სოფელს მიშეელებია პირიქითისა და გომე-წრის თემის სოფელები, მტერზე იერიში მიუტანიათ და დამარცხე-ბული ხათილ მუხამა დიდის ზარალით უკანვე გაბრუნებულა.

ამ გამარჯვებისათვის მეფის მთაერობას თუშები სამი წლით გადასახადისაგან გაუნთავისუფლებია და ამაზეა ეს ლექსიც გამოთქ-მული:

ერთხელ თურმე იმამ შამილს მუქარა სთხოვეს პირათა:

შენ მგონია დაიკვეხნე თუშეთს წაეალ საომრათა,

თუ მოხვალ კი გიმასპინძლებთ თუშები ვაკეა ცურალა,

თუ გახსომს ფარსმის თაობა, ან თუ იცნობდი მურთაზისა,

შენცა ევრე გიმასპინძლებთ, ისრე გაგზავნით მტირალსა.

ლაას რომ დაევჯახენით მაღლა ხისოსა მთაზედა,

სამოცი ლექი მოგიყალთ, ხმალნი გილეწნეთ თავზედა,

ჩევნის თოფების ნაბეჭდით სისხლი აწეიმეთ ვზაზედა,

ჩევნმა მთაერობამ შეიტყო, წიგნი დასწერა წამხედა,

· ფოშტის ფული გვაპატია სამ წელიწადი კვამლზედა.

გაგრამ თუშების ამ გამარჯვებას ჩეარა მოცყოლია ლეკების უფრო, დიდი ჯარის თავდასხმა და ილდამის მიერ 1838 წელს სოფ. დიკლისა და შენაქოს აკლება. ილდამი 10.000 ჯარით პირელად დალესტნის მო-საზღვრე სოფ. დიკლის შესეყია და ეს სოფელი გაუნადგურებია. აქ მოვიყვანთ ამ ბრძოლის გალექსილ მატიანეს:

ური მომიგდეთ, მსმენელნო, ლექსად გეტყვით ცველაფერსა,

უწინ ჩევნ მაშაპაპი სისხლით რწყავდეს მთის კალთებსა,

მტერსა მტრულად უხედებოდეს ხმლით იცავდენ ჩევნს საზღვ-რებსა,

დალესტნის იმამს უთვლიდეს: „მოდით გელოდებით ჩევნცა,

თუ მოხვალთ, კი გიმასპინძლებთ სისხლსა გასმევთ თქვენვე თქვენსა,

თქვენ მოსოქელებს გვეძახით ქართველები ჩევნ თუშებსა.“

ეგ რომ გაიგო შამილმა თავისა თვისა გაიქნევსა:

„ეს როგორი იმბავია ეუბნება ნაიბებსა,

„რატომ წმინდათ არ გაცლმენტავთ მაგ მამაძალლსა თუშებსა.“

შამილსა ჰყავს ერთი ლექი ცოტას ეტყვის, ბევრს ითქმევსა:

„ჩევნ თუშებს როგორ გაცლმეტ გმირთა ლომისებრ მეომრებსა

მათში ერთხელ ჯარათ გახლდით მოგვაფარეს სულ გოხებსა,

ტყვიას ხო არ გვაემარებდეს ელვა იდგა მათი ხმლისა.

თან დიაცნი დაპეიოდნენ ხელთ იხუკელნენ მანდილებსა,

— დახოცეთ ნულარ გაუშებთ ჭაპინებას მაგათ ძისა! მაგათ ძისა!

ბულათ ხანმა ბაგვაზელმა ყველა პირათ მოახსენა:

„თუშებს ვერინ ვერ დაიშერს ვერცა სხვა და ვერცა ჩვენა.

ერთხელ რომ ჯარათ გამგზავნე, ჯარიც მომე ყველა მხრისა,

ნარჩევ ნარჩევი ბიქები ამ შენ ნაქებ დალესტნისა.

თუშურ მოებს რომ გადავდექით მიწა გვექცეოდა ძირსა,

ერთ ალაგას დავბანკდით, ჯარი სჭამდა ტკბილად პურსა,

ზაქარეგა ჰავარელი ფიქრთ გართული რაომე ზისა,

უთხარ: „ზაქარ, რათა ფიქრობ, რაზე იყურები ძირსა?

ამოიოხრა და მითხრა ნიშანია ფინთი მხრისა.

გაიხედა, დაინახა ვინმე იჯდა კლდისა ძირსა,

მითხრა: „ნეტავ ის ვინ არი, თუ მზირია ჩვენი გზისა“.

უთხარ: „მწყემსი ვინმე არი დალალული ჩრდილში ზისა“.

თურმე ჩვენი მზეერავია, ოთხი კაციც გვერდს უსხედსა.

ხუთმა სროლა აგვიტეხს ტავია მოდის სეტყვასვითა,

ხუთმა თერთმეტი მოგვიკლა იარალი ვყირეთ ძირსა,

თურმე თუშებში წესია შერიგებას ნიშნავს ისა.

ახლა შორით დაგვიძიხეს: „ჩვენ ხომ კიდევ ომი ვეინდა.

იარალი ხელთ აიღეთ, ახლა პირი ვცადოთ ხმლისა“.

„იარალს თავი ვანებეთ ბილიკი ვნახეთ ტყისა.

ჯერ ტყეშე ვისირბილევით მემრე გზებზე მაღალ მთისა“.

პაჯი მურიმ ხუნზახელმა ყველა უთხრა იმამს პირსა:

„მე იმათში ვერ გადავალ, არც ბილიკი ვიცი მთისა,

ალდამს ჰეთხეთ დიდოელსა იმან იცის იმათ მხრისა,

ის არი მათში ნავალი, რა წესი აქვთ თუშის შეილთა“.

ალდამს უთხრეს: „აბა ვეითხარ რა წესი აქვთ თუშთა შეილთა?“

ალდამ უთხრა: „მე ვყოფილვარ დღენი იყენეს ახალ წლისა,

პური, ალუდი, არაყი მეტად მიმღებნი სტუმრისა.

ცალი მხრივ ვაუკაცნი ისხდნენ ლუდსა სვამდენ ჯიხეის რქითა,

სადლეგრძელოსაც მოსთქმიდენ მტრის მებრძოლი ვაუკაცისა.

ცალი მხრით დიაცნი ისხდნენ ლმერთსა სთხოვდენ მანლი ხდითა:

„ლმერთო, უშეელე თუშებსა, დალესტნის ინამი ძირსა!“

ლუდისა მწდენი ქალები წვრილს ხმითა მლეროდიან,

და სიმღერაში მოსთქმიდენ: „მტრის გამქცევსა არა ესტირთა,

ჩვენ უმა იგეთაი მოგვწონს, ვინც მტერს თავს აქრიდეს ხმლითა,

მტრის მარჯვენებს მოიტანს ლალი მოყმე კალთებითა,

მიაქრავს ციხის კედელზე მუდამა ვხედოთ თვალითა“.

მიდგა და მოდგა იმამი გუნდებაში დატიქტდისა:

„მოდი იქ ჯარი გავგზავნო, როს დღენია ახალ წლისა..“



ალდამს უთხრა: „შენც წახეალი ჯარიც მოგცეთ დაღუსტნისა, ალდამ უთხრა: „მე კი წავალ თუ დაეპრუნდი ძეირფას ღირსასა.“ ალდამი ჯარს გამოუძლვა ჯარიც მოსდევს დაღუსტნისა, პირველად დიკლის დაეცნეს, ორლება ჩეენ საზღვრისა. სიტყვობდეს დიკლოლები: „რისხვა დაგვიყარა ცისა, დალისტნის ჯარი დაგვეცა, აწ ჩეენ მასპინძლობა გვინდა. თუშეთზე ნუ ვათარიაშებთ სირცხვილია ჩეენთვის ესა, აქვე ჩეენ გაუმასპინძლდეთ, ვაჭამოთ სისხლის პურია, თოთომ თორმეტი მოყვლათ, მაშინ შენდობა გვეთქმისა.. დიკლოში დიდი ომია და გრიალი თოფებისა, თოფი კეხს, ტყენი უხმობენ, დამღერიან ბუჩქი ტყისა. გიოთ მოზაიძე ბეჭურიძეს ეძახდისა:

„ბერო, ბერო, როგორა ხარ ხმაი მომდის შენ თოფისა! ბერომ წყორმით დაუძახა: „გავავრებულ ვარ მე დღესა, გვშინ თერთმეტი მოვალი, შეიღის შეტი ვერა დღესა.“ ახლა გიოთ დაუძახა: „მაშ სახელი შენ დაგრჩესა..“ მე თორმეტისა მეტი ვერა და თოფიცა ახლა გამწყდა, თოფი განწე გადააგდო, ხმალზე გაიკრავდა ხელსა, ხმალ და ხმალ გამოუარდა, ორსავ თავი მოაკრისა, ახლა შორით თოფი დამჟრეს ლომი გიოც დეეცისა. მისკვიდდენ და ხანჯლით სჭრიან: „შენგნით ბეჭრის დედა სტიქსა“. მომბდა ოსორაული ვაერი არ ზოგავს თაესაო, ჯერ ხო თოფითაც ეომა, მემრ ხელი გაჰქირა ხმალსაო, ხმალ-და-ხმალ გამოუუარდა უწყალოდ სჭრიდა თავსაო. ერთსა ლექსა ხელი სტაცა; „მოდ მმობილო შენ აქაო“ შინათვენ მიარბენინებს, როგორც რომ ლომი ცხვარსაო. შინ შეიყვანა ციხეში, მიუსვა სათოფარსაო:

„ლეკო, ესროლე ლეკებსა თორო მოგაქრი თაესაო“. ლეკი ესროდა ლეკებსა, ცრემლები თვალთა სდისაო, „ოლონდ ნუ მომელამ, თისოჯან კიდევაც ვესტრი სხვასაო. თისომა ხმალი შემოჰქირა, თავი მოშორდა ტანსაო, „შენ ცოცხალს ვინდა გაგიშობს, შენ ურჯულოსა ძალლსაო“. ნეტავი მოყმე ეინ მმობს, კოშკების მოდის ძერაო, იქნება ძაგანაშვილი აბჯრისი მოდის ელერანი. თოფს ესკრის თანაც დაპირის: „ლეკებ, დაიცათ თქვენაო, თუშეთზე ვერ ითარეშებთ, აქვე გეუოფით ჩეენაო, მასპინძლობასაც გაგიწევთ სისხლის პურს გაჭმევთ თქვენაო“. უჯაბახიშვილიც მმობდა მოყმე ლალ თექიანიო, ძურაზიშვილიც მმობდა მათზე სულ ბრაზიანიო. უზომით ლეკთა ხოცვიდეს ეზონი აქვ სისხლიანიო.

სიტყვობდა ვარდიძის შეილი: დაპათ ვინც ხართ გულუფანი,  
უწინ ჩვენ მამაპაპანი ყოფილან სახელოვანი.

აწ ჩვენც მათ გავედარნეთ, ნუ მოვკვდებით სირცხვილიანი!  
ზემო უბანში იმია, თოფების მოდის გრიალი,  
ნოჯარივით მქადარი ჰყარეს, ლეკები გულ შხამიანი,  
ერთმანეთს ეუბნებიან: „ვაკუაცობის ეს დრო არი;  
რაც სოფელში ჯარი ვეიდგა დღეს მეთვრამეტე დღე არი,  
თუ ოცამდე ვიცოცხლევით მერე სიკედილი რა არი“.

აბულ მოტყველდა მიენდო ლეკსა ერცხლითა ძმობილსა,  
ადგა და მათთან მივიდა ძმობილისა იმედითა.  
ყველანი ფეხზე აუდგეს ჩეენებური მოგვივიდა,  
იარალი ჩამოართვეს, ჩეენთან შიში შენ არ გინდა,  
გარშემო შემოეხვინეს ვისაც რომ მის ჯავრი სჭირდა,  
ჰეითხვენ: „რამდენი მოგვიკალი“, ასე ეტყვის: ვინ გასთელის,  
კოშეს გარშემო ბევრი ჰყრია თქენისთანა ძალლივითა.  
მათ უიყუყი გააბერეს, აბულ იცის რაც მათ უნდა,  
უთხრა: „თქენი ნება არის, მე მოვტყუვდი სირცხვილითა,  
იარალი ჩაგაბარეთ ხელში დაგრჩით ქალივითა“.

მალეით თოკი მოიტანეს, გაახეის ქამანდითა;  
ხელფეხი მაგრა შეუქრეს, დააწვინეს ხარივითა,  
უწყალოთ ყელი გამოსკრეს, გაიბერტყა ვეფხივითა.  
ალდამ უთხრა: „ეგ აქმარეთ, ნულარ დასჭრით ხანჯლებითა,  
ეფებ ბეროც მოვიყენოთ ამისთანა თათბირითა.“

ალდამი ბეროს ეძახის: „ბერო შენა ხარ ჰქივანი,  
კაცო, მოღი და შევრიგდეთ, ნუ ხარ სულ ხმალ სისხლიანი,  
ნუც გვხოცავთ, ნურც იხოცებით ქმარა ამღენი ზიანი.“  
ბერომან ხმალი უელა: „არ მინდა შენი თქმანიო,  
ამის წინაც არა მსურდეს ჩემი ძმების მომქლავნიო,  
აწაც ისიერ ბერო ვარ, რაც გინდოდეს ის ქენიო.  
სოფელი შენ აგვიოხერე ეს საქმე სულ შენ ქენიო  
ახალ წლის დღეს შემოგვლახე გავეიმწარე სასმელიო,  
უკაცობას დავეიხედი აქ არ გვანდენ მოძმენიო,  
თექვსმეტი გომებოდეთ ვართ ორნილა დამრჩალნიო.  
ჩეენ თქენ ხელად არ გამოვალთ, ხეთის ფიცი გვაქ ნათქვამიო,  
ჩეენი ქართული ეს არის რაც გინდა ისა ქენიო.“  
ალდამშა თავი დალუნა გულში ითიქრა ბევრიო,  
დიდი შეში ააგროვა, თორმეტ საუენზე ბევრიო,  
ციხეს გარშემო მიჰყარა, ცეცხლი მოადვა ცხელიო,  
ციხის სათოფერებს ცეცხლი სცემს, მალლა ავარდა ბოლიო,  
ველარ ომოშენ გმირები შიგადან მეოშრებიო,



შენ ბაიროლი რა უყავ ნეტავ ვის დარჩა ისათ,  
რატომ არ გამომიგზავნეს ნაცერია ჩემი ქმრისა.  
ნეტავ თუში რა ხალხია, რომ ამდენი დედა სტირსა,  
ბევრი გულად ყმისა ცოლი დაღისტანსა ცრემლით სწვიშა.  
თკა ბელადიშვილი 71 წლისა. სოფ. დიკლო 1881 წ.



სურ. 8. შეთე გულუხაიძე.

დიკლოდან ალდამი სოფ. შენაქოზე გადასულა, მაგრამ იქ დაზუდრიდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის შეერთებული ჯარი და დამარცხებულა ალდამი უკანვე გაქციავა<sup>1</sup>. ლევებისაგან თავმობეჭრებული თუშები მაინც იძულებული გამხდარან შემილისთვის კომლზე ითიშაური ხარუ ეძლიათ.

შამილთან უკანისკელ ბრძოლებში თავის გმირობით თუშები  
ცნობილია შეთე გულხაიძე, რომელიც მონაწილეობას იღებდა [1852]

<sup>1</sup>. И. Диекаров, Диего и Шенако, газ. Кавказ. 1846 г. № 27.

წელს დიდოელების დამსჯელ რუსის ჯარის ექსპედიციაში. შეთესთან მისი სამი ვაკეც თურმე იბრძოდა. უფროსი ვაკე სასიკედილოდ დაკრილა. შეთე დაჭრილთან მისულა და უთქვამს ვაკეაცი შეილი მყოლიხარო. დაჭრილი ჩქარი გარდაცვლილა. შეთე მისულა ცხედართან და ზურგზე ხანჯლის წვერით 75 ნიშანი დაუსვამს, შემდეგ ცხედარი 75 ნაწილად იუკრია და ნათესავებისათვის გაუგზავნია ნიშანდ იმისა, რომ თითეულ მათგანს ლექებზე შური ეძია და მტრის მოკვეთილი მარჯვენა მისთვის მიეტანა. ერთხ თვის შემდევ მას მართლაც მიუღია 75 ლექის მარჯვენა. თვითონაც 15 დაუმატებია და ამგვარად შეილის სისხლი აუღია 90 ლექის დახოცვებით.

იმპერიალისტურ რუსეთისა და დამცარებან-ჩანარის ბრძოლის ეს ეპოქეია 1859 წელს გუნიბის აღებით და შამილის დატყვევებით დამთავრდა. ამასთანავე ბოლო მოელო თუშ-ლექების ერთმანეთის დალაშექრასაც და ორივენი მოექცნენ მონარქიის უხეშ ბატონობის ქვეშ. ამ დროიდან იწყება თუშეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დიდი გარდატეხა.

რუსეთის თეითმპურობელურ რეემის დამყარებასთან თუშეთშიც იწყება საევაკრო კაპიტალი, რომელსაც იქ იშიდივდა თუშური ცხეარი და მატყლის დიდი რარაგი. დატრიალდა ჩარჩული კაპიტალი და თუშებიც ჩქარა დაადგნენ კაპიტალისტურ გზას. იქ თანდათანობით წარმოშენენ მსხვილი მეცხვარეები, რომლებიც თავიანთ ფარას ათასობით ითელიდნ. ამ მსხვილ მესაკუთრეთა ხელში მოექცა საკმაო კაპიტალი და ცხარ-მატყლის დიდი მარაგიც, რასაც მოჰყევა თუშურ თუშეთის საზოგადოებრივობის დაშლა, ახალი სოციალური გადაჯიუფება და კლასობრივი ურთიერთობის დამყარება.

ამგვარად XIX საუკუნეში თუშეთის თემობრივობა იშლება, გაბატონდა მონარქიის უხეში ძალა და საზოგადოებრივი ცხოვრების სათავეში მოექცა მსხვილ მესაკუთრეთა მცირე ჯგუფი. ოქტომბრის რევოლუციამ თუშეთის მშრომელი მოსასლეობა გაათავისუფლა ვაბატონებულ კლასებისაგან და განახლებული თუშეთი დღეს ჩაბმულია სოციალისტურ მშენებლობაში.

<sup>1</sup>. ო. ერისთავეს თავის წერილში „Mones замечки“ (Кавказ 1855 г. № 33) აქვთ აღწერილი ალვანში ნათლისმცემლის ხატობაში ამ შეთესთან შეხვედრის შემთხვევა. წეთე ყერს თურმე უგდებდა მეცხანდურე ბრძა თუშის სიმღერას. მეცანდურეს ხატიბით უსტერება თუშეთის ჯველა გმირები, მაგრამ შეთესე კარალერი ბამოუთქვამს. შეთეს ეს სწყენია და უთქვაშს, რომ მეც ცოტარამ ვაკეაცობა ჩამიდენია და ჩემშე კა არაფერი სთეკიო. მეცანდურეს უპასუხნია, რომ თუშებს წესად არ აქვთ გმირის სიცოცხლეში შექმნა, რომ რავინ იფიქროს მეცანდურე მოსყიდულია: ეს კი გმირისთვის სირცესვალიათ.

### 3. ეკონომიკური მდგრადარაღობა

თუშეთი ეკონომიკურად მნიშვნელოვანი კუთხეა. მისი ეკონომიკური მთავარი ბაზა მეცხვარეობა და საქართველოს ეკონომიკური თუშეთი მეცხვარეობის ერთ საკუთხეს რაიონად ითვლება. მაგრამ ამასთანავე თუშები ნაწილობრივად მიწათმოქმედების განვითარების საპარამ ჩვენ თუშეთის მიწათმოქმედების განვითარების საკიროა გაეარცვით, თუ როგორი იყო წინათ თუშეთში მიწათმეულობელობის ფორმები.

რუსეთის თეოითმპურობელურ რეჟიმის ჩვენში დამყარებამდე, თუშეთი სცხოვრობდა თემურ წყობილებით და „სათუშოს“, მიწებიც თუშეთვნოდა. თემი მშრომელ მოსახლეობას მიწებს თანაბრად უნაწილებდა. მიწის კერძო საკუთრება აქ არ იყო. მიწათსარებლობის მხრივ ტბათანა-ალაზნისთვის და ნაქერალ-დილგვერდის იალალები და ალვანის ველი თუშეთის ყველა თემების საერთო საკუთრებას შეადგინდა. რაც შეეხება მთათუშეთის ადგილებს, სადაც თუშების სოფლებია გაშენებული, აქ მიწა დაყოფილი იყო თუშეთის ოთხ თემის: გომეწრის, ჩალმის, პირიქითისა და წოვათას შორის.

თითეული ამ თემთაგანი ფლობდა განსაზღვრულ ფარგლებში მოცემულ მიწის ფართობს, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვდა სათუმში ყრილობის დადგენილებით ეს საზღვრებიც იცვლებოდა. თემი კი მიწებს პერიოდულად ანაწილებდა თემში შემავალ საგვარეულო ოჯახებს შორის. მიწები განსაზღვრულ ვადამდე მათ დროებით სარგებლობაში ჩემოდა. მიწების ასეთი განაწილება საგვარეულოს ოჯახებს შორის კენჭის ყრით სწარმოებდა. ამისათვის ოჯახებში ჩიმოარიგებდენ მოკლე ჩხირებს და თითეული მათგანი ამ ჩხირზე თავის საოჯახო ნიშანს აქცევდა. შემდეგ ამ დაჭრეულ ჩხირებს ქუდში ჩატყრიდნ, გარის უფროსი ასახელებდა მიწის ნაკვეთს და ამავე დროს ერთი ვიწერ თვალდასუტ თ ქუდიდან იღებდა ჩხირს და ვისი ნიშნიანი ჩხირიც ამ ვიდოდა ნაკვეთიც მას ერგებოდა. სათემო მიწების ასეთი განაწილება სათემო ყრილობის დადგენილებით ხდებოდა ყოველ ათ თუ ოც წელიწადში ერთხელ მაინც.

მხოლოდ რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც თუშეთშიაც იქრება საეპრო კაპიტალი, რომელიც აქ არღვევს ძეველ თემურ წყობილებას, მიწათმეცნილებრივობის ეს სისტემაც თანდათანობით იშლება. მიწების პერიოდული დაყოფაც ისპობა და საგვარეულო მიწები შეს-ჟიდეთ, თუ მოტაცებით მიისაკუთრეს ძლიერება და შეძლებელმა ოჯახებმა. ამავე დროს მოსახლეობის უმრავლესობას მიწის მცირედი ნაკვეთები შერჩი და ზოგი კი სრულიად უმამულოდ დარჩა. თუშეთის

მშრომელ გლეხობაში ეს იწვევდა დიდ უქმაყოფილებას და 1880 წლის, როდესაც დაიწყო მიწების გადამიჯვნა, თუშებმა მოითხოვეს მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება და მიწათმეტლობელობის ძველი თემური. სისტემის აღდგენა.

ამ მიზნით, თუშებმა აირჩიეს კომისია, რომელიც უნდა შეს-დგომოდა მიწების კომლობრივ განაწილების საჭეს. მაგრამ ამის წინა-აღმდევ გაილაშქრა მოსახლეობის მსხვილ მესაკუთრე და შეძლებულ-მა ნაწილმა და კომისიამაც ვერ შესძლო განზრაბული რეფორმის გატა-რება. მხოლოდ ზოგიერთ სოფლებმა, სახელდობ ჯვარბოსელმა და ომალომ დიდი ბრძოლის შემდევ მოახერხეს ამ რეფორმის ნაწილო-ბრივი გატარება და მიწებიც მეკომურთა შორის გაანაწილეს<sup>1</sup>. მაგრამ მიწათმეტლობელობის ამ ძველ სისტემის აღდგენა და განახლება კპი-ტალისტურ ხანაში შეუძლებელი იყო და ისიც ჩქარა გამჭრა. მის ნაცვლად მჩერიცდება კერძო, ინდივიდუალური საკუთრების სის ტემა. შეძლებულმა ოჯახებმა „წინაკაცებმა“ ძალით, თუ შესყიდვით მიითვისეს საუკეთესო მიწები და ზოგიერთ სოფლებს მიმულებს ედა-ვებოდენ. მშრომელ მოსახლეობის უმრავლესობას კი, ეგრედწოდებულ, „უკანაკაცებს“ შერჩათ მცირედი, ისიც უფარგისი ნაკეთები და, იძულებული გახდნენ დლიურად შეძლებულ წინაკაცების მიწაზე ემუ-შავათ და ღალად სამი კოდი ვირნაბული მიეღოთ. შეძლებული-თუშები უკანაკაცებზე ზოგჯერ სამუშაო იარაღსა და საქონელსაც ათხოვებდენ იმ პირობით, რომ შეუძლო გლეხებს ამის ანგარიშზი მათი მიწები დაემუშავებინათ.

ოქტომბრის რევოლუციამ მიწათმეტლობელობის ეს კაპიტალის-ტური ფორმა თუშეთშიაც მოსპო და მიწის ყიდვა - გაყიდვა იქაც აღვეთილია, მაგრამ მიწის ინდივიდუალური სარგებლობა მთათუშე-თში ჯერ კიდევ ძალაშია.

მხოლოდ 1931 წლიდან დაიწყო თუშეთში მეურნეობის კოლექტი-ვიზაცია და წვრილი მესაკუთრე მშრომელი გლეხობა დღეს უკიმ-კოლმეურნეობებში ერთიანდება.


მთათუშეთის მიწათმოქმედების გასაცნობად ყველაზე ტიპიურია ჩაღმის თემის სამი სოფელი: ომალო, შენაქო და დიკლო. ეს სამი სოფელი ბარში არ ჩაღის და ალვანში მიწათმოქმედებას არ ეწევა, ამი-ტომ მთათუშეთის მიწის მეურნეობის შესასწავლად ამ სოფლებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

საყანედ ვარგისი მიწა მთათუშეთში, რომლის ფართობის უდიდე-სი ნაწილი ტყითა და კლდე-ლოროითა დაფარული ერთობ მცირეა.

<sup>1</sup> М. В. Мачабели, Экономический быт государствен. крестьян. Тионет. уез. Тифл. губ. (Мат. экономич. быта государ. крестьян т. V Тиф. 1887 г. № 372, 386, 388—389, 394—395).

სახნავ-სათესი ნაკვეთები მთის ფერდობის დაკავებულ ასტგილებზეა მოქცეული და წერილ ნაკვეთებადაა დაქვციმაცებული. მათ ნაკვეთებს თავიანთ ადგილმდებარეობის მიხედვით, თითოეულ სოფელში საკუთარი სახელებიც აქვთ, როგორც მაგალითად სოფ. ომალოში: წინო, კარატი, ბუკი, ჩრდილი, კვირები, ბინდურის ყანები, წელგზა, ჩალის გორა, ბექიო, წასნეს ძირი, არალაჯე და სხვა.

მიწის ეს ნაკვეთები ასეა დაჯგუფებული: სასოფლო, საზიარო, წილის მიწი, ბოსლის კარის მიწა, გარის მიწა, მთის მიწა და სახატო მიწა. მიწა აქაც დღიურებით იზომება და მთათუშეთის მიწის დღიური უდრის ერთმესაშედს ბარისას. საყანე მიწებში ყველაზე დიდი



სურ. 9. თუშური სახნული.


ფართობი უკავია ბოსლის კარისას, სადაც სოფლის საზამთრო ბოსელია გაშენებული. ამ ბოსლებს მთათუშეთის სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

ის სოფლები, რომლებიც საზამთროდ აღვანში არ ჩაღიან, შემთხვეობიდანვე ამ ბოსლებში გადადიან საცხოვრებლად და გაზაფხულმდე იქ რჩებიან. აქვეა მოთავსებული მათი მსხვილეული საქონელიც. განსაკუთრებით დიდია სოფ. ომალოსი და შენაქოს ბოსლები, რომლებიც იქვე მახლობელ მთის დაყავებაზეა გაშენებული. ამ ბოსლებში გლეხობას საშვალება ეძლევა ზამთრის განმავლობაში საქონლის „სკორე“ ნეხვი, ჯინებით იქვე მდებარე ყანებში გაზიდოს და მისი ნიადაგი

გაანოუიეროს. მით უმეტეს აქაური მიწა ფიცხია და, თუ ის სისტემატიკულად არ ნოყიერდება, კირნახულსაც არ იძლევა; ამიტომ მთათუშეთის მიწათმოქმედებაში მიწის განოუიერებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გაუნოუიერებელ მიწას აქ ყოველ მესამე წელიწადს დასევნება სჭირდება.

ამასთანავე ბოსლის კარის ყანები დაბლობზეა, პავაკ შედარებით ნაკლებ სუსხიანია და ძლიერი ქარიც არ ხდება.

შეა გაზაფხულში, დაახლოებით აპრილის შეა რიცხვებიდან, მთათუშეთის გლეხობა მინცერის სამეშაოზე გადის. ამასთანავე შეუდებით თესლის გარჩევას „სათრობა“-საგან (სარეველი). თესლს არჩევენ რიჭათ ან ცხავით. მიწას ხნავენ ხის „სახნულით“, რომელშიაც



სურ. 10. კავი.

ერთი ულელი ხარია შემშული. რბილი და ვაკე მიწა მარტო ამ სახენელით იხენება. თუ ნიადაგი მაგარი და ბალახიანია, მაშინ საბნეველს წინ მიუძღვის ხის კავი, რომელიც თავის საკეთოელით მიწას სჭრის. ამ კავს სახენელი მისდევს და ის ამ გასერილ ნიადაგს ყურიან ქრსლით აბრუნებს.

მოხნულ მიწაზე პირველად სთესენ, დაახლოებით აპრილის შეა რიცხვებში, დიკას (იგივე „იფქელია“) შემდეგ მაისში ითესება „ქერშეველია“ (ორბირა ქერი) და ქერი (ექვსპირა ქერი). ითესება იგრედევ. „შრუა“-შერია, რომელსაც საქონელს აქმევენ და არაყაც ხდიან, ქრმელი, სელი და ოსპი. აგვისტოში მთათუშეთში ითესება სკილი (ცავავი), რომელიც მეთორმეტე თვეში პურდება.

ამ პურეულში ცველაზე დოფლათიანია სკილი და ექცეპტირა ქერია და ამ ორ პურეულის ნათესებსაც ცველაზე დიდი ფართობი უკავია. ეს ქერი და სკილი შეგუებულია აქაურ ალპიურ ჰაერის და კარგიდ ხარობს 2.000 მეტრის სიმაღლეზედაც. საზოგადოდ მთა თუშეთში ქერისა და კულტურულ მცენარეთა უკანასკნელ ხაზად ითვლება კონტინ-

(2350 მ.), დარტლო (1827 მ.) და ვეძათ-ხევი (2000 მ.)<sup>1</sup> მიწის სამუშაოდ აქ აღვანში ჩასული თუშებიც ამოღიან და თაერიან მიწის ნაკვეთებს ამუშავებენ. ვისაც სამუშაო იარალი და მუშა საქონელი არა ჰყავს მაწას საზიაროდ სხვას აძლევს.

ბოსლის კარის ყანის მოხვნა-დაფარცხვას მორჩებიან თუ ას თუშები ბოსლებიდან გაღიან, რომ საქონელმა ნათესი არ გააფუჭოს.



სურ. 11. მიწის ხენა.

მეთვალყურედ მეველეს სტოვებენ და საქონელ-მარგით გაღადიან თავიანთ სოფლებში, სადაც მთელი ზაფხული რჩებიან. თუშები მომ-თაბარე ხალხია და მოსახლეობის უმრავლესობას უხდება მიწათმოქ-მედების წარმოება მთაში და ბარშიაუკ. ალავანში თუშები შემოდგრა-მის ხორბლეულს და სიმინდს სთესენ. მიწის დამუშავება აქ მიმღინა-რეობს ბარულ წესებით და გაუმჯობესებულ რკინის იარაღებით.

პურუშების შემოსვლა მთათუშეთში ამინდზეა დამოკიდებული. ცივ ზაფხულში ნათესი გვიან მწიფდება, თბილში კი სექტემბრის პირველ რიცხვებში ყანის მეას იწყებენ. ხშირია შემთხვევა, რომ იგისტოში აქ თოვლიც მოსულა და მთელი ჭირნახული გაუნადგურე-

<sup>1</sup> ნ. კეც წოველი, მასალები კულტურულ მექანიზაცია ზონალობის შესა-წაფლად კავკასიონზე. ტუილ. 1928 წ. გვ. 37—40

ბია. ამიტომ მექა თუშეთში საშური საქმეა. შემიყაცები და დედაქაცუნა-  
ბი ერთად მეიან, მაგრამ მექაში უპირატესობა ეძლევათ ქალებს,  
რომელებიც კარგ მომქელებად ითელებიან.

„ჯორი სჯობს საქონელშიგა კარს მოვა აკიდებული,  
ხარი სჯობს ულელ დებული ბრტყელ მიმულს გაკიდებული,  
შიგ მოსაელადა ქერ-იუქელი თავ-თავ დაკიდებული,  
იმის სამკელად ქალი სჯობს საქმრელ მოჯარებული,  
იმის ძნის შესაკრავადა ვაერი სჯობს მხარშეკრებილი.  
გარს ნაპირსა ციხე სჯობს ტყვიაწამლითა მრავალი,  
იმის სროლადა ვაერი სჯობს გუნება გაჯავრებული“.



სურ. 12. ყანის სამკალად მიმავალი თუშის ქალი.

ასე ლექსობენ და მლერიან მექაში თუშის ქალები. მეიან ნამ-  
გლით, რომელსაც თუშები „ცელს“ უწოდებენ. თუ ყანა დაბალია,  
მაშინ კირნახულს ხელით ჰგლეჯენ. ერთი ნამგლის მოსმა ერთი „მჯი-  
ლია“. ძნა შესღება სამ-ოთხ მჯილისაგან. ძნებს ერთად აქუჩებენ და  
„სერკეს“ აყენებენ. სერკეს ზურგით, ვირებით და მარხილებით ბოს-  
ლებში ეზიდებიან და აქ კალოზე ზეინებად აყენებენ. სოფელიც ბო-  
სელში ჩამოდის, ბინავდება და პურეულის „ლეშვას“ შეუდება. ქერს  
კალოზე ლეშვაენ ხარების ფეხებით. სეილას კი ფიცარზე ბერტყავენ  
და მარცვლებს ისე აყრევინებენ. გალეშილ პურს „რიჭით“ ანიავებენ  
და ცხრილით გაცხრილავენ. „ნაკუდს“ (ნაბოლარს) გადაარჩევენ და  
საარაყედ ინახავენ. გალეშილ მარცვლეულს პყრიან გოდორში, კოდ-  
ში და კიდობანში. კირნახულის გოდორი სკორით ილესება და მა

პირიც მაგრად გადაეცვრის. ჭირნახულის გაცემა კალოდან, შესაბუნებელია, როცა ის ჭურჭელში მოექცევა, მაშინ გიორგობამდე არ გაცემა. საზამთროდ ჭირნახულის დაფქვას მაშინვე შეცდებიან, რაც განაც თოვლში ძნელია ტვირთის წისქვილში გადასიღვა და ძლიერ ყინვებისაგან წისქვილის ჭყლებიც ხშირად იყინება. აქაური წისქვილ ჩვეულებრივი ტიპისაა. ჭირნახულის დაფქვაში ქერძო მეპატრონები მინდს არ იღებენ, არამედ მის ანგარიშში მოითხოვენ შრომის, რომელიც გამოანგარიშებულია ქამობით. უამი უდრის დღე და ღამის 24 საათს. უამი იანგარიშება დილიდან-დილამდე. კარგად გამართული წისქვილი ერთ უამში დაფქვაეს 11 კოდს. წინათ ერთი უამია წისქვილის სარგებლობისათვის ერთი დღის მუშაობა იყო გადაწყვეტილი. დღეს კი ორ უამში ერთი დღის მუშაობაა დაწესებული. უამის ანგარიშში დამუჯეველმა მეპატრონებუნდა უშეველოს მკაში, შემის მოქრაში თუ სხვა სამუშაოში. უამის განალდება ფულითაც შეიძლება, მუშა ხელის დღიური ქირის კვალობაზე. უამში იძლევენ აგრეთვულსა და მატყულს.

მოსახლის დოფლათიანობა მთათუშეთის დღევანდელ პირობებში, იქ, სადაც მიწა პრიმიტიულ იარაღებით და ფორმებით მუშავდება და ადგილიც უწყავია, უმთავრესად დამოკიდებულია ამინდზე და ნიადაგის განოყიერებაზე. ამიტომ ჭირნახულის მოსახლიანობაც აქცილებადია. დათესილ მარცვლეულში ერთი კოდი შერია მოსახლიან წელში იძლევა—3 კოდს, დიკა—3 კოდს და ქერი—5 კოდს. ჭირნახულის საწყალო აქ იხმარება კოდი, რომელიც სამ ფუთის იწონის. ამანებ მცირე საწყაო კაბიწი ან ლიტრა. ერთ კოდში თუშები თალიტრას ანგარიშობენ. გომეწრის თემში კი რვა კაბიწს. მაგრამ კოდთა არწყული სხვა და სხვა მარცვლეული განსხვავებულ წონას იძლევა: კოდი პური იწონის სამ ფუთს, ქერი ორნახევარს, სეილა სამ ფუთს და შერია კი ორ ფუთს. ოჯახში საშუალოდ სულზე აქ იხმარება სამ ლიტრა პურეული.

ჭირნახულის ალებისა და დაბინაების შემდეგ მთათუშეთის სოფლები იცლება. მოსახლეობის უმრავლესობა საზამთროდ ალებში ჩაფილის, ნაწილი კი ბოსელში ბინავდება. ბარში მიმავალ თუშებს მთადან ჭირნახული ალვანში არ მიაქვთ. მთათუშეთში მოწეულ სარჩეო ზაფხულისათვის ინახავენ აქვე თავიანთ სახლებში, რომელსაც სარაჯობს ზამთრის ყარაულად დარჩენილი მეკომური. ალვანში მათ უდგიათ იქ მოყვანილი პურის ძნები და სიმინდი, რომელითაც ზამთრის განმავლობაში იკვებებიან.

ერთი სიტყვით, თუშები მთაში და ბარში მიწათმოქმედებენ და პურეულის ნაკლებობასაც შედარებით ნაკლებად განიცდიან. მით უშეტეს ალვანში, სადაც მოსავალი კარგია და რომელსაც აქრავს პუ-

რით დოფლათიანი კახეთის სოფლები. მთათუშეთის მეცნიერ მოსახლეობას კი, რომელიც მომთაბარეობას არ ეწევა, თავის ჭირნახული წლის ბოლომდე არ ყოფნის, ზოგიერთ სოფლების გამოყენებით. მაგრამ მთათუშეთსაც პურით კახეთი ამარავებს.

მთათუშეთის სოფლებში ჭირნახულით დოფლათიანია სოფ. შენაქო და დიკლი. ამ ორ სოფელს თავისი პური ყოფნის, განსაკუთრებით დიკლის, სადაც ყანების ფართობი საქმაოდ დიდია.

მთათუშეთში მებაღეობას და მებოსტნეობას არ მისდევენ, რაღაც ამას ადგილი და ჰავა ხელს არ უწყობს. ხილი და ბოსტნეული ციფი ამინდების გამო ვერ მწიფდება და ჭკნება. მოპავე მცირეოდენი კართოფილი. ითესება ცერცეი და ქუმელი. მომთაბარე თუშებს კი ალვანში კარგი ბაღები და ბოსტნები აქვთ გამართული.

ამგვარად მთათუშეთში მიწათმოქმედების სისტემა და ტექნიკა ჩამორჩენილია, სადაც მიწა მუშავდება პრიმიტიულ აჩაჩა-სახენელით. ამასთანავე ყანის ფართობის გადიდება შეფარდებული არ არის მოსახლეობის ზრდასთან. ამ მხრივ ის შეზღუდულია, რადგანაც მესაქონლეობის რაიონად ითვლება და მას სამართლიანად ეკრძალება საყანე ფართობის გადიდების მიზნით ტყის გაჩენა და საობის-საძოვრების მოხენა-დამუშავება. მთათუშეთში არ არსებობს რაიმე აგრო-ტექნიკური ხასიათის უჯრედი, რომელსაც შეპქონდეს და გლეხობაში აერცელებდეს აგრომოცნეობას, ხელს უწყობდეს თესლეულის შერჩევა-გადანაცვლებას, მებაღეობისა და მებოსტნეობის კულტურის შეტანას და სხვა. ამასთანავე თავისი ბუნებრივი შირობებით მთათუშეთის მიწათმოქმედებითი შეურნეობა ზრდისა და განვითარების პერსპექტივებსაც მოკლებულია.

თუშეთის ეკონომიკის მთავარი ბაზა შესაქონლეობაა, სახელმობ მეცხვარეობა და ეს კუთხეც, სამართლიანად, მეცხვარეობის საკუთხესო რაიონად ითვლება. ამ მხრივ თუშეთი ჩენს მეურნეობაში შინშენელოვანი ადგილი უკავია. თუშების მომთაბარეობა ამ მეცხვარეობასთან არის დაკავშირებული და მათი სამეურნეო საქმიანობაც მეცხვარეობით განისაზღვრება. მეცხვარეობას აქ თავისი ისტორია იქნება, მაგრამ სამწევაროდ მისი განვითარების გზა პრიმიტიულ ფორმის ჯერ კიდევ არ გასცილებია და საეალალო მდგომარეობაშია. მიუხედავათ იმისა, რომ მეურნეობის ამ დარგის დაწინაურებას ხელს უწყობს მთათუშეთის ჰაერი და მისი ფართო ალპიური იალალები. წინათ მთათუშეთის მეცხვარეობაში პირველი ადგილი წოვათას ეკავა, შეორე კი პირიქით ხეობას, სახელმობ ფარსმის საზოგადოებას, სადაც მეცხვარები თავიანთ ფარას თათაობით ითვლიდნ. 1880 წლებში ყოფილ თანამდებობის მაზრაში თუშების ცხვარი შეაღვენდა 59 % (172.408 სულს) და თუშეთის თითოეულ კომლზე მოდიოდა 175 სული

ცხვარი. აქედან წოვათას ეკუთვნოდა 72.420 სული და თითოეული მოდიოდა საშუალოდ 232 სული ცხვარი. მაგრამ ცხვარი ჰყებას არ ჰყავდა. მთელი ეს ცხვარი ერთ მუქა შეძლებულ მეცხვარეთა ხელში იყო, რომლებსაც ჰყავდათ 5—10 ათასი ცხვარი. მოსახლეობის მცირება ნაწილს ჰყავდა — 500 ცხვარი, უმრავლესობას კი ცხვარი სულ არ გააჩნდა<sup>1</sup>. მდიდარი და შეძლებული მეცხვარე ცხვარში არ მუშაობდა. მისი ქონების ზრდა და მოგების ტრიალი დაფუძნებული იყო ღარის და შეუძლო მწყემსებისა და მეცხვარების ექსპლოატაციაზე. შეძლებულ მეცხვარეს ფარაში ჰყავდა დაქირავებული მწყემსები, მოკამაგირები და სარქლები, რომლებსაც მიირე ჯამაგირს აძლევდა და უსაზღვროთ ამუშავებდა. ზოგჯერ ფულიდ ჯამაგირის ნაცვლად მეცხვარე მწყემს მიუჩენდა 40 ცხვარს სანახევროდ და მას ამის ანურიშში ოთხი წელიწადი უნდა ემუშავა. ვადის შესრულებისას არ არმოც ცხვარს თავის ნამრავლ-მონაგებით შუაზე გაყოფდნ და ნახევარს ცხვრის პატრონი წაიღებდა. მაგრამ ის ამით არ კმაყოფილდებოდა, მწყემს შარს მოსდებდა და ცხვარში ნებით თუ უნებლივ მომხდარ ზარალს მასვე უანგარიშებდა და ამ ზარალსაც გამოიტანდა. თუ სესხიც ემართა სარგებელს სარგებელზე გამოუანგარიშებდა და ამის შემდეგ მწყემს ხელცარიელს ისტუმრებდა.

ეს ცხვარი ამასთანავე იძლეოდა მატულისა და ყველის დიდ მარაგს და თუშეთი დღესაც ცნობილია თავისი „თუშურ“ ყველით. მეცხვარეობილი თუშებს გამორჩენა და მოგებაც დიდი ჰქონდათ, მაგრამ მოგების ეს ტრიალი მოკლებული იყო საწარმოვო ხასიათს. თუშური მეცხვარეობა პრიმიტიულ ფორმებში იყო მოქცეული და ატარებდა ჩარჩულ ხასიათს. ამით იახსნება თუშურ მეცხვარეობის კულტურულ-ტექნიკური ჩამორჩენაც. იპერიალისტურ დიდ ომის დაწყებამდე თუშეთში ცხვარი ასიათასობით ითვლებოდა, მაგრამ აქედან თავიანი შემოსავალს თუშეთის მდიდარი მეცხვარები წარმოებაში არ აძილებდნ, რომ ამით გაეუმჯობესებინათ ცხვრის მოშენების ტექნიკა და მცოდნეობა და ხელი შეეწყოთ მეურნეობის ამ დარგის დაწინაურებისათვის.. იმპერიალისტურმა ომმა თუშეთის ეს ცხვარი გააძილებურა. მეცხვარეების მიერ ბანკებში შეტანილი ჩარჩული კაპიტალის გაპერა და ეს დიდი სიმდიდრეც ასე უსარგებლოდ განიავდა.

ამგვარად მეცხვარეების ეს ძეველი კაპიტალისტური სისტემა ცხოვრების სინამდვილეზ დაამარცხა და დღეს გასაბჭოებულ თუშეთის მეცხვარეობა კოლექტიურ ფორმებში ვითარდება.

თუშური ცხვარი მომთაბარეა, ზამთრობით აქაური ცხვარი შირაქშია, რომელიც ალვანიდან 150 კილომეტრითაა დაშორებული.

<sup>1</sup> M. V. Machabelia, Матер. эконом. быта, გვ. 460—461.

შირიაქი იყოფა ბარად და მთად ან ლიდ შირიაქად, რომელიც მდგრა-  
რეობს მდინარე იორისა და ალაზნის ნაპირის. პირველ ოქტომბრი-  
დან თუშების ცხვარი შირაქში შედის. ცხვარი აქ ჯერ მაღლობზე  
სძოვს და ზამთარში კი დაბლობზე ჩამოჰყავთ. ქვემოთ ზამთარის  
პინებია აგებული, სადაც მეცხვარები თავიანთი ბარგით დგებიან.  
ცხვრის ფარისათვის ბაქებია გამართული და თითოეულ ცხვარზე  
ზამთრის განმავლობაში 50 კაბიკს იხდიან. ცხვარი ოქტომბერში  
მაკლება და 24 თებერვლიდან 7 მარტამდე დოლის თავია. თუშური  
ცხვარი წელიწადში ჩეულებრივად ერთ ბატქანს იგებს, ორს იშევ-  
ათად. სადოლედ გამზადებულ ცხვარს ათავსებენ ბაქებში, საღაც



ფრთი



დანისპირი




რათლილი




ბამოააზებრი



ნამოთლილი



ჭარა



მოჭრილი

### ბორცვი

სურ. 13. ცხვრის სერი.

უფრო მყუდროა და თბილი. დოლის დროს გამოცდილი მეცხვარე  
პებიანბასაც ეწვეა; იგი სხევადასხვა განუპულიაციებით სცდი-  
ლობს ცხვარს მშობიარობა შეუმსუბუქოს. ბატქანის წოვეს ორ თვეს.  
ბატქანს მეცხვარე თავის სერს (ნიშანს) ადებს, რომლის მიხედვით  
მეცხვარები თავიანთ ცხვრებს არჩევენ. სერს ჩეულებრივად ყურზე  
უკეთებენ და ამ მიზნით ყურის ნაპირს ამა თუ იმ ფორმით ამოს-  
კრიან. ყველაზე გავრცელებული სერია: ფრთე—კუთხურად ამოკ-  
რილი, ბოძური — ყურის წვერი სამკუთხოვნად ამოკრილი, წათ-  
ლილი, ჭკდე—ჩაჭდეული, მოჭრილი, დანისპირი — ყურის წვე-  
რი ჩაჭრილი, გამოკაფული — ყურის წვერი მრგვლად ამოკრილი,  
და წამოთლილი. ცხვრის გადარჩევასას ამ ნიშანზე ასე იტყვიან: მა-  
რჯვენა ფრთე და მარცხენა მოძური, მარჯვენა ჭკდე და მარცხენა  
მოჭრილი ან რიკვე დანისპირა და სხვა.

15 აპრილიდან თუშების ცხეარი შირაქიდან დაიძერის და პირველ მაის შირაქის ველი იცლება. ამავე დროს იშევდა ცხერის პარსევი. ცხვარის შირაქშიც კრეპენ, მაგრამ უფრო მომეტებულად ალვანში იპარსება, საღაც მატყლსაც იქვე ინიხავენ და იქედანვე შეუდგებიან მთის ასელის სამზადის. ალვანიდან წოვა თუშები ცხერის ფარას ტბათანა-ალაზნის თავისაკენ ერევებიან, ქვემო ალვანის თუშები კი ნაქერალ-დიდგვერდის იალალებით გადადიან მთათუშეოს.



სურ. 14. თუში მეცხვარეები.

საძოვრებზე. იალალებზე გამართულია ბინები, რომლის მახლობლად ცხეარი დგება. 25 მაისიდან მეცხვარეები აქ ცხერის წველის სამზადისს შეუდგებიან. ამისათვის დედაცხვრებს ბატქნებს აშორებენ და ფარასაც გადააჯგუფებენ: ყოჩები, თოხლები, მეწველი, შიშაქი და დავარდნილი (სნეული). ყოჩი დაუკოდავია და სამ გვარი: ხამი ყოჩი, მოვლილი ყოჩი, მეორედ მოვლილი ყოჩი. ყოჩებს კოდავენ ივლისს თბილ ამინდებში. ოცდაათ დედალ ცხვარზე ერთ ყოჩის სტოვებენ —, დანარჩენი კი დაიკოდება. დაკოდილ ყოჩის ჭედილა ეწოდება. ყოჩი ვარგობს 5-6 წლამდე. როცა დედალი ცხვარი „განერბდება“ (დამაკდე-

ბა) ყოჩებს აშორებენ, რაღვანაც დედალი სწუხდება და ყოჩიც „ლუბ-დება“ (ილაპება). თოხლი წლისაა ერთხელ გაპარსული, რომელსაც ჯერ ბატყანი არ ყოლია.

მეწველ ცხვარს ცალკე აძოვებენ ბინის მახლობლად და მოსაწვე-ლად ყოველ სალამოს ბინაში მოერექებიან აქაური ცხვარი ორთვემდე იწველის და თითეული ცხვარი დღეში ნახვარ ლიტრა რძეს იძლე-



სურ. 15. ალაზნისთავის ცხვრის ბინა. მეუხვარები მარილს ნაყავენ.

ვა. ცხვრის ბინა სიბი ქვისაგან არის ნაგები, დაბალი, ბნელი და ნე-სტიანია. შიგ გამარტულია გრძელი და განიერი ლასტის ტახტი, რო-მელზედაც არყის ტოტებია დაგებული. ბინაში ინახავენ ხელსაწყო იარაღებს, ბარგს, სურსათს და სხვა. ბინაში ცხოვრობენ მეუხვარები და საჩქალი, რომლებიც ცხვარსა სწველიან და ყველს აკეთებენ. მწყი-მსები კი ცხვარს მინდვრად უდგანან და ბინაში სურსათისა და მარილის მისალებად მოდიან. მარილი ცხვარსა და ყველს ბევრი უნდება. მა-რილს ცხვარს კვირაში ერთხელ აჭმევენ, რომ ის გამაგრდეს და მა-

დაზე იყოს. მარილს მეცხვარები ხელით ნაყავენ სიპ ქვეშე და შე  
მდევ ფარას აქაიქ დაუყრიან და ცხვარიც მას ლაკავს. მარილი მთა.  
თუშეთში ძნელი საშოვარია, მას ცხენებით ბარიდან ეზიჯ-  
ბიან. ცხვარსა და მეცხვარის ბინას ძალები სდარაჯობენ. ცხვარშ-  
რამდენიმე გაწერთნილი ცხვრის ძალია: ძაბე, ტუბალა, ჯაბო,  
ალიხან, ოსმალი, დათვია, ბორბა, ალმასა, ტოტია, ბოთვერა, ს.



სურ. 16. ცხვრის წველა.

ლარა, მურია, ალია, ბროლია, ყორანა, ბასარა და სხვა. ამ ძალ-  
ლებს მეცხვარები მთაში ქუმლიან შრატით კვებავენ. კარგი ძალი  
აქ რამდენიმე ცხვრად ფასობს.

ცხვარს სწველიან დილით. მეწველ ცხვრებს შერევავენ ბაზი,  
რომელიც წნელის ღობითაა შემოზღუდული და მეცხვარები ხელში  
ხის კასრებით მოწველას შეუდგებიან. ცხვარს უკანიდან სწველი  
ცურზე ხელის მოკერით. ჩით საესე კასრებს კოდში ასხამენ. კოდზე  
გამართულია ცირცელის ქერქისაგან დამშადებული საწური, რომე-

ლშიაც ბალახია „ჭინჭრის დედა“ ჩაგებული და რძეც მასში იწურება. რძე რომ არ შეკივდეს კოდი შეხვეულია ტყავ-ნაბღებში. რძიანი კასრი 23 გირვანქის იწონის (კასრი 7 გირვანქაა, რძე კი-16 გირვანქა). ერთ-კოდში 16 კასრი რძე ჩადის. რძის შესაღებებლად კოდში უშეებენ ხსნარის „შაბოშს“, რომელსაც ბატქის დერტისაგან ამზადებენ. ერთ კოდშე საქმარისია ორი ლუინის ჭიჭა კარგი შაბოში. ხსნარის კოდში ჩასხმისას მეცხვარე იტყვის: „ჩევნი ყველი ტალიკაი, მონამღლეთა (მეზობელთა) წყალივითა--ო. შემდეგ კოდში რძეს „კამპიან“ (ბოკეთიან) ჯობით მოურევენ და ზედ ნაბაღს ღახურევენ.

დააცლიან ერთ საათს და შედედებულ რძეს ჯოხით ისევ მოურევენ და დახურავენ. როცა „დელამოწი“ ძირს დაილექება და გამაგრდება მას კოდშივე ხანჯლით დასჭრიან, ჯამებით იღებენ და ტილოს პარკში უშეებენ. ამ დელამოწიან პარქს სარქალი ფიცარზე დასდებს, ხელით ზედ იწევება და ზელავს, სანამ მრგვალ ფორმის არ მიიღებს. შრატისაგან გაწურულ ყველის პარქს ნაპირს მაგრა მოუგრეხენ და ყველს ქვეშ ამოულებენ და ზედ მას ნაბაღს გადახურავენ. შემდეგ სარქალი ისევ-კოდთან მივა, იღებს ახალ პარქს, დელამოწით ავსებს და იმავე მანუქულიაკიებს ასრულებს. რა ეს ასე გრძელდება სანამ დელამოწისაგან კოდი არ დაიცლება. გაშურულს და უოტად შემაგრებულ ყველს სარქალი მარილს მოაყრის და ცხვრის გუდაში ჩასდებს. ამ გუდას გაბერავენ და პირს მაგრა მოურავენ. აზალი ყველი გუდაში „წაკა-ს- (შრატის) უშეებს და რომ მარილი ყველს თანაბრიად გაუჯდეს გუდას დღეზი სამჯერ აბრუნებენ ოთხ დღემდე. შემდეგ ცველიან გუდებს აწყობენ ბინაში გამართულ ლასტზე, მაგრამ ყოველ მესამე დღეს სარქალმა ეს გუდები უნდა აბრუნოს. თუ ცხვარი რამდენიმე მეპატრონესია, მაშინ სარქალი გუდის ხის პატარა ფირფიტის შეაბამს და ზედ მეპატრონის ნიშანს დაასემს. გუდაში ყველს როცა თავის გამონაერო წაკა არ კოფინის, მაშინ ყველი რომ არ გაშრეს, შრატს ჩაუმატებენ. ცხვრის რძეს თუშები ჩალებს არ ხდიან და ამ მოუხდელ რძისაგან „თუშურ“ ყველს ამზადებენ. ეს თუშური ყველი მთელს კავეასიაში ცნობილია, როგორც საუკეთესო ხარისხის ყველი, რომლის ცხიმოვანება შევიცარულშე მაღლა სდგას. თუშურ ყველში უხიმი 35,88% შეადგენს<sup>1</sup>.

კოდში დარჩენილ შრატს სარქალი სპილენძის ქვაბში გადაასხამს, ძირში დალექილ დელამოწის ნამცეცებს კასრში გადაიღებს. ამ დელამოწიან კასრში რძესაც ჩაუმატებენ, რომელიც მფავდება და ამ „მუავე“-ს მეცხვარეები კავშით ხერეტავენ. ქვაბს კი დიდ ცეცხლზე

<sup>1</sup> პროფ. პ. მელიქიშვილი, ჩევნებური ცველი, ტფილ. უნივერსიტეტის მოამზე, ტ. II 1922—1923წ. გვ. 134—138, ცხრილი I.

შესდგამენ და წამოდულდება თუ არა შრატი „კალტს“ მომიღებებს, ქვაბს მაშინვე გაფარგამენ და „კოჩხოთის“ (ხის დიდი კოეზია) ცხელ-ცხელ კალტს იღებენ და ტილოს პარქში ჩაუშვებენ, რომელსაც გასაწურავად ბინის წინ გამართულ ყავრეზე ჩამოჰკიდებენ.



სურ. 17. ყველის დამზადება.

ქვაბში ნარჩენ კალტს ია ნადულ შრატს კასრში გადაიღებენ და ამ „ცხელ სახერეტას“ კოვზით მიირთმევენ. როცა კალტი პარქში გაიწურება, ამოილებენ, მარილში გაზელავენ და გუნდებად დააკეთობენ. კალტის გუნდებს მზეზე აშრობენ, რომელიც თუშის ჩეულუ-ბრივი სავმელია.

ერთი სიტყვით, ცხვრის წველა და ყველის დამზადების მოელის პროცესში პრიმიტიული წესებით სრულდება და გაუმჯობესებული ტექნიკური იარაღები და ხერხები აქაურ სარქლისათვის ჯერ კიდევ უცნობია და ის დღესაც განაგრძობს ძველ მამაპაპურ წესებით დაბაც



ხარისხის და მცირე რაოდენობის ჩაის პროდუქტების დამზადებას. სარქანი ყველის დამზადებაში თავის გასამრჯელის იღებს. დღეში გას ოთხი გირვანქა ყველი ეძლევა. მეცხვარეებს წინათ დაქირავებული მწყესებიც ჰყავდათ. მწყემსის ჯამაგირის რაოდენობა შეთანხმებაზე იყო დამოკიდებული.

ჩეულებრივად კარგ მწყემს თვეში სამი თოხლი ეძლეოდა. სმა-ჭამა და ჭალამანი მეცხვარისა იყო, ტანისამოსი კი მწყემსისა. ზოგჯერ მწყემს პირობაში თექა და ნაბადი ეძლეოდა. დღეს აქაური მეცხვარები დაქირავებულ შრომის გაურბიან და თავიანთ ცხვარს თეოთონეები მწყემსავენ. ამ მიზნით კერძო მეცხვარეები აწყობენ „ცხვრის შეყრა“-ს და თვითოული მათგანი ცხვარში მწყემსიდ მორიგეობით გადის. ოც ცხვარზე ერთი დღის მწყემსობაა დაწესებული. ყველაზე შეძლებულ მეცხვარეს დღეს აქ 400 სულამდე ცხვარი ჰყავს. ეს კერძო ამხანაგობა ყველასც თავიანთ მეწველ ცხვრის კვალობაზე იყოფენ. ცხვარზე ერვება ერთი გირვანქა ყველი და რამდენიც მეწველი ცხვარია მეპატრონებს იმდენი გირვანქა ყველი ეძლევა. ვისაც საკუთარი ბინა არა აქვს ის სხვის ბინაში დგება და პატრონს ზაუნულის განმავლობაში ერთ ყველს აძლევს.

ცხვარში ყველაზე მძიმე პირობებში მწყემსი სცხოვრობს. მწყემსი დღევანდელ პირობებში აქ მოქლებულია ადამიანის ყოველგვარ კულტურულ მოთხოვნილებებს. მწყემსი ზურგზე გუდა-ნაბდით და ხელში კომბლით დაკავავს მოლიპულ კლდეებზე. იგი იკვებება ქუმელით და კალტით. მას ავღრობისას არსად თავშესაფარიც არ მოეპოვება, მაგრამ მწყემს უყვარს თავისი საქმე და ის ცხვარს ძნელად მოშორდება.

- მთას თოვლი მოკიდებია, მწყემსო, აყარე ცხვარიო,
- ადექ და ბარად ჩამოდი, ბიქო, შაირთე ცოლიო,
- არა მოგწყინდა მთას ყოფნა, არა მოგინდა ბარია,
- ან ლამაზ ქალთან ძილ-წოლა, ან მასთან საუბარია?
- არცა მომწყინდა მთაშია, არცა მომინდა ბარია,
- არც ლამაზ ქალთან ძილ-წოლა, არც მასთან საუბარია,
- თვალ წითელ შინაქ მირჩვნავ, იმის ქოჩორის ბერტყაო.

მწყემსი მთაში განმარტოებულია. ის მთელი კეირაობით დადუმებულია და საუბარის ეინი რომ მოიკლას ზოგჯერ ასე დაიღილინებს:

მეცხვარემ ცხვარი შეშალა, შამოეფინა ჩრდილსაო,  
ზიგ ურევია ბატყანი, უივილი მოდის ცხვრისო,  
წინ თვითონ გაბაუძლევება, ხმა მოდის სიმღერისაო,  
გაპხედავს მწვანე მინდორსა ბალახით შემკობილსაო.  
რა მშევნიერი რამა ხარ, დილაო გაზაფხულისო,  
ამოშევებულა სხივები ამომავალი მზისაო.

ამწვანებულა ველები, იალალები მთისაო,  
შემოფენილა მოებზედა თეთრი ფარები ცხვრსაო.  
მემცვარე ცხვარში დავდივარ მთაზე ვაძოვებ ცხვარსაო,  
თან დამდევს ჩემი მყეფარი, ვეძახი მურიასაო.

მურიასი მაქვს იმედი ერუგულად მიშერს მხარსაო,  
ნაბრძოლი, ნასისხლარია მისდევს ნადირის კვალსაო,  
ჰარიქა, ჩემო მურიავ, ერთგულო პატრონისაო.

წელზედ მარტყია ფრანგული, პირი აქვს ფოლადისაო,  
მხარზედ ქიდია ყირიმი, არ მეშინიან მტრისაო,  
სადილად ჩავალ წყაროზე, წყლითი გავზელავ ხალსაო,  
ხალი და კალტი წინ მიდგა, კოჩხოთი ცხრეტავ წყალსაო,  
გემრიელად შევეჩცევი, ვატარებ დროებასაო.

იხლა გამოვალ გორაზე, ჩემ ცხვარს დავაელებ თვალსაო,  
ცხვარი დაყრილა გორაზე ამ შუალამის ხანზეო,  
გავიხედ-გამოვიხედავ ვაღმა გამოლმა მთებსაო.

მთას ნისლი შემომხევევია შიგა შიგ თოვლიანსაო,  
შიგა ჩქამობენ შურთხები მალალის ჩვენი მთისაო,  
გაღმა გამოლმა ხევები ბანს იძლევს ერთმანეთსაო,  
წიფლოვანა და ბორბალო სათავე ალაზნისაო.

მაღლა მთის ცივი წყარონი ჩქეფით ჩამოდის ძირსაო,  
ჩადიან ქმატებრან მდინარე ალაზანსაო,  
იმ წყაროებით შესდგება მდინარე კახეთისაო.

მწყემისი ერთად ერთი მეგობარი ძალლია, რომელიც იცავს და ეხმარება  
მას ცვხრის მწყემსეაში, ნადირისა და ქურდების თავდასხმისაგან. მწყემ-  
სის სიცოცხლეც მთაში მუდმივ განსაცდელშია. მას ხშირად თაქ  
ესხმიან ქურდ-ავაზაკები და სიცოცხლეს ასალმებენ. თუშეთში იშეთათა  
ოჯახი, სადაც ცხვარში დაკარგულ შეილზე მგლოვიარე დედა მწარეს  
არ გმინავდეს. თუშური ხალხური ლექსებიც მწუხარების ამ სეედი-  
თაა გაედენთილი.

ცხვარი თუშეთის იალალებზე ჩჩება პირველ სექტემბრამდე. ამ  
დროიდან მეცხვარები მინებიდან იყრებიან. ეზიდებიან ცხენებით  
შინისკენ გულებით ყველს და ბარგს. ალეანში ცხვარი 15 სექტემბრის  
ჩადის. ცხვარს იქ დააყენებენ და შეუდებიან ცხრების პარსეს. ცხვარი  
ცხვარი წელიწადში ორჯერ იპარსება. გაზაფხულზე აქაური ცხვარი  
ორ გირვანქა მატყლს იძლევა, შემოდგომაზე კი სამ გირვანქან. უკუ-  
თესად ითვლება შემოდგომის მატყლი, რომელიც უფრო სუფთა და  
რბილია<sup>1</sup>. თუშური ცხვარი საზოგადოდ თეთრ მატყლიანია, მაგრამ

<sup>1</sup>. თუშური მატყლის ანალიზისა და თვესიმბრივ დახარისხებაზე ერცული  
ცონბები მოიპოვება ნ. იოსე ელიანის განთველებაში „ჩასალები თუშეთი  
ცხვრის ფენოანალიზისათვის“, ტფილ. უნივერ. მოაშებ ტ. VIII 1928წ. გვ. 78-98.


ასეთი ფერისაც გვხდება: წითელი, შავი, ლეგა, შავა-ტრელა, წითელ-ლა-ტრელი, ლეგა-ტრელი და სხვა.

ცხვრის გადათვლა აქ წყვილობით იციან. კენტში ხუთია გავრცელებული. ერთი სთვლის, მეორე კი დათვლილს ოცობით ჯოხზე აქცევს და ასე სთვლიან: ერთი ოცი, ორი ოცი, სამი ოცი და ასე, სანამ ასობით არ შევაჯამებენ.

პირველ ოქტომბრიდან ალფანიდან ცხვარს შირაქში მიერკეციან. შირაქშისაკენ არსებობს სამი გზა: უკანა მხრის გზა, წინა მხრის გზა და ჭიათურის გზა.


ცხვარი საზოგადოდ სათუთი მოსავლელია, მას სხვადასხვა სატეივარიც უჩნდება. სატეივრიდან თუშურ ცხვარში გავრცელებულია: სიხა შლე, როდესაც ცხვარს ჯიგარი უწყლელდება. ასეთი ცხვარი, მეცხვარების თქმით არ ჩემა და კვდება. პეტელა—ბრტყელი ჭიათულ ცხვარს ღვიძლში უჩნდება. პეტელა ცხვარს ბარში შეეყრება „პეყანტიან“ ბალახის მოძრვების დროსათ. პეტელა ნალველში თუ გაუჯდა ცხვარი მოკედებათ. წამლად ხმარობენ შხამის ძირს. მას ნაყავენ და დაუჭერი მარილ-მდოგვში გახსნიან და ცხვარს შეაჭმევენ. თუ რქული—ცხვარს ფეხები უწყლელდება და ვერ დადის; მას შაბიამნით სწამლობენ. ქეცი—ცხვარს ტუპირზე მუწუკებად დაყურებად და ველარა სძოვს. მას მაზუთს წასცხებნ და ისე არჩენენ. ძუძუს მაჟ ა-ტელი—ცხვარს ძებუს უსივებს და ის არ მოიწველება. მეცხვარების თქმით ამ სენს წამალი არა იქნეს და ცხვარიც სამუდამოდ შრებათ. გარე თხას შეეყრება. ორი დღე ის სიმწარისაგან ჩხავის და უცბად კვდება. ყუთური ის საგან ცხვარს მატყლი სცივია. მოსარჩენად წაუსვამენ შაბიამნში გახსნილ თამბაქოს ან შავ მაზუთს. ყველილი ტანზე მუწუკებად დააყრის და ცხვარი ცხრა დღეში რჩება ან კვდება. თუ მორჩება ძალ ტყავი ძერება. კრიჭუნი—ცხვარი კბილებს აქრა-პუნებს, თვალებს აბრიალებს და კვდება. რეტი—ცხვარს გონებას უკარგავს, რომელსაც ტყინი უწყალდება, პირს აცმაუნებს, მაგრამ ბალახს ეერა სძოვს. ბრმავება—ცხვარს თვალებზე ბინდი გადაეკვრის და ბრმავდება, რომელსაც თვალებს მარილ-გოგირდიან წყლით ბანენ. კუჭის ხმობა—ცხვარი მუცელში იკვრის და ვერ გადის. ცხვარი სნეულდება იგრეთვე ნალველისა და ტყირპის სისიცნით და ასეთ ცხვარს ცხვირს უდალვენ. ნაბირევი—ბარიდან ამოსულ ცხვარს ზოგჯერ მთის წყაროს წყალი სწყენს, იბერება და ზოგი იბოცება. ყართო—ზამთრობით ფარებში დამწყვდეულ ცხვების ზოგჯერ საკეები შემოაკლდებათ და მადასაც ჰქარგავენ; ვერ სჭამენ და ამის გამო ხშირად სუქანი და უფრო ჯიელი ცხვარი იხოცება.

ცხვართან ერთად თუშებს მსხვილფეხა საქონელიცა ყავთა: ხაჩი, ძროხა და ცხენი. ამათი რიცხვი განსაზღრულია და იგი დამრე ღრულია ზამთრის საკვებზე. ეს რაიონი სამოვარ აღვილებითაც მდიდარია; საძოვარი იყოფა: სახაროვნე, საძროხე, იალალი და ყორული.



სურ. 18. მარტილი.

(სათიბი). მაგრამ მთათუშეთში ხანგრძლივი და სუსტიკნი ზამთარი იქნა. ამიტომ საქონლის გამოსაკვებად აქ თივის დიდი მარაგია საჭირო, რაც მთათუშეთის პირობებში იოლი საჭმე არ არის. მართალია, სათიბებია




სურ. 19. ტეირთსაზიდი კები „ქოჭი“.

აქ ბევრია, მაგრამ მოთიბეა და თივის გადაზიდვა მეტად გაძნელებულია. მთათუშეთში სთიბავენ ავგვისტოს პირველ რიცხვებში. სთიბავენ ხელში „ნამგლებით“ (ცელებით) კაცები და ქალებიც. ნათიბს „ჯაჭვლრით“ (ფოცხით) მოხევერენ და „ნაცაფს“ დააყენებენ. ცხრა სუს ნაცაფს ერთ სარჩე იგებენ და „ნადალს“ უწოდებენ. კარგი მომავალი დღეში ათ ჩადალს მოსთიბავს. ჩადალს ეზიდებიან ბოსლებში ზურგით

ცტენით, ვირით და მარხილით. ბოსლის კარებთან ზეინს აგებული ზეინში ოცდახუთი ჩადალია. აქ თივა ძეირად ფასობს. ათი ჩადალი თივა წინათ თხხი მანეთი ლირებულია. ხუთ ჩადალ თივაზე ერთი დღის ხვნაა დაწესებული. თუ ზამთარი ხანგრძლივია და საქონელს საკვები შემოაკლდა, მაშინ დედაკაცები მიღიას ტყეში და იქნებენ „ფოხვი წიწკი“ს ამტვრებენ, ეზიდებიან ზურგით და საქონელსაც ამით კვებავენ. ზაფხულში კი მსხვილფეხა საქონელი იალალზეა გაშებული. მთაში საძროხე ქოხებია გამართული; იქვე მოხუცი ქალები და ბავშვები დგანან.

საძროხეს მშვინიერი საძოვები აკრავს და აქ დედაკაცები ხარ- დროხებს უდგანან; საქონელს უვლი- ან, ძროხებს სწერებიან და ერბის ამზადებენ. აქ ძროხებს უხმობენ „ნძო დედა“ და ხარ-ძროხებსაც თავიანთი სახელები ჰქეიანთ, ძრო- ხებს: შაგარდენო, ქუთაია, ნამია, ცაკუნი, მერია, ვარავალი, მასკლო, ფუძილო, ლურქო, ზიქია, არამი, ლვითიშობელი, ბუცუკი და სხვა. ხა რებს: შარომა, ამირანა, თეარია, ლაბაზანი, კეირია, ნისლა, ბულა, ნიშო, წამალა, ირემა, წიქარა და სხვა. ქოხებში დედაკაცები ერბის ამზადებენ. რძეს აგრძელებენ სპილენ- დის ქვიბში და როცა რძე შედედ- დება ხის კასაში „ჩხერტში“ ჩა- ასხამენ და მას ბრუნელით დღვებავენ. იდლეიბება ერთი საათი. დღვების დროს შიგ წყალს უშვებენ და როცა კარაქი ჩაიძირება მას ხელით ამოილებენ და შემდეგ ერბოდ აღნობენ. ნარჩენ დოს ქვაბში ჩაასხამენ და წამოადულებენ. ის მოიგდებს კალტს, რომელსაც პარქში გადაიღებენ და მასში იწურება. გაწურულ კალტს მარილში მოზღვდებენ და გუნდებად დააკეთებენ. კალტს აშრობენ მოწნულ გა- ლია — „კიშტე“-ში.

სახედრებში თუშებს ჰყავთ ცხენები და ვირები. ორიეს დიდი მნიშვნელობა ეძლევა თუშეთის სამეურნეო ცხოველებაში. მთათუშეთის მთის ბილიკებზე მხოლოდ ამ სახედრების საშეალებით სწარმოებს მიმოსელა და ტეირთის გადაზიდეა. ამიტომ მომთაბარე თუშებს არ შეუძლიათ უსახედროდ არსებობა. წინათ ზოგიერთი აქაური მეკო- მური ცხენებს ოცნებით ითვლიდა, დღეს კი შეძლებულ მეკომურს



სურ. 20. ჩხერტი.

იშეიათად ათ ცხენშე მერი ჰყავდეს. ოუშური ცხენი ჯიშიანია და კუ-  
გი ცხენი აქ კარგადაც ფასობს, აქაური ცხენის სახელია; არაშა, კუ-  
შეა, რაკამ, ყარანი, შანშა „ლომად“, ბამბი და სხვა. ზაფხულში ცხ-  
ნები იალალზეა გაშვებული. ოჯახისა და მინდვრის სამუშაოში ა-  
უმთავრესად ვირია განოუენებული. ვირით ეზიდებიან წყალს, უძა-



სურ. 21. კარაქის შედლვება.

თივას, ძნებს, ჭვას, და სსვა. ეს ცხოველი ცველაუერ ამას შეგუშე-  
ლია და თავის მოთმინებით იტანს.

- ბარში რას გვიქებ აანებსა, მთაში ჩეენც გვიღვა სეილები!
- რაით მოიტან სეილებსა თუ არ დაკმაზე ვირები?
- ვირს ენაცეალოს პატრონი, დააქვა თეთრებ ცხვირები,  
დავეიდებ დარიხრიხდება, ქვევიდან შავეხირები.
- ურემს მოუკედეს პატრონი ჩხირების დამწვეტებელი,



ლაფუში რო გადაბრუნდება მე იმას ვერ შევეხირები,  
— მას თავად აიყენებენ შავი კამერის შეილები,  
ერთჯერად ხომ ვერას ეყოფა ფშავ-ხევსურეთის თივები.  
— კამერის გაუქრა გამზრდელი მე იმას ვერ ვეღუპინები.

მთათუშეთში ლორი არა ყავთ და მას არც ამრავლებენ, ხატი გვიწყენს და სატკივარი გაერცელდებათ. მომთაბარე თუშები ლორის ხორცს უკეთ სეამენ. წინათ ლორის ჭამა თუშის თურმე ეკრძალებოდა და ლორის ქალაბნიანი თუში სოფელში ვერ შევიდოდა, განაში ის ქალამანს იხდიდა და საღმე მიმალავდა, გამობრუნებისას ისევ იღებდა და იცვამდა.

მთათუშეთის მესაქონლეობა ჯერ კიდევ დაქუცმაცებულია კერძო მესაკუთრეთა შორის, მისი მოვლა-მოშენების ტექნიკა ჩამორჩენილია, და პროდუქციაც ყოველწლიურად მცირდება. მართალია აქ არსებობს რამდენიმე საზოგადაოებრივი ხასიათის ორგანიზაცია, რომლებიც ცდილობენ ამ კერძო მეურნეთა კოოპერატიულად გაერთიანებას, მაგრამ მათი მუზაობა და ხელმძღვანელობა ამ უამად მოისუსტებს. მთათუშეთში ზაფხულობით მუშაობს ქვემოალვანის მესაქონლეობის საწარმოვო ამხანაგობა, რომელსაც კერძო მეცხვარები ალრიცხვაზე ყავს აყვანილი და ისინიც მის წევრებად ითვლებიან. ამხანაგობა აწვდის მეცხვარების პურს, მარილს, ქსოვილს და სხვა ფამრიკატს. მეცხვარები კი ამის ანგარიშში თავიანთ ნაწარმოების 50 % ყველს, მატყულს და ცხვარს აბარებენ. ამხანაგობა აწესრიგებს საძოვრების საკითხს და იჯარით იღებს შირაქის ბინებს.

მაგრამ მესაქონლეობის ეს ამხანაგობა ვერ უწევს მეცხვარებს სათანადო დახმარება-ხელმძღვანელობას და ისინიც ასე სჩივიან;

„იარმოცი ფუთი მატყული მივეც კავშირსა ჩეენსა მწყემსსაო, ფულასა ვთხოვ არ იძლევიან, ქვითარს მიწერენ ჭრელსაო.

ამოველ წითელ წყაროზე მიტუსალებენ ცხვარსაო,  
გადმომიდგება აგენტი მთხოვს შირაქის ფულსაო.

მატყულს ვაძლევ, ფულს არ მაძლევენ, თან სამალახეს მთხოვსაო,  
გაძრიძიეთ ეს საქმე რად ხდება ჩეენსა თავზედო“.

თუშეთში სავეტერინარო პუნქტი არ არის. არც ზოოტექნიკური სადგურია, რომ ცხვარს იდგილზე საჭირო დახმარება აღმოა-ჩინოს.

თუშეთის ამ ჩამორჩენილ მეურნეობის ჩეკონსტრუქცია უკვე დაწყებულია და ამ მიზნით აქ ჩამოყალიბებულია ოთხი სასოფლო სა-მეურნეო ხასიათის არტელი:

1. ზემოალვანის „მიხა კახიანის“ სახელობის სასოფლო სამეცურნეო არტელი შესაქონლეობის განხრით 1928 წლიდან.

2. ზემო-ალვანის „გეპეუს“ სახელობის სასოფლო სამეურნეო არტელი 1931 წ.

3. ქვემოალვანის „წითელ ნიკინი“-ს სასოფლო სამეურნეო არტელი 1931 წ.



სურ. 22. კოლმეურნე ქალი ყველს აკეთებს.

4. ქვემოალვანის „წითელ თუშეთი“-ს სასოფლო სამეურნეო არტელი, შესაქონლეობის განხრით 1931 წ.

ამ არტელებს აქვთ თავიანთი წესდება და საპერსპექტივო გეგმები და მიზნად ისახავენ თუშეთის მეურნეობის ტექნიკურ-ეკონომიკურ გაუმჯობესებასთან მის სოკიალისტურ ფორმებში ჩამოყალიბებას.

მუშაობა უკვე დაწყებულია და ჩეკინ სრული იმედი უნდა ვიქონოთ, რომ ის ჩეარა წარმატებით ღამთავრდება.

“ შინამრეწველობა. თუშურ მეცნიერობასთან დაკავშირებულია საოჯახო ხელსაქმიანობის განვითარებაც. იქაური ცხვარი მატყლის სფრით მარაგს იძლევა და თუშის შინამრეწველობა ამ მხრივ გასაჭირს არ განიცდის. ამ მუშაობაში მხოლოდ ქალებია ჩამოყლი




სურ. 23. ძალის დართვა.

და უმთავრესად გავრცელებულია ტოლის (შალი), ფლასის (ფარდავი), ჩითების (ფეხსაცმელი) და წინდების ქსოვი.

დაღის დროს მატყლის შინ მშადებენ და ამ მიზნით თავდაპირებულად მატყლის გადარჩევას შეუდგებიან. მატყლს არჩევენ რბილს „კრაველს“ და ცალკე მავარს. ვისაც ფერების შეხამება უნდა ბუნებრივ მატყლს ფერადობის მიხედვით ისე შეარჩევენ, რომ მოქსოვის დროს მიიღონ სასურველი ფერის ქსოვილი, როგორიცაა მაგალითად: თეთრი ლეგა, ჩაშაო ლეგა, ლაგაფერი, წითელი და სხვა. ტოლის ფერადობა იგრძოვე დამოკიდებულია თხორისა და ხინდეს შეხამებაზე. გარჩეულ მატყლს გარეცხავენ, აშრობენ და შემდეგ ჩეჩივენ.

ვისაც ბევრი მატყული აქვს გასაჩეჩი მჩერელ დედაქაცებს და ინტენსიურ და მათ „საბეჭვე“ უნდა აქამოს ე. ი. კარგი სალილ-ვახშით გაუსას სპინძლდეს. ასეთ დაწვევების აქ „ჩერელად“-ს ეძახიან. მატყული საჩერელზე ითელება „ხერეულად“ (ნაფოლად). ხერეულს „ხელტარს“ (თითისტარი) „გააზღაუენ“ ართავენ. ხელტარი ხის „სახრელში“ ტრალებს. სახრელი კუბიკური ფორმისაა და შუაში მრგვლად ამოქალი. ხელტარამ რომ სახრელში მარდად იტრიალოს შიგ უსეაშე ნაცარში არეულ ძროხის ქონს. ნართს ჯარაზე დასხახევნ ერთ წალმა „წალმართაი“ და მეორეს უკუმა „უკულმართაი“. ჯარაზე და-



სურ. 24. ჯარა.

გრეხილ ძაფს „დულუკად“ (გორგალი) ამოახვევენ. ერთი დუღულ მაგრადაა ნაგრეხი და იმმარება „თხორად“ (ქსელი), მეორე კი ფიფლება და იმმარება „ხინდედა“ (ზედა). ამგვარად დაშალდებულ ნართებს სახლის კერზე ჩიმოპეიდებენ და „კაქსლოს ჯარანტრებს“ უწოდებენ.

თუ ნართი შესაღებია, მაშინ მას ხიუავენ „დაშიტავენ“ (გრძლად ამოხვევა) და სალებავებში ჩასდებენ. ქიმიური სალებავებს აქ კოოპერაციის საშვალებით ვრცელდება. ადგილზე მზალება სამი ბუნებრივი სალებავია წენგვო, შავი და ყვითელი. წენგვო ყერთი მისაღებად მატყულის ნართს თავშავა ბალახში ხარშავენ და ამა ღებისას ნაცარს დააყრიან, შემდეგ ის ირეცხება და იფინება.


შავ ფერისათვის ამ თავშავას წვენში ძალას ურჩევენ. ყვითელი ილებები და ფიქების ხავსში. ტოლის მოსაქსოვად ჯერ წილმართ და უკულმართ დუღუებებს „საქსოვა ხოკერში“ სდებენ. ხოკერი შეაზე ჩერიან ჯონიათა გაყოფილი და დუღუებაც შიგ ცალ-ცალკე თავსდება. ამ ხოკერით მქსოველი ქალი თხორს აბაშს საქსოვის აკაზმაში. აკაზმა ხისაა, მოგრძო თახუჭოთხედი ფორმისა. მას ფიჭვისაგან ამზადებენ და ერთ ცხეა-



სურ. 25. ჟარაზე ძალის გრეხა.

რათ დასობს. აკაზმა სახლში უდგით, თუ ოთახი ნათელია. ზოგიერთ სახლებს წილებული აქვთ ფარდულივით „საქსლური“, სადაც ეს საქსოვი აკაზმებია გამართული. საქსლური ზოგ სოფლებში ცალკეა გამართული, რომელის კედლები ლიაა და ზედ სიპით არის დახურული. აკაზმაზე გაბმულ თხორს ხელით ასწორებენ და საშევრის ორი ჯოხით მას „შეს“ უყრიან, რომელზედაც „შისატანა“ მოკლე მრგვალი ჯოხია მიმაგრებული. შეს იჭერს პატარი ჭრელი „წიბო“. ქსოვის წინ თხორს აგარა“-ს (მრგვალი ჯოხია) უყრიან. საქსოვ ცხემლას ხინდეს (ზედას) გაუყრიან და მას გაბმულ თხორში გაატარებენ და ბეჭით


ბეჭნიან. ქსოვის დროს „ქოჭით“ (ჩიქაკულა) გარის ასწევდას ვენ და „წიწუთ“ (პირთხელი პატარა ჩხირია) ქსელს წიწებს (ასწოვ ბენ). ღლეში კარგი მქსოველი ქალი ერთ მეტრ ტოლს მოქსოვს. უნ-



სურ. 26. საქსოვე აკაზმა.

აკაზმაზე იქსოვება დაახლოებით 7-8 მეტრი შალი. მოქსოვილ ტოლ აკაზმაზე გასჭრიან და ჩამოილებენ. შალს საპონწყალში ალბობენ და შემდეგ ლასტზე ფეხით ითელება. გათელილი ტოლი ისევ ირეცხება.

გასაჭიმად მრგვალ კუნძს ჩასდებენ და გასაშრობად ჩამოჰქმდებენ. ტოლი აქ ყველა ოჯახში იქსოვება და მოსახლეობაც ამით იმოსება, განსაკუთრებით ზამთრის ტანისამოსი ამ ტოლისაგან იკერება. ერთ ტოლის მოქსოვაში აქ ოც გირგანქა ყველს იძლევიან, ფულად კი ექვსი თუმანია.



სურ. 27. ტოლის ტანი.

ნაქსოვისა და ფერის შეხამების მიხედვით თუშური ტოლი ასეთ დახარისხებული: თეთრი და შავი ცალპირა ტოლი, ლეგა სოლური, ჩაშაური ლეგა სოლური, ლურჯ გაჩეჩებული საქათიბე, სადიაცო წენგოს ფერი ტოლი, შეყრა სადიაცო ჩოხა, სამეცხვარეო ცალპირი, საიმრივო (სასტუმრო) საჩოხე შავი. წინათ მამაკაცის საშარვლედ იქსოვებოდა ზოლიანი ტოლი: კაჭკაჭა ჭრელი, ჭრელ-ჭროლატოლი, თეთრლეგა კაჭკაჭა და სხვა. ეს ზოლიანი ტოლი წმინდათ არის ნაქსოვი, ზოლების შეხამება და მისი ღირსებაც კარგია, მაგრამ ის დღეს უკვე არ იქსოვება, რაღვანაც ქსოვის რთულ პროცესებთან

ამისათვის საჭიროა კარგი და უხუნო სალებავები, რაც აქ ძნელის შოგარია.

საზოგადოდ უნდა იღინიშნოს, რომ შალის ქსოვის საქმე თუშეთ. ში თანდათანობით ქვეითდება და დღეს აქ უკვე არ იქსოვება წინანდელ სახისა და ხარისხის ტოლი. მაგრამ შალის ქსოვილება



სურ. 28. ტოლის თელფა.

დღესაც დიდი გასავალი აქვს და კარგ ფასადაც იყიდება. შეიდი მეტრი საშუალო ლირსების თუშური ტოლი აქ ფასობს 250 — 300 მანეთამდე. თუშური ტოლი იყიდება საჩოხედ და საქათიბედ და საქმოდ ბევრი სალდება კანეთშიც.


ამავე ხის აკაზიაზე იქსოვება: ხალიჩა, ფლასი, საგორიავი, ხერჯინი და ცხენის ჩული. ხაოიანი ხალიჩა აქ ნაკლებად იქსოვება. უფრო ფლასებს (ფარდაგი) ქსოვენ. საფენის ძაფ-ნართის ღამზალება

და მოქსოვის ტექნიკაც უბრალო კლატარულ წესებით იმავე აქაზიაზე სრულდება. მხოლოდ საყურადღებოა ამ თუშურ საფენების მრავალ სახიანობა და მისი ფერების შეზამება. მოცემულია ასეთი ფერები: შავი, ტეთრი, ჭითელი, ლაგაფერი, ლურჯი, სოსინი, ვარდისფერი, ყვითელი, ალისფერი, მწვანე, აფერი, წენგოსფერი, ცისფერი, კაპრა-ყვითელი,




სურ. 29. თუშური ფარდავი.

შა, (მოყვითალო) და მხიე (მუქი ლურჯი). აი ეს ფერებია მოცემული თუშურ საფენებზე, მაგრამ მათ შეხამებაში სითალხე სჭარბობს და თუშური საფენის ტრინალობაც საზოგადოდ მუქია. სახიანობის მხრივაც თუშური საფენები არ არის ერთოვეროვანი. ძველ საფენებს ახასიათებს გეომეტრიული ფიგურალობა და მისი რთული კომპოზიციები, რომელიც მოცემულია წნულების, კვანძულების, ჯარანა თვალებისა და ჯვრების სახეებში. ამ სახის საფენები დღეს აქ მოძველებულად ითვლება „მოდილან“ გასულია და ახალგაზრდობა მის აღარ ქსოვს. სამაგიეროდ




სურ. 30. თეშეური ფარდაგის საჩეკები.


შემოსულია და თანდათანობით ვრცელდება ახალი სახისა და ფერალიზის საფენები. ამ ახალს ახასიათებს მცენარისა, ცხოველისა და აღამიანის სახეების კომპოზიცია, ფერების სივრცელე და უხამობა. ამ შემთხვევაში აქ უბრალო მიბაძეა ფაბრიკულ ქსოვილების სახეებისა და ფარდა-სამნებისა, რომელიც ქალაქიდან ჯერ იღეანში შემოდის და აქედან კი მთათუშეთში ვრცელდება.



აბილაში




ავანჩელი



რაჭოცა




შარანა თვალი



ჭვილი თვალი



ჩანანა



ყვავის ფინა



ასაბი

ვანეჭი

ქსური 31. ფართაგის სახის ელემენტები.

ასეთსავე ცვალებადობას განიცდის ხურჯინის ქსოვა და მისი სახე. ძეველი ხურჯინები რთულ გეომეტრიულ სახეებითა ნაქსოვი, რომლის ფერები მტკიცეა და შეხამებით სასიამოენო. ახალი ხურჯინები კი უბრალოდ იქსოვება და სადა ზოლიანია.


თუმის ქალები ჩითასა და წინდის ქსოვაშიაც დიდად დახელოვნებულები ირიან. აქ ყველა ქსოვს: ექვსი წლიდან დაწყებული ლრმა მოხუცებამდე, ქსოვენ სნეული და უსინათლო ქალებიც. თუმის ქალი წინდის ჩითებს ხელიდან არ იშორებს და გზაში თუ ოჯახში ის

წინდას გამალებით ქსოვეს. მინდვრის სამუშაოზე მიმავალი ზურგაბაზარი, კული თუშის ქალი თან წინდას ქსოვეს, საუბარშიაც ის არ აყენებს. წინდის ჩხირებს და გამალებით ქსოვეს. მიგრამ ჩითას ქსოვე უკავალს არ შეუძლია, მას კი დახელოვნებული ან მოზრდილი ქალები.



სურ. 32. ახალ სახიანი ფარდავი

ქსოვენ. ჩითა შალის დაჭრელებული ფეხსაცმელია და მას ყველა ატარებს. ჩითას ფორმა სამგვარია: მაღალ ყელიანი, დაბალ ჭულიანი და უყელო. მაღალ და დაბალ ყელიანი ჩითები აქაური მოდი-დან უკეთ გასულია, მას ჯერ კიდევ ზოგიერთი ბებრები ატარებენ და. მას „ბებრულს“ უწოდებენ. დღეს მიღებული და გავრცელებულია მხოლოდ უყელო ჩითები.




სურ. 33. ძველებური ხურჯინი.



სურ. 34. ქაბული ხურჯინი.

ჩითა ერთნაირად იქსოვება. მოქსოვილი საპონ წყალში ირეცხება, და გასაშრობად ხის „საფარითხე“ წამოაცმევენ. გამშრალი ჩითა შუაზე ყელ-თათის სიგრძეზე იჭრება და „ხის ფეხზე“ (კალაპოტი) გამართავენ. ქვეშ გამოსაკერად ჩითას უდებენ ფეხის ტერფის ფორმის „თიკეს“, შალის სქელ ნაკერს, გარშემო ნეშისთ შემოკერებენ „გარემო“ - ს და ზედ „შიბს“ შემოუვლიან. ჩითას ძირი კეირ ტით იბანდება. ბანდავენ ბახა-თით ხუთ „ჯარად“ (სვეტად).



სურ. 35. ჩითას ნაწილები.

ჩითას საყელოს უყრიან „სახმელშის“ და ამ შალის გრეხილით იკრავენ. ჩითას ზედაპირს „ფეხის წინდა“ ეწოდება, ძირს ტერფი, ქუსლს „დიდურა ქოჭი“ და ყელს „რეზინა“. ჩითა სადიაცო და საყაცო. ფორმა და ქსოვა ორივესი ერთგვარია, განსხვავება მხოლოდ სახის ნაკრელშია. საყაცო ჩითა ბოქტინია და სადა წერტილზაზებითაა სახეები ამოყეანილი. საღიაცო ჩითა ზოლიანია და




ସ୍ତ୍ରୀ. 36. ତୁମ୍ଭରର ହିଂତ୍ଯବଳ.




ସ୍ତ୍ରୀ. 37. ସାରଦାଲୁଟା ହିଂତ୍ଯବଳ.

ჭრელი. ყელის შემოკლებასთან სადიაცო ჩითა სახელების - ცვალება - დობას განიცადის. მაღალ და ჟელ დაბალ ძველ ჩითებს ახისიათებს.



სურ. 38. საქაცო ჩითა.









სურ. 39. ჩითას ნაჭრელის ცვლა.

ნაჭრელის სირთულე და ბრტყელი გეომეტრიული ფიგურიანი ზოლები. უცელო ჩითას ნაჭრელი უფრო საღია და მისი სახე თანდათა-



ნობით უბრალო ზოლზე გადადის და უფრო ზოლიან წინდას ემსგაც-  
სება. ჩითა ნაქრელია ფერად ძაფით, რომლის ფონი ჩვეულებრივად  
შაგია და ზედ ამოყვანილია ორ-სამ ფერიდით შეხამებული სახე. ამ  
სახეებს თავიანთი სახელებიც აქვთ: თვალი, ცურუნა ჭია, წვერის  
ჭია, ჩიტის თვალი, გვერდ მიღებულა ჭირკვენა, ოროლაის გვერდ  
მიღებულა, ალვის ხე, ბაჟიანთ თვალებილა, მიხი, ჭირკვენა და სხვა.  
თუშები ჩითას შინ და კარში ზამ-  
თარ—ზაფხულ ატარებენ. ჩითა თბი-  
ლი და რბილია და მშრალსა და  
მოყინულ ნიაღაგზე სასიამოვნო სა-  
ტარებელია, მაგრამ ნამში და ტა-  
ლაბში ის სველება და უვარებისია.  
ჩითა სძლებს ორ-სამ თვეს, შემდეგ  
მას ძირებს უკუკლიან და ისე ანახლე-  
ბენ. აქ ჩითაზე დადი მოთხოვნი-  
ლებაა და ის 10—30 მანეთამდე  
ფასობს.

თუშები შინ დაქსოვილ წინ-  
დებს ატარებენ. წინდის ქსოვა აქ  
ყველამ იცის. იქსოვება ჭრელი და  
საღა წინდა. ძველებური „წინან-  
დულა“ თუშური წინდა ფერად ნაჭ-  
რელია და მას „ჯარანაიან“ წინდას  
უწოდებენ. ახლა ჯარანაიან წინ-  
დებს აქ არ ქსოვენ და დღეს უფ-  
რო მოწონებაშია ფერად ზოლიანი  
და საღა წინდები. უსახოსა და  
საღა წინდას სამეცხვარეო ან სამინ-  
დერე წინდას უწოდებენ, ზოლი-  
ანს კი სასტუმროს. ქალები იცვა-  
მენ ყელ მაღალ ჭრელ წინდას. წინ-  
დას ჩხიორებით „ცხემლით“ ქსოვენ,  
„დეშების“ (თვალი) გამოანგარი-  
შებით. წინდას აქვს წვერი, ტერფი  
კოქი და ყელი. იქსოვება აგრეთვე  
„ქუროები“ (ხელთათმანი).


მესაქონლე თუშისათვის თოქი  
აუცილებელ საკიროებას წარმოად-  
გნს და ესეც შინაურობაში მზადდება. საბელის გრეხა აქ ყველამ  
იცის და ამის საგრეხი „ჩიხრისი“ ყველას მოეპოვება. საბლისათვის იგ-  
ს. მაკალათია, თუშეთი.




ბაზა



ნახულა



უკანა



ნახულა ჭია

სურ. 40. ჩითას ელემენტები.

რიხება თხის ბეჭვი. ჩიხრიხის გირეალს ერთი კისერს გაუყრის და ხელით ჩიხრიხის ატრიალებს, მეორე მოშორებით ბეჭვს აწედის და ამგვარად საბლის „ლოლი“ იგრიხება. შემდეგ ხუთი ლოლისაგან საბლი იწნება.

თუშეთში გავრცელებულია მატყლისაგან ნაბდის თელაური ნაბადის აქ თავისი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. უნაბდოდ და უთქოდ მომთაბარე თუშები და მათი მწყემსები ვერ სძლებენ. მთაბა



სურ. 41. ქალი ქსოვით სათიშბი მიმავალი.

თექა-ნაბადი ყველაფერია, იგი საბანიც არის და აედრობისას სახმედო თავშესაფარიც. ამიტომ თექა-ნაბდის დამზადებას მთაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. წამოსასხიამ ბეჭვიან ნაბდებს თუშები უკვი არ ამზადებენ. ასეთი ნაბდები აქ ლექებს შემოაქეთ და შაოვი უიდულობენ. აქ მხოლოდ ნაბდის საფენებსა და ქუდებს ამზადებენ. ამისათვის მატყლს გადაარჩევენ, გარეცხავენ და გამშრიალს ქარეჯა გაწერავენ. შემდეგ მატყლს ტილოს საფენებზე გაშლიან და ადუღებულით დანამავევენ. თუ სახეების გამოყვანაც სურთ შიგა და შიგ ცერაზ მატყლით დააჭრელებენ და დაახვევენ. დახვეულს მუხლ მოკეცით ქალები მკლავებით თელავენ. ითელება სამჯერ. პირველ გათელილს „თხა-

თხალა"-ს აშრობენ და მეორეჯერ თელავენ, ისევ ცხელი წყლით ნამატებ  
და იმავე ჭესით სთელავენ. მესამეჯერ კი მოთელვა თავდება. მო-  
და იმავე ჭესით სთელავენ.




სურ. 42. თუშერი ჯარანანაიანი ჭინდა.

თელილი ნაბადი საფენად იხმარება და აგრეთვე იმისაგან იქერება  
ზედ ჩასაცმელი თექა.

თუშეთი უფრო ცნობილია  
თავისი თუშური ქუდით, რომელიც  
მთელს აღმოსავლეთ საქართველო-  
შია გავრცელებული. მას თავისი  
ფართო ბაზარიც აქვს და მშრომელ  
თუშის ქალებს კარგ შემოსავალს  
აძლევს. ამ ნაბადის ქუდის მოთელ-  
ვის პროცესები უფრო რთულია.  
ქუდისთვის უკეთეს ღირსების მატ-  
ყლია საჭირო. საქუდე მატყლის  
ფენა თხელია და ითელება ხუთ  
ან ექვსჯერ, შემდეგ მას შავად  
თავშივაში ღებავენ და აშრობენ.  
გამშრალი სიგანეზე იქრება და ბე-  
წვის გასაცლელად ცეცხლის აღზე  
იტრუსება. ამგვარათ დამზადებულ  
ნაბადიდან ქუდებს გამოსჭრიან და  
ჰქერავენ.

სამწუხაროდ თუშეთის შინამრეწველობის ეს მეტად მნიშვნე-  
ლოვანი და შემოსავლიანი დარგები დღეს უყურადღებოდ არის დატო-  
ვებული და ხელმძღვანელი ორგანიზიცია არ გააჩნია. ამ დარგის გამო-



სურ. 43. ჩიხრისხი.

ცოცხლებაზე იქ არავინ ფიქრობს, რაც შესაძლებელია ონიშოდების  
გაუმჯობესებულ იარაღებისა და ტეხნიკურ ცოდნის შეტანით. მით უკა-  
ტეს, რომ ამის შესაძლებლობას იძლევა აქაური მატყლის მარავი და  
ქსოვაში გავარჯიშებული მუშა ხელის საქმაო რაოდეონობა.


ამისათვის საჭიროა პირველ-ყოვლისა, პრიმიტიული იქაშებისა  
და ჩხირების, საჭსოვ დაზებითა და ხელის მანქანებით შეცელა, რამ



სურ. 44. ჩიხრიშით საბლის გრეხა.

თლშეთის მშრომელ მოსახლეობას ამით მძიმე მუშაობა შეუმუშესებელი  
და მისი გაუმჯობესებული პროდუქციაც გაიზარდოს.

ხელოსნობას თუშები ნაკლებად მისდევენ ია შრომის ამ დარც  
მათვეის ეკონომიკური მნიშვნელობა არ ჰქონია. სამუშაოდ მიღიან უჭი-  
რში და იქ მწყემსად დგებიან. ამ ბოლო ხანიში აგრეთვე სხვა სამუ-  
შაონებაც გადიან და მუშაობენ შეშის დამზადებაზე, ქუს  
და გზის სამუშაოზე.



ერთი სიტყვით, თუშეთი ეკონომიურად მნიშვნელოვანი კუთხეა, გან-  
საკუთრებით თავის მეცნიერებით, რომელიც იძლევა კარგ ლიტერა-  
ტის ცენტრსა და მატყლს. ამასთანავე მას აქვს ხელისშემწყობი პირო-  
ბებიც: ფართო იალაღები, ალპიური ჰავა და მეცნიერეობაში გამო-  
ცდილი მუშა ხელი. ყველაფერი ეს იძლევა მეურნეობის ამ დარგის  
განვითარების კარგ პერსპექტივას. დღეს უკვე დაწყებულია თუშე-



სურ. 45. წინდის მქონეელი ბავშვები.

თის ჩამორჩენილ მეურნეობის რეკონსტრუქცია, რომელიც ყალიბდე-  
ბა კოლექტიურ მეურნეობის ფორმებში. ამისათვის საჭიროა ძელ  
პრიმიტიულ ბინების ნაცვლად აშენდეს ახალი ტიპის და პიგიენუ-  
რიდ მოწყობილი ბინები, რომ კოლმეურნე მეცნიერებს შეეძლოთ  
ასატან პირობებში ცხოვრება.

ამასთანავე უნდა გაიხსნას ზოოტექნიკური სადგური და საეკ-  
ონონარო პლანეტა.

თუშეთის ეკონომიურ მდგომარეობის გასაცნობად ჩეკინ აქ მო-  
ვიყვანთ 1930/31 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერის სიას:


நாள்	வெள்ளை	பகுதி	முக்கிய அங்கீகார பகுதிகள்	ஏற்கெடுத்து விடுதலை
1	நிலை	54	600	65
2	நிலை	45	370	27.75
3	நிலை	32	147	22.25
4	நிலை	40	68	20.25
5	நிலை	21	101	16.50
6	நிலை	11	53	7.25
7	நிலை	14	67	9.00
8	நிலை	10	60	7.50
9	நிலை	14	70	14.75
10	நிலை	8	19	4.00
11	நிலை	3	12	1.00
12	நிலை	9	44	4.00
13	நிலை	1	3	1.00
14	நிலை	1	7	0.00
15	நிலை	1	3	0.00
16	நிலை	10	45	0.00
17	நிலை	5	15	0.00
18	நிலை	16	58	0.00
19	நிலை	25	100	12.00
20	நிலை	15	55	4.50
21	நிலை	21	80	14.50
22	நிலை	9	38	0.75

நிலை	நிலை	நிலை	நிலை
145	2.00	நிலை, நிலை, நிலை, நிலை,	
122	2.00	நிலை, நிலை, நிலை, நிலை,	
100	10.14	நிலை, நிலை, நிலை, நிலை,	
99	20.00	நிலை, நிலை, நிலை,	
49	12.00	நிலை, நிலை,	
99	60.00	நிலை, நிலை,	
94	20.00	நிலை, நிலை,	
99	61.00	நிலை, நிலை,	
92	60.00	நிலை, நிலை,	
90	24.00	நிலை, நிலை,	
9	10.00	நிலை,	
—	50	நிலை,	
15	10.00	நிலை, நிலை,	
6	50	நிலை,	
82	100.00	நிலை, நிலை,	
63	100.00	நிலை, நிலை, நிலை,	
30	60.00	நிலை, நிலை, நிலை,	
63	100.00	நிலை, நிலை,	
20	50.00	நிலை, நிலை,	

അക്ക്	ബഹുമാനിക്കപ്പെട്ട മരുപ്പ്	പ്രശ്ന	പ്രശ്നത്തിലൂടെ വിനിയോഗിക്കപ്പെട്ടത്	വിനിയോഗിക്കപ്പെട്ടത്	ബാക്കി വിനിയോഗിക്കപ്പെട്ടത്
22	ബൈൻ .....	38	197	5250	16
24	സ്റ്റീൽഗ്രേജ് .....	7	25	0.00	42
25	സ്റ്റീൽഗ്രേജ് .....	12	90	9.75	100
26	ഡൈക്രോ .....	6	19	3.00	36
27	ഡൈക്രോ .....	14	54	5.25	59
28	ബൈൻ .....	15	63	8.00	99
29	ഡൈൻ .....	6	25	2.00	32
30	ഡൈൻ .....	10	25	4.00	54
31	സ്റ്റീൽബൈൻ .....	8	25	4.00	56
32	ഡൈൻ .....	5	25	2.00	30
33	സ്റ്റീൽ .....	2	15	0.00	17
34	ഡൈൻ .....	1	41	2.00	62
35	ഡൈൻ .....	15	71	0.00	35
36	ഡൈൻ .....	2	10	1.00	8
37	ഫിബ്ര .....	70	220	21.00	208
38	ഡൈൻഗ്രേജ് .....	240	1445	405.48	—
39	ഡൈൻഗ്രേജ് .....	412	1415	304.00	1224
		3240	1400	7.00	1163.97
					4500

\* ദി ഏറ്റവും വിശ്വാസിക്കപ്പെട്ട മരുപ്പ്, സ്റ്റീൽബൈൻ, സ്റ്റീൽ വൈഭാഗം ഡൈൻഗ്രേജ് എഥും വിനിയോഗിക്കപ്പെട്ട ഏറ്റവും വിശ്വാസിക്കപ്പെട്ട മരുപ്പ് ആണ്. ദി ഏറ്റവും എല്ലാ മരുപ്പുകൾ, അല്ലെങ്കിൽ ഒരു മരുപ്പും വിനിയോഗിക്കപ്പെട്ട മരുപ്പ് ആണ്.

ബഹുമാനിക്കപ്പെട്ട മരുപ്പ്	പ്രശ്ന	വിനിയോഗിക്കപ്പെട്ടത്	ബഹുമാനിക്കപ്പെട്ട മരുപ്പ്
27	—	582	ഡൈൻഗ്രേജ്, ഡൈൻ, ഫിബ്ര, എല്ലാ
16	—	119	ഫിബ്രാ, ഡൈൻഗ്രേജ്,
20	—	425	ഡൈൻഗ്രേജ്, ബൈൻ,
5	—	227	ബൈൻബൈൻ, ഡൈൻഗ്രേജ്,
12	—	621	ബൈൻബൈൻ, ഫിബ്രാ,
27	—	204	ഡൈൻഡി, ഡൈൻഗ്രേജ്,
11	—	127	1440.00, ഫിബ്രാ,
17	—	527	ബൈൻബൈൻ, ഫിബ്രാ,
14	—	128	ഫിബ്രാ, ഡൈൻഗ്രേജ്,
14	—	118	സ്റ്റീൽബൈൻ, ബൈൻ,
19	—	264	ഡൈൻഡി, ഡൈൻഗ്രേജ്,
18	—	739	ഡൈൻബൈൻ, ഫിബ്രാ,
49	—	1217	എല്ലാ, ബൈൻബൈൻ,
2	—	365	എല്ലാ,
290	—	4200	ഡൈൻബൈൻ, ബൈൻ, ഡൈൻഡി, ഡൈൻഗ്രേജ്,
1405	—	52679	ബൈൻബൈൻ, ഫിബ്രാബൈൻ, ഫിബ്രാ, എല്ലാ,
2802	—	120,789	



## 4. საზოგადოებრივი უოფა

თუშეთის საზოგადოებრივი ცხოვრება დღეს ფორმისაციის ხანშია; ძველი თემური წყობილების ნაშთებით თანდათანობით ისპობა და მყარდება ახალი საბჭოთა სოციალისტურ სისტემაზე აღმოცენებული საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ამ წარმავალ თემურ ყოფას თუშეთში თავისი ხანგრძლივი ისტორია პქონდა; ამ ყოფის ზოგიერთ გადანაშთებ დღემდე მოუღწევია. მართალია, ეს ჩვევები დღეს უკვე მოქლებულია თავის სოციალ-პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელსაც ფორმალურად იცავს მოსახლეობის ძველი თაობა, მაგრამ ამ კუთხის საზოგადოებრივი ყოფის გასაცნობად ამ თემურ გადანაშთების გარკვევაც ჩენონვის საკურადღებოა.

მთათუშეთის მოსახლეობა დაყოფილი იყო და არის გვარებად. თითოეულ სოფელში წინათ სახლებულა ერთი გვარი, რომელსაც თავისი საგვარეულო კოშკი პქონია, სადაც შიშიანობის დროს ის თაქ აფარებდა. დროთავითარებაში გვარი იზრდებოდა და კომლებად იწლებოდა. ამასთანავე დიდი გვარი ქვეგვარებად იყოოფდა და ქვეგვარი ირქმევდა კომლის უხუცესის სახელიდან წარმოშობილ საკუთარ გვარს. ამ გვარების დაბოლოვებაა: ეს, შვილი, ული, ური და იანი. მაგალითად, ნაჯუდასაგან წარმოშობილია-ნაჯუდაიძე, უთურგასაგან-უთურგაიძე, ელანისაგან-ელანიძე, გულუხვა-გულუხვაიძე, ბერო-ბეროშვილი, ფოცხვერი-ფოცხვერიშვილი, აფშინა-აფშინაშვილი, ცისკარაცისეარაშვილი, მიქელი-მიქელიშვილი (მიქელაძე), აბაშია-აბაშიშვილი (აბაშაძე), გაფრინდაი-გაფრინდაული, იქირაული, რაინული და სხეური და იანსე ბოლოვდება: თადიაური, აზიკური, სულაკაური, კოკლაური, შორისთანი და სხვა.

ეს გვარები იყოფა ქვეგვარებად, მაგალითად სოფ. შენაქოში (ჩალმის საზოგადოება) ორი მთავარი და ძირეული გვარია: ბუქვაიძე და ხაჩიძე. ბუქვაანთ გვარში შედიან (ქვეგვარი): იმედიძე, ოშორიძე, ჯაგოდანიძე და სეხნიაიძე. ხაჩენთ გვარში კი: ჭვრიტიძე და ჭოქურიძე. მექომურის დასახელებისას იტუვიან: ბუქვაანთ გიგოლუჯაგოდანიძე, გიორგი ჭვრიტიძე ხაჩიანთ.

ფარსმაში (პირიქითი თემი) ქააძე ძირეული გვარია, მისი ქვეგვარი: იჩუნაიძე, დადაძე და კუკალაიძე. თავისი მოძმე მექომურს ასე ასახელებენ: იჩუნაათ პეტრე ქააძე. ჯვარბოსელში (გომერის თემი) ძირეული გვარი ალუდაური იყოფა ქვეგვარებად: კარლილაიძე, გესლიანიძე, ელიზბარიძე და დარქიშანიძე. ასევე წოვა თუშებშიაც, სადაც სამი ძირეული გვარია: შორისთანი, ცისკარაშვილი და მუშტარაულნი. შორისთანის ქვეგვარია: ქავთარაშვილი, ზარიძე, თურქოშვი-

ლი, ყიზილაშვილი, ლაგაზიანი, ჩაჩქანიშვილი, ბურკიშვილი და სხვა. მუშტარაული: ბაინდურაშვილი, ლალიშვილი, ხარებაშვილი და სხვა. ცისკარიშვილი: იაშინაშვილი, ფოცხვერიშვილი ჭიჭაშვილი და სხვა. იტყვიან ლეო ჭანთოშვილი ცისკარაანთ.

მთათუშეთში მობინადრე გვარები თავიანთ თავს ხიზნებად სთვლიან და თავიანთ გადმოსახლების ისტორიაც ზოგიერთ გვარებს დღესაც კარგად ახსოვთ; ირკვევა, რომ აქ იხიზნებოდენ, არა მარტო მთისა და ბარის ქართველები, არამედ აგრეთვე ქისტ-ჩაჩნები და ლექები. მაგალითად, სოფ. ომალოს მცხოვრები სისვაურის წინაპარი თიანეთიდან ბატონის გამოქცევია და აქ დასახლებულა; მას სახელად სისური რქმევია. სოფ. ჭეშოელი აბალოიძე გამოქცეულა ქიზიუიდან მირზაანთ საგვარეულოდან; ქიზიუში მის წინაპარს ბატონი შემოჰკედომია. იქირაული, ბასხაჯაური და ბექურიძე ხევსურეთიდან გადმოსახლებულან მესისხლეობის გამო. ხოსკურიძე კი ფშავიდან. სოფ. ჩილოში მცხოვრები ოქონიძის წინაპარი ლექეთიდინ გამოქცეულა. ოქონიძენი ყოფილან ორნი მმანი. მათ იქ მამის სისხლი აულიათ და თუშეთში გამოხიზნულან. ერთი მათგანი ჩაღმა თუშებს ძმად მიუღიათ და ჩილოში დასახლებულა, მეორე კი უფროს კაცებს ქისტებში გადაუყვანიათ და იქ თავკაცებისათვის უთხოვიათ მისი მიღება და დასახლება. ისიც იქ სოფ. სულანტში დაბინავებულა. ეს გვარი დღეს ცნობილია „ჩიმაურკანთ“ გვარადაო. ხაჩიძეთ წინაპარს ხაჩი რქმევია. იგი ქისტეთის სოფ. ჭანთოდან ყოფილა გამოქცეული; სადაც მას კაცი შემოჰკედომია. ხაჩის შეილს ხუნჩალს სოფ. შენაქშირ რვა ვაერ თურმე ჰყოლია. ხუნჩალი შეილებს გაყოფის ნებას არ აძლევდა და მთელი ეს დიდი ოჯახი ერთ ჭერ ჭერ სცხოვრობდა და ოჯახის 50 წევრს ითვლიდაო. ხუნჩალის ამ დიდ ოჯახს აქ დღესაც იგონებენ და როდესაც ვინძეს თჯანში ნამზადისი ეკოტავება მას ეტყვიან: „თუნდა ხაჩის ხუნჩალიანებს ეყოფათო“.

მთათუშეთში შემოხიზნულ ამ უცხო გვარებს არ შეეძლოთ არსებობა თემის გარეშე, რომელიც სათუშეოს განავებდა, ამიტომ ხიზანი იძულებული იყო, რომელიმე გვარს მიკედლებოდა და მისთვის დაძმობილება ეთხოვა. ამისათვის მთათუშეთის თემებში არსებობდა „ხარით შეყრის“ ადათი. როდესაც ხიზანი რომელიმე გვარისაგან დაძმობილების თანხმობას მიღებდა ის ამ ხარითშეყრას ასრულებდა.. ამისათვის დაამზადებდა პურს, არაყს და საკლავად ხარს დაპკლავდა. დაიწვევედა ხევისბერის და გვარის უფროსებს. ხევისბერი კრებულს ამცნობდა, რომ ამა და ამ გვარმა (დაასახლებდა) ეს ხიზანი ძმად მიიღო და დღეიდან არვის გეგონოთ ის უგვარო და უსოფლო. იყვენით ჭირში და ლხინში განუყრენლი და მტერთან ერთმანეთის

შფარეველიო. დაძმობილების ნიშნად ხევისბერი აიღებდა სამ ქადაგა და ნახშირს და იქვე მიწაში სამანს ჩასვამდა, ზოგჯერ ძმობის სიმტკიცის ნიშნად ულფაშის ბალანსაც სამანში ჩაყოლებდენ. ამ დღის ხარითშეყრილი ხიზანი თავის გვარს იცვლიდა და დაძმობილებული გვარზე იწერებოდა.

თემურ თუშეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას ამოძრავებდა თემური ბრძოლები, მექობრობა და მესისხლეობა, რომელსაც ჭის სეეურობდენ ხევისბერები და დეკანოზები. თემის მიერ არჩეული ეს ხევისბერები და დეკანოზები ეკუთვნოდენ საზოგადოების შექმნას ბულ ჯგუფს და ამ ჯგუფის ქონებრივ-უფლებრივი ინტერების და ცვისათვის ლვითისა და ხატების პირით მოუწოდებდენ ხალხს ნადალის მოპოვების მიზნით მეზობლებზე თავდასხმისათვის. ხატის წერა დაშინებული მდაბიო ხალხი სალაშქროდ მისდევდა ამ შეძლებულ ჯგუფის ბელადებს, იკლებდა სოფლებს, იტაცებდა მოსახლეობას სარჩო-საქონელს და ნაძარცვით უკანე ბრუნდებოდა. მაგრამ ამ ნადალს შეძლებულთა ჯგუფი და მათი ბელადები ინაწილებდნ. იწვევდა მეზობლებს შორის დაუსრულებელ ბრრობას და ერთმანეთი დალაშქრიას, რაც ქონებრივად და ფიზიკურად ინადგურებდა მასახლეობის ღარიბ და შეუძლო ნაწილს. ამ ბელადების გმირობას ითხმებოდა ლექსებიც, რომლითაც მდიდარია თუშური ხალხები სიტყვიერება.

ამ მხრივ, სხვათა შორის ცნობილია ყვავლოელი გორგი თილიქ რომელიც ფშაველებს თურმე არ უსცენებდა და თავისი რაშია ეცნობდა ფშაველ მწყემსებს, ხოცავდა მათ და ცხევარს სტაცენდა.

ბოლოს ეს გულადი თილიძე ფშაველებს სოფ. ხოშარაში დაუწერებით და თილიძეს ლაშარის წმ. გიორგისათვის შეუთხოვია თუ ამ განსაკუდელს გადამარჩენ თეთრ კურატს მოგართმევო. ლაშარობა თილიძე მართლაც თეთრი კურატით ფშავში მისულა, ფშაველი ეს სწყენიათ და მისი მოკელა განუზრახეთ, მაგრამ თილიძეს თემ ფშაველების შერიცება და მათ გაფიცეა უთხოვია. შეთანხმება მასწადარა და ორივე მხარე ლაშარის ჯვარზე ძმად გაფიცულან. ამაზე ეს ლექსი გამოუთქმათ:

ლაშარს მოვიდა თილიძე, დიდგულად დაჯდა თუშია,

შამეგებივნენ ფშაველები, როგორ რო ბატონს ყმანია:

„შენ აქ არ მოგესვლებოდა, დიდი ქენ ცოდო ბრალია,


გასწყვიტე დიაც ქმაწვილი, კალოდ გალეწნენ მკედარია,

ნაკვეთაურის ქერხოსა შენ შეხსენ რეინის კარია“

— მადროუეთ ფშავლის შეილებო, მალოცეთ თქვენი ჯვარია,

მოვსულეარ სახვეწნელადა მომიკანია ხარია,

ეგ მაშინ გავარიგოდეთ, როცა გამოვლენ მთანია.



მთა გაშრეს, ქვიშა გამოწინდეს ლურჯამ მოხეიდოს ნალია,  
ტყება გაუშეს ფოთოლი, ბალახს გაფინოს ნამია,  
მთებშიაც გაჩნდეს ჯანყები მხედარ დალშალოს თავია,  
უბისთავ დანათდებიან თილისძის ცხენის ნალია.

ან ვისი სკექდეს მაერი, ან ვისიც სჭრიდეს ხმალია,

ან ვის მიუდიოდეს ნათარეშალი ცხვარია,

ლელის ძირს გაღმიოდიოდეს თქვენი ცხვარ-ხაროვანია,

უქან მომდევდეთ ფშავლებო, სტიროდეთ როგორც ქალია.

ლელის გორს შემოქიდოდეთ ერთი პატარი ზარია:

„ლაშარეულა თან გვიტან დაელათის გვიქრის ქარია,

დახერია ხეა ახადს გავიდეს პირ დაიწერონ ჯვარია.

დედამი მისცა ჩემს ცხენში შვიდ ფური შეიდი ხარია

მე იმან გადამარჩინა მის თვალებს ვენაცვალია“.

შეძლებულ ჯგუფთა ეს ბელადები აგრეთვე აწყობდენ მეკობრობას ქისტ—ჩანერთში და განსაკუთრებით დიდოეთში (ლექებში). ამ მიზნით წყობოდა დამრბევი რაზმები, რომლებიც ირჩევდენ ბელადებს და მათ წინაპლოლობით გადიოდენ ქისტე—ლეკეთში. აქ ეცემოდენ მწყემსებს, სტაცებდენ მათ ცხვარ-საქონელს და, ნიშნად გამარჯვებისა, მტერებს მარჯვენა ხელის ტენებს აჭრიდენ<sup>1</sup> და უკანე ბრუნდებოდენ. ამ ნადაელს მეკობრები თუშეთში იყოფდენ, მოკრილ ხელებს ბელადები თავითი ჩარდახიან ციხის კედლებზე აკრავდენ და ტავებებს ეკ ბაშტებს კედლებზე ჯაჭვებით აბამდენ<sup>2</sup>. გამარჯვებულ მეკობრობათა ბელადებს საქებურ ლექსებსაც უძლვნიდენ:

ალეანში თუშის შეილები ხმალს ულესავენ პირსაო,

თოფებსა ძალზე ლმართავენ, ჯავრი გულს მოდის მტრისაო,  
დაუბარებენ ივანეს ელიზბარიძის შეილსაო,

შენაქოშიგა ბაკურას, გოლადსა, კვრიტიშვილსაო.

წიმოვიდოდა ბაკურა, ჯოგი თანმოსდევს მგლისაო,

შაგროვდებიან ყვარელში, შეა ბაზრისა პირსაო,

საომრად დროშა რჩეულნი ეკითხებიან გმირსაო:

„დილაზე საით წაეიდეთ, საით ლა გვიზამ პირსაო?

ბაკურა ეტყვის: „გმირთ-გმირნო, ნუ ჩქარობთ, არა სეირსაო,

1. თუშის ბელადის მიერ მიკრილი ლეკის მარჯვენა დლემდე იყო შერჩენილი ტატო იდოიძის სახლის კედლებზე სოფ. დართლოში. ეს მარჯვენა ჩეუნ ხამოეკლეთ და ფოტოგრაფიულად გადავიდეთ (იხ. სურ. 46).

2. ტყვების მისაბმელად ბაშტეს კედლებზე დატანებული იყო ბრტყელი და ზუაზი ამოხერეტილი ფიქალი, რომელშიც რეინის დიდ ჯაჭვს უზრიდენ და მას კლიტი კრავდენ. ტყვეს ამ ჯაჭვის ყურს კისერზე აფებდენ და ჯაჭვითვე გამოკვანძენ. ერთი ასეთი ჯაჭვი დღესაც ინახება სოფ. დართლოში, დიმიტრი ლეკიძის ლეკაში; მისი სიგრძე 3, 60 მეტრია.


მოულოდნილოთ ივანეს ელიზბარიძის შეიღსაო, ეს ვაეციც გულოვანია მედგრად მებრძოლი მტრისაო".  
ხალხის ნაპირს გიორგი სდგას, მრისხანედ წარბოთა ხრისაო,  
თოფუ გაბუდული მხარო ხეიდავ, ვადა უნათებს ხმლისაო.  
გიორგი ეტყვის ბაკურას: „კაცო, რას ამბობ რასაო,  
რათ ულოდინებთ ივანეს გზაც თითონ ვიცით მთისაო,  
რო აქებთ ბაგეაზელებსა მათი გაცნობა გვინდაო".



სურ. 46 თუშის მოკრილი ლევის მარჯვენა ხელი

წინ გაუძლვება ბაკური, გზა გრძელიც შამოკელდებაო,  
ბაგეაზის მთებსა გადადგნეს შუგულას დაღესტნისაო,  
ჩეეთარეშენ თუშები, მწყემსებ დახოცეს ცხერისაო.  
მთისა მზევნიერ კალთებზე უივილი ზოდის ცხერისაო,  
ერთი გემეცა მეცხვარე ქორივით სოფლად გაურინდა.  
შაიტყვეს ბაგეაზელებმა მოდიან ცხენებ ხეთქეითა,  
თუშნი გორებში გამაგრდნენ, შიში არა აქვთ მტრისაო,  
დილ სალამომდე იომეს სულ გააშითლეს ქვიშაო.  
გვალეთ ბიჭებო, გვეყოფა მარჯვენა ჩეიდმეტისაო,  
გამობრუნდება ბაკური, ლიმილი მოდის პირსაო,  
წამოვლენ კახეთისაკენ შაირებისა თქმითაო.

კვარელში ოთხი ჩამოვიდეს, სუ ხალხი გაევირდებათ,  
რა ხალხი ამოუემეტავ, ხელები მოაქვთ მტრისათ,  
ჭინ მოუძღვება ბაქურა, ვადა უნათებს ხმლისათ.



სურ. 47 მტრის ხელებ მიქრული თუშერი სახლი.

შენი ჭირიმე ბაქურა, სულამ შენ ხმალი ცერისათ,  
დედმიან შეილი გაზარდოს მტრისა დამცემი ძირსათ,  
ბაქურავ, შენისთანანი თავის მომკვეთნი ხმლითათ.

თავთ ბელადიშვილი 71 წლისა, სოფ. დიკლო 1931 წ.

რასაკეირველია არც ლეკ-ქისტ-ჩაჩნები ისხლნენ გულხელაკ-რეფილები. ნადავლის მოპოვების მიზნით ლეკებისა და ქისტ-ჩაჩნების ბელადებიც თავიანთ რაზმებით გადმოდიოდენ თუშეთში, მიერკებოდენ ცხვარ-საქონელს და ტუვებმაც იტაცებდენ. ტაცვების გამოსყიდვაში ლეკები დიდ სასყიდელს მოითხოვდენ. ამასთანავე რაც უნდა დასჯდომოდა ტუვე პატრონს უნდა გამოსყიდა, რადგანაც მისი გამოსუსყიდელობა სირცხვილი და საძრახისი საქმე იყო. ამოტომაც ტუვის პატრონს გვარი ეწეოდა და ამით საშუალება ეძლეოდა ტუვე დაბრუნებინა.

ამგვარად გაბატონებულ ჯგუფების ბელადების მიერ ეწყობოდა ნადავლის მოპოვების მიზნით, მეზობელთა ერთმანეთის დალაშექრა, რომელსაც ეწირებოდა მშრომელ მოსახლეობის ქონება და სიცოქსლე.


მექობართა ჯგუფში გულადობა და ვაჟკაცობა დიღად ფასობდა; ზურგის შექცევა კი სამარცვინო იყო<sup>1</sup>. მექობარი ახალგაზღობა იარაღის ხმარებაში სიყრმიდანვე იწვრონებოდა და მათ ოცდასულიამდე თურმე არ ამუშავებდენ, მკლავ—ბეჭებსაც ერბოთ უჭირავდენ და ერბოში გაზელილ ქამელით ჰქვებავდენო.

თუშეთშე ლეკების ბელადების თავდასხმაზე და მათ მიერ გატაცებულ ტუვების თავგადასავალზე აქ დღესაც მრავალი თქმულებები და ლეკებია დაცული. სხვათაშორის სოფ. შენაქოში დღესაც ცოცხალია ღრმა მოხსუცი თუველორე ივანეს ძე ჯიჯურიძე (მისი თქმით 103 წლისა), რომელიც შამილის დროს ლეკებს ტუვედ გაუტაცნიათ. ჯიჯურიძე ლეკებს სოფ. გუნოში დაუმუშკვდევიათ და მისი მშობლებისაგან გამოსასყიდი ხუთასი მანეთი მოუთხოვიათ. ჯიჯურიძის ოჯახს სოფელი შესწევია, სამასი მანეთი შეუგროვებია და ეს ლეკებისათვის შეუძლებელია, მაგრამ ამ დროს დაღესტანი რუსებს ცულია, ზამილი დაუტუვევებიათ და ჯიჯურიძეც გუნოდან გამოქცეულა. ტუვებს მდერებს გამოუყენებდენ ხოლმე. მდევრები გზაში ლეკებს ჩაუსაფრდებოდნ და შებრძოლების შემდეგ ტუვებს აყრევინებდენ. ამ მხრივ აქ ცნობილია თუში გიგაი, რომლის გულადობის შესახებ არა ერთი ლეკებია გამოთქმული:

— ვინა ხარ გულ ჯავრიანად, დიკლოს ვინ ბრუნავს ბანზეო,  
ქირიმ ჩამოლგლევს ზამთარსა, ზაფხულს მოელის ძალზეო,  
კითხოდეთ საბუელებსა ლეკებ ხომ არ სდის გზაზეო.

— შოროდე გურჯო, თუ მეითხავ, ჩაუჯექ ქვარლის გზაზეო.

<sup>1</sup> ამას განუშტოს ცნობაც მოწმობს: „ხოლო უკეთუ (თუში) ვინ მდევრი იქნა გულითა კაცთაგანი და იელტოდეს შინა, ამას აპეკევნ ძალთა თანა, გობასა ზნა ძალთასა და არღარა კაცთა თანა“-ო (იხ. მისი გეოგრაფია გვ. 172).



ტყვებ მოუდისთ ფშავლისი, ტირილით ქალი, რძალით.  
—ნუ სტირით დებო, ნუ სტირით, გიგაი გიზისთ გზაზე,  
თუ რქვენ ლეკებ გაგატანოთ, წვერი ნუ მესხას ყბაზე,  
ნურუა მიტიროს დედამა, სწორში ნუ დამსეან ჯარზე  
ხმალ და ხმალ გადაერია ხუთნი დაკაფა წამზე,  
ხუთსავ აცყარ იარალი, ქალებს აასხა ტანზე,  
ქალებ გზაზე დააყენა, მშვიდობით დებო გზაზე,  
ჩემ სახელს ფშავლად ნუ იტყვით, თუშვარ გან ფშაველ გარით.


ლეკების ამ ტყვეობის შესახებ, აი როგორ მოსთქვამს ლეკეთში  
გატაცებული ტყვე თუში:

ერთხელ ძალზე მოვიქანცე, მიმეძინა ერთ დიდ ხესთან,  
მე ლეკებმა დამიჭირეს, თასმით შემქრეს მაგრა ხელთა,  
წიმიყვანეს ტყვეთა მტანჯეს, ცრემლით ვსწიო მაღალ ღმერთთან  
გადმიყვანეს ანწუხსშიგა, რაჯა ბელადს ჩამაბარეს,  
შიგ ჩამაგდეს ხაროშიგა, ზედ დიდი ქვა დამაფარეს,  
არცა ქონდა ცას ნათელი, არც შეკები მხე და მჟავრეს.  
დავხყავ ხანი იმ ხაროში, საცოდავიდ ვიტანჯოდი,  
წვერი-თმანიც შემებარდა, ჭუქები მწვავდა ვიდავოდი,  
ომანისა იმედობას ჩემსა გულში ვიძიახოდი,  
გამომისხნის ტყვეობიდან, სუ ხო ამას ვიკვეხოდი.  
მაღლი ღმერთს, იმ ჩემს გამჩენსა, ომანის გულს ეს გაეგო,  
ხმალსა თურმე დუმა გაპერა და ქარქაშში ისე ჩასვა,  
მუცლის ძროშით მოპარულა, ცურვით მიწას გულიც ეგო,  
ყარაულსაც სძინებოდა, იმის ხელით სიკვდილ ერგო.  
ამომიყვანა ომანშა, შემისხნა ხელ-ფეხთ ხუნდები,  
რა გაფაგძელო, რა გითხრა, სიტყვასაც გვიან უნდები,  
სახლში შევიდა გულდაგულ, მათი დლე მოდის ცუდები,  
ყველასა დასჭრა მკლავები, იმათ ავსო გულები,

კოპე ალექსის ძე ჩიგლაიძე, სოჭ. სისო 1931 წ.

თემურ წყობილებას უმთავრესად ახასიათებდა შერისძიებისა და  
სისხლის აღების წესები და თემურ თეშეთშიაც ეს აღათი მტკიცედ  
იყო დაცული. თუში თვეის მოქმის სისხლს არავის შეარჩენდა, და  
მტერზე შერი რომ ერთა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა.  
სისხლის აუღებლობა გვარისთვის სამარტვინო იყო და ძმებთან  
ერთად სისხლის აღებისათვის იბრძოდენ ბიძაშევილები და დელის  
ძმები. მაგრამ ზოგ შემთხვევაში სისხლის გამოსყიდვა და ამით შერი-  
გებაც შესაძლებელი იყო. სისხლის შეუასებას და საზღაურის რაო-  
დენობას თუშებში ხევისბრები და გვარის უხუცესები აკანონებდენ.

მსაჯულთა ეს კრებული „საბჭეოში“ სხდებოდა და აქ თათბირობდა, ასეთი საბჭეო გამართულ ქვის საჯდომებით დღესაც დაცულია სოფ. დართლოში. მას აქ „საფრინდაო“-ს თორმეტიანთ საჯდომის უწოდებენ. სისხლის ალების, ქალის მოტაცების, ქურდობის და სხვა ჩრისე შემთხვევებში სათემობჭები ამ ქვის სავარისლებზე თურმე სხდებოდნ და საქმეს არჩევდენ. ჭინ ჩისმული იყო მომჩინეანთა დასაყრდენი ორი ქვა. ერთთან იჩინქებდა მომჩინეანი და მეორესთან მოპასუხე. მკულელობა.



სურ. 48. საფრინდაო.

და დაქცული სისხლი თუშებში ერთგვარიდ არ ფასობდა.

შეკლები თემიდან იხილებოდა. სინანულის ნიშნად ფეხთ არ იცვამდა და თმა-წვერსაც იყენებდა. როცა ხანი გაივლიდა თემი მს შეიწყალებდა და ის ჭინ ბრუნდებოდა. მკულელი ცხენს შექმაჲვდა, ჩიმოჲკიდებდა ხმალს, თოფს, აგრეთვე ძლვენს და ნათესავების თანხლებით მიდიოდა მოკლულის ოჯახში. აქ იმართებოდა ტირილი და ის შერიგებას შესთხოვდა. მოკლულის ნათესაობა შერიგების ნიშნად

გას წევეულებას უმართავდა. მაგრამ სისხლის საზღაურს არ იღებდნენ, რაც მიცვალებულის სულის შეურაცხყოფად ითვლებოდა.

ამასთანავე გამომუშავებული იყო სისხლის შეფასების თავისებულების წესიც, რომლის მიხედვით, მაგალითად შემაკაცის სისხლი ფასდებოდა-60 ძროხა, ქალისა 30—ძროხა. ხანჯლის დაკერა პირით-5 ძროხა, წევერით-15 ძროხა და ასე იმისდა მიხედვით თუ რა სიმძიმისა იყო კრილობა. ბჭები პირისახის ჭრილობას ქერის მარცვალით ზომავდენ; მარცვლებს კრილობის სიგრძეზე დააწყობდენ და რაც დაეტეოდა იმას რომ მარცვალს გამოაკლებდენ, დანირჩენს დათვლიდენ და თითო მარცვალში დამნაშავეს ერთი ძროხა ან მისი საფასური უნდა გადაეხადა. სისხლის საფასურის გალებაში დამნაშავეს მოგვარეობი ეწეოდენ. გარიგების დღეს დამნაშავეს ერთი ქვაბი არაყი და საკლავი უნდა გაელო. ხევისბერი გამოაცხადებდა ბჭების დადგენილებას სისხლის გარიგების შესახებ და დაუმატებდა, რომ კინც ამას დაარღვეეს ჯარიმა გადახდებაო. შერიგების ნიშად მესისხლენი იქვე ერთმანეთს ხელს ჩიმოართომევდენ. რიგების დროს ზოგჯერ ქადაგი იტყოდა, რომ ლაშარის ჯეარი ბრძანებს, რომ ამ კაცს (დამნაშავეს დაასახელებდა) არაფერი გადახდესო. ამ შემთხვევაში დამნაშავე სისხლის საფასურისაგან თავისუფლდებოდა, მაგრამ მას ხატისათვის უნდა მიერთმია: ქვაბი ლუდი, ხარი და ცხეარი. ამით იგი თავის დანაშაულიდან ვითოშდა იწმინდებოდა.

ქურდობა საძრახისი საქმე იყო და ქურდის ერთს შეიღებად ახდევინებდენ. თუ დაძნაშავე არ ტყდებოდა, მას და მის ნათესავებს აუიცებდენ. ფიცის დროს სამჯერ შემოუფლიდენ ხეტს, ხელში რაიმე წმინდა სარიტუალო ნიეთით, ან თავიანთ წინაპართა საფლავზე ფიცულობდენ. ამისათვის მიცვალებულის საფლავს სდებდენ კირის „ქოჭა“ და ძალლის სალაფავს (ქურელია). დაიწოებდენ და მიცვალებულთა სულებს ფიცით მოუწოდებდენ. მაგრამ სიმართლის შესაჯერებლად თუშეთის ბჭები ორდალიებს მიმართავდენ. სხეათა შორის ორდალიებში გავრცელებული ყოფილა ცხელ წყლიდან გახურებული რეინის ხელით ამოლება და ვისაც ხილი დაეწოდა ის იყო დამნაშავე, წინაომდევ შემთხვევაში-არა. გაუსწორებელი და მავნე პირი თემისაგან იდენტიბოდა და ამ უმაღლეს სასჯელს „მოკვეთა“ ეწოდებოდა. დღეს სისხლის ალების ეს წესები უკვე მოსპობილია და საშირთლის ცველა საქმეები საბჭოთა სასამართლოში ირჩევა.

თუშეთი ძველი ოჯახი მრავალრიცხვითი იყო. ერთ ქურ ქვეშ რამდენიმე „ძმითაშვილები“ სცხოვრობდენ. ამ დიდ ოჯახის უფროსად უხცესი მამაკაცი „ბერო“ და უფროსი დიასახლისი „ბერ-დედა“ ითვლებოდა. მთელი ოჯახის საქმიანობა ამ ორ მოხუცის ზედამხედველობის ქვეშ მიძღინარეობდა და ყველანი მათ კმორჩილე-

ბოდენ. თუ ბერი და ბერდედა ლრმად მოხუცნი იყვნენ, მაშინ მათ მოვალეობას უფროსი გაზღვლაში ისრულებდნ. ოჯახში ყველაფერი საერთო იყო, გარდა ქალების ხელსაქმისა, რაც მათ პირად სარგებლბაში ჩატარდა. საოჯახოდ ვაჭრობდენ მამაკაცები, დედაკაცების მხოლოდ არჩევის ნება ეძლეოდათ. გაყოფა უფროსების სიცოცხლეში ძნელი იყო, მაგრამ გაყოფას ადგილი თუ ექნებოდა დედმამას თევიანთი წილი გამჭვინდათ, ზოგიერთ შემთხვევაში მშობლებს შეიღები მორიგეობით ინახავდენ. უფროს ვაჟს საუფროსოში ეძლეოდა 10-100 ცხერძე. ქალებს ძევლი აღათითოვანში წილი არ ჰქონდათ და გაყოფის დროს არაფერი ეძლეოდათ. მაგრამ ქალს თუშის ოჯახში ლირსეული ადგილი ეპირა. ის იყო ოჯახის ბურჯი, რომელიც მინდვრისა და საოჯახო მუშაობას ერთგვარ თავგანშირვით ეწეოდა და ამავე დროს ხშირად მამაკაცებთან ერთად ხელში იარაღით ოჯახისა და თემის ინტერესებსაც იცავდა. ამიტომ ქილის მანდილს აქ ერთგვარ პატივითაც ეპურობდენ. ჩხეტის „ტკეცილაობის“ დროს დედაკაცი თუ შეესწრებოდა მანდილს მოიხდიდა და შუაში ჩააგდებდა და იტყოდა: „მე-მი არა გაქვთ ამ მანდილის ხაზრი მაინც იქონიეთ“-ო. და ამგვარად „მანდილით ტკეცილობას ვაყრეცინებდითა“-ო დღესაც ხშირად იკონებენ თუშის მოხუცი მანდილოსნები.

ამ თუშურ დიდ ოჯახს ახასიათებდა სტუმართმოყვარეობა. სტუმრის მიღებისა და პატივისცემის ეს წესები ზოგიერთ თევიანებში დღემდე დაცულა. ოჯახში შემოსულ სტუმარს მცირე წეველებას უმართავდნ, რომელსაც წინათ „ახია“-ს უწოდებდენ, შემდევ „ჯარს“ და დღეს „კამპანია“ დარწმევია. სტუმარს ორ ურმის მანძილზე მიეგებებოდენ და ხელის ჩამორთმევით ესალმებოდენ. კოცნა სირცეელი ყოფილა, სტუმარს ოჯახის უფროსი შინ დაიწევედა, ბეჭებზე მას ტყავეკაბას (ქურქს) წამოასხამდა და კერასთან დასვამდა. ოჯახის პატარალი სტუმარს ფეხს გახდიდა, დაბანდა და სუფთა წინდებს ჩააცემდა. სტუმრის ფეხის დაბანა მთათუშეთში დღესაც იკინ. სტუმართან მოქმედნა ერთი პური და კალტი. ის რჩებოდა ორი დღე. სტუმართან პურის ქამა, მოკითხვა და საუბარი მხოლოდ ოჯახის უფროსებს შეეძლოთ. მეორე დღეს მასპინძელი სტუმარს,, ახია“-ს გამართავდა და ამისათვის გაშლიდა მცირე სუფრის და მეზობლებს დაიწევედა.

იმართებოდა მხიარული პურობა. ახიაში მეღვინედ ქალიშილი ან უმფროსი რძალი იყო, რომელიც ფეხშეიღდგა და სტუმრებს საესე ყანწესს სთავაზობდა. შემდევ სტუმარს მორიგეობით მეზობლები გაიწვევდენ და იქაც ასეთვე „ახიას“ უმართავდნ. ახიაში მამაკაც სტუმრის ამყოლება-ყოლი კაცები იყვნენ, ქალისა კი დედაკაცები, რომლებსაც სტუმარი ახიაში დაყავდათ და დროსაც ლხინ-თამაშში ატარებდენ. სტუმრის მოწყენა არ შეიძლებოდა და მასპინძელიც მის გართობას ცდილობდა.

„რა მოგწყვენია სტუმარო, რა შეგდებია ზარიო,  
არც ვინ ყის დაქრილ-დაკუშულ და არც ცხენ გვიღეს მცდარიო“  
გულუხ და პურად მასპინძლებელები ახიაში ასე მცეროდენ:  
„მასპინძელ კარგიდ მასპინძლობს, ლხნინითა მხიარულითა,  
წითელ დაბი ქოშები სტუმართ წინ სიარულითა.  
სტუმრის მოისე მხე მოეა, წა ისე შავი ღრუბელი,  
თუ წახეალ თანა გამიყოლ, აქ ნუ დამაგდებ საწყალსა“.

სტუმრის არ მიღება სირცხვილი იყო და ოჯახისათვის დიდად  
სათავილი: „სტუმარ მივიღა კარზედა ვერ უთხრა შინაობაო“. სტუმ-  
რი ერთობოდა იგრეოვე „ბეხენე“-ში ან „საანჯმო“-ში (საბასო).  
ამ ბეხენეზე სხდებოდენ სოფლის მამაკაცობა და დროს საუბარში  
ატარებდენ. დედაკაცებს ბეხენეზე ჯდომა არ შეეძლოთ და ახლოსაც  
არ ეკარებოდენ. წინათ ბეხენე ან საანჯმო თუშეთის ყველა სოფლებ-  
ში იყო გამართული. დღეს ბეხენე დარჩენილია სოფ. შენაქოში, სოფ-  
ლის შუაგულ ვაკეზე, სადაც მამაკაცები დღესაც საბასოდ სხდებიან.

თუშებმა ერთმანეთის დახმარებაც იციან და გაჭირების დროს  
ხელის შეწყვობაც. ვისაც მიწის დასამუშავებლად იარაღი, თუ საქონელი  
არ ვააჩნია, მას მეზობლები შევშეცემიან და ამას „ხარმოხნა“-ს  
უწოდებენ. ხარმოხნის დროს შეელიან უსასყიდლოდ, მხოლოდ მის-  
პინძებმა სადილი უნდა იქამოს. რაიმე უბედურ შემთხვევით დაზარა-  
ლებულს თუშები „ოჩხარს“ უმართავენ და ყველანი ეწევიან რითაც  
შეეძლიანთ: ფულით, სურსათით თუ შრომით. მაგალითად, დაზარალე-  
ბული მეცხვარე არაუს გამოხდის და საოჩხაროდ მეცხვარებს დაუკლის  
და ყველანი დაილოცებიან და ოჯახის პატრონს ცხვარით შეწევიან.

ფიზიკურად თუშები მაგარი და ჯანმრთელი ხალხია, განსა-  
კუთრებით ჩაღმის თემის ის ნაწილი, რომელიც ბარად არ ჩაღის.   
მიმთაბარე თუშები კი დაავადებულები არიან ალეანის მალარიით  
და ფიზიკურადაც შედარებით სუსტნი არიან. თუშის ტიპი ქართუ-  
ლია. მას ძევს სახის სწორი მოყვანილობა, ფერით შავვრემანია და  
ტანით საშვალო სიმაღლისა. მთასა და ცხვარში შეხრდილი თუში  
გულადია; იგი მტერს მტრულად უხედება და მოყვარეს მოყვრულად. სა-  
ზოგადოებრივ და საქმიან ცხოვრებაში თუში ზრდილი და თავაზიანია.  
მას უყვარს შრომა, გარჯილობა და დოკუმენტის მოხვევა. თუში ამას-  
თანავე მომჟინება, დროსა და ადგილის ანგარიშიანიც; ის აზროვნებს  
დინჯად და საღად, თქმაში გონებამახვილია, მოქმედებაში ვარდი. თუშები  
მეტყველებენ წმინდა ქართულით, მხოლოდ ჩაღმის ზოგიერთ სოფლებ-  
ში, მომალოსა და შენაქოში დღესაც დაცულია ქართული ენის თუშერი  
თქმა, ზოგიერთ ბერების და სიტყვების თავისებური გამოთქმით <sup>1</sup>.

<sup>1</sup>. ა. შ ა ნ ი ძ ე ქართული კილობი მთაში (კრებული, იგ. ჯავახიშვილის  
რედაქციით, ტფილისი 1915 წ. გვ. 185—202).

ამის სანიმუშოდ ჩეენ აქ მოეიყვანთ ერთ თუშერ ზღაპარს! გარდა — ერთ მელა ყოფილიყო, მოალის თურ მოალისა და ეთე ქერის თავთავი მეეხელა, წავიდ სოფლის ახლოისა და ერთ სახლის კართან დეეცუდა, მემრ უძახ:

— ოჯახის შეილებო, სახლში არ დაგაყენებთაავ?



სურ. 49. თუშ, სოფ. შემაქოდან.

- მოდილავ, მელო, მოდი, რად არ დაგაყენებთავ!
- შესულიყო და ეთქეა:
- ესელქერის თავთავი სიაც მამალა გიჯდებათავ იქ შემინახეთავ, წასრულიყვნეს და სიაც მამალა ჯდებ იქ დედვ ქერის თავთავი მეორეს დილა ეთქვ მელოს:
- ეგელ ქერის თავთავ გამომიტანეთავ!
- შესულიყვნეს, რა ქერის თავთავ ნიმალას შეეკამ. მემრ მელოს ეთქვა:

- მომცემთ ემაგ მამალაასავ, არაოდ სახლ-სამყოფს დაგილევთავ.
- ამდგარიყვნეს და მიეც მამალია. წავალის თურ მელო წავალისა და მეორე სოფელში წასულიყვ წასულიყო, და ეძახა:
- ოჯახის შეილებო, სტუმარ არ გინდათაავ?
- გვინდავ მელო, გვინდა, შემოდილა!
- მაშილავ ეს მამალაი, სიაც ყონ გიბიათ იქ დააბითავ.
- წასრულ იყვნეს და დეებ ის მამალაი, ღია იქ დამდგარიყვ მელოი. მეორე დილა ეთქ: ისილ მამალა გამომგვარეთავ!
- შესრულიყვნეს და ენახე ყოჩის მეუჯლიხა და მეეკლ ის მამალაი. მელოს ეთქე:
- მომცემთ, მომცემთ ემაგ ყოჩის, არაოდ სახლსა სამყოფს დაგილეთავ.
- მეტი რა დრო ხქონდა, ეყვანა და მიეც ყოჩი. წავალის თურ წავალის მელაი და ახლა სხვა სოფელში წავალის. წავიდა, დაუძახა:
- სახლის პატრონებო, ღლეს ღამელ შემინახეთავ!
- მოდი მელო, მოდი შეგინახაეთავ.
- მაშილ, ესელ ყოჩი ბაზტეს დააბითავ.
- წასულიყვნეს, ბაშტეს შეეცან და დეებ ეს ყოჩი. იმ სახლის პატრონებს თურ სამ ქალებ ხყანან: ცუტუნა ქალ თურ მეტად ლამაზი. დაწვენეს, ყველანო დეებინა. ადგა ეს მელოიდ თურ იმ ცუტუნა ქალს დანა მოხპარა, ყელი გამოჭრა თავის ყოჩის, სისხლიან დანაი თური. იმ ცუტუნა ქალს ჩუდვ ჯიბეში. მეორეს დილა თურ უთხრ:
- უგელ ჩემ ყოჩი გამომგვარეთავ!
- უა მელო, შენ ყოჩი სად ყელი ვისამ გამუქრია.
- არავინაც არ გამოსჭრიდა ყელს და არავინაც, არა თქვენ მოგიკლავთა ის ყოჩიო.
- არავ მელო, არავ ჩენ არ მოგიკლავა.
- აბა მაშინ დანებ მანახეთა, ვისიც დანაი სისხლიანია იმის მოკლულ იქნებავ ჩემი ყოჩი.
- ნახეს და ცუტუნა ქალის დანა იყვ სისხლიან.
- იმას მოუკლავავ ჩემ ყოჩიო. მომცემთ, მომცემთავ ამ ქალსავ, თუ არავ სახლს სამყოფს დაგილევთავ.
- იყვანეს და მისცეს ის ქალ მელოს. ჩასვ გუდაში, იიკიდ ზურგთ და წავალის თურ მელო, მღერის:
- ვიცინცულე, ვიკუნცულე ერთ ქერის თავთავ მოეხელე, ქერის თავთავ მამლად გავყიდე, მამალაი ყოჩად გავყიდე, ყოჩი ლამაზ ქალად გავყიდე.
- იქ ახლოს თურ ყანას ახნევენ, მოხნავ უძახ მელოს: მელო, აქალ მოდი!



წავიდ მელოი და დაჯდ იმ მოხნავთან, გუდაც გვერდ დაივჭ,  
მემრე მოხნავმა უთხრა:

— მელო, ამ საცრით წყალ მომიტანიდიყ!

წავიდ მელოი და წყალ ვერ ადენებს საცერში, მემრ უძას მოხნავს;

— მე ამ საცერში წყალს ვერ ვაყენებავ.

— მოხნავ დუძას, მიწით ვოზევ!

ეგოზ ამ მელას. იმისობაში იმ მოხნავს ის ქალ ამესს გუდითა,  
ძალლის ლეკვა ჰყვანიყვ და ის ჩეესვ გუდაში. ქალ კიდე დეკალ.

ურნატში მოსულიყო მელა, წყალი მელო, ეკიდ გუდშიდ წავალი.

წუწეუნებს თურ ის ლეპეა გუდაში, წუწეუნებს თურ მელა და ეტყვის:

— ნუ სტირი ქალო, ნუ სტირი, სუროს კარ წაგიყვანავ, ჯვარ-  
მალიანას განაცვევა.

წასულიყვნეს სუროს კარ, გეესსნ გუდაი და შიგითა თურ ძალ  
ამოფრენილიყო და გაქცეულიყო. დამჯდრიყვ მელაი ეტირ, ეტირ,  
ეტირ, ეტირ. ბოლოს ეთქე, რო ჩემის ჭკვისასამც ცველას ეს მოყვა.

სიდო მაქთს ასული მოზაიძე, სოფ. დიკლო, 1932 წ.

წოვა თუშები თავიანთ წოვურ ენაზე მეტყველებენ. მათი  
ენა თავის წარმოშობით ღლილურია და ქისტურის მონათესავე. მა-  
გრამ ამ წოვურ ენაში მრავალია ქართულიდან ნასესხები და შეთქმებუ-  
ლი სიტყვებიც. წოვებს უყვართ თავიანთი წოვური ენა და მინ და  
გარეთ ერთმანეთში წოვურად საუბრობენ. ოჯახში წოვური უველამ  
იცის, რომლის უცოდინარობა მათში სირცხვილია. ბავშვების ენას ამ  
წოვურით იდგამენ და შემდეგ ქართულს სწავლობენ. ქართული,  
ბავშვებისა და ზოგიერთ მოხუცი ქალების გარდა, წოვებში ცველამ  
იცის. წოვების (ზემოაღვანის თუშები) ენა თუშებისათვის (ქვემ  
აღვანი და მთათუშეთის მცხოვრები) და ბარის ქართველებისათვის  
გაუგებარია. სანიმუშოდ იქ მოვიყვანთ ერთ წოვურ ლექს:

დალეკა უ ხუ ვარალო,  
აპ ქნათ დაკდახოდიენო,  
მანქარნ ქნათი უის ოთბიენ,  
დე უვ ვაზას ნიფსოდიენო.  
ჩავიჩა ედგლას ლელბიენ,  
შუი შენბოს ნატროდბიენო,  
ჩავიჩა ედგლას ბავინო,  
დოივ ჩუ ვეპათიენო.  
ჩავიჩა ედგლას ბავინჩო,  
ლეშ შინდა იყითიენო,

მახქარ ტყო კნაიი წუნბადბუიც,  
 აეონ დალენ წყენ ცუი იალო.  
 ფსტეივ ტყო მარინ ლალტბაილუიც,  
 აეოდალე წყრომ ცუიაიელო,  
 ნაზარლაბ ჩუხორებ ეეგოჲ.  
 ი მოე ბაკერ ბადბიენო,



ხერ. 50. წოვათუშის ჭალი.

თივენ მა ჰანა მოთალასო.  
 ზორეიშ ვას მალო ვალინო,  
 ლრატ ღურაბ ეე ვაშა რპერწდიენ.  
 ღაფხარე ვას ქოთოვიენო,  
 ევალეს ღაფხარ ქოთოვიენ,  
 ჰოჭ ჰუმბერ დაყოდალინო.

ნიკო აფშინაშვილი. ტბათანა 1931 წ.

სალაში და ერთმანეთის მოვითხვა თუშებმა იციან. მიქალებებისას იტყვიან: გამარჯობა ვაჟო, ან ბიქო. უცხოს ქალები არ ესალმებიან და გამარჯობასაც არ ეტყვიან. მუშას კი მისალებისას დაუძახებნ გაუმარჯოს ხარმოხნას, მეცხვარეს და სხვა. ქოთილისა და პატივისუ- მისათვის ასე დაილოცებიან: ღმერთიმც გადლეგრძელოს; მადლამ გა-



სურ. 51. წოვათუშები.

ჭეისა ჩემი შეილისადო; ხელმხარი შეგრჩებისა; ხელ მხარიც შეგერებ- ბის; ბედი და ყისმათი დაგადევნოს ღმერთმან; დლეგრძელიმც ხარო სანამ ცაი და მზეია და სხვა. მაგრამ გაჯავრებისას დედაკაცები ასე იწე- ვლებიან: ივრემც დაილევით, როგორც ქვაზე ჩიტის კვალი; კინჭა- რაც ამოვა შენ კართანაში; მამალია ნულარ ყიფის თქვენს ბაშტესათ, თავეი ნულარ წრუშუნებს თქვენს ეზო-ყურესო; მცხლიმც წაგებული და ხელმხარი დაგიშავდებისა; გვირგვინიც გავიზავდება და ნურც გიხარებ მზის ქვეყანაზედაო; სწორნიც გილებდენ ნაბრითაო; მამის- კერაიმც გახდები; უქმარშეილოი მიწად შეხვალ და სახლიმც ნაფუ- რად გექნებაო; კერაზე კინჭარ ამოსასელლო; ვარსკელივი ნამოვარ-

დღება შენს ძმის სწორადაო. ვირში თუ ლხინში თუშები ასე იფიცებიან: ძმების სიკოცხლემა, ძმა დამიბერდეს, ამ მხის მადლმა, იამზის-მადლმა, ამ მატყლის გამჩენის მადლმა, ამ პურის გამჩენის მადლმა, დედამიწის გამჩენის მადლმა, მომავალ მზის მადლმა და სხვა.

სწავლა განათლების მხრივ თუშეთი ჩამორჩენილია, აქ წერაკით-ხეის მცოდნეობა მაპაკაცებში არ აღემატება 50%, და ქალებში კი 20%. თუშები სხვა მთიელებთან შედარებით მეტი საშუალება და უკეთესი პირობები აქვთ განათლებას და უწარითონ. მომთაბარე თუშები სცხოვრობენ ქახეთის შუაგულში, ალვანში და აქედან შესაძლებლობა ეძლევათ დაუკავშირდენ საქართველოს კულტურულ ქალაქებს და სათანადო განათლება მიიღონ. ამას ხელს უწყობს ავრეთვე მათი ქონებრივი მდგომარეობაც, მაგრამ დღემდე თუშები სწავლის ნაკლებათ მისდევდენ. სწავლა-განათლების მხრივ თუშებში წინ დანართ წოვები, და მათში დაინტერესება და ნასწავლთა რიცხვიც შედარებით მეტია. თუშეთში დღემდე ორი სკოლა იყა: თითო ზემო და ქვემო ალვანში, მთათუშეთში კი სკოლა სულ არ ყოფილა. რასაკირკელია ამ ორ სკოლით შეუძლებელია შეიდ ათასზე მეტ მოსახლეობაშიც წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ამაზე ახალგაზრდა თუში მოლექსე ლაზარო იმედიდე ასე მოსთქვამს:

არც სკოლა არის ისწავლო, რომ შეისმინო სიბრძნეა,  
ზოგი არს ჩემებრ ნასწავლი, როგორც მე შეეისწავლეა.

ის გადაუწერს ფიცარზედ ეს არის ანა და ბანია,  
მერე დაუწერს სახელებს, რომელიც მარჯვე არია,  
დაუწერს სიპის ქაზედა, ქალალდის მაგიერია.

არც იქნის საეთოს წიგნები, არც ქალალდ დასაწერია,  
მეც ისე შესწავლილი ეარ, ეხლა რომ ლექსებს ემლერია,  
ესე სწავლობენ მთის ხალხი სკოლებ რომ აქ არ არია.

ამ გარემოებას მიექცა სათანადო უურადლება და 1931 წლის ზაფხულში თელავის განათლების განყოფილებამ მთათუშეთში გამოგზავნა მასწავლებელთა ბრიგადა და წერაკითხეის მცოდნეობის გაერცელების მიზნით, აქ გაისხნა სკოლები და საბავშო მოედნები: ომალოში, დიქტოში, შენაქოში, შევალურთაში, დოჭოში, ჩილოში ფარსში, ჯვარბოსელში და დართლოში, სადაც მთელს ზაფხულში მუცადინეობა სწარმოებდა.

მაგრამ ეს სკოლები სეზონურია და, გარდა ომალო, შენაქო და ჩილოს სკოლისა, ზამთრობით მეცადინეობა წყდება, სკოლები მოუწყობელია და საკუთარი მინაც არა აქვთ. მთელ მთათუშეთში

მარტო ჩილოში აშენდა სასკოლო შენობა, სადაც მეცადინებამ შექმნა ძლებელია. განათლების ორგანოებმა მთათუშეთში უფრო ფართვი საგამანათლებლო მუშაობა უნდა აწარმოვონ და ახლო მომივლისათვის აქ უნდა გაიხსნას რამდენიმე ოთხწლედი, რომ ამით მოსახლეობას საშუალება მიეცეს, თავის კუთხეში მიიღოს დაწყებითი განათლება.



სურ. 52. თუშის ქალები სოფ. ომალოდან.

ამასთანავე მთათუშეთში არის ორიოდე ქოხ-სამკითხველო და რალიო—სოფ. ომალოსა და ჭილოში; რაღიოს მოსახლეობა დიდი ინტერესით უსმენს. მთათუშეთი უკვე გამოფხიზლებულია. მისი ახალი თაობა დაინტერესებულია ცოდნის შეძინით და სწავლის მისაღებად თელავ-ტფილისისაკენ მიმუშრება. ამას დროზე უნდა ყურადღების მიეკუთვა. საჭიროა მათთვის რაიონში გაიხსნას მეცხვარეობის საშეალო სამეურნეო სკოლა, რომელიც მოამზადებს დახელოვნებულ მეცხვარეთა ახალ კადრებს.

მთათუშეთში ყველაფერი მოძრავი და მომთაბარეა. ამიტომ, აქ არ არსებობს მყარი ადგილობრივი პარტიული უჯრედები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. აյ არც სასამართლოს უწყებაა. ზაფხულობით კი აიღდის თელავიდან გამოგზავნილი სესია, რომელიც აქვთ არჩევს სამართლის საქმეებს. ზაფხულობით ომალოშია ქეემო აღვანის სასოფლო საბჭო და თელავის პოლიტბიუროს უჯრედი, რომელიც ადგილზე ატარებს ცენტრის განაკარგულებებს.

საყოფაცხოვრებო საკითხებში მნიშვნელოვანია მოსახლეობის კეებისა, ჰიგიენური პირობებისა და მეურნალობის ვითარების გარკვევა. ამ მხრივ თუშებს სხვა მთიელებთან შედარებით მეტი პროგრესიულობა ეტყობათ. თუშები სცდილობენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას და ამ მიზნით აგებენ ქილაგურ ტიპის სახლებს და მათ შინამოწყობილობაც უფრო ჰიგიენურია. კეება აქ სუსტია. მიზხედავად იმისა, რომ ცხიმიანი საზრდო: ერბო, ყველი და სუქანი ხორცი თუშეთში ბლომად მოიპოვება. ყველაფერი ეს რაციონალურად არ არის გამოზოგილი და თუში ზოგჯერ თუ მაძლარია, უმეტეს შემთხვევაში ის ცარიელ კალტზე და ქუმელზე გადადის. თუშები დღეში სამჯერ სჭამენ: სადილი (საუზმე), სამხარი (სადილი) და ვაზშამი. სჭამენ ზომიერად და პურეულ ში ხმარობენ: შმინდა პურის (ხორბალი-იფექლი) ქერის პურს, სვილის პურს და ქერსვილის. პური ცხვება ხაშიანი და უხაშოც. თუშური პური მრგვალი ფორმისაა, ცხვება ქვის ღუმელში და იწონის ორ გირეანქამდე. პურთან თუშები მჟადსაც სჭამენ. მჟადი ალვანიდან ამოაქვთ. თუშის ჩეულებრივი საჭმელი ქერის ქუმელია.

ქუმელის ქერი ფიქალზე ინ თუნუქის ტაშტზე იხალება, შემდევ დაფქვევენ და გუდაში ინახავენ. პურის ჭამის წინ ქუმელს ამოილებენ და ხელის გუდაში ჩაჰყრიან, მარილს დააყრიან და ქუმლიან გუდას მუხლზე ორივე ხელით სრუსავენ. ქუმელი იზილება იგრეთვე ხის დიდ ჯამზე ან ვარცლში. განელილ ქუმელს იღებენ ზუპით და სჭამენ ან და მას კვერის, ფორმის აძლევენ („ყვა“) და ისე სუფრასე ჩამოარიგებენ. ქუმელი თუშის ყოველდღიური საჭმელია და მწყებს მეცხვარეებს ქუმელიანი გუდა მუდამ ზურგზე ჰკიდიათ. თუშების თქმით ქუმელი სუბუქი და აღვილი მოსანელაბელი საჭმელია და მას ქერის პურზე და მჟადზე მაღლა იყენებენ. მისი დაწზადებაც უფრო იოლია: შეზადა გამოცხობა არ სჭირია. სტუმრობაში ქუმელი ერბოში იზილება და ის უფრო გემრიელია.

პურის ნამწხვრებში მიღებულია: კოტორი (ქადა), თხელ ქერქა პურის ან ქერის ნამცხვარია, რომელსაც გულად უდევს ერბოში მორეული კალტი; მა ჭკატი თხელია, როგორც ბლინი. ფქვილს გახსნიან ქვერცხიან რძეში და მას ჩამიჩით იღებენ და გაბურებულ სიპჩე ასხამენ, მაჭუატი ერბოთია გაპოხილი და ჩერა მოიწვის. ამ მაჭ-

კატს ხაეიწუში ამოაწობენ და ისე სქამენ; გორდილი სიმინდისა და პურის მოხარშული კვერია, მას ერბოში აწობენ და ისე სქამენ, მოსმული ა თხლად ხვეული მოხარშული ცომია, რომელსაც ჩატყრის კალტიან ერბოში და ჩხირებით შეექცევიან. ხინკალი იცან; ხორცისა, კართოფილისა, ჩაღასი, ვინჭრისა სხვა. ხელის ხინკალი „ხუხუ“ ეწოდება. გარდანა პურს ჩაფხვნიან ერბო—კვერცხიან რძეში და ცოტათი წამოადულებენ. მუს ხუტერა—შერისის ფაფა. საფაფე შერისა წყალში ხარშავენ, ზერე გასწურავენ და მა განაწურ სითხეს სანამ არ გასქელდება, ადულებენ, შემდეგ მარილს მოუკიდებენ და კოვზით სჭამენ. ფაფას ავრეთვე აკეთებენ პურისა და სიმინდის ფქვილისაგან.

შექამანდს თუშები „სატან-საპოხს“ უწოდებენ რძის ნაწარმოებში ხმარობენ: ყველს, ერბოს და კარაქს. მათ შორის კარაქს იშვიათად სქამენ, კალტი კი ჩვეულებრივი საჭმელია. ბუყდუნი კალტის ხაეიწია. ყოლო-მეავე დოში ხმელ პურს ჩაფხვნიან და ისე სქამენ. ერბოანყვა—ქუხელს კალტში გაზელავენ და ერბოთი სქამენ: საჩხრეკა, მეავე დოა, რომელშიაც ქუმელია გახსნილი და მას კოვზით ხვრეტავენ. ჩოგი გაზელილი ყველია და მას მეცხვარება ქუმელს ატანენ. საჩოგედ ახლად ამოლებულ ყველს სამ დღე უმარილო ინიხივენ, ყველი ფუფულება და მეავდება. შემდეგ მას ხელით სტურენ, მარილში გაზელავენ და გუდაში ინახავენ.

ხორცეულში თუშები სქამენ: ცხვარს, თხას, ხარ-ძროხას, ზოგოერთი ლორსაც, დათვეს, ფსიტს, შველს, ირემს, კურდლელს, თვეშს, ქათამს, მტრედს, კაქაბს, შურახს, როჭოს და სხვა. ცხვრის ხორცისაგან ამზადებენ „ყაურმას“. ამისათვის ცხვარს თვევის დუბაში მოსწევავენ და გუდაში ჩაიწყობენ. ხა შლამა ცივად მოხარშული ხორცია. ბოზბაში წვნიანი ხორცია. იციან ჩიხირომის გაკეთებაც, რომელსაც საფანლით და კოწისურით ამზადებენ. „ყალი“, მზეზე გამოშრილი ცხვრის ხორცია, და მას ზამთრისათვის ინახავენ. დამარილებული ყალი ლორიით არის გამოყენილი, რომელსაც უმად და წყვიწი მოხარშულსაც სქამენ. ამ საკუმელებში ყველაზე საუკეთესოდ ითველება ყაურმა, კატორი, და ხინკალი. მთათუშეთში ბოსტნეული და ხილი არ არის და მწვანეულის მოთხოვნილებას სხვადასხვა მინდვრის ბალახეულით იქმაყოფილებენ. ზოგი ბალახი მხალად იხარშება, აზვებენ მარილ-ერბოში და ისე სქამენ, ასეთი ბალახია: ძალლოვლა, ლოლო, ლანძილი, დუცი, ჭინჭარი, სალვიძლა, ქვიშამხალა, ბუერა,

1. ერევლე მუტის ამალაზი ერთ თუშს დიდი ვაკეაცობა გამოიჩინია. მეტე გულადი თუში დაუსაჩუქრებია და თავის სუფრაზე დაუშვევენა, მაგრამ თუშს არაერთ უჭამია, მეტეს ეს სწერენ და უთქვამს: „თუშო, რა საჭმელი გსურს რომ მოვატანირა?“ თუშს უთქვამს: საჩხრეკა მომიტანეოთ.

თითაბო, სასუქა, ვაშლისულა ჩადა, გიჩინტარი, ძირხევნა, მძიებნა, გომატი და სხვა.

ზოგიერთ ამ პალას დასკრიან, წყალში მოხარშავენ, ფქვილის საფანელს მოუკიდებენ და ისე სჭამენ, ამ საჭმელს „ჩავა“ ჰედა. უმაღ სჭამენ: ჭიმს, მჟავნას, გიერას, წირთხალს, ხარნუყას, რომელ-საც აგრეთვე შეავე დოში აწობენ და ისე სჭამენ. მარიამშვარიას შუბყას, დიყს, ჯორ-თკერდას, დეკას, კლდის დუმას, მათუთს, შატყს, ვირბატრას, ქარცხეს, კვლიაის და სხვა. წნილად ამეავებენ: შებუს, დიყს, სასუქას და ჭიმს. საჭმლის სანელებად იხმარება: ქონდარი, წყლის მჟავნა და ნიორი. მთათუშეთის მოხახლეობა, იკებება ტყისა და მპინდერის ხილით: შავი ქოლი, სტომი, კერძრა, მარწყვი, ხერტ-კმელი, ხუწი, შოთხევი, ხვაფა (მალინა), ცირცელი, თურსა, თხილი კოწოხეური, ალუდა, ზოთხოლი, ესკალა და დედული. სჭამენ აგრე-თვე „ხალცუა“-ს ფიქეის ნორი ყლორტია. ლეჭავენ „ოქს“ (კევი). წუწნიან „მოწს“ ფიქეის კანქვეშა წვენს. თამბაქოს ძალიან ეტანებიან და თითქმის ყველა ერვა. დედაკაცები ბურნუთს ხმარობენ.

სასმელი თუშებს უყვართ, და მას შინ ამზადებენ. ჩაის ადგილას აქ ხმარობენ მოხარშულ თავშავის წვენს, გულბანდს. გიეშს და ქონ-დარს. მაგარ სასმელე ში ეტანებიან ლვინოს, რომელიც მთა თუშეთში ძნელი საშოგარია და მას კახეთიდან ეზიდებიან. თუშის ჩერულებ-რივი სასმელია; ნიხი, ორაყი და ლუდი (ალუდი), ნიხი, შერიის წვენილან მზადდება. შერია იხარშება და მას ერთ მუჭა ფორს დააყრიან. ფორი მას ორ დღეში ამჟავებს და ასე დამზადებული ნიხი შეშხვნა სასმელია.

არაყი ჩერულებრივი წესით მზადდება. ცაუშები ქერის არაყია ხდიან. სიარაყი ქერს მსხვილად „გვრიშა“-დ დაფქვავენ, ქვაბში ჩაყ-რიან და ერთს წამოაულებენ. შემდევ მას კოდში გადაილებენ და ფორს ჩაიყრიან. რამოდენიმე ღლის განმიელობაში ის მეოდება და ისევ ქვაბში ისსამენ, რომელსაც ზედ ზარფუშს დააღვამენ. ქვაბს ზე-უნთებენ ძლიერ ცეცხლს და რომ არ დაიხსრავს ზოგჯერ გრძელ ჯო-ხით მოურევნ. ხარულებში მიღია მოთავსებულია საცივარ გეჯაში და ამ მაღლიდან არაყი ვრწელში იქუჩება. თავი „წინა“ არაყი, მაგარი და სასიამოენი დასალევეია, „შამანი“, ანუ ნაბოლარი არაყი, მწლაკე და უგემურია. არყის გამონახად ხოტს (ჩენჩოს) აშრობენ და ზამ-თარში საქონელს ავტევენ.

ლუდი, თუშურიად ალუდი, ქერისაგან იხარშება, ზოგჯერ კი სვი-ლისაგანაც მზადდება. ლუდი საპატიო სასმელია, და ის იხარშება განსაკუთრიბულ შემთხვევებში: ხატობას, ქოწილსა და ტირილში. ლუდი იხარშება საქვაბეში (სალუდე), რომელიც სოფლის რომელიმე უბანშია მოთავსებული. ზოგიერთ სოფელში ორი სალუდეა გამართული. სალუდე სიპი უვითა ნაგები და წარმოადგენს ერთს დიდ მიწურ

ოთახს, სადაც მოთავსებულია სალუდე ჭურჭელი და იარაღი. საქანები სოფლის საკუთრებაა, და მასში წილი უძევთ მხოლოდ მამულიან მეკომურებს.


სალუდე ქერი ჯერ ფორად უნდა იქცეს ე. ი. წყალში დამბალი ქერი შრება და შემდეგ ტებება. ამ ფორს დაფქვავენ, სალუდე ქაბზი



სურ. ნვ. სალუდე.

ჩაპყრიან და აღულებენ. როცა ნადული დაიწმინდება, ლუდა ქვაბიღან ტარკოშით იღებენ და კოდში ასხამენ. ქვაბის ძირში დალექილ ხოტს (ჩენჩის) ტომრის პარკებში „ხაქში“ გადაიღებენ და „ხევდათი“ (თვებრტყელი ჯოხია) ჩახებავენ. ხაკებს ჟილში „საყელა“-ს გაუსერენ, რომელიც ორწნეულიან ჩხირისაგან შესდგება. ეს ხოტიანი პარკები ნავში ჯერ ორტოტა ხის „არტახებით“ იწურება და შემდეგ ზედვი გამართულ ხიდზე ჩამოჰკიდებენ და ისე წურვენ. კოდში და ნაცი მოთავსებულ ლუდის „დარკოს“ (წევნის) ისევ ქვაბში ჩაასხამენ და თან სვე ბალახს ჩაატანენ. სამ კოდ ლუდს უნდა 5-6 ლიტრა სვე ბალახი, რომელიც კახეთიდან მოაქვთ, სახელდობ შილდიდან, ენისელიდან

და ართანა —ნიცარეულიდან. სალუდეში ქვაბს ახლა მაგარ ცეცხლს შეუნოებენ, გრძელ ჯოხით „ქოჯოთ“ ურკვენ და დიღა—საღამომდის ძლიერ აღუღებენ, სანამ დარკო არ დაიღუღებს. მოდუღებულ ლუდს




სურ. 51. საზორველი ხახა

ქვაბიდან ტარკოშით საწლეში გადარჩყავენ და ამ საწლეთი ნავის თავზე დაგებულ დაჯირის ბალაბზე ასხამენ, რომ ლუდის წვენი სვებალახისაგან გაიწუროს. გაწმენდილ ლუდს ნავიდან კოდში გადაასხამენ და გრილ ადგილას მოათავსებენ.


ლუდსა და არაყს თუშები ბევრსა სვამენ. ლუდის სასმელად ხმარობენ ჯიხეს რქებს, არაყისათვის კი ყანწებს. ხატში და ქორწილ-ტირილში ლუდი განუსაზღვრელი ისმის, ვისაც რამდენის დალევა შეუძლია. სასმლის დაძალებაც იციან. აქაური ლუდი სუფთა და სასიამოვნო სასმელია.

ს. მაკალათია, თუშეთი.

მთათუშეთის მოსახლეობა ჯანმრთელია განსაკუთრებით მისა და ნაწილი, რომელიც ბარად არ ჩადის. ამას ხელს უწყობს იქაურა მაღალ მთის სალი ჰაერი და ცხიმოვან ნივთიერებათა სიუბევი, მაგრამ ანტიბიოტიკების გამო სხეადასხევა სენი იქაც გაფრცე.



ტარაოშა



სურ. წნ. ტარკოშა და საწყდე.

ლებულია. მათ შორის ყველაზე გავრცელებული მაღარიაა ( $25\%$ ). აციებს მომთაბარე თუშებს, ალვანში და შირაქში მაცხოვრებლებს. ალვანი ციებ-ცხელებიანი აღვილია და ზაფხულში მეტად ცხელი. ალვანის თუშებს ეს ციება სხეულში აქვთ გამჯდარი და მიღწედავად იმისა, რომ ზაფხულობით მთათუშეთში იხინებიან, მაინც ყველა აციებს. შემდეგ გავრცელებულია კბილ-ლრძილის დაჩირქება  $8\%$ , კლექტი  $8\%$ , და რეცმატიზმი  $9\%$ . ჭრილობა და სიმსივნე ხშირია. გავრცელებულია აგროვე მუცელის ჭია და არის რახიტის შემთხვევები. ფიზიკურ ნაელში აქ გვხდება სიკომლე.

ხალხის მკურნალობის საქმე მთათუშეთში უნუგეშო მდგომარეობაშია. მთელ მთათუშეთში ერთი საფერმლო პუნქტია სოფ. ომალოში. ზაფხულობით მუშაობს თელავიდან მოვლინებული ექიმი, ზამთარობით კ.

ჩრდილოდ ერთი ფერშალი, რომელიც წამალსაც თეითონ გვა-  
ზადებს. რასაკეირველია ასეთ მოზრდილ რაიონს ერთი ფერშალი ვერ  
მოემსახურება და ამიტომ ხალხის მეურნალობის საქმე ექიმშაშების  
ხელშია. ამის შედეგია სიკლილიანობის ხშირი შემთხვევები, რასაც  
უყრადლება დროისე უნდა მიექცეს.

აქაურ ექიმშაშების ზოგიერთ სწორებათა რეცეპტურა ასე-  
თია: მ უ ც ლ ი ს ტეიილისას ავადმყოფს ჭმევენ პილპილს ან ღარ-  
კოს წვენს შეასმევენ. ზოგჯერ შაქრიან ცხელ არაყსაც ასმევენ. იცი-  
ან აგრეთვე დათვის „ნაულელის“ (ნალველი) და საბრის დალვევინუბა. ხ-  
ველის წ ა მ ა ლ ი გულბანდის ბალახის ნახარშია. ასმევენ აგრეთვე  
ხარის „ნაუვერა“ ქონს, რომელსაც აღნობენ და ლვინის ჭიქით შეასმე-  
ვენ. ს ი ს ხ ი ა ნ ს მუცლის სისუსტის მოსაცრელიად ასმევენ ირმის  
კუდისაგან დამზადებულ წამალს. მოძებნიან ირმის კუდის ძეალს, და-  
ფქვევენ მას, წყალში გახსნიან და ავადმყოფს შეასმევენ. მ ა ლ ა რ ი-  
ი ს წინააღმდეგ წიწყვიან არაყს ხმარობენ. ტ ე ხ ვ ა როცა მოუკა-  
ადამიანს, მოაგროვებენ ცხრა სხვადასხვა ბალახს და ქვაბში მოხარშ-  
ენ. ქვაბზე ლასტს დასდგამენ, რომელზედაც ჩერებია გაფენილი,  
ავადმყოფი ზედ დაწყება და ოფლს იდენს. ს ი მ ს ი ვ ნ ი ს ა ს სხვა და  
სხვა ფაფას აღებენ: მოხარშულ შხამას, ქუმლის ფაფას და შალდაყის  
მოხარშულ ძირს. და ჩ ი რ ე ბ უ ლ ი ს გამოსარწყავად ხმარობენ  
მრავალ ძარღვას. ამ ბალახს გასრესენ და ისე აღებენ. აგრეთვე ამ-  
ზადებენ თხის ქონს და ოჭის (ფიქვის წევნია) მალამოს, რომელიც  
დაზიანებულ ხორცს ამოსქაშს და ჩირქსაც ამოსწოვს.

კ ბ ი ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი ს დროს ბუკანს (კვარი) მტკიცნეულ კბი-  
ლში იდებენ ან შუპყარაის ძირსაც კევიეით ლეჭავენ და ზიფრანასაც  
იდებენ. დ ა კ რ ი ლ ი ს წამალია მარგალიტა ბალახი, რომელსაც ახმო-  
ბენ, დაფქვავენ და ზედ დაჭრილზე მოაყრიან. ჩ ი ტ ი ნ ა ც ა (ჯიბ-  
ლიბო) როცა გამოუვათ, წითელ ძაფიან ნემსს თვალის გასწვრივ მან-  
დილზე ჩამოკიდებენ და ავადმყოფმა მას უნდა უცქიროს.

## 5. ყოფის დამახასიათებელი ჩაღალები

მთათუშეთის ლამაზ ბუნების სივრცეზე მიმოფანტულია ციხე-  
კოშკევანი კოხტა თუშური სოფლები, რომლებიც მთის ფერდობებ-  
ზე გაშენებული და ღრმა ხევებით შემოზღუდული. სოფლის მოსახ-  
ლეობა შეჯგუფულია და ამ მხრივ ის არ განსხვავდება მთის მოსახ-  
ლეობის ჩეულებრივი ტიპისაგან. აქა იქ ღრმა ხევებსა და მთის  
მაღალ ბორცვებზე მოსჩინან ძეელი ციხეების ნანგრევები. ზოგიერთ  
სოფლებში ეს ძეელი ციხეები დღესაც კარგად არიან დაცულნი და  
წარმოადგენენ საყურადლებო ისტორიულ ძეგლებს. საინტერესოა გა-

კუნძა მათი ნაგებობის კონსტრუქციის და გრიტულ თავებიდამსახული, რომელიც ლექსისა თუ თქმულების ხაზით ხალხს დღემდე შეუწიაბაკ.

თემობრივ წყობილების დროს ციხე იყო აღამიანის სამეცნიერო თავშესაფარი, საღაც მტრის შემოსევის დროს ის თავის საჭრ-დოვლათით იხიშნებოდა და არსებობისათვის იბრძოდა. უკისო გვარ მტერს ვერ უმქალავდებოდა და ის ფიზიკურად ნადგურდებოდა, ამ. ტომ თემი, თუ სოფელი შეერთებული ძალით იგებდა მრავალ სართუ-ლიან მაგარ ციხეს, რომ თავდაცისათვის მუდამ მზად ყოფილიყ რასაკეირებელია ჩვენ აქ არ შეუდგებით მთათუშეთის პეტა სომხ ციხეების აღწერა-აღნუსხვას, მხოლოდ შევეხებით ტიპურსა და მნიშვნელოვან სიმაგრეებს.

ნაგებობის კონსტრუქციითა და არქიტექტურულ ფორმით მთათუშეთის საომარი ციხეები ორგვარი ტიპისანი არიან. პირველ თავის ფორმით ოთხკუთხებია და სამ-ოთხ სართულიანი. მას დატანებული იქნა კვადრატულად გამოჭრილი პატარა სათოფურებელი და ქვემო სართულიდან ერთი შესავალი კარი. მისი სახურავი ერთ ფარდულიანია და ფიქალ ქვებითაა გადასურული. ასეთია ომალის ციხე კესელო (მაგარი), რომელიც ნაგებია სიპი კლდის მიაღმარებელს.



სურ. პნ. სოჭ. ომალო და მისი ციხე.

ცვჭე. იმ კლდის დასავლეთის ფერდობი ეშვება ილაზნის ლრმა ხევი და დათარულია ფიქვნარით. ციხის მოედანი დავაკებულია, მოედნის ფართობი უდრის  $20 \times 10$  მეტრს და შემოვლებული აქნა აღმოსავ-



ლეთის მხარეზე მაღალი გალავანი, ერთ ზესავალ კარით. გალავანის აღმოსავლეთ-დასავლეთით გამაგრებულია სამი ციხით. ციხეს პირველ სართულიდან აქვს ერთი ზესავალი კარი  $1,20 \times 0,70$  მ. კედლებში გამოჭრილია სარტმლები და სათოფერები. მისი ფორმა კვადრატულია  $5 \times 4,50$  მეტრი, კედლის სისქე უდრის 60 სანტ. და სიმაღლით აღწევს 8—10 მეტრას და. ციხე თავშორდებულია და ჩაქცეული, დარწენილია მხოლოდ ცარიელი კედლები. ამ კედლების კუთხებში ქვის საფეხურებია დატანებული, რომელშედაც ხეები ყოფილია გადებული და ფიჩალ ქვაბით დაფენილი. ომალოს ეს ციხე მიუღია მელია. ერთად ერთი მისავალი გზა იღმოსავლეთის მხარეზეა და ესეც ქვით კირის შეგარ გალავანით ყოფილია ზემოსალუდული. ამ გალავანის გარეთ დღეს დაცულია სამი ქვითკირის ჩარდახიანი სახლი; ერთი ეკუთვნის ბეროიძეს, მეორე თავბერიძეს და მესამე ვარდანიძეს. წინედ ომალოს მოსახლეობა, ამ ციხესთან ყოფილი შეჯვალებული და შემდეგ სოფელი თანდა-თანობით დაბლა დღევანდელ ომალოს ვაკეზე ჩასულა. ხალხის გადმოცემით შამილისა და ლევიანობის დროს სოფელი ამ ციხეში იხსინებოდა და იბრძოდა, რომლის მომსწრე პოხუცი აქ დღესაც არა ერთია.

ომალოს ტიპის ციხეს ზოგან ჩარდახებიც აქვს მიშენებული, საიდანაც მტერს „გოხებს“ ქვებს უშენდენ. ასეთია წოვათაში ინდურთის სამი ციხე, მაღალ ბორცვზე ნაგები და ქვიტკირის გალავანით შემოზღუდული. ციხე 4—5 სართულიანია, რომლის ჭირ-იატაჟი უკვე ჩიქებულია. ციხე კვადრატულია  $7,30 \times 7,10$  მეტრი და აქვს ერთი შესასვლელი კარი  $1,09 \times 0,76$  მ. პირველ სართულიდან. ციხის ოთხივე კედლის გადასახლები ჩარდახი და კედლის სისქე ერთ ხეტრამდეა. ციხის ჩრდილოეთის მხარეზე ინდურთის წყლის მიმართულებით მიწის ქვეშ გაყვანილია დახურული გვირაბი, საიდანაც მეციხოვნებს თურმე წყლი აუზილნიათ. დღეს გვირაბი ჩაქცეულია, მისი სიგრძე დაახლოებით 120 მეტრს აღწევს. წოვათას ამ სამ ციხეს მტერი არა ერთხელ შისდგომია, განსაკუთრებით ქისტები, მაგრამ ეს ციხე ვერ გაუტეხიათ და დამარცხებული უკამაყილან.

წოვათის სამო ციხეო, მშეენიერად დგეხართ გორჩეო, ბერი მოვთხოვენ ნატერიასა მტერთანა საომარშიო. მზის ამოსვლისი ხანშედა გადმოდგებ ქისტის ჯარით, წყალს გამოვიდა ბელადი, სოფელს უნდ მოთხრას ძირით. ხმლით გადავიდოთ სწორებო, ცდის მოვეივიდა ხანით, უშიშრად დავკრად ფრინგულა, თავ ვაყრევინოთ მტერსათ. სამი დღე ლამე გათვენდა შუქ არ უნახავთ მზისათ, თოფისი ჯანლი ჩამოწევა, აღარ სჩანს მთა და ბარით,

ალაზან სისხლად ქცეულა, აღარ ისმევა წყალიო, სიმწყურვილით იხოცება პირიქით მეომარნია. გასწყვიტეს ქისტის ლაშქარი, მოამბეთ დარჩია სამია, სამთავ დააჭრეს მარჯვნები, გაგზავნეს დალესტანშია. წალით უამბეთ დალესტანს დახვედრა წოვათასიო, წოვათის მანდილოსნები ნიჩბით ხვიტავენ ტყეისაო. ქვიშასავითა ეყარა ნასროლი ქისტ—დალესტნისაო. ამ ლექსის გამლექსებელი წოვათას თუშის ქალიო, გულ ლალი არვის, გეგონოთ გულ ჯავრიანი ვარიო,



სურ. 57. ინდურთის სამი ციხე.

მომწყინდა ეგეთ დროება, მუდამ ყოფნაი თმშიო, ქალი და ვაუნი ვერ ვხარობთ დრონი გვაქვს მეტად მწარეო. თმალოსა და ინდურთის ყაიდის ციხეები თუშეთში გაფრცეულია ჩალმისა და გომეწრის თემში. ციხეები უმეტეს შემთხვევაში



ნაგებია მშრლად და უდუღაბოდ, მაგრამ ამასთანავე მტკიცება და ფორმით სიმეტრიული.

მეორე ტაძის თუშური საომარი ციხე პირამიდული სახურავიანია და ჩმ ფორმის ციხეები გაფრცელებულია მხოლოდ პირიქითის ხეობაში, დართლოდან მოყოლებით ნასოფლარ ჭონთიომდე. ეს პირამიდულ გუმბათიანი ციხეები ნაშენია დუღაბით და შედარებით კარგადაა დაცუ-



სურ. 58. სოფ. დართლო.

ლი, მისი კონსტრუქცია და არქიტექტურული ფორმაც ლამაზია.

წევნ აქ მოვიყვანთ სოფ. დართლოში წევნ მიერ აგეგმილ ამ ტაძის ციხის აღწერას. (იხ. სურ. 59) დართლოში ორი ასეთი ციხეა. ერთი სოფლის უკან არის მოქცეული და იდიოქთ ციხეს ეძახიან. მეორე კი შეა სოფელშია მოთავსებული და სასოფლო ციხედ არის ცნობილი, რომელსაც წინათ ნაჭაურიძეების ციხეს უწოდებდნენ, დღეს კი ნადირაანთ ციხეს ეძახიან. ნადირაანთ ეს ციხე კვადრატულია  $4,40 \times 4,40$  მ.

პირველი სართული წარმოადგენს ბნელ და დახსურულ საბრაფს, სადაც ჩასვლა შეიძლება მეორე სართულის იატავში გამოკრილ. ერთოდან 65X30 სანტ. ხის კიბის საშვალებით. ამ სართულის ტანიებს ამწყვდევდენ. (იხ.გვეგმა. სურ. 60)

მეორე სართულის სამხრეთის კედელზე პატარა კარის გამოჭრილი 65X45 სანტ. და ზედ გამართულია ხის მაგარი კარი. ციხეში მხოლოდ ამ კარით შეიძლება შესვლა ხის მოძრავ კიბის დახმარებით, რომელი კიბეც შიგ ციხეში შეჰქმნდათ. ეს სართული თაღიანია და მას ჩრდილო აღმოსავლეთის კუთხეში მესამე სართულში, ასასვლელი ერთო აქვს გამოჭრილი.

მესამე სართული კაბადრატულ ოთახს წარმოადგენს. კედებში დატანებულია სათოფურები და აღმოსავლეთით კი მოთავსუბულია სარქელი 30X30 სანტ. ამ სართულის კერში გამოჭრილი ერთო 70X55 სანტ., რომლითაც ადამიანი მეოთხე სართულში აღი.


მეოთხე სართული დასავლეთ კედელში სარქელია გამართული. დანარჩენ მხარეებზე სათოფურებია დატანებული. აღმოსავლეთის მხარეზე კარია გამოჭრილი 1X0,60 მ, რომელიც იკეტება ფაცრის ორედი კარით. კარიბჭის ქვაზე ამოჭრილია წვრილი ხელია ასეთი მხედრული წარწერა: „ეს ციხე ბრატის(?) აგებულია ხუტერის შეილისა“—ო. კერი ხისაა, რომელშიაც ერთო გამოჭრილი და აქვთ კიბით აღიხართ მეხუთე სართულში.

მესამე სართული კედლებშიაც სარქელ-სათოფურებია დატანებული. შისი კერი ფიცრისაა და აქაც გასასვლელი ერთო გამოჭრილი 45X55 სანტ.

მექვსე სართული თაღიანია და ოთხსავე მხრივ გამოჭრილია მაღალ თაღიანი განიერი სარქელი, რომლის ქვეშ გამართულია დახურული ჩარდასი. ციხის სახურავი ნაგებია სიმი ფიქალით, რომლს საფეხურების კიბისებური მიმართება პერმის პირამიდულ გუმბათის ფორმას.


ბრძოლის დროს ციხის თითოეული სართული თავდაცეისათვის იყო გამოყენებული: პირველ სართულში ტყვებს ამწყვდევდენ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთეში მექომურები იხისწებოდენ, მეექსე სართული საომრად იყო გამართული. აქ იყენენ მზეერავ—მეციხეონენ და ჩარდახებიდან ისროდენ თოფებს, აგორებდენ ქვებს და ამგარავ ივერიებდენ კარზე მომდგარ მტრებს.

დართლოს ამ ციხეს განსაკუთრებით ლეკები თურმე მტრობდენ. ხალხურ გადმოცემით ეს მაგარი ციხე ლეკებს ხელში ჩაუგდიათ და შიგ გამაგრებულან. თუშ მზეერავები ციხეს მაღალ უფლიდენ ფერთხელ ციხის სარქელთან შეუმჩნევიათ სადარაჯონე მდგარი ლეკა, რომელიც ლამის წყვდიალში ჩიბუხს თურმე აბოლებდა. თუში მსრო-




ସ୍ତର. ୫୦.



ରାଜତଳେଖି ଗୋଟିଏ ରା ମିଳି  
ପ୍ରକଳ୍ପ




ମୀଲରେଖା ପାତ୍ର




ისტოკის  
ნაგებობა




გ. 2-3 სახი.  
გ. გ. გ. გ.




გ. 4-5 სახი.  
გ. გ. გ. გ.



გ. 6-7 სახი  
გ. გ. გ. გ.




გ. 8 სახი  
გ. გ. გ. გ.



სურ. 6.0

დართლის ციხის გეგმა

მასშტაბი — 1 : 5 = 1 : 2



ლელს ყალიონი მიხანში ამოულია და მექეს სართულში მდგომარეობის კუსათვის თოფის ტყვიით პირი გაუგმირია. ჩქარა თუშების რაზმიც მოსულა, ციხე იულიათ და დაბარუხებული ლავში გაქცეულან.



სურ. 61. გირევის ციხე.

როგორც ჩვენ უკვე აღნიშნეთ, ამ გუმბათიან ტიპის ციხე მთა-თუშეთში გავრცელებულია მხოლოდ პირიქით ხეობაში და ის თავისი ფორმით და კონსტრუქციით ემსგავსება პირიქით ხეესურეთში<sup>1</sup> და ქისტეთ-ჩანჩეთში<sup>2</sup> არსებულ ამავე ტიპის ციხეებს. საინ-ტერესოა მათი წარმოშობის და საღაურობის საკითხის გარკვევა.

თუშების გადმოცემით, აქაური ციხეები ლეკების ნაშენია. მაგალითად, ჭონთიოსა და გირევის ციხე ხალხურ თქმულებით ირს

<sup>1</sup>. Радде, Хевсурия и хевсуры, Тифл. 1881 г. № 235.

<sup>2</sup>. И. П. Щеблякин, Искусство ингушей в памятниках материальной культуры (Известия ингуш. научно-исследов. института краеведения, Владикавказ 1928 г. № 3. 271—277).

შამაშვილ ლექს აუზენებია. ჭონთიოს ციხე უშენებია მატერიალურ  
კი გირევის ციხე. ჭონთიიელები ოსტატს კარგად იურმე კვებავდნ  
და სულ ერბო-კარიქს ამზედდნ. ციხის ავებისათვის ითურიძეებს  
მისთვის 60 ძროხა მიღებიათ. ერთხელ შეიღის მამისათვის შეუძიელია  
„შენ რომ ჭონთიიელები ერბო-კარიქით გავებავენ, მე გირევდნ  
მარტო საჩხრევას მავმევდნ, ამიტომ უნდა ულალატო, ციხე ცედელ  
ავაგო და როცა შევლენ თვეზე დაენგრეთო“. მამას უთქვამს: „თუ  
თონ გირეველები რასა სჭიმენო“.

— ხოტსაო, უპასუხნია გირეველ ოსტატს.

— მაშ შენთვის კარგად უჭიმევიათ და არ ულალატო, რადგან  
ხოტზე უკეთესი რომ თვითონ ეჭამით, იმაზე უკითესს შენ მოვართ-  
მევდენო.

მართალია დლევანდელ თუშეთში სახლის ამგები ოსტატები ლე-  
კებია, მაგრამ ამ ძველ ციხეების აგების დროს საეჭვოა, რომ თუშების  
მოსისხლე მტრებს ლევებს მათვეის ასეთი მაგარი ციხეები აეგოთ.

არც თუშებისათვის იქნებოდა ეს მისაღები, რადგანაც მტრის ხე-  
ლით ნაგები ციხე საეჭვო სიმტკიცისა უნდა ყოფილიყო და თავდაცე-  
სათვის გამოუსადევარი. მაგრამ ჩეენთვის ოსტატის ვინაობაზე უფრო  
არსებითი და მნიშვნელოვანია ამ გუმბათიან ციხის სტრუქტურის სა-  
დაურობის გარკვევა. მისი მაგვარი ციხე დალესტანში არ გვხდება.  
ამიტომ საინტერესოა იმის დალგენა: კავკასიონის რომელ მხარეშია  
ის წარმოშობილი და შემდეგ მეზობელ კუთხეებში გავრცელებული.

ამ ტიპის ქისტურ ციხეების შესახებ მკველევართა აზრია, რომ მა-  
თი ფორმა ქისტეთში უნდა იყოს შესული საქართველოთან, რომლის  
პოლიტიკურ-კულტურულ გავლენის ქვეშ ქასტეთი წარმოალში იმყო-  
ფებოდა<sup>1</sup>. ამას ისიც მოწმობს, რომ ამ ტიპის კოშეი დღესაც დაცე-  
ლია ანანურის ციხის გაღაენაში და ასეთიც პირამიდულ სახურია-  
ნი ხატ—სამლოცველოები მოიპოვება ფშავში. ეტუმა ციხის უ-  
ტატები კავკასიონის ამ არეში პირიქით ხევსურეთ—თუშეთში და აქე-  
დან ქისტეთშიაც გარჯეულ მოსაზრებით აგებდენ ამ გუმბათიან ტი-  
პის ციხეებს.

სამწუხაროდ ამ ციხეებს წარწერა არა აქვთ, რომ შესაძლებელი  
იყოს შენების დროისა და ოსტატის ენაობის დადგნა. მხოლოდ  
დართლოს ციხის კარისპეციება დაცული ამ მხრივ ჩვენთვის უმნიშვნელო  
წარწერა. მაგრამ მთათუშეთის ისტორიულ წარსულის მიხედ-  
ვით შესაძლებელია დაახლოებით მაინც ამ ციხეების წარმოშობის  
დროს განსაზღვრა. ეს დრო მე — 16-18 საუკუნეა, როდესაც ფულა-

<sup>1</sup>Известия Ингушского института краеведения I, 1928г. № 48.280

ლური საქართველო დაეცა და ჩვენში გაძლიერდა სპარსეთ-ისმალე-თავის პოლიტიკური ბატონობა, რომელსაც მოპყეა ლექების გამანად-გურებელი თარეში. ჯერ ლექები და შემდევ მით ქისტ-ჩანჩებიც მი-ჰყენენ და ოხრებდენ მთათუშეთის მოსახლეობას. თავდაცვისათვის საჭირო იყო მაგარი ციხე, ჩარდახ-სათოფურებით გამართული და გრ-ძელი კაეგიანი თოფები. ამ ციხეებში მოსახლეობა თავებიშირებით იბ-რძოდა. ამის შესახებ, ლექსად, თუ პროზად, მრავალი თქმულებაა დღე-



სურ. 62. ფარსმის ციხე.

მდე დარჩენილი. ამ შერივ ცნობილია ფარსმისა და ჰელოს ციხე. ფარსმის მაღალი ციხე შეი შუა სოფელშია იღმართული და კარგად არის დაცული. ამ ციხესთან დამარცხდა, სხვათაშორის, ქისტის ცნობილი ბელადი მურთაზი, რომელმაც თავისი ზარბაზანიც აქ დაა-გდო და დამარცხებული გაიქცა. საყურადღებოა ჰელოს ციხის ტრალიკული თავგადასავალიც. ციხე ჰელოსშია ცნობილ გმირს ზუ-რაბს. სოფ. ჰელო მაღალ მთის წვერზეა ნაგები, რომელიც დღეს უკა-

ცრიელია და პარტაზი. მაღლა აწევეტილი ზურაბის ეს მიუღომენ  
და მაგარი ციხე დღესაც ამაყად გასცემის ნაჩოვანისა და ჭრა.  
თოს შუშებრაზ არეს. ციხის გმირულ ეპოქეს თუში მეცხვარე ლექსა  
ასე მოვეითხობს:

—გვიამბე, ელიზბარაო რა ამბავ მოხდა პელოსა?  
როგორ დაეცნინ ლექები ზურაბის ციხე-ეზოსა?  
—არ მინდა, ძველი დარდები, რომ გულში იწეროს,  
მე რა უნდა ვთქვა, კაცობა მიქელმა დაიკვეთოსა,  
ჩემ ფერების სიცოცხლე სამარემ დაილეოსა,  
ვერ შევძლე იმის მხრის ჭერა, ვერ მოვკვდი, სული მეტემილა,  
თავის აღება არ მწადის ველარ გავშლილვარ წელშია,  
მიქელის ომი და ქცევა ნეტავი თვალით გეხილა.  
—ის რისთვის გესირცხვილება, რაიც არ არის სირცხვილი,  
ჩვენც ვიცით, აგრე გავიგეთ ამბავი კილო კავადა.  
არც ერთი დაგმო, ღმერთმანი, არ ვინ მოვეისხენ ავადა,  
გენუკავთ ომისა აბავი ახლა გვიაბობს თავადა.  
—დიდი მოვიდა მტრის ჯარი, გარს შემოგვერტყა ლობედა,  
შეიდ დღე-ღამე ომი გვერინდა, ვიგერიეთა თოფითა,  
დიაცნი წამალს გვირწყავდენ, ქების ღირსია წორედა,  
შერვე დღეს ტყვია წამალი გასწყდა გათავდა სრულადა,  
ბედმა გვიმუხლდა ტიალმა, გავცულით გავირიყენით,  
მოდგა და მოდგა მტრის ჯარი, ციხეს მოერტყა ლიბოსა,  
რჩებოდა ჩვენი ქალ-ციხე გულხადარისა და დიდოსა.  
ცეცხლად გადიება მიქელი, მარტო ოხრავდა-კვნესოდა:  
„უნდა ცოლ-შეილით მტერს დავრჩეთ სირცხვილი კისრით  
ვწიდოთა,

მას მერმე ტანზე აბჯარი როგორლა დავიკიდოთა?“  
თოვფისა სროლისაგანა ლოყვაი მხართა ეკიდა,  
თოვფის ნაცემი წამლითა თვალითა ალარ უჩანდა.  
„ვაი დედასა მტრისასა ისევ მე დავხოცო ცოლშეილთა.“  
ესა სოქვა, ხმალზე ხელ გაქრა, თავები დასჭრა წამზედა,  
მიქელამ ზურაბის შეილმა სულეთი წიიხდინაო,  
თითონვე დასცა ცოლ-შეილი, უფალს წინ წაუდგებაო.  
მტერს მიეგება ციხის კარს, მეც იმას მივყევ კვალზედა,  
გაუხტა ხმალ მოლირებით ფრანგულმა გაიცინაო,  
თორმეტი მოკლა ციხის კარს ერთურთზე დააწვინაო,  
ეფხს დააცედა კლანჭები, მიქელმაც დაიძინაო.  
პელოს ატირდენ ქალები: ვა რა მტრებ შეგვაწუხაო,  
სტრუმულად მოგვიდიანო, ძალად შინ შემოღიანო,  
გაგზავნილი მეცნეებისა ხმა-ჰქვა არსადა არიო,

რაღა დროს მიშეველებაო, მტერა აიკლო სოფელი.  
 ჰელოს ძირს შემოხეიგოდა სამციხელების თოფები,  
 ლაროვანს ჩამოდგეპოდა ლეგ-ლუგა ფშავლის შეილები,  
 ქვახიდში ჩამოვიდოდენ ვრელ-ჭრულა ხევსურთ შეილები,  
 შეეწივნიან ჩხათანას, ცისას ჰვავს ჩამოტებებისა.  
 ქვახიდის ჭალას გამოდის ბახაის თოფის ჩქამიო,  
 გასჭირებოდა ბახასა ილარ ატყვევა ფშავლობა,  
 დააბრუნიან ტყვევები თვალურემლიანი ქალები.


საბა ითოშრიძე, სოჭ. გირვევი 1931 წ.

ლამაზ ციხეებიანი მთათუშეთის სოფლები, თავიანთ კოშკოვან  
 ჩარდახიან მაღალ სახლებით, გმირულ შთაბჭდილების სტოკებენ. სო-  
 ფლის მოსახლეობა შეჯაფუფებულია. სოფლები კი ერთმანეთისაგან დიდი  
 მანძილითაა დაშორებული. მართალია ერთი თემის სოფლები ალაზნის  
 ერთ რომელიმე აუზშია მოქცეული, მაგრამ სოფლები გაშენებულია  
 მთის მაღლობებზე და ერთმანეთისაგან ღრმა ხევებითაა მოწყვეტილი  
 და შემოხლუდული. ამიტომ აქაურ სოფლებში მიმოსვლაც ძნელია,  
 სადაც ჯერ ღრმა ხევში ეშვებით და შემდეგ ისევ აღმარტუშე აღიხარ.  
 რომ მეზობელ სოფელში გადახეიდეთ. გზაც არ არის და მთის ვიწრო  
 და ხევული ბილიკით აღამიანი ჭირის ოფლით აღის მთის მშევრევაზე  
 მოქცეულ სოფელში. ამ უგზოობის გამო მთათუშეთის სოფლები ერთ-  
 მანეთისაგან მოწყვეტილია, განსაკუთრებით ზამთრობით და თითეული  
 მათგანი მომწყველეულია თავის ვიწრო არეში. თუშეთის სოფლებს თა-  
 ვიანთი საკუთარი სახელები აქვთ, მაგრამ ამ სახელების წარმოშობის  
 ისტორია და მათი გააზრიანებული მნიშვნელობა ხალხში დღეს  
 მივიწყებულია.

მხოლოდ პირიქითის სამ სოფლის: კომთიო, ჰელო და გირევის შე-  
 სახებ ამბობენ, რომ ეს სამივე სოფელი აუშენებიათ სამ ძმა ხევსურს:  
 ჭონთს, ელოს და გირევს და სახელიც მათგან მიულიათ.

მთათუშეთის ზოგიერთი სოფლები აყრილია და დღეს ნასოფ-  
 ლარს წარმოადგენენ. ასეთია მთელი წოვათა, რომელიც მდებარეობს  
 გომეწრის ხეობაში და მოქცეულია წოვათას წყლისა და ალაზნის-  
 თავის შესართავის აუზში. სოფ. ვერხოვანიდან იწყება წოვათას  
 ტერიტორია. პირეველი სოფ. წართა, საიდანაც ტყე ქრება და იწყება  
 ალბიური ზოლი. აქედან ბილიკი ჩადის ფართე ვაკეში, სადაც ვაშლი-  
 ლია წოვათას პარტახი სოფლები: მოზართა, რომლის გვერდით წყ-  
 ლის გაღმა ინდურთა, ზუა ვაკეზე საგირთა და მარცხნივ გორაკზე  
 ეთელტა, საიდანაც გზა ქისტებში გადის. ოხივე სოფელი უკაცრიე-  
 ლია, ადგილი ვაკეა და მაღალ მთებით შემოხლუდული. ხენა-თესეა იქ  
 აკრძალულია და მთელი ეს მიღამო საძოვარ იალალად არის გაშევ-

ბული. მოსავალი აქ დიდი სცოდნია, განსაკუთრებით ქირქ და სეილა. წოვათას სოფლებში ყველაზე დიდი და მცირებული დასახლებელი წარმოიღია. მას წოვები უწოდებენ „წა“-ს წოერად ნიშნავს სახლს. შემთევ მისთვის ქართველებს წარმო დაურთქმევიათო. ამ სოფლების დაცარიელება და აქედან წოვა თუშების ალვანში გასახლება დაწყის.



სურ. 63. ნასოფლარი ეთელტა.

ჯერ კიდევ შე-18 საუკუნიდან, როდესაც მოსახლეობა ქისტ-ლეკების გამანადგურებელ თავდასხმას ვერ უძლებდა. ამასთანავე აქ იცის დადი ზეავები, განსაკუთრებით ზამთრობით და ამ მხრივაც მოსახლეობა მუდამ განსაცდელში იყო. და როდესაც 1830 წელს დიდმა ზეავება დაიტანა და გაინადგურა სოფელი ეთელტა, მაშინ წოვებმა იწყეს აქედან მასიური გადასახლება ალვანში და აქ გააშენეს სოფლები; გურუ-გალ-ჭალა, ტხაკალურია (ტხაკალ-კურდლელია) და წიწოურა. წარსულ საუკუნის ოთხმოციან წლებში წოვათა მთლად დაიკალა და დღეს ის ნანგრევს წარმოადგენს, საღაც მეცხვარების საზაფხულო ბინებია გამართული.

ნანგრევად ქცეული წოვათა მნახველზე დღესაც ძლიერ შთაბეჭდის  
კლილებას სტოკებს და აქ მიმოფანტული ჩარლიანი ციხე-სახლები  
შისა გმირული წარსულის უწყვი მოწმენი არიან. ამ გმირობის გა-  
ლექსილი ზოგიერთი ეპიზოდი ხალხს დღემდე დაუცავს. სანიმუშოდ  
აქ მოვიყვანთ საგირთაზე გამოთქმულ ერთს ლექს:

საგირთეს ციხეს აგებენ, ციხესა იღმისისაო,  
აგაშენებენ მხურვონი ლამაზ ნაგებო ქვისაო.

შიგ ბანებს გიმართვენ, შესახიზნ ქალებისაო,  
სათოფურებსაც უშვებენ საომრად ბიჭებისაო.

ექვს სართულზედა ააგეს, ზეფიდან ხურვენ სიბსაო,  
ქისტეთში ქისტებშ შეიტყეს, მძიმედ მიდგ მოდგებიანო,  
ქისტეს იყრება ჯარები, ციხევ შენ მუქარაზეო,  
გამაგრდი, ციხევ ტიალო, ჯაჭვი ჩაიცვი ტანზეო.

აგეხის ლელეს გადმოდის ჯარები ქისტებისაო,  
გალალებული ბელადი ახალისებდა ჯარსაო:

„ცოლათაც შეგართმევინებთ ქალებსა საგირთისაო,  
საკეცხურ მოვიყოლებთ მარჯვენას კარვი ყმისაო.“

საგირთის ვაკეს ჩამოდგა ნამი არ სწედება ცისაო,  
საგირთელთ ბიჭებშ შეიტყეს, უამი არ აქვთ მტრისაო.  
ციხეში შეგროვებულან ვეფხვები სალის კლდისაო,  
თორმეტ დღე ლამე იომეს, ჩამოტეხვას შგაეს ცისაო,  
თოფისი ილი ჩამოწევა, წევრებ დამალა მთისაო,  
ამბობენ შეწუხებასა ბიჭებისა საგირთისაო.

ტყებია წამალ გასთავებიათ გულგალალებულ მტრისაო,  
ერთმანეთს ეუბნებნებიან: „ახლა დრო მოგვივიდ ცდისა“. „

ვაჟკაცნი გამოჩინდებიან სისხლით შეპლებენ“ ხმალსაო,  
ხმალდახმალ გამოუცვიდნენ არწივინი მალლის მთისაო,  
ჩაერიცნენ და ჩაქაფეს, როგორც ტოტები ხისაო.

ჩაერიცნენ და ჩააფრთხვეს, როგორც რომ ნოტო ცხვრისაო.  
ფშაველ-ხეესურნიც მოვიდნენ, მომშენი თუშებისაო,

ქვემო თუშებიც მოვიდნენ, ილმ შეაბრუნენ წყალსაო.

დაამარცხეს ქისტის ჯარები, მკვდარზე დაყარეს მკვდარიო,  
სიმწუურულით შეწუხებულან მეომარნ საგირთეისაო.

წყლები სულ სისხლით შელებეს, ველარა სომენ წყალსაო.

ალაზან წითლად შელებეს, მკვდარს ვერ აუქცევს ფეხსაო,  
მაგეხის ლელემდის მიჰყვნენ, თავით დაპუუდნ მკვდარსაო,  
მიდიან ქისტეთს, ჩივიან თავიანთ ნახოც მკვდარსაო,

ძნელი ყოფილა ნაკერი, ნაქნევი თუშის ხმლისამ. ე მაგის მომლექსებელი შუა წაროში ზისაო, თორმეტ მეც მერგო მარჯვენა მანდ ნახოც ქისტებისამ.

მთათუშეთიდან გასახლების ასეთივე შემთხვევას დღეს აქვს ადგილი პირიქითი ხეობაში, სადაც 1918 წლიდან თუშებმა იწყეს თავიანთ სოფლების მიტოვება და ბარში სამუდამოდ გადასახლება. სამოქალაქო ომების დროს პირიქითის მოსახლეობა ვერ უმკლავდებოდა ქისტების ყაჩალურ თავდასხმას, მათ ძარცვა-გლეჯას და ამ მიზეზით პირველად ჭონთიერები აიყარნენ აქედან, რომელსაც მიჰყენენ პელოსა, დაქორისა და ნაკუდურთის მცხოვრებნი და ესენი ალვანში დასახლდნ. ამ სოფლებში თუშები დღეს არც ზაფხულობით დგებიან.



სურ. 64. სოფ. დართლოს აკლდამა.

თუშეთის ზოგიერთ სოფლებში დაცულია ზემო ნაგები ძველმ-ბური აკლდამა, რომელსაც თუშები „კალდამ“-ს უწოდებენ. ასეთი

აკლდამებია სოფ. დარითლოში (პირიქითი ხეობა), გუდამთაში (დაბორი), განსაკუთრებით ბევრია სოფ. წაროში (გომეწრის ხეობა). აკლდამა ქვიტუირისაა და წარმოადგენს თაღიან პატარა ოთახს. მას აქვს ერთი შესავალი ვიწრო კარი და ოღმოსავლეთით სარქმელი. აკლდამის საბურავი პირამიდულია. წაროს ზოგიერთ აკლდამას მიცეალებულის დასასვენებელი თაროც აქვს ორ სართულად გამართული. სეუთივე აკლდამები გაერცელებულია პირიქითი ხევსურეთში (ანატორი), ოსეუთში და ქისტეთში<sup>1</sup>.



სურ. 65. თუშერი ჩარდაბიანი სახლი.

მთათუშეოის სოფლებში აღიმიანის ყურადღებას, პირველყოველისა იპყრობს ძველებური თუშერი სახლები, რომლებიც ერთის შეხედვით

1 Л. Семёнов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925—1927 г. гл. 198. (Изв. Ингуш. научно-исслед. института краеведения. I, Владикавказ 1928).

საომარ ციხეებსა გვანან. ამ ძელ ტიპის სახლს თუშებიც დღეს ციხეს ეძახიან. ეს არის თუშური ტიპის ძელი სახლი, სადაც დიდი ოჯახი სცხოვრობდა და შიშიანობის დროს თავსაც იცავდა.

ძელებური ეს კოშეოვანი სახლი მრავალ სართულიანია და ჩარდას სათოფურებითაა გამართული. მგვარი სახლები თუშეთის სამიერე თემში მრავლად არის დაცული და ზოგიერთში დღესაც სცხოვრობენ. მაგრამ ყველაზე კარგად ისინი დაცულია სოფ. ჩილოში, რომელთა შორის ჩვენ ავგებეთ და აღვწერეთ ალექსი ბაკურიძის სახლი, სადაც მისი ოჯახი დღესაც ცხოვრობს. ეს სახლი ოთხ სართულიანია და სიმი ქვით არის ნაგები. მისი ფორმა კედრატულია, რომლის საძრეველის ფართობი  $5,50 \times 5,50$  მეტრია (იხ. სურ. 66).


პირველი სართული „ბაზრეა“, რომელსაც ერთი შესავალი კარი აქვს  $1,30 \times 0,80$  მ. კარი მავარი და სქელი ფიცრისაა და კუდით იქცება, რომელიც საკედლურშია გაყრილი. საკედლური კედლებშია გამოყანილი, რომლის სიღრმე სიგრძეშე ზოგან მეტრს უდრის. ბაზტე ბნელია, მას არა აქვს სარქმელი და იატაკად დაგებულია ქვა ფალი. ბაზტეს კედლის სისქე ერთ მეტრამდე, სიმაღლე კი  $1,60$  მ. ბაზტეს კერზე მციდროდ გამართულია ყავრები, რომელზედაც მიწა დაყრილი და ზედ დატკეპნილი. ბაზტეს კერის ერთ კუნძულში ერდოა გამოჭრილი და აქციან ხის კიბით მეორე სართულში იდიან. ბაზტეში ზამთრობით საქონლი უყენიათ და ის იგივე საქონლის ბოსელია.

მეორე სართულს უწოდებენ „შუა“-ს, სადაც კერდა გამართული და ოჯახი ცხოვრობს. ამ სართულს ილმოსავლეთის მხარეზე კარი აქვს შებმელი  $1,20 \times 0,80$  მ, რომელიც კედით იქცება. იატაკი მიწურია. კედლებში გამოჭრილია ორი სარქმელი  $30 \times 25$  სანტ. და ამ სარქმლიდან ერთ მეტრის მანძილზე ყოფილია გამართული „კერანა“, რომლის მარჯვნივ მხარეზე მამაკაცები სხდებოდენ და მას საკაცო ეწოდება მარცხნის კი სადიაცო. დღეს კერი მთათუშეთში ყველგან მოშენილია და ის იქ არ მოიპოვება. სამხრეთის კედლებში სათოფურებია გამოჭრილი  $20 \times 20$  სანტ. ამ სართულის კერი დაყრდნობილია ოთხ ხილზე და ოთახის სიმაღლე უდრის ორ მეტრს. კერის ერთ კუთხეში მესამე სართულში ასასელელი ერდოა გამოჭრილი (იხ. სურ. 67).

მესამე სართული „ზედა შუა“. ესეც მომრაცხელებული ოჯახის სამყოფოა. როდესაც ოჯახის ნამრავლი შეუაშო არ ეტეოდა ძმითაშეიღების ნაწილი ზედაშუაში გადადიოდა. ამ სართულსაც კარი აქვს საკედით გამართული და დასავლეთის კედლებში გამოჭრილია ორი სარქმელი. იატაკი აქცა მიწურია და ჭრი კი ხუთ ხილზეა გამართული. კერში გამოჭრილია მეოთხე სართულში ასასელელი ერდო.

მეოთხე სართული „ჭერხოვან“-ი და წარმოადგენს დახურულ კაბულ რატულ ოთახს, რომლის ოთხივე კედლებზე მიშენებულია ჩარდახები


Fig. 10 - Urvence





324.000

324.000


111



legt. Dr. Lohmannsche Anlagen zur Backen Ziegeln.




მასშტაბი - 1:50 • 1:2.



სურ. 67. ჩარტლაშიანი საშლის გეგმა

საიდანიც კარზე მომდგარ მტერს ქვებს თურმე უშენდნენ. ჩარდახი შემწლან ყუთივით დახურულია და სხვადასხევ ზომისაა, რომლის პროპორტუია შენობის სიღილესთან არის შეფარდებული. ჩარდახებთან სათოფურები და სამხირ-კუჭრუტანებია დატანებული. ჩარდახი სახლის კარებს ზედ დასკერის, რომ მტერი იხლოს არ მიუშვას. შემდეგ დროის სახლებში და ამ შემთხვევაში ჩუნ მიერ აქ აღწერილ სახლს, კერხოს წინა კედელში ჩარდახის ნაცვლად, გამოვრილი აქვს განიერი არე, ეგრედ წოდებული „სანიავო“  $2.20 \times 1.40$  მ. დღეს კერხო გამოყენებულია საკუჭრაოდ, სადაც იხავენ: სურსათ-სანოვაგეს, ტყავს, მატყლის ნართს და სხვა, რასაც ისეთი სანიავო სჭირია და ამიტომ ეს უფრო გვიანდელ დროს ეკუთვნის. კერხო გადახურულია.



სურ. 68 ჩარდახის სახლის ორნამენტები.

სახლის კერი გამართულია კესის ხიდზე, რომელიც თავში და ბოლოში დაყრდნობილია „ქორბე ღელაზე“. შუაში კი შედგმული აქვს მრგვალი ჯირევი ულიკვი“. კესის ხიდზე გადებულია ორორი ცალი გვერდის ხიდი, რომელზედაც ყავრეა გამართული და ამ ყავრეზე კი სიპი ქვებია დაგებული. სახურავი ორფარდულიანია. კედლებზე ზოგან გამოსახულია: ხუთი თითი, სეასტრიკა, პრიმიტიული ფიგურები და სხვა. ცერთივე ტიპის უფრო დიდი სახლები დაცულია წოვათაში, ნასოფლარ საგირთაში და ეთელტაში. მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდია სოფ. ფარსმის ოთხი ასეთი ჩარდახიანი სახლი, რომელიც უკვი ჩაქცეულან და მხოლოდ კედლებია დაცული. ერთი მათგანის ფართობი  $9 \times 8$  მ. უდრის და სიმაღლით შვიდ სართულიანია. ფარსმის ეს სახლები ორორი ჩარდახიანია და თითოეულ სართულს თავისი კარი აქვს. არის ექვსი და შვიდ კარიანი, კარები ორ კედლებია მოთავსებული

სამ-სამი ან ოთხი და სამი, თითოეულ სართულში გამოტრილია საქართველოს კარებში და სათოფურ-ჭუპრუტანები. კარებში საკედლურებია დატანებული. კედლებშე ხიდეების გასამართი „თარხანია“ გამართული, რომელზედაც კავის თავები ყოფილა გადღებული. ზოგიერთის კედლი სიშაგრისათვის კედლის ბოძითაა შეკრული. ფარსშის ამ მრავალ-სართულიან და უზარმაზარ სახლებში მთელ საგვარეულოს უნდა ეცხოვა და თითოეული კომლი მოთავსებული იქნებოდა ერთ რომელიმე სართულში.

მთათუშეთის ძეველ ნასოფლარებში მხოლოდ ასეთი ტიპის სახლებია ნაგები. ამ მხრივ საყურადღებოა ძეველი დიკლო, რომელიც მდგბარეობს დალესტნის საზღვარზე და აშენებულია მაღალ კლდეზე. მას ჩამოაფის ალაზანი და ამით ის ეყოფა დალესტანს. დიკლოს მაღალი კლდე მიუდგომელია. ერთად ერთი მისასვლელი გზა ჩრდილო-დასავლეთის მხარეზეა და ისიც მაგარ გალავანით ყოფილი შემოზღუდულია. ამ კლდეზე ოცამდე ძეველი ჩარდახიანი სახლებია აწხორილი, რაც გმირთა საგანის შთაბეჭდილებას ახდენს. წყალი „მასაგის ხევის“ რუდან მილებით ყოფილი გამოყვანილი და გაპირვების დროს წყალი ტიკებით ალაზნიდანაც უზიდიათ. დიკლო ხანგრძლივ ებრძოდა ლექებს, ბოლოს ხალხმა ერ გაუძლო მოზღვავებულ მტერს და აქედან გადასახლდა.

ეს ჩარდახიანი სახლები თავიანთ ნაგებობის ტექნიკით და ბუმბერაზობით მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ და მოსახლეობაზი მათ შენებელთა გმირობა დღესაც გაოცებას იწვევს. ხალს არ სჯერა, რომ ეს სახლები დამიანის ხელის ნამოქმედარი იყოს და მათ აშენებას მიაწერენ გრძნეულ „თევეორიკებს“ მაჯლაჯუნებს. სოფ. გირევში ხოსიურიძიანთ ჩარდახიანი სახლი თევეორიკებს აუშენებია. გაღმოცემით ხოსიურიძის წინაპარს ძილში თევეორიკება დაუკერია, რომელიც მას ლამე დასწოლია და ახრჩობდა თურმე. ხოსიურიძეს მოუხერხებია თევეორიკისათვის ცერის ფრჩხილი მოექრა და ხმლის ქარქაში გადაემალა და ამით მას თევეორიკება დაუკერია. ხოსიურიძეს დღე ჯორით ქვა უზიდინია, თევეორიკებას კი ლამე მისი სახლი უშენებია. ერთხელ სახლის უფროსები სტუმრიად წასულან და თევეორიკებას მოუხერხებია ხმლის ქარქაშიდან თავისი ფრჩხილის მოექრა და, სახლის პატრონი ასე დაუწყეველია: „ქალის სიმრავლე და ვაჟის სიმეტრიკო“ და გაპარულა. სახლის პატრონი ხოსიერი 145 წლისა მომეკიდარი. მისი შეილის შეილი ხეტი მექობართა ბელადი ყოფილა, ლექ-ქისტები უხოცია და მათი მოქრილი მარჯვენა ამ თავის სახლის კედლებზე მაუკრავს. ასეთია ამ ჩარდახიანი სახლების შენების ზღაპრული თქმულება.

რასაკეირებულია ამ მრავალ სართულიან სახლებს ერთი მეკომური კერ ააგებდა, მათ აშენებდა რამდენიმე მათაშვილები, რომ პეტო-დათ ნაგარი და სიმედო თავშესაფარი.

თავის კონსტრუქცით და დანიშნულებით ეს სახლები თემობრივი წყობილების ნაშთია და ამ მხრივ საყურადღებო ისტორიული ძეგლია. ამ ტიპის სახლები თუშეთს გარდა მოიპოვება პირიქით ხევსურეთში, დალესტანში და ქისტეთ-ჩანჩეთში. მაგრამ ისინი სათანადოდ შესწავლი-ლი და გამოკვლეული არ არიან და ამიტომ ძნელია მათი თუშურ სახლებთან შედარება და ერთგვარობის დადგენა. საყურადღებოა, რომ ამ თუშურ ჩირდახიან სახლის ტიპის ძეგლებური სახლები დასაელეთ საქართველოში მთის რაჭაში მოიპოვება, სხელდობ სოფ. ლებში, საღაც გას დუროიან სახლს უწოდებენ და ოთხს სართულს არ აღემატება<sup>1</sup>. თუშურისა და რაჭულის ამ შენობათა კონსტრუქცია და სართულების დანიშნულება ერთგვარია, მხოლოდ თუშურის სიმაღლე ზოგჯერ შეიდ სართულამდე აღწევს. რაჭულ სახლს უკანასკნელ ზემო სართულში დატანებული აქვს თაღიანი დუროები (სასროლი), თუშურზე კი მიშენებულია ჩირდახები.

ერთი სიტყვით, ამ მოკლე შედარებიდან ნათელია, რომ ეს ჩირდახ-დუროიანი სახლები თავიანთ კონსტრუქციით, ნაგებობის ტექნიკით და მიზნობრივ დანიშნულებით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაციას ეკუთვნიან, სახელდობ თემურ წყობილებას და ამ მხრივ ქართულ მატერიალურ კულტურის საყურადღებო ძეგლებია. მაგრამ დროთა ვითარებაში ეს ძველებური თუშური სახლები იცელებიან აღამიანის მოთხოვნის მიხედვით და განიცდიან დაშლა-გადაკეთებას. ვისაც შეძლება აქვს ამ სახლს შლის და მასალით ახალ, თანამედროვე ტიპის სახლს აშენებს. ზოგი ძველებურ სახლს ქვად ყიდის და ასე დღითი დღე ეს ჩირდახიანი სახლები ისპობა. უმეტეს შემთხვევებში ამ სახლებს მორდვეული აქვთ მეოთხე სართული-ქრებთ და სამ სართულად არის ქცეული, ზოგიერთი კი ორ სართულამდეა დაყვანილი. ამასთანვე, ზოგიერთები გადაკეთებულია და მიშენებული აქვს სხვადასხვა საოჯახო ნაწილები: კიბე, „ბანედაი“ (ბანი), დარიფანი, კარსე (გასავალი ოთახი), საქსლო და სხვა. კედლებში, ნაცელად სარემლისა გამოჭრილია შუშა ჩისმული ფანჯრები, შიგ კედლები კირითა შეთეთრებული, ზოგან კი შპალიერია გაკრული. კერამოშლილია და სდგას თუნექის ლუმელი ან „ბოხარია“ მიშენებული და ამგვარიდ ამ ციხის ბნელი და ჭვარტლიანი შუა და ზედაშუა დღეს წარმოადგენს ნათელსა და სუფთა ოთახს.

დღვეანდელ თუშეთში შენდება ნარევი და ქალაქის ტიპის სახლები ერთი ან ორსართულიანი, რომლებიც გამიართულია ოთახებით, აივნებით და კარ-ფანჯრებით. სახლის შენების ოსტატობა თუშებში არ იციან. მთათუშეთში სახლებს ლექები აგებენ, ხის ნასალაზე კი

<sup>1</sup>. სერგი შაკალათია, მთის რაჭა, ტფილისი. 1930 წ. გვ. 40-42.

რაჭელი ლსტატები მუშაობენ. სახლებს აქ ქვითკირისაც გვეჩნ. ქვის კლდეში ამტვრევენ და მარხილით ან ცხენ-ვირებით ეშიდებინ. ერთი კედლის ამოსაყვანი ქვის დამზადება აქ ერთ ჰედილად ფასოში, მოზიდვა კი პატრონისაა. რამდენიც სართულია სახლი, იმდენი ოთხ ჰედილად საჭირო ქვის დასამზადებლად. კედლის აგებაც ასევე ფასობს. თითო სართულის ოთხივე კედლის ამოყვანაზე ლევებს თუშება.



სურ. 69. თუშური გადაკეთებული სახლი.

ოთხ ჰედილას აძლევენ. სახლის აგების დროს თუ პატრონი ხელმოვლეა იყიან თხისარი და ყველანი ეწევიან რითაც შეუძლიათ: მასალის მოზიდვა, ფულით, სანოვავით და სხვა. სახლის ლიბოს (საძირკველი) გაჭრისას შას ოთხივე კუთხეში თეთრ ფულს ჩააყოლებენ და სახლის ანგელოზს ხელში არყით ევედრებიან. ღუკები კედლის ამოყვანას რომ მორჩებიან, შემდეგ რამდენი ხეროები კერის გამართვას შეუდგებიან. ჭერს ხურავენ ფიქალ ქვებით. სახურავის სიბი აქ ძნელი საშოვარია და ორ ჰედილად ფასობს. სახლის კარ-ფანჯრებს რაჭელი დურგლები ამზადებენ და ხის აიგებდაც ლამაზად აჭრელებენ. როცა სახლი გაიმართება სამდებოის

იხდიან. ამისათვის გამოაცხობენ ხუთ კოტორს და სამ ხმიალს. აანთებენ  
სანთლებს და სახლის ანგელოზებს ოჯახის ზედნიერებას შესთხოვენ.



სურ. 70. თანამედროვე თუშური სახლი.


ოჯახის გაყოფის დროს სახლი წინათ დედმამას რჩებოდა. თუ მე-  
ბი იყრებოდენ, მაშინ ძები საერთო ხარჯით მეორე სახლს აგებდენ,  
შემდეგ წილს ყრიდენ და ვისაც ჩომიელი ერგებოლა იმაში დგებოდა.

სახლში კერა და შუა ცეცხლი უკვე არ იყიან. იატაკიან ოთახში თუ-  
ნუქის ღუმელი სდგას, მიწურში კი ხის ბუხარია გამართული. ხის  
ბუხარი ქოლგასავითაა გადმოხურული და ცეცხლის ალირომ არ მიცეკა-  
როს მანძილიც გამოზომილია. ცეცხლის ბოლი კედელში და-  
ტანებული მილით გადის. ჩაღმა ჭა გომეწრის ხეობაში საწვავად  
შეშას ხმარობენ, პირიერით ხეობა ტყით ლარიბია და იქ „ბურკეს“  
(წივას) ხმარობენ. ცეცხლს ანთებენ „ბუკვანით“ (ფიჭვის კვარი).

სახლის შინაგანი სახლის სუფთა და შედარებით ჰიგიენურია.  
ზოგიერთი ოჯახები ქალაქურად არიან მოწყობილი: რეინის საწო-



ლებით, შეაფ—სარკეებით, სკამებით და სხვა. საშუალო და ღარის, გლეხის ოჯახში მოწყობილობა ნარევია, სადაც ძელებურ დვამ-კურკლის გეერდით ახალიც ბევრია. თუშერ სახლის შინამოწყობილ-ბის დღეგანდელ ფორმას ახასიათებს კედლის თარო „შეაფი“. თარო




სურ. 71. ბუზარი.

გრძელი და რამოდენიმე სართულიანია. ზოგან ისეთ კედლის კარა-დას შეუშის კარებიც აქვს და მაღაზიის „ვიტრინას“ წააგავს. თაროზე გამწერივებულია ქაშანურისა და ფაიფურის სუფთა კურკელი. ოთა-შში გამართულია გრძელი და განიერი ტახტი, რომელზედაც გადაფარებულია ქეჩა და საგორავი (ჯეჯიმი). კედლებზე გაფენილია ქრელი თუშური ფლასები (ფარდაგი). ტახტთან კი მაგიდა სდგას.

წინანდელი დგამ-ივეჯი მოთავსებულია სახლის ქვემო სართულ-ში და ზოგიერთ ძელებურ სახლებში სდგას ზურგ დაჭრელუ-


ბული გრძელი სკამი „მეხი“, რომლის სიგრძე ოთხ მეტრამდე აღწევს. მეტრი გიშრო მეხზე სტუმარს აწევენ, რომელსაც ქვეშ ნაბადს უგებენ და ზედ დურატყავს ხურავენ. აქვეა აგრეთვე ხის კვადრატული ფორმის ლრმა ტახტი, რომელშიაც ჩაგებულია ქერის ჩალა და ზედ ვადაფარებულია „ხალიჩა“ (უხაო ფარდავი). ტახტი სამ-ოთხ საწოლიანია. ზედ იხურავენ დურატყავს (ცხვრის ტყავის საბანი). თავის ქვეშ



სურ. 72. ტახტი.

იდებენ „სათავსქვიონას“ (დაკეცილი ტყავი ან ნაბადი). ზოგინ „ჯინი“-ც გეხდება. ჯინი ნავის ფორმისაა და შენელისაგან არის მოწნული, რომლის სიგრძე უდრის 1,70 მ. განი კი 0,77 მ. დღეს დურატყავისა და ქეჩა-ნაბდის ნაცვლად ტახტზე მატყლის ლოგინია დალაგებული

და ზედ სუთთა საფენია გადატარებული. აქვეა დატრელებული ძეგლებური ხის „ქროჭი“ სკივრი, რომელზედაც ამოჭრილია გომეტრიული ფიგურები და ზოგან ადამიანისა და ცხოველის სახეები. ასეთ სკივრებში ინახება ძველებური ტანისამოსი და ზოგში კი სურსათ—სანოვაგე. ცეცხლთან დგას ძველებური ხის საეარძელი უჩიკა, რომელზედაც ოჯახის უფროსი ჯდებოდა. კედელთან მიმოფანტულია საოჯახო ჭურჭელი: ხონჩა, დურკი (კასრი), ხეტი, თუნგი, ვაშრავა და სხვა. წყალს ქალები ზურგით ეზიდებიან წყაროდან. მამაკაცი წყალს არ მოიტანს სირცხვილია. წყალს ეზიდებიან თუნგებით, „ვაშრაპით“ პარა თუნგია. საქიტე კასრში ალაგია ხის ქიტები (კოვზები) და კოჩო.




სურ. 73. ქროჭი.

მომთაბარე თუშებს სახლ-კარი ალვანშიც აქვთ, სადაც მათი დიდი სოფელია გაშენებული ქვემო და ზემო ალვანი. ქვემო ალვანში ფიცრული სახლებია, მომცრო და ერთ სართულიანი. სახლები ქალაქის ტიპისაა და კარ-ფანჯრებით არის გამართული. მათი შინწყუბილობაც ქალაქურია. ეზო—კარმილამო შემოლობილია და სახლები ქუჩის ორივე ნაპირზეა გამწკრივებული და იმერულ სოფელს წააგავს.

ზემოალვანაში დღეს დიდი მშენებლობა მიღის. წოვა თუშებმა 1924 წლიდან დაიწყეს ძველ ადგილიდან ალვანის შუა ვაკეზე გადმოსახლება და მთელი სოფელიც ახალ გეგმაზე შენდება. იგებულია ქვითვირის ორ სართულიანი სახლები. ოთახები ქალაქის ყაიდაზეა მორთულ-მოწყუბილი და შიგ ჭველაფერი ფაბრიკულია. გაყვანილია განიერი და სწორი ქუჩები და ეს უზარმაზარი სოფელიც ქალაქის შთაბეჭდილებას ახდენს.

ტანსაცმელი. თუშეთის ახალი თაობა იმოსება თანამედროვე ფორმის ტანისამოსით, მაგრამ თავზე კი ქალებს ჯერ კიდევ ხურავი „კუპურა“ და მანდალი. თქვენ აქ ნახავთ ახალგაზრდა თუშის ქალს მოკლე კაბაში და მაღალ ქუსლიან ტუფლებში კოხტად ქალაქურად გამოწყობილს, რომელსაც თავზე ეს კუჭურა ხურავს და გამოხეყულია შევ მანდილში. მოღის ამყოლი თუშის ქალი დღესაც ვერ შერიგებია ამ მანდილის მოხდის შესაძლებლობას, რომელიც აქ ქალის ნამუსად ითვლება. კუკურა ამიტკლისაგან იკერება. ის ჩიხტის მაგვირია, რომელსაც თავზე მისამაგრებელი სალტები აქვს მიკერებული. კუპურას „შუა თავის კვერი“ გატენილია მატყლით და ზედ შემოელებული აქვს ქინძისთავის დასაბნევი გრეხილი. ამ კუპურას მიზანია თავზე მანდილი დაამაგროს.




სურ. 74. კუპურა.

მანდილი განიერია და კოქებამდე უწევს. მანდილი იკერება შევი უსახო სატინისაგან და სამ კუთხედი ფორმისაა. ის საღა და გაუწყობელია. წინათ სცოდნიათ ფოჩის მოკერება. მანდილის ორი ყური „ზედიყური“ და „ქვედიყური“ გრძელია, რომელიც 4,50 მეტრს აღწევს. თავხურევის წინ თუშის ქალი ჯერ კავებს ჩამოუშევს. გაუთხოვიჩ ქალს წინედ ჩამოუშებული პქნით თოხი „კოჭოლი“ (ნაწინავი), გათხოვილს კი ორი კოჭოლი და ორი „კიკინა“ (კავი). შემდეგ ის თავზე კუპურას დაიდგამს, კავებს გაისწორებს და მანდილს იხურავს. ამისათვის იღებს მანდილის ქვედიყურს და თავშუბლზე მოიხვევს ისე რომ კუპურას სალტები არ გამოჩნდეს. მასე შემოიკრავს შევ სატინის შუბლის სალტეს „თასაკრავს“, რომლითაც მანდილს შუბლის ნაოჭი უკეთდება.

შემდეგ მეორე ზედიყურს აიღებს და მანდილს თავზე შამოიხურავს. მანდილი რომ არ გადავარდეს მას კუპურაზე ქინძისთავით დაამაგრებენ. ეს გრძელი და გაშლილი შავი მანდილი თუშის ქალს სე-

ედიან ელფერს აძლევს და მნახველზე ის მგლოვიარე აღმიანის შე  
ბეჭდილებას სტოვებს. მანდილს დღეს მხოლოდ გათხოვილი ქალები  
ატარებენ, წინათ კი მანდილი გაუთხოვარ ქალებსაც ხურებით, მხო-  
ლოდ უკუპუროდ. ჩამაყაცს კუპურა არ ენახვება, სირცებისა და



სურ. 75. მანდილი.

ამიტომ ცოლი კუპურას ქმარით  
ვერ მოიხდის. გაცვეთილ კუპურას  
ქალები მალულად საღმე გადაა-  
დებენ, რომ მამაკაცებმა არ ნახონ. მამაკაცთან მან-  
დილის მოხდა „თაეილი“ იყო და ამიტომ ქალები  
მანდილს ნიადაგ ატარებდენ და ლამეც მანდილა-  
ნათ წვებოდენ. მანდილს პატავსა სცემენ და „ტე-  
ცილაობის“ დროს დედაკაცები ამ მანდილის შეაში ჩაგდებით მო-  
ხუბრებს აზაევებდენ. უნამუსობისათვის წინედ ქმარი ცოლს მანდილს  
მოხდილა, ჩანდილ-კუპურაზე დააფურთხებდა და გადააგდებდა, რა კ-  
ელის უდიდესი შეურაცყოფა იყო.

მოხუცი თუში ქალები დღესაც ძველებურ უბიან კაბას იცვამენ.  
თუშის ქალის კოსტუმს შეადგენს: პერანგი, ფარიაგა, უბიანი კაბა  
„ნიხა“, მუხლსაცარა, ქათიბი და ტყავკაბა.

პერანგი ი იქერება მიტკლისა ან იარდლისა, მოკლე და გრძელ სა-  
ხელოიანი. პერანგის წერილი საყელო ზოგჯერ მოქარგულია. ამ პე-  
რანგზე იცვამენ მოკლესა და უსახლებო „უარიაგა“-ს. ფარიაგა იკე-  
რება ბამბის ან სატინის ქსოვილისაგან. ფარიაგის საგულებელ დაგვი-  
რისტებულია ფერიდ ხავერდის ან მაულის ნაჭერი, რომლის საყელო  
ამოღებულია და ზედ შემოკლებული იქნეს ოქრომეტედის გრძებილი.  
საგულე შემქულია ვერცხლის „უინეალო“-თი, ძეწკეცებით და ფულე-  
ბით. აგრეთვე აკერია „ვარშავის პეპელა“ (ვერცხლის ლილია). ფა-  
რიაგის თუშის პატარძლები დღესაც იცვამენ.

ამ ფარიაგზე მოხუცი ქალები იცვამენ უბიან ჩოხას. ქს  
გრძელი და მთლიანი კაბაა. ნაქსოვია თუშის ქალის მიერ და ფერით  
მუქი ლურჯია (ინდიგო). ეს შალის კაბა უბე გახსნილია და ამ უბის

ორივე ნაპირზე დაკერტებულია ფერადი მაუდი და შემკულია შიბითა  
და უნეილოებით. უბიან კაბის ბოლო გვირისრიან ტეხილ ხაზებით  
„ქუქუმოთია“ მოქარგული. კაბის უბეგასსნილია და გადმოწეული, რომ



სურ. 76. მანდილის დახურვა.

სამკაულიანი ფარგა კარგად გამოჩნდეს. უბე კარგად რომ დადგეს  
კაბაზე შემოიკრავენ წვრილ სარტყელს „საჭირა-“ს. დღეს უბიან მთლიან  
კაბას არ ატარებენ. უბე გადაჭრილია და პატარძლები, როგორც  
ზედატანს, ფარაგაზე იცვამენ. წინ იფარებენ შივ ან მუქ ფერის  
მუხლისაფარის (წიმისაფარი), რომელზედაც შემოიკრავენ შალის ნაჭ-  
რელ სარტყელს. იმ უბიან ჩოხაზე იცვამენ მოკლე სახელოიან და უკან  
ნაოვიან შავ ქათიბს, რომელიც თავის კრილობით წააგაეს მამაკაცის  
გრძელ ჩოხას. მკლავზე წამოიცვამენ „სახეულს“ (სახელო), რომელ  
საც ქათიბის მოკლე სახელოში შეიტანენ და შივ მიამაგრებენ. სახე-  
ლო ცალკეა და ის სამ ნაწილისაგან შესლეგება: ქუროი, მაჯა და გა-  
მოსატეველი. ქურო სხვადასხვა ფერის მაუდისაგან ზოლებად „ზიკ-  
ს მაკალათია, თუშეთი.

ბადი იქერება. მაჯა და გამოსატეველა ფერადი აბრეშუმია, მოვისერთ  
მაჯას სამი თუ ოთხი გამოსატეველა აქვს მოკერებული. ქუროს იმუ-  
მნენ ზორნაკით (სირმის გრეხილი), ისკუნტალით (ფერადი აბრეშუმის




სურ. 77. თუშის ქალის ძელი კოსტუმი.

გვირისტი), ჭირკვენა და გუგუმა სახეებით. ქალის უბიან კაბას  
რამდენიმე ასეთი მორთული სახელო აქვს და დედაკაცები, დროსა და  
ადგილის მიხედვით, მათ იცვლიან. წინათ ქერივი ქალი ქრელ ქუროს  
გადმოკეცავდა და ისე ატარებდა. ზამთარში ქათიბის ნაცვლად ტყავკა-  
ბას იცეამენ. ტყავკაბი ბეჭვ ჩატრუნებულ ცხვრის ტყავისაგან იკ-  
რება. ტყავკაბას სახელოსა და კალთა-ბოლოში ბეჭვი აქვს შემოვლე-  
ბული. ტყავკაბი წელში გამოყვანილია და მისი კალთები დანაო-  
კებული. წინათ ტყავკაბის სახელო ჩატრილი და ყუთმაჯიანი იყო.  
დღეს კი სწორ სახელოიანია. ფეხშე იცვამენ მატყლის ზოლიან წინ-  
დას და მაზე მაღალ ინ დაბალ ყელიან ქრელ ჩითას. ახალგაზრდო-  
ბა კი ატარებს ყელიან და მაღალ ქუსლებიან ფეხსაცმელებს და  
ტუფლებს.


თუშის ქალებს უყვართ ყელყურისა და თითების სამკაულოთ შემკობა. ხანშესულ ქალებს ყელზე პეილიათ გიშრის ან ქარვის მძიები შეუაში ვერცხლის პატარა ჯვრით. თითზე უკეთიათ „დასევდილი“ ვერცხლის ბეჭედი, ყურებზე პეილიათ „მელანქრიანი“ ვერცხლის საყურე.

თუშურ ტანისამოსის ეს ძველი ფორმა და მორთულობა ხმარებიდან უკვე გამოსულია. აქაური ქალები დღეს იმოსებიან ფაბრიკულ ქსოვილით და მოდაზე შეკერილ მოქლე შავ კაბას და გაუწყობელ




სურ. 78. ფარაგა.

ზედატანს იცვამენ. ამაზე აცვიათ შავი ან მუქი ფერის პალტო. უპალტოდ თუშის ქალი სახლიდან არ გავა და ზამთარ-ზაფხულ აქ პალტოს ატარებენ. მათვის პალტო თანამედროვე ქათიბია და უპალტოდ გავლა სირცხვილია. პატარძლები პალტოს შიგ იცვამენ ფარაგასა და მოქლე უბეს, რომელიც შემკულია წიბინდა შიბით (ვერცხლეულის ძეწევი ფულებით შემკული) და ხმალა შიბით (უფულო). გათხოვილი ქალები მანდილს ატარებენ. თუშის მანდილოსნებს შავი ტანისამოსი უყვართ და ყველანი შავად დათაღხულია. ფერად ტანისამოს გაუთხოვარი ქალები იცვამენ და მანდილსაც არ ატარებენ. მათ აცვიათ




სურ. 79. პერანგი.



სურ. 80. უბიანი ჩოხა.

ქალაქებრ მოდაზე და ეს ახალი ფორმა აქ ალგანიდან შემოღის. მაგრამ ვათხოვდება თუ არა ქალი მაშინვე შავ მანდილ-კაბით შეიმოსება.



სურ. 81. სახეული.


ტად გაწყობილ ჩოხა-არხალუხს, და წელზე იქრავენ სევალიან ქამარ-ხანჯალს. ზამთრობით ზედ იცვამენ ქათიბს(ქულაჯა) და თავზე ხურავთ თუშური ნაბდის ქუდი. აცვიათ ავრეთვე უბრალო შარვალ—ხალა-თიც. ფეხზე იცვამენ აზიურ ჩექმებს, ბოტინკებს, წულებს და სხეა. ქრელ ჩითებს ახალგაზრდობა შინაურობაში თუ ატარებს. თუშებს ნაბადი და თეჭაც უყვართ, რომელსაც მუდამ თან ატარებენ.

მამაკაცები იცვამენ ჩოხა-ახალუხს. ჩოხა ადგილობრივ ტოლისაგან იკერება, ახალუხი კი სატინისაგან. ახალუხის გულისპირს ზოგჯერ გეომეტრიულ ფიგურებით „ჭირკევენთი“ აჭრელებენ და მამალ დედალ „ხრიკებით“ იქრავენ. წინათ ახალუხს მამაკაცებს აბრეშუმის მოკლე ქილეტება—ც ცმიათ და მასრებიანი გრძელი ჩოხა, რომელიც უკან ჩიქებით ყოფილა და ანაოვებული. წინათ იცვამდენ ქრელ ტოლის შარვალს, ფეხებზე ქრელ წინდებს, ჩითებს და ქალმანს. მუხლებზე კი იკეთებდენ პაჭიჭებს, რომელსაც ჩასკრიავით იქრავდენ.

დლევანდელი ახალგაზრდობა ატარებს მოკლე და ტანზე ქოხ-



სურ. 82. აბალი ქოსტუმი.



სურ. 83. ქალბანი.

## 6. ხალხური ჩვეულებანი

ხალხური ჩვევანი მჭიდროდ დაკავშირებულია საზოგადოების სოციალ-ეკონომიურ ყოფასთან და ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმაციასთან საუკუნეებით გამომუშავებული ეს ჩვევებიც ცვალებადია. თუშეთის საზოგადოებრივობა თემურ წყობილებას არ გასცილებია და მისი აღათ-წესებიც ამ თემობრივობის სულითაა გაელენილი. მაგრამ დღევანდელ სოციალისტურ მშენებლობის ხანაში თუშეთშიაც ადგილი აქვს დიდ სოციალურ გარდატეხას და ამასთან დაკავშირებით იცვლება ძველი ყოფის დამახასიათებელი ჩვევები და თანდათანობით იქრება და მტკიცდება ახალი საზოგადოებრივი წესები. ამ მხრივ თუშეთი დღეს ფორმაციის ხანაშია, სადაც ძველი და ახალი თაობა და მათი ჩვევები არსებობისათვის იბრძებიან და ამ წილში ძლეული ძველი მამაპაპური წესებიც ცხოვრების არედან გადიან. ჩვენ აქ შევეცდებით ამ წარმავალ წესებს ფართედ შევეხოთ.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძველი ჩვევანი თუშეთის ყველა თემებში ერთგვარიად არ შემონახულა. წოვასა და მომთაბარე თუშებში (ზემო და ქვემო ოლგანი) ძველ მამაპაპურ წესებს არ მისდევნ და უკვე მივიწყებულია; მხოლოდ მოხუცებს თუ ასსოვთ ამ ჩვევების შინაარსი და შესრულების წესები. მთათუშეთში ხალხური ჩვევები შედარებით კარგად დაცულია ჩაღმის თემში, სადც ძველ ტრადიციულ წესებს დღესაც ასრულებენ. წინათ კი თემობრივ წყობილების დროს თუშეთის ყველა თემებში ერთნაირი აღათ-ჩვევები იყო გავრცელებული, მაგრამ შემდეგში ბარში ჩასული თუშები მოექცნენ ბარის და ამ შემთხვევაში კახეთის გავლენის ქვეშ და თანდათანობით მიიღიწყეს თავიანთი ძველი მამაპაპური ჩვევები.

ამასთანავე ადგილზე გამოყითხვისა და შედარებების საშუალებით ირკვევა, რომ ყოფა-ცხოვრებისა და აღათ-ჩვევების მხრივ წოვასა და მთათუშელებს შორის წარსულში ერთგვარობა ყოფილა და თემურ წოვათაში იმავე წესებს ასრულებდენ, როგორც დღეს ჩაღმა თუშებშია დაცული.

თემურ თუშეთის საზოგადოების ზნეობრივი ურთიერთობა განმტკიცებული იყო და ამობილებისა და და - ძმურ გაფიცვის აღათებით. მმობილები ჭირში და ლხინში განუყრელი იყვნენ. ერთად იბრძოდენ და კვდებოდენ. ღალატი და მმობილის ზურგის შექცევა თემში დიდი სირცეებით და დანაშაული იყო. ამ დროს უმშობილოდ თავდაცვა და არსებობაც ძნელი იყო და ამიტომ ახალგაზრდობა ერთ მანეთს ემშობილებოდენ. ამ მიზნით ოჯახში იმართებოდა პატარა სადილი, სადაც ორი ვაჟები ერთმანეთს მმობას შეფიცავდა და

სიმტკიცის ნიშნად სასმლით საესე ყანწში ტყვიას ჩასთლიდნ და ხელგაყრილები შესვამდენ. ამგვარ ძმობილს ახალგაზრდა თუშის ქალი ექებდა, რომელიც მუდამ მზრაცხების საფრთხეში იყო და მას თავდაცვისათვის სჭიროდა გულადი ძმობილი. დაძმური გაუიცვა ქალის ოჯახში ხდებოდა, სადაც მცირე სუურა იშლებოდა და ქალ-ვაერ დაძმობაში იფიცებოდა. სიმტკიცის ნიშნად რძიან ჭიქაში ვერცხლის ფულს ჩააგდებდნ და ორივენი შესვამედენ; ვისიც ხელში ჭიქა დაცულებოდა ფულიც მას რჩებოდა; დობილი ძმობილს უქსოვდა ჭრელ წინდა-ჩითებს, ძმობილი კი მას ჟელგანს რაინდულად იცავდა. ღრმდაძმობილების ეს წესები მოსპო და თუშეთის ახალგაზრდობაში დღეს ის უკვე მივიწყებულია.

უქმე და ხატობა-დღეობებში იქოური ახალგაზრდობა ერთად იყრიბება და „ჯარობა“ იმართება ლხინ-ცეკვა-თამაშით და სხვა გასახობებით. აქ ხდება ახალგაზრდა ქალ-ვაერის გამიჯნურება და ტრუიალი, რომლის გამომეულავნება თემში ჯერ კიდევ სასირცხვილოდ მიაწიათ და სიყვარულით აღგზნებული თუში თავის მიჯნურს ასე ეტრუიალება:

„ზეცას შენ შექურ მარსკვლავო, მნათობო ხმელეთისაო,  
ავაი შენ, ქალო ლამაზო, შუქი გაქეს ნათელ მზისაო.  
ტანადა გვეხარ ნამყენსა, ამოსულ ალვის ხესაო,  
თვალები გიგავს მაყვალსა, ქალის პირს ამოსულსაო.  
წითელი ლოყა შეგშეენის, თვალი ხარ ქალებისაო,  
თერთი ბროლის ყელ-ყური ლამეს ანათებს ბნელსაო.  
ხშირს უბანს ქალო, შენ სდგეხარ, სახლი გაქეს ქვიტკირისაო,  
წყალი შორსა გაქეს საზიდი დილ-დილით ზომავ გზასაო,  
შენ მენანები ქალაი შორით რომ ზიდავ წყალსაო.  
ერთხელ შარაზე დამიხედი, თუნგი გეკიდა წყლისაო,  
გვერდითა სხვანი მოგდევდენ, მათ უშმეენებდი მხარსაო.  
ქილო, ამდენი ქებითა ნუ გაიდიდებ თავსაო,  
დღეს ერთი ყვავის ყვავილი, ხვალ ბევრი იმისთანაო“.

ლხინში გარმონს უკრავენ და ტაშს აყოლებენ. ცეკვავენ თუშერ ლეკურს. ცეკვის დროს მამაკაცი ხელებ გაშლით და ფეხის ცერების გასმით წრეს შემოულის. მის თუშის ქალი მორცხეად და გოგმანით გაეთამაშება, რომელიც თავს დახრის და ცეკვის დროს ცალ ხელს ცოტათი ასწევს და ისე უვლის. ცეკვა უწყვეტია და მოთამაშეები ერთმანეთს შეენაცვლებიან.

სიმებიან საკრავებში იქ ჩონგურია გავრ-ცელებული. უკრავენ ჭიანურსაც. ჩონგური მთლიან ხისგან არის გამოთლილი და სამ ლარიანია. ჭიანური მუცელ მრგვალია და მას ქამანჩით უკრავენ. ამ სიმე-

გიან საკრავებს უფრო მამაკაცები უკრავენ და თან საგმირო ლა სხა-  
ტრეფიალო ლექსებს ამლერებენ. ლამაზი და ტებილ წმოვანია ეს  
თუშერი ჩინგური. რომელთან შეხმატებილებულია სეედიანი  
თუშერი სიმღერაც. ამ სიმღერას არ ახასიათებს პანგის სიჭრელე და  
ნაირობა; ის უფრო ერთფეროვანი და მონოტონურია. თუშერ  
სიმღერებში ცნობილია „თუში ქალის ტირილი“, რომელსაც აქ  
ხშირად უკრავენ და ძლერიან.



სურ. 84. ტყეა.

ჯარობის ამ ლხინში და ხატობა-დღეობებში ხდება დღეს მშო-  
ბლების მიერ თავიანთ სარძლო-სასიძერების არჩევანიც. და თუ მშო-  
ბლებს შორის მოწონებას ადგილი ექნება, მაშინ საქმის მოსაგვარებლიდ  
„მარჯანყალს“ გზავნიან. მაგრამ წინათ თუშეთის ახალგაზრდობა  
ასეთ საშეალებასაც მოკლებული ყოფილა და მათი ბედი დედის  
მუცელშივე თურმე წყდებოდა. ამ მიწნით თუშებში „მუცლად  
შათქმა“ სკოდნიათ. როდესაც ორი შეხათრებული ოჯახის რძლები  
ფეხმძიმედ შეიქმნებოდენ ორივე ოჯახი ერთმანეთს შეფიცავდენ,-  
რომ თუ ქალ-ვაჟი გაუჩნდებოდათ ცოლ-ქმარი უნდა ყოფილიყნენ და  
თუ ქალები ან ვაჟები ერთმანეთის დობილები და ძმობილები. ამ  
პირობის დარღვევა არ შეიძლებოდა და დამნაშავეს სისხლი უნდა  
ეწლო. როდესაც მუცლად შეთქმული ქალი 15-16 წლისა ხდებოდა:  
მაშინ ვაჟის მშობლები ქალისას გზავნიდნენ სასიძოს ძმასა და ბიძას

პატარძლის დასაჭურად და წამოსაუვანად. პატარძალი ემაღლებოდა და რომელიც ყოჩალი პატარძალი იყო მას ერთ კვირას ეძებდენ, უმდგრა ძლიერ დაიჭურდენ და საქმროსას წაიყვანდენ. სკოლნიათ აგრეთვე მურე წლოვანთა აქვანში დანიშვნა, მაგრამ ეს წესები კარგი ხანია მოსპობილა და დღეს მოხუცები ძლიერსლა იგონებენ.



სურ. 85. თუში მოლექსე თისო ბელადიშვილი.

მოტაცებით ცოლის შერთვა თუშებში წინათ სასახელო და საეკუაცია საქმედ ითვლებოდა. მაგრამ ამ მოტაცების თან სლევდა სისხლის ალების მძიმე წესები. მოტაცებულ ქალს ვაჟი თუ არ მოსწონდა მშობლებში გაიქცეოდა და მაშინ მისი ოჯახი მომტაცებელზე შეირს იძიებდა და მას მოსაკლავად დასდევდა. სისხლის მაძიებელი ქალის ქმა იყო. თუ შერივება ხდებოდა, მაშინ მომტაცებელი საღილს ვამართავდა, შუაეკუებს დაიწევედა და რა ჯარიმისაც ბჭეები მიუსჯიდენ მას უნდა ფულით, თუ საქონლით გადაეხადა.

ჩეეულებრივ ძალით მოტაცებისათვის ჯარიმად რეა ძროხა იყო განკუთხული, ნებითი შემთხვევის დროს კი ერთი ძროხა და ცხეარი. გაგრამ ამ ჯარიმიდანაც შეიძლებოდა განთვეისუფლება, თუ ვაერ ქალის მოტაცების უმაღლ მოასწრებდა თავის სოფლის სასაფლაოზე პირველად გასვლას და მოწმის თანდასწრებით დაძახებას, რომ შან ქალი მოიტაცა. მაშინ ვაეს ჯარიმა არ ვადახდებოდა და საკოლეც მას რჩებოდა. მაგრამ თუ ამ შემთხვევაში ვაეს ქალის მშობლები დაასწრებდენ და ვაერის სოფლის სასაფლაოზე პირველად ისინი ვავიდოდენ და დაიძახებდენ, ვაეს ჯარიმა უნდა მიეცა.

დღეს ქალის მოტაცება თუშეთში იშვიათი შემთხვევება, მაგრამ მომტაცებელ სიძეს შეურაცყოფილი ცოლის ძმა დღესაც მტრობს და შათ შორის შესაძლებელია ცემა და მკვლელობაც.

თუშები ქალს ვაკერში არ ვათხოვებენ და სხვა გვარშიაც ნათესა-ური კავშირი ექვს თაობამდე გრძელდება. ქალის თავის სოფელში ვათხოვებასაც ვაურჩიან და სკლილობები სხევან ვაათხოვონ. ოჯახში შერთვა-ვათხოვების საქმე ჯერ კიდევ მშობლებისა და ოჯახის უფროსების ხელშია. მართალია, აქაური ახალგაზრდობა ებრძეის ამ უკალმართ ჩეევებს და საბჭოთა ხელისუფლების კანონმდებლობით ცდილობს მოიპოვოს თავისუფალ სიყვარულისა და შეულლების უფლება, მაგრამ ძეელი ოჯახის ვავლენა აქ ჯერ კიდევ ძალაშია, რომლის ერთბაში ვადალახვა ვაუთვითცნობიერებულ ახლგაზრდა თუში-სათვის არც ისე იოლი საქმეა.

ქორწილი. ჰასაქში ჩამდგარ ქალისა და ვაერის მშობლებს ერთმანეთის ხათრი თუ აქვთ, მაშინ ვაერის დედმამა ქალის მშობლებს მაქანქლად ძმას ან ბიძაშვილს უგზავნის. სამაქანქლოლ მიმავალს უკან მუგზაულს ესვრიან, რომ ეშმაკები დაფრთხებიან და მაქანქალს ხელი მოემართებაო. მაქანქალი ქალიანთ რამდენჯერმე მივა, მაგრამ მას ვარკევულ პასუსს არ იძლევენ და საქმესაც განგებ აქიანურებენ, სანამ ნათესაც-მოკეთებებისაგან ამის დასტურს არ მიიღებენ. ამ შემთხვევაში ვადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა ქალის მამას, ძმას და ბიძებს. და თუ რომელიმე მათვანი წინააღმდეგია, ქალის ვათხოვება გაძნელდება. შეთახმებისას მაქანქალი სიმტკიცის ნიშნად ოჯახის წევრებს ხელს ჩამოართმევს და „ხელმისაცემლო“ არაყ შემოიტანს და თეთრ მანეთიანსაც პურზე დასდებს. არაყით დაილოცებიან ახლად დანიშნულთა ბეღნიერებაზე. პურზე ნადებ მანეთიანს პატარძალს ვადასკემენ და მაქანქალს კი საქმის მოვარებისათვი წინდას უფეშებებენ. მაქანქალი მოაჯდება ცხენს და მღერით სასიძოსას ვაკენდება და სოფელში შესვლისას ვამარჯევების ნიშნად თოფს ვაისერის. მაქანქალი სახლში შედის და მას სუფრის ვაუშლიან. ამას ჩქარა მოყვება „ლიშანისათვის“ ან „საწესოსათვის“ მზადება. ვაერისას აცხობენ პურს,

გამოხდით არაყს, ყიდულობენ შაქარს რამდენიც სარძლოს, სოფლა, სათვის საჭირო. პატარძლისათვის ამზადებენ საქათიბეს, მანძილს, მუხლსაფარას, წულებს და სხვა. ერთი კეირა რომ ჩამოივლის ცვლა ამ ნამზადისს წაიღებენ და სანიშნოდ წავლენ: მავანკალი, ვაჟის დედმამა, რძალ-მაზლი და მული. ქალის ოჯახი მათ საღილს უმართავს, და პატივსაცემად სოფელსაც დაბატიებს. პირაფარებულ პატარძლის პირველად აქ გამოიყენენ. ვაჟის მშობლები სოფელს უმასპინძლდებოდა პურით და არაყით. შაქრის ნატეხებსაც ცველას ჩამოურიგებდენ. ვინც იღებდა იტყვოდა: „ესე ტკბილად დაგიბერდენ ახალი ყველებით“. აქეე წყდება ქორწილის გადახდის დრო და რიცხვი. ჯვარსაწერად მეტე მაყრებით და ეჯიფით პატარძლისას მიღიოდა რომელსაც თან მიპქონდა „ჯვარსამწერლო“, ორი ხელადა არაყი, პური და ნახევარი ცველი. მაყრები სიმღერით და თოფების სროლით პატარძლის ოჯახში წედიან. ეჯიფი პატარძლის მოსაყვანიდ გადის, რომელიც ცალკე თოახშია ჩაკეტილი. მორთული პატარძალი და მისი „მომრთავნი“ უცდიან ეჯიფის დაკაკუნებას. ეჯიფი სარკმლიდან წესდახებდა: „ამა კარები გახსენითო“. პატარძლის მომრთავნი უპასუხებდენ: „იამოვნი ლირს თუ არა და სხვაგან იყიდეო“. ბოლოს მაინც რიგდებიან 4 თუ 5 მანეთად და ეჯიფი კარებს ულებენ. ეჯიფი შევა, პატარძალს ხელს წაივლებს და გაიხუმრებს: ეს პატარძალი იატი ან ძეირი ლირებულაო. ეჯიფი და მდაცე პირაფარებულ დედოფალს გამოიყენენ და ნეფეს გვერდში მოუსეამნ, მაყრები დაიმღერებენ:

„ასრე მოვალ და მოვცურავთ ბეჭთა არ შეგიტყვესაო,  
წასელა სჯობს წამავლისა, აქ დამრჩომისა ლოგინიო“.

წინათ თუშეთში ცვლესია და მღედელი არ ყოფილა და ნეფელედოფალს დეკანზები თურმე დალოცავდენ. შემდეგ კი ნეფე-დედოფალს ეკლესიაზი მღედელი ჯვარს სწერდა. ეკლესიაში ნეფე-დედოფალს ტოტებიან გვირგვინს დააღვამდნენ, ფეხებთან ხანჯალს უდებდენ და გვერდში ეჯიფი, დადე და მეჯვარე იმოუღებოდენ. წოე—თუშები სასიძოს კლირი-გასალებსაც აძლევდნ, რომელსაც ის კეტავდა და ჯიბდები იდებდა. ჯვრის წერის შემდეგ ნეფე-დედოფალი ფეხს ხანჯალს გადააბიჯებდენ და ეკლესიდან გამოდიოდნენ. ხანჯალს ეჯიფი აიღებდა და ქარქაში ჩაიგებდა და კარში თოფბს გაისროდნ. ნეფე-დედოფალი მაყრიონით ისევ ქალიანთა შებრუნდებიან, სადაც მცირე ქორწილი იმართება და ერთ ლამეს რჩებიან. მეორე დღეს დედოფალი ნეფისას მიპყავთ. პატარძლის სახლში ამ დღეს სამ კორს აცხობენ და დედოფლის გაცილების მიჯნაზე ძმები ერთ კორს გასჭრიან და გამომშეიღობებისას დაიმღერებენ:

„დაბრუნდი დაო, დაბრუნდი დართულო ჯარანსავითა,  
ფეხი წადგი და წაშოდგი მილახენ ჩალასავითა“.

გულაჩუყებული პატარძალი იცრემლება. ქალის მაყრები მღერანას „რა კარგი ქალი მოგეცით, თუ არ მოგვიკლავთ შიშილითა, მოდი ნუ აქმევთ ქერის პურს არ ჩვენ გაგვიზრდივ ბრინჯითა“.

ამაზე ვაეის მაყრები შესძახებენ;

„დავლიოთ ლვინო დაელიოთ, მანამ ერთმანეთს ეხედავთო,

წუხილ მაშინიც გვეყოფა, შავ ლოდს რო ამოეხედავთო“

ერთ კოტორს აქვე შესკამენ და მაყრიონი დაიძერის. ვისაც მარდი ცხენი ჰყავს ის დაწინაურდება და ვაეის ოჯახს ახარებს მაყრიონის მთახლოვებას. ეჯიფი მახარობელს ფულით ასაჩუქრებს. ამ ღროს ანთებენ ბუკვანის გაშხალებს და მას მაყრები ნიშანზე ესვრიან, ვინც მოახველდებს და მაშხალას გაღმოაგდებს მის ეჯიფი ფულით ასაჩუქრებს ამ ფულს მაყრები შემდეგ პატარძალს გადაულოცავენ. ნეფე-დედოფლის შემოსვლისას დაიძახებენ: „ ვისაც მოველოდ, მოვიდა; შენ გულო, გამხიარულდი“. ნეფე-დედოფალს კარებში შულ-დედამთილი მიეგა-ბება, ტკბილს შეაჭრევენ და დაიმლერებენ:

„ზალო, ბედითამც მოგვიხოლ, ბედსა მოგვიტან ტერთითა,

ხელთა ყრმა, ზურკით აქვანი, ზედ ქუდი ათას ხნიანი“.

ნეფე-დედოფალს პირველად სახლის კერასთან მიიყვანენ, თუ ის არ არის თუნუქის ლუმელთან, რომელზედაც ალაგია პური, არაყი და ლუდი, ზედ სამი ანთებული სანთელია მიკრული. ამ კერის გარშემო ნეფე-დედოფალს სამჯერ შემოატარებენ და მათ წინ უძლეის ხანჯალ ამოწვდილი ეჯიფი, რომელიც ამ ხანჯალს ვერსა სცემს და იძახის:

„ჯვარი წინა, ჯვარ უყანა, ანგელოზი შინ შემოდიო“.

იქედან ნეფე-დედოფალს ეჯიფი, დადე და ორი ნათესავი მამიეაც საფულარში (სალულე) შეიყვანს, სადაც „ალუდიან კოდებია“. აქ ნეფე-დედოფალის ფეხებთან საკლავს დაკულავენ, ყველას ხელში ანთებული სანთელები უქირავთ და ნეფე-დედოფლის იღბლიანობაზე ლოცულობენ. ამ საკლავს გადასცემენ სანდოსა და იხლობელ პირს, რომ მისი ნაწილი არავინ მოიპაროს ან და ნაწლავი შტრობით ეინმექ არ გაევანდოს, რომ ამით ნეფე არ შეიკრას (სქესობრივიად არ მოუქლურდესო) და მათი ცოლ-ქმრობაც არ გაუბედურდესო.

სალუდიდან გამობრუნებულ ნეფე-დედოფალს საქორწინო სუფრაზე დასვამენ. დედოფალს დადე მოუჯდება, ნეფეს კი მეჯვარე. პატარძალს პირს არ ახდიონ და მას კალთაში ვაეს ჩიუსვამენ. პატარძალი ბაგშეს ტკბილეულით ასაჩუქრებს და ყელზე მის ჭრელ წინდას ჩამოკიდებს. ნეფე-პატარძალს ვაეის დედისძმები, სადედისძმო ჯვარს“ მიართმევენ და წინ დაუდგამენ. ხის ჯვარი მრგვალ ქადაშია ჩასმული, რომლის წვერებზე ვარსებია ჩამოცმული და ზედ ერთი წყვილი წინდაა გადაკიდებული. ამ ჯვარს ცარიელ ჯამსაც მიუდგამენ. ნათესავ-მოკეთეები მიდიონ ჯვართან, შესაწევ ფულს ჯამში აგდებენ და ჯვარზე კი ჭრელ

წინდებს პეიდებენ. ეჯიფი დგას და იძახის: „ააშენოს ღმერთშენო... პატარძალი სუფრაზე არაფერს შესქამს სირცხვილია. მას მომრთავე ქალები ცალკე თაბაში გაიყვანენ და იქ ავმევენ. ქოჩწილი ერთი დღე და ღამე გრძელდება, რომელიც ხშირად ჩხუბითა და აყალმაყალით თავდება.



სურ. მ6. ნეფე-დედოფალი.

ქოჩწილის დასასრულს ნეფე-დედოფალს ეჯიფი ხანჯლის წევრით გვირგვინს მოხდის და საწოლად წაიყვანს. წინად გვირგვინის მოხდისას ქალის მაყრები ცდილობდენ ნეფისათვის მთრახები დაერტყათ, მაგრამ მას მისივე შაყრები იცავდენ და ნეფეც კარში გავარდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ნეფე ისევ უქან შემობრუნდებოდა და პატარძლის მაყრებს უმასპინძლდებოდა.

ეჯიფი ჯერ მეფეს წაიყვანს და დააწევენს, შემდეგ დადე პატარძალს შეიყვანს. გვირგვინის მოხდის მეორე დღეს „წყალზე გასჭლა“ იციან. ამისათვის დედამთილი კოტორს აცხობს და მეზობლებს დაიწვევს. პატარძალს თევზს აკიდებენ, წინ გაუძლევება „მეცელუ-ბეზნიერი ფეხის“, რომელსაც ეს კოტორი და არაყი მიაქვს და წყალზე წავლენ. წყაროზე კოტორს გასჭრიან და პატარძლის იღბლიანობაზე დაილოცებიან. პატარძალი პურჭელს გაავსებს, ზურგზე აიკიდებს და

მეკვლეს გამოჰყება. გზაზე თუნგს სხვები ართმევენ და პატარძალს მეკვლე თავის ოჯახში შეიპატავებს და არაყით დალოცავს. პატარძალი მეკვლეს წინდით ასაჩქრება.

მესამე დღეს იციან „პ ვა ლ ა დ გ ა ს ვ ლ ა“. პატარძლისას მიღის მეკვლე და ორივენი ნამგლით ყანაში გავლენ და იქ ნამგალს რამდენ-ჯერმე მოუსვამენ. ერთი კვირის შემდეგ პატარძალი დედმამის ოჯახში ბრუნდებოდა „ფ ე ს ბ რ უ ნ ე ბ ა“. პატარძალს მიშქნონდა ძლვნად პური კველი, არაყი და ლუდი. ის წაიყვანდა რამდენიმე კაცს და ნეფით დედმამასთან მიღიოდა. აქ პატარძალს დალოცავდენ და ის მეორე დღეს უკანვე ბრუნდებოდა. წამოსულისას პატარძალს შშობლები ვამთატანდენ ხერჯინს, რომელშიაც ეწყო: ნამგალი, საჩერელი, წინდის ჩხირები და ვერცხლის შიბიანი ერთი ხელი ტანისა-მოსი, თუშის ქალის მზითებიც ეს იყო და სხვას არაფერს არანდენ. პატარძლის სოფელს სიძემ ერთი წლის განმავლობაში „ს ა ქ ა ლ-თ ა ნ თ“ უნდ გადაუხადოს. სიძე ძლვნით და საკლავით პატარძ-ლისას მივა, სოფელს დაიწვევს და უმასპინძლდება. ახალ სიძეს საქალთანოს სოფელი არ შეარჩენს და ვინც არ გადიხდის ქა-ლები მას არბევენ, ართმევენ ქამარ-ხანჯალს, ცხენის საკმარის და ერყვიან, ტიტეველ ცხენით მიბრძანდიო. დარბეულ სიძეს მოკეთე და-უდგება თავდებად და ქალებიც ჩამორთმეულ ნიითებს უკანე უბრუ-ნებენ. დანიშნულ ვადაზე სიძემ საქალთანო თუ არ მიიტანა, მაშინ საქალთანო თავდებს გადახდება.

„ჭ ვ ა რ ი ს კ ა რ ა“-დ პატარძალს დედამთილი წაიყვანს. სანაშ ჯვარისკარიდ პატარძალი არ წაეა მას მიცვალებულის ღანახეა არ შეუძლია. ამიტომ დედამთილი გამოაცხობს კოტორს და პატარძალს ქმრის სალოცავ ხატში წაიყვანს, სადაც პატარძალს ალოცებენ და ბედნიერებას შესთხოვენ. პატარძალს სამ წლამდე ოჯახის უფროსების სმის გაცემა ეკრძალება. მას არც თავის ნეფესთან შეუძლია აშეარა საუბარი. თუ პატარძალი ოჯახში აღრე აიძრახავდა მას „ტაბარუკა“-ს (უმეულს) ეძახდენ. პატარძალს შეეძლო აშეარა საუბარი მხოლოდ რძალთან და მულთან. მასვე ეფალებოდა მამამთილ-დედამთილის ფეხისა და ხელპირის დაბანა.

გაივლიდა ხანი, დაახლოებით სამი თუ ოთხი წელიწადი მაინც და ახლა მამამთილი მოისურებდა რძალთან აძრახვას „ა ჭ ვ ა ვ დ ო-მ ა“-ს. ამ მინნით, როცა ოჯახში რაიმე ნამზადისი იქნებოდა, მამა-მთილი აიღებდა არყიან ყანწეს და იტყოდა: „კეთილ იყოს ეს ჩვენი უნძრახობა და ერთმანეთის მოხატვება აქვთვდომაო.“ მეორე ყანწეს პატარძალს მისთავაზებდა, რომელიც მორცხვად ართმევდა და იტყო-ულდა უგაგიმარჯოს.“ ამ აძრახებაში პატარძალი მამამთილს წინდას აჩუქებდა. მამამთილი კი მას აძლევდა მუხლსაფარს ან სხვა მცირ-

რამე საჩუქარს, შემდეგ ასეთივე წესით აუძრახევდა მას დედამთილდა მაზლი.

თუ შებში ცოლქმარი ერთმანეთს სახელს არ დაუძახებენ. ცოლი ქმარს ასე უხმობს: ეგე კაცო. ქმარი-ცოლს: დიაცო, სახლობავ, ბებერო. პატარძალი სახელის ნაცელად მაზლს ეტყეის: ბიჭო, მუღს კალო, მარწყო, თეთრო, კოჩირია და სხვა. პატარძლისავინ თუშის ოჯახი მოითხოვდა ნაშუსიანობის მტრკიცელ დაცვას. ცოლქმრობაში ლალატი სამარცხეინო და დიდად საძრახისი საქმე იყო:

„ ქალო შენს მოლალატესა ზევით ღმერთი გაუწყრესა,  
სალმუზისა მინდორჩედა ნიავეირი აუტყდება;  
მტრერხე ამოლებულ ხმალსა ვადაშიაც გაუტყდესა,  
მტრერხე ამოლებული თოფი ჩახმახშიაც გაუტყდება“.

ამიტომ ცოლის გაუპატიურება ან ლალატი თუ შებში უსისხლოდ არ ჩაიყლიდა. მტრუშობისათვის ქმარი ცოლს ცხვირსა, თშასა და ან მცლავს აქრილა. დამწუნებელ ცოლს კი ქმარი „ქვეთილა“ - ს ადებდა და განსაზღვრულ ვადამდე მისი შერთვაც არავის შეეძლო. ქალის შეცდენისათვის დამნაშავეს 60 ძროხა უნდა ვადაეხადა. ცოლის მტრუშობაში ცოლისმწამებელს ქმარი ძროხას მოუკლავდა, ცოლს კი მშობლებს უგზავნიდა. შეურაცხოფილი მშობლები ცილისმწამებელს სამართალში იწვევდა და ის თუ გამტყუნდებოდა ქმარი ცოლს უკანვე მიიღებდა და დაზირალებულს ძროხასაც უწინავდა. ქმარი ზოგჯერ ცოლსაც სცემდა, მაგრამ ქალს არავინ შეუშელებოდა. რადგანაც გვირგვინოსანი ცოლია და ქმარსაც ნება აქეს დასაჯოსო.

( თუ შებში უშვილო ქვრივი თხოვდებოდა, შვილიანის გათხოვება კი საძრახისი იყო.) ქვრივი ქმრის ოჯახიდან ვერ გათხოვდებოდა. ის მშობლებში გაიპარებოდა და იქიდან თხოვდებოდა. მაგრამ პირველი ქმრის ოჯახი მას მაინც მწყრალად დაადგებოდა სანამ ის „ქვრივის შესამრივებლო“ - ს არ გადაიხდიდა.

შერიგების მიზნით გათხოვეილი ქვრივი თავის მეორე ქმარის ძმას წაიყვანდა და პირველ ქმრის ოჯახში ძლენით მოდიოდა, სადაც სუფრა გაიშლებოდა, დალევდენ მიცვალებულის შესანდობარს და ამითი რიგდებოდენ. დღეს ეს წესები უკვე როსპობილია და აქაურ პატარძლებს ნაკლებად აშინებთ მშობლებისა და მოძალადე ქმრების მუქარა და ბედით უქმაყოფილო პატარძალიც ხშირად ასე მოსთქვამს:

„ აეტირდე, როგორ აეტირდე, შავი და ბნელი ქალიო,  
გვერდითა ჩამომისევიან სიკედილის ფერი ქმარიო,  
კუპრშიაც ამოლულდება ჩემი მაჭანქლის სულიო,  
რად შეველ ექლესიაში, რად დავიწერე ჯვარიო“.

ამ ნიადაგზე არის თავგანწირვის შემთხვევაც:

გულანთას მოწყდა მასკვლავი, ჯვარბოსელს დაჯდეს წყალზედა, ვინა ხარ სულეთს რო მიხოლ, თმაზე რო ისვამ ხელსაო, იქნებ ხეცოის ანაი მამისძმის გაჯვრებული.

მე წინავ ვითხარ ბიძაო, მე ქმართან აღარ ღაუდებული, აედგები თავსა მოვიკლავ, შენ ჩემ უოდვაში ჩადგები, სულეთს გიჩივლებ ბატონთან, მე ქალ ტირილით შეედგები, გიჩივლებ, ვალგახდევენ, შენ ჩემ მსახური ვახდები.

დღეს საბჭოთა კანონმდებლობა ძეველ აღათით და ძალდატა- ნებით შეუძლებულს ცოლქმარს საშუალების აძლევს თავისუფლად იმოქმედონ და მთათუშეთშიაც ცოლქმრის გაყრაც ხშირია.

მ შობ ია რ თ ბ ა. წინად თუშის ოჯახში ცოლის გაბერწება და უშვილობა სამძიმო იყო და თუშის პატარძალი შეილიერობასაც სანთელ-საწირით „თურსიები არღოტისას“ (ფურების ხატიი გირევათან) შესთხოვდა. უშვილო ცოლს თუში მშობლებს უბრუნებდა და შემდეგ მეორეს ირთავდა. ზოგჯერ ორივე ერთად ყავდა და ამ ნიადაგზე აქ ორცოლიანობა გავრცელებული ყოფილა.

ორსული თუშის ქალი საქონლის ტყირპს ხელს არ ახლებს, რაღანაც ხალხის რწმენით ბავშვი ტყირპიანი დაიბალებაო. მას არც საკლავის დანახვა შეუძლია, რომ ბავშვმა ძილში არ იხრიალოს და სხვა. თუშის ქალს წინათ ოჯახში მოლოგინება არ შეეძლო, ხატი დაგვ- მიჩრავსო და ამიტომ მელოგინეს „ მშობიარის ქოხში“ ათავსებდენ, რომელიც სოფლის განაპირის ყოფილა აგებული. საყურადღებოა, რომ ამ თუშურ წესის შესახებ ცნობა ვახუშტისაც მოეპოვება: „ რამეთუ ოდესმე შობს დედაკაცი, არაეინ მიახროების, არამედ განუტევებენ შორს მარტოდ, და შობისა შემდგომად მ-(40), დღეთა მოიყვანებენ შობილითურთ (საქარ. გეოგრ. გვ. 172).


ამ ქოხში მელოგინე დედაკაცი მარტო იწვა და მშობიარობდა, იქ თხი კვირა რჩებოდა, სადაც არაეინ შედიოდა და საჭმელ-სასმელსაც შორიდან აწვდიდენ. მშობიარეს თუ გაუჭირდებოდა მოხუცი ქალები წილს ყრიდენ და ვისაც ერგებოდა ის შედიოდა ქოხში და მელოგი- ნეს შეელოდა და ისიც თხი კვირამდე შინ ვერ ბრუნდებოდა და იქვე რჩებოდა. სოფელში თუ სამშობიარო ქოხი არ იყო, დედაკაცს ღია ცის ქვეშ უნდა მოელოგინა. მშობიარე ბავშს თვითონვე აიყვანდა, ქიბს დანით მოსკრიდა და აკვანში აწვენდა. თხი კვირის განმა- ლობაში მელოგინე მდინარე წყალში იბანდა და სუფთავედებოდა, თხი კვირის შემდეგ მას მღვდელი განათლავდა და მშობიარე ოჯახში ბრუნდებოდა. ეს ბარბაროსული წესი თუშეთში კარგა ხანია მოსპო- ბილია, რომელსაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ აღვილი აქვს ხევსურეთში და ნაწილობრივად მთიულეთის გუდამაყარში<sup>1</sup>.

<sup>1</sup>. სერ. მაკალათია, მთიულეთი, ტფილისი 1930 წ. გვ. 119

ს. მაკალათია, თუშეთი.

თუშეთში მელოგინე ქალი დღეს სიხლში წევბა და მას ბებია უცლის. ჯანის მოსაყვანად ბებია მშობიარეს ასმევს პიტნისა და ქან-დრის ჩაის და ოგრეთვე მოხარშულ დარის ტკბილ წევის. მისი მშობიარობის დროს დაუძახებენ ვისაც გველ-ბაყაყი გაუშორებია, ის ხელში ქამრით მშობიარეს შემოუელის და იტყვის: „გველბაყი გამიყრია, დედაშვილო გაიყარენითო“ ზოგჯერ მშობიარეს ბურნეთს შეასუნთქებენ, ქმარი ჩოხის კალთით წყალს მოიტანს და შეასმევს, თოფსაც გაისვრის და სხვა.

იგრეთვე ვედრებით მიმართავენ თურსიები არდოორისას: „თურსიებო არდოორისაო, შენ დევშველე და დევხმარე, მოაგდებინე მშეოდობის მუხლი, ოლონდ დაგვეშველე და შენ კარჩე მოვალო, სანთელ ზედაშეს არ ვშურაობო“. ახალდაბადებულ ბავშვს ბებია იყვანს და



სურ. 87. თუშური აკეანი.

უცლის. ბავშვის ბუდეს ნეხვში ჩატლავენ, რომ დედა რძიანი იქნებათ. ბავშვს აკვანში ზრდიან. აკვანი ფიჭვის ხისაა, რომელსაც ძირში გაყრილი აქვს კედები და მასზე ლასტიკი გამართული. აკვანში ქერის ჩალაა ჩაგდებული და გადაფარებულია შალის „ხეჩინი“, რომლითაც ბავშვს შეკრავენ და ორტახებს გადაუქერენ. შიბაქი არ იციან და შარდი ლასტში გადის. პირველად ბავშვს პატარი აკვანში აწევენ. მეორე და მესამე წელს კი დიდ აკვანში გადაიყვანენ.

ავთვალის წინააღმდეგ აკვანშე ჰქიდებენ: ლორის კბილს, გველის მძიეს და ნალოც „ქედეს“. ბავშვი რომ არ შეშინდეს ულაზე შეაბამენ ჩვირში გამოხვეულ ლორის ჯაგარს და რომ მან არ იტიროს აკვანშე ჩამოქიდებენ საქმელსა და გახვერეტილ აბაზიანს. ბავშვი წლამდე „ჯვარის კარად“ უნდა წაიყვანონ და გვარის ხატში

ალოცონ, სადაც მიაქვთ სანთელ-საჭირი და იქ მას დეკანოზი ამჟამა-  
ლობლებს.

ბავშვს მღვდელი ნათლავდა ჩეულებრივი წესით. ნათლიად იშვი-  
ვდენ კარგს მეგობარს, რომელსაც მოპერნდა შესახვევი მიტკალი  
და სანათლიდედო საჩუქარი. ბავშვს მღვდელი სახელს არქევდედა  
საკელესით კალენდრის მიხედვით და თუშებში დღეს გაერცელებულია  
ეკლესიური სახელები. მაგრამ ამასთანავე დღესაც ატარებდენ  
ძელ თუშურ სახელებსაც.

მამაკაცის სახელებია: აბალო, აბული, ალუდა, ანთაი,  
ალაი, ალო, ამუ, ახაი, ამირან. ბაკური, ბერი, ბუჩაი, ბზიქური,  
ბურათი, ბერდია, ბაქუზანი, ბერ, ბახტურაი, ბალატ, ბოხია, ბურ  
ბოთირა, ბერი. გიგა, გიგოლე, გიო, გირილე, გოგი, გორგა, გულუ-  
ხაი, გოჩა, გოთა, გოგნელი, გაწირი, გოგოთა, გუბი, გულაყრი.  
დარქიზან, დევდარი, დალხიზე, დაყო, დაქო, დილო.

ელანი, ექო, ევსო, ვაზუზი, ვეჰია, ვაგუ. ზეზეა, ზობაი, ზურაბი.  
თათარ, თილი, თისო, თოთი, თორლეა, თურქო, თვებერი, თხურშა,  
თლუმა, თარუზან, თუნო, თოკო.

ითაბან, ითვი, იჩო, იჩუა. კანთო, კახო, კიცვა, კარდილი, კინდოლა,  
კუშტინდი, კეჯოლა, კუსო, კოკი.

ლაბაზან, ლაგაზი, ლურ, ლუტემი, ლალო, ლეგო. მარხევა, მანგია,  
მეშველი, მინდი, მიქა, მოზაი, მელაი, მავატო, მეშო, მოზა.

ნაუდა, ნადირა, ნაუგურა, ნალი, ნოზა. ოქეი, ოხოლი, ონისე,  
ოდანე. საგი, საღნო, საგითი, სეხნია, სურა, სარიდონ, საგითი, სამო.  
უთურგა, უთური, უშარო, უთო. ფილა, ფეშვი, ფუნჩაი. ქედაი,  
ქარუმა, ქოთა, ქურაქო, ქუჯა. ლთისო, ლინიში, ლირლი, ლალრი.  
კუჯა, შაბალი, შანქი, შეთე, შეელა, ჩაჩაური, ჩეო. ციგუ, ცოგი,  
ცისკარა. წოე, წვეტო, წიწო. ჭიო, ჭვიო, ჭონქუ, ჭიხრო, ჭიჭო,  
ჭარელი, ჭურია, ჭიჭანი, ჭვრიტი.

ხეედი, ხიზანა, ხვედეგი, ხულო, ხაბარი, ხაჩო, ხიო, ხიშო, ხოსიერი,  
ხუტი, ხუტური, ხუცი, ხვანჩა, ხაპრო, ხელო, ხატო, ხევსურა. ჯაბრული  
ჯაგოდანი, ჯლუნია, ჯარჯი, ჯანთო, ჯანლა, ჯაო. ტუხე. მაინა.

წოური სახელები: იფშინა, ბერი, ბელადი, ბაჩულა, გიკური,  
გიგოლე, დათილი, დინგა, დაყ, დაქა, დარქიზან, იქოპი, შეელა,  
ლაგაზი, დული, ტურგი, ფოცხვერი, ყიზილა, საიგი, ჯიხო, ჯიმშარი,  
წეიპო, უშო, ბლუჯო, ჭანთო, შორთი.

თუშის ქალის სახელები: საქო, თახო, ნანა, საბედო, მაო, მაია,  
ქაცო, საძო, სააკი, მაგლო, ქეგლო, ქაციქო, შექრუნა, ქაქოი, ციკრო,  
მარწყო, შურთხა, ნანელოი, კიკაი, კიკანა, კიკი, მაკუშა, ქრუში,  
ბარაშო, ზობა, ფისო, ბაქი, მეწყინა, მზექოი, ზოყ, საძოი, სამძიმ,  
მაღა, რაოდენ, მთვარია, ვარდო, თეთრი, აგუნდაი, მერცხალი, ბაი,

ბერაი, მანიუა, სიო, ქაომი, საგიბათა, იამალაზა, კუკალა, შექორ, ყრუნწო, ქოჩორ, კინძ.

წოური: მიერ, მუწვირი, გელაინძ, ეომლი, ნათულა, თექო, ბაჟი, წიო, ქაცო, მაქა, ძუაქ, კუნწლარე, ტურფა, შეთხირ, ხოხობ, კუტალ, კიწებ, ქოჩორია, შუქო, კუკი, ინგლო, რუშეა, წიწეარ, ლამზურ.

ამ სახელებთან თუშებში გავრცელებულია „თიკვანი“ (ზედმეტი) სახელებიც: ყარტულა, რქაწამძერალი, ჯანდაგი, შებუ, ტოპრაკა და სხვა.

სათამაშო - გასართობებში თუშებში მიღებულია: კოჭაობა, გილზაობა, შეილდოსნობა, რიკვებაობა, ქაბუზებაი(ბზრიალა) და სხვა. სალაობა. ოთხუთხედათ შემოხაზულ მიწაზე ქვას დააგდებენ და ცალფეხით კუთხებში აგორავებენ და ფეხის აუცდენელად ის ბოლომდე უნდა გაიტანონ.

მგელჯიხაობა. სდგამენ მგლისა, ჯიხვისა და სხვა ნაღირთა პურის ქანდაკებას, მიზანში იღებენ და ისრით თოფავენ, ვინც მოახევდებს ნამცხვარიც იმისია.

გაგლეჯილა. ბავშვები ხელგადაბმულები დგებიან. ერთი წამოვა და წრის გაწყვეტას შეეცდება. თუ წრე გაარღვია ერთსაც თან გაიტაცებს.

ქერიჭამაობა. ერთი თავს კალთაში ჩამალავს, სხვები უკანიდან ეპარებიან და სცემენ, ვისაც გამოიცნობს ახლა ის კალთაში თავს ჩამალავს.

ქუდაობა. ქუდს დასდებს ერთი, სხვები კი სცდილობენ მის გრაცების, თუ ქუდის პატრონშია მოასწრო გასროლილ ქუდის დაჭრა და მის გამსროლზე მორტყმა, მაშინ ქუდის გამკრავი ძლეულია და ახლა მან უნდა თავისი ქუდი ჩადგას.

კროკუნაობა. სიბ ქვას დააყენებენ და ესვრიან. ვინც მოახევდებს და სიბს გაიტანს, მანძილს გაზომიერენ და პირობა თუ თუ ნაბიჯია, წაგებულმა გამარჯვებული ზურგზე უნდა შეისვას და გამსაზღვრული მანძილი გაარბენიოს.

ციკო, ციკო და მუე. ერთი მგელია, დანარჩენი მოთამაშენი კი ციქებია, რომლებსაც დედა იცავს. ერთი ციკო გავა, მას დედა დაუძახებს: ციკო, ციკო დამუე (მოდი). ციკო გამოიქცევა, გზაზე მგელი გამოევიდება და საქმე გასწრებაზეა. მგელმა ციკო თუ დაიკირა, მას გაიტაცებს.

მიცვალებულის გასვენება, ტირილისა და გლოვის წესები. თუშის სიცოცხლე მთაში თუ მარში მუდმივ განსაცემშია. ცხვარში მას არ უსევნებენ ქურდ-ყაჩალები, რომლებიც ხშირად ქურდულად თავესესხმიან და სტაცებენ ცხვარ-საქონელს. ამ შეტაკების დროს თუში მეცხვარე წუთისოფელს ესაღმება და თუშებში

დღესაც არა ერთი დედაა მტრის ხელით მოკლულ შეიღწე დათბ-ლული და მგლოვიარე. ხშირია აგრეთვე სტიქიურ უბედურებათა შემთხვევაც. ზამთრობით აქ დიდი ზეავებია, ქარბუქები იცის და გვზავრი თუშიც ხშირად ამის მსხვერპლიც ხდება. მეცხვარის ხრამში გადაწეხა და აქაფებულ ჩუში დახრჩობაც აქ იშვიათი შემთხვევა არარის.

ცხოვრების მთელი ეს სიდუხჭირე და სიკედილის განცდის სა-შინელება თვით თუშურ ხალხურ პოეზიაშიც მძაფრად არის ასახული:

ცამან შეყარა ღრუბელი, ნამი ჩამოდის ძირსაო,  
აეაი, რა ცოდვა ვიხილე ახალ გაზდაი ყმისაო.  
მიხაი, უშარაულსა დღე ჰქონდა სიკედილისაო,  
მიხაი წყალმან წაგვართო მოშორდა სამხეოსაო,  
ატირდა მამა მშობელი, წყალივით ცრემლსა ღვრისაო,  
ნეტავ სათავე გაგიშრეს, შენ წყალო მაღლის მთისაო.  
— რიხაი, მე უშენოდ ბინა რაღ მინდა ცხერისაო.  
— ნულარა სტირი, მამაო არ აწყეინო ლმერთსაო,  
თუ შეილი გენანებოდა რათ მანებებდი თავსაო,  
მე ხომ ყმაწვილი ვიყავი გამოუცდელი მტრისაო,  
თან თვალი გამომაყოლე დავშორდით ერთმანეთსაო.  
შენ ისევ გულს მოიმქავრებ, ბინას რამ ნახამ ცხვრისაო,  
მე ალარ მოგაგონდები, ვაი ბრალი მიხაისაო.  
ვითომ არა გყავს მიხაი, მე აქ მანანებ თავსაო,  
მე ისევ კახეთში ჩავალ, იქ ვნახამ დედა ჩემსაო,  
მაგრამ იქ ჩასვლა ძნელია გზა შორით ჩამოდისაო,  
დავრჩები შუა გზაშია გამორიყული წყლისაო.  
ვინც მიწა წყალსა მაღირსებს მაღლი ეწევა ხეთისაო,  
ჩემს სამაგივრად მაფლობას უფალი გადუხთისაო,  
დლეგრძელობა ჩემს ბიძებსა, ალარ მანებებენ თავსაო,  
მშობლისა ცრემლი მაღირსეს მიმაბარ მიწა წყალსაო,  
დედას მითხარით მშობელსა მაღვა არ უნდა სიკედილსა.  
შაიტყო მაგის დედამა სამხეოს ბნელში ზისაო,  
ჩავარდა საგონებელში, მხე არ ამოდის დილისა.  
დედა მოგიკედეს მიხეილ, საღამ რას სწევხარ ქვის ძირსა,  
წყალო, სათავე გაგიშრეს ცოდვა გაქვს მიხაისაო,  
წამართვი, ჩამომიჩინე, რისთვინ მიმაღავ შეილსაო?  
დილით გამოვა დადგება თვალ ცრემლიანი წყლის პირსა,  
გინდა ჰსწუუროდეს ვერ დაპლევს, ვითომ ღვარია სისხლისა.  
— მანდა სწუხდები დედაო, მე აქა ვწევარ მთის ძირსა,  
ვინც მშობლის ხელში მოკედება, რაღათ ჩივიან სიკედილსა,

სულტანთ ზვავი მაფარია, ვერა ვხედავ მზისა პირსა.  
 სულ ასო ტანში გამყარა ცეირი არ დამრჩა სისხლისა,  
 ჩემს მაგივრათა უთხარით მიტროსა მამა ჩემსაო:  
 თელავში რისთვის გამზღვდე, თუ მწყემსი გინდოდ ცტერისაო.  
 შეყრილან ჩემი სწორები, წიგნს კითხულობენ ჭრელსაო,  
 მე წასვლა ველარ მელირსა სამრალოს მიწის ტყვესაო,  
 ნუ დამიზრგავთ საწესოს რაც საკუთნოა მევდრისაო,  
 ვითომ სამზეოს ვყოფილგარ განა წილსა გთხოვთ ცტერისაო.  
 იქ უნდა ვთხოვთ დღეგრძელობა ჩემის ძმის ამრამისაო,  
 იქნება ერთხელაც იყოს სული ახსენის ძმისაო,  
 ერისტო ბარამიშვილი სწორია მიხაისაო,  
 სამძიმარს შემოუთვლიდა თავითნო ტირილისაო,  
 თავი გენანოს მიხეილ მეცა ვარ შენი სწორიო,  
 სულეთსა ერთად წავიდეთ მონატურ სწორებისაო,  
 ვერ გავახარეთ მშობელი, გული იცინის მტრისაო,  
 მე ამისი მომლექსობელი საბა ვარ პაჩოშვილიო.  
 მაგრამ გულად თუშს სიკედილისა ნაკლებად ეშინია. მისი წარ-  
 მოდგრინით სიკედილი გაეკაცისათვის მხოლოდ ძილია:  
 „კარგსა ყმას მძიმედ ნაჭარსა, სიკედილი ძილი ხეონია,  
 დალება საკაცეზედა თავის ლურჯი ხეონია,  
 ჩალება სამარეშია თავის ლოგინი ხეონია,  
 ყელისა მოხვევა გველისი და მარიამი ხეონია.  
 ქილისა ზლისა ტირილი ცხენთა ხეივილი ხეონია,  
 დახვევა კიალვისი თავისი ობლები ხეონია,  
 ფეხთან უბია ლურჯი ფეხს უცემს არ გამწირავია“.

მომაკედავ იდამიანს წინათ დეკანოზი პურ-ლეინით აზიარებდა,  
 შემდეგ მას ნაბადში შეახვევდენ და კარში დაასვენებდენ, სადაც ის  
 სულს დალევდა. რაც უნდა ცივი და ცუდი ამინდი იყოს, მიცალუ-  
 ბულს სახლში არ შეასვენებდენ და ცხედარი „ციხემოსობა“ ორი  
 დღე-ღამე კარში ასვენია. თუ ამინდი ცივია, ცეცხლს დაანთებენ და  
 ისე ყარაულობენ. ვინც ჭრილობითაა ვარდაცვლილი და რომ არ  
 დასივდეს მას გულზე ნალა ან დანას ადებენ. ცხედარს უდგამენ ჯა-  
 მით ქვიმარილს, ხელადა არაყს და გაპნენტილ თეთრ მატყლს. მსუ-  
 დრავი ცხედარს შესუდრავს, რომელსაც ერთი წყვილი ჩითა ეძლევა.  
 მიცალებულს დედაკაცები მოთქმით ტირიან, მაგრამ ტირილი ყელი  
 არ შეეძლო. წინათ ცოლი ქმარს მოთქმით ვერ იტირებდა, სირცხვილი  
 იყო. მოთქმით ტირის დედა შვილს, და ძმას, დედის და და მამის და.  
 ციხემოსობა ღამე იქ მყოფთ აქმევენ „საშუალამო გორგილას“ და ამ  
 ვახშამშე ყველას ჩამოურიგებენ თითო მუქი „ბიქონს“ (დახალული

ბორბალია) და ყანწით არაყს. დილა აღრიან ცხედარს მამაკაცები დაიტირებენ. მამაკაცები ერთად მოვლენ, სახეზე ჩოხის კალთებს აიფარებენ, ცხედარზე დაემხობიან და დაიქვითინებენ. წინათ თუშეთში კუბო არ სცოლნიათ და მიცვალებულს ნაბაღში ახეევდენ და ისე ასაფლავებდენ. დღეს ცხედარს ასვენებენ კუბოში, რომელსაც დედა-



სურ. 88. მიცვალებულის დატირება.

კაცები შემოუსხდებიან და ისე ტირიან. მოთქმით ერთი ტირის სხვები კი ქვითინებენ. ჯვარდაუწერავ მაზლს რძალი ასე დაიტირებს; ვაიმე ვა ჩემს თავსაო, მაზლო, რად დამლუპე მაზლო, სით გაწირე თექაი და ნაბადი. ჯოხი სით გაწირე ბაგო მიყუდებული, ვისამ გავხედოთ ცხვარ ამოდენასა, ვისამც გაფეროთაო. მოგიკვდეს ზალოი, ჩამოგიიალის პირისა სახეო, თავვნი ბუდეთ გიქმენ თმასა და ქოჩორსაო; ჭიან შეგიჭამენ ბროლისა თითებსა. ქალებ გრირიან, მა-

ზღვო, ძმობითა. ზღვებიც გრირიან ვაიმე შახლობითაო. გაზღვო, აფც. ქილავ სალმილ მოეც, იამ შენ მიწვეულ სტუმრებსას. რად დაღმა-ტუენით თუ არ დაუხდებოდი. წინდებ მოგიტანეს გადასალოცად. მაზღვო, ოხრადად დაგრჩა სანეფო სამოსი, სანეფოდ გამზადებოდეთ მაზღვო, მიწის გისტუმრებთაო, სახლს გიყეოებენ უკარ უსარემლოსათ, ხარივ სულწუხარ იქ ვერას გასძლევათ; მოდი ნუ წახვალ ისევალ დაბრუნდი...

დედამთილი პატარძალს ასე დატირებს; „ ვაიმე ზალო, ვაიმე მოგიყედეს ჩემი თავი. ახალო ყვავილო, ახლად მომდინარო, მინდვ-რის ბუბუნაო. ახლა რაიღ ვქნია, ზალო, რათ დამღუპე ფონად გუ-ალავ ხარ, დარო მოუვლელაო, ჩამოგივალისა ზალო თმაკოჭოლი, მალ შეეგმლებისა, ზალო, პირისა სახეო. ჩენ ამოვედითა, ზალო, შენ მანდ გაგწირე, ზალო, კახეთშიო. კახეთ მონიია, ზალო, მალ გახურდე-ბის. ჩამოგეშლებისა, ზალო, პირის სახეო. მე ვერას გავძლებ, ზალო, უშენოდო, თანალ გამიყოლე...

დატირების შემდეგ ცხედარს წაასვენებენ სასაფლაოზე, რომე-ლიც სოფლიდან ცოტათია მოშორებით. კუბოს წინ მიუძღვის აბგა გადაკიდებული კაცი, რომელსაც შესანდობარი პური და არაყი მი-აქვს. კუბოს სამარის პირზე დაასვენებენ, ცხედარს ქამარ-ხანჯალს შეხსნიან, წინდა-ჩითებსაც ამოალაგებენ და კუბოს დახურავენ.

კუბოს სახურავი თავთან მრავლად არის ამოჭრილი. სამარეს სიპი ქვის ფიქალებით ამოაგებენ და შემდეგ კუბოს ჩაუშვებენ. კუბოს სახურავის ნაჩერეტში გრძელ ჯონს დაუკობენ და ზედ ფიქალებს დააწყობენ და მიწასაც მიიყრიან. ეს ჯონი სამარიდან ნახევარ მეტრითაა ამოშვერილი და როცა საკურთხო ან რაიმე შესანდობარი მიაქვთ ამ ჯონს ამოიღებენ და შიგ ზედაშეს ჩაასამენ. ასეთი სახედაშე ხერელი აქ საფლავის ქვებზედაც არის ამოჭრილი, რომელებშიაც ჯონები ყოფილა ჩარჭობილი.

სამარის თავთან ფიქალ ქვას დააყუდებენ, რომელზედაც ამოკა-ჭრულია რამოდენიმე სიტყვა მიცვალებულის ვინაობის შასახებ. სოჭ. შენაქმი, სადაც მე დავესწარი მიცვალებულის გასევნებას, საფლავზე ასეთი წარწერიანი ფიქალი ჩასვეს: „1931 წ. კათათეს 15 დღეს მიებარდი მიწას. 4 თვეს ზეავი მეხურა საბნადა, შემდეგ მიპოვეს მო-მქმედ და მიმაბარეს მიწასა. უდროვოთ მოვშორდი მშესა, დაეტოვე ბერი დედმამა თვალურებულიანი მტრირალი. აქა მდებარე ვარ ეფრთ ლევანის ძე ხაჩიძე გარდავიცვალე 26 წლისა. წამკითხველნო შენდობა მალირსეთ“. დასაფლავების შემდეგ იქვე ისაუზმეს და მიცვალებულის შესანდობარიც დალიეს. თითო წყვილი წინდა მიეცა მესაფლავებს, რომლებმაც ბარისა, წერაქვისა და ნიჩის ტარები სამჯერ დანით ათალეს და ყველანი მიცვალებულის ოჯახში დაბრუნდენ. აქ გარედ

ესვენა მიცვალებულის ნიშანი, გაშლილ ტანისამოსით, რომელზედაც ეწყო: ქული ქამარ-ხანჯალი, ჩითები, წინდები, გაპერტილი მატყლი, გარილი და ხელადა ორაყი. ამ ნიშანსაც დედაკაცები უსხედან და რიგით ტირიან.

სახლში იშლება „პირ ს ა მ ხ ს ნ ი ლ ო“ სუფრა და მიცვალე— ბულის შესანდობარს ხელში არაყიან ყანწით უფროსი წარმოსოფელის: „შეგინდოსთ ღმერთმა სულნო (იტყვიან სახელს). როგორც წესი და ადათი არის მოუმზადებია ხარჯად შენს მემკვიდრეებს, სასმელი, საკველი იმ ქვეყანაში შენს ნებას ჰქონდეს გაუთავებელი, მდიდრად იყავ იშ ქვეყანაში მანამ ცა-მძენი არიან. მოიხსენიოს შენი წადინით შენი ნებით, შენი ნათესავები, წასული დები, ძმები, მშობლები, უპატრონო გარდაცვალებულები, ვისაც მომხსენე არავინ ყვანდეს, სულ ყველა მოიხსენიოს შენი წადინით და შენი ნებით. ძალათ ნურეინ შაგეცილება, წინააღმდეგ არავინ გაგიხდება. შეიწყალოს მანამდის ხარ სახნავსა ხნიეს, წისქვილი ფქვავს, ცას ცვარი ჩამოდის, გარს წვანილი მოდის. ჩემის თქმით მღვდლის წიგნით, იერუსალემის მაცლით, დავიდასტურ დაცემით“.

ყველანი შესვამენ. გაშლილ სუფრას პირველად მამაკაცები მოუსხდებიან და სადილობენ, შემდეგ კი ქალები სხდებიან. შეის გადახრისას ნიშანს სახლში შეიტანენ და ტახტზე დაასვენებენ, საღაცის წლამდე გაშლილია.

მღლოვიარე ქრისტი „კიკინოს“, „შეიჭრის და „კოსოლებს“ მანდილის უკან დამალავს. გაუთხოვარი ქალი თუ ძმაზეა მღლოვიარე. კოწლებს იმალავს, გათხოვილი კი კიკინებს შეიჭრის. მამაკაცებს გლოვის ნიშანათ „თმის სხმა“ სკოდნიათ ერთ წლამდე, რომლებსაც წლის ბერებს თურმე ეძახდენ. შემდეგში ეს ვადა ხალხს ორმოც დღემდე შეუმცირებია, რადგანაც ეს წესი მეკობრობას ხელს თურმე უშლიდა. სოფ. ომალოში „სახალხო გორაქზე“, საიდანაც ხალხს მოუსიტყვებდენ სოფლის უფროსები თემის ან სოფლის ამა თუ იმ გადაწყეტილებას, დღესაც დარჩენილია ნაგები დაბალი ყორე. ამ ყორესთან ომალოელებს თმის სხმის ვადა ორმოც დღით განუსაზღვრავთ და დაუფიცნიათ „ვინც ამას დაარღვევს ძალი იყოს მისი სულის სანათლავით“. ჩვენ აქ მოვიყენთ ლექტურადაც გასევნების ეს წესებია გალექსლი:

ცის ქუხილივით გაისმა პირიქით დაჭრა გმირისა,  
სუყველა ამას სჩიოდა: გეგესნება რეინის კარია,  
მძიმე დაჭრილსა ამბობენ გარასა დარცალისია,  
ველარ შველიან ექიმებ, სხედან ჩუმათა სტირიან.  
ველარც მკითხავებ შველიან, ვეღრება იმათ პირისა,

მიშენთ რას ეძებთ სხვა და სხვას დღეს წერა იყო იმისა, სუკელა იმას სჩიოდა: ვაიმე, რა გმირი გვიქვდება, კუმოს ფიცრებად მზადდება ქვის ანათალი სიპისა.

კარგ საფლავ უნდა გარასა, წვიმა არ ჩაუვიდესა, მტრის ჯვერს არ სპამდა ვაკეაცი, არ გაავონებს კვნესასა, გარასის დისა ტირილი სანთლად დაენთო ზეცასა, აეღო მთელი მთაბარი თამარის მოთქმა კვნესასა, თმები დაიჭრის გიშრისა ათეულს ვანდა კრებასა.

ცოლის გულსა ხედა ლახვარი, თუნდ ტირილს ვერას ბედავდა ჩუმად იტირებს ბეჩავი, როცა არავინ ხედავდა, სიკედილსა ილარ ლნებლებოდ, კერპობა ქონდა წესადა, უნდა ხმალი სკას მტარვალსა, თუ სად მოუვა ხელადა. სული ამოდის გარასა, დევსა გვანდ რკინის მკეტავსა, დედმამას ანდერძს უწირავს: „შანზეს მიეცით ხმალია, სხვის ხელში ნუამც მეგულებს, სხვა ლირის არვინ არია, ხანჯარი ფუნჩას შეიღისა, ის კარგი მეომარია, ფარი და ჯაჭვი ლეგასა, ჯერ ომში შაუვალია თოფი მიეცით ელიზარის, ის კარგი მეომარია, ჩემ ცხენი ძმობილს მიეცით, ხელ იმან უსვას გავასა, ილალიც არის იმაზე, ნურც თქვენ დაუწყებთ დავასა“. ესა თქვა გაქრა, როგორც შანდალში სანთლის ნაწვია, სახლში დალევა სულისა წეს არარის ძველთაგანია, დერეფანში წევს გარაი თვალ დახუჭული მკედარია, თავით დაუდეს იმასა თოფი, ფარი და ხმალია, გულზე დადევს ხანჯარი, ხმალ შეუვალი რვალია. ფეხით უდგია ლურჯაი ორთ უპყრაი ლაგმის ტარია. ტოტს უცემს, ელის პატრონისა დაუგვიანდა მგზავრია. სოფელში გაიძიხიან: ვაიმე რა გვეშეელებაო, კარგები გვეხოცებიან, ბეჩავი ხელად გვრჩებაო, დედა ვაცხონე იმისა, ჭირიმე იმის გამზღვილისა, რომ არ წაილო საფლავში ლაფით მისერილი პირია, პირნათლად წაევა შავეთსა, საც იმის წინაპარია.

საბა ითიურიძე, სოფ. გირევი.


თუშეთში დიდ მწუხარების ნიშნად მგლოვიარე დედავაცი წინათ მარჯვენა უბეზე „ქო ქირა“-ს იკეთებდა. ქოქირა ლითონისაა და ჯაჭვის პერანგივით არის მოქსოვილი. ის ვიწრო და ჩაგრძელებულია, რომელსაც მოლოზე შალის შავი ფოჩი (ქოქირა) აქვს გაკეთებული. ქოქირა ვისაც არა აქვს ის თხოულობს და მას განსაზღვრულ ვადამდე ატარებს და შემდეგ ისევ პატრონს უბრუნებს. მგლოვიარე დედავაცი ქოქირას

ერთ წლამდე მაინც ატარებდა. გოგოებს ქოქირას ზურგზე უკეთებდენ. ქოქირიანი ქალები ყოველ შაბათს მდინარე წყალთან მიეიღოდენ, ქოქირას ფოჩის წყალში ჩიბერტყდენ და იტყოდენ „შეიწყალოს ღმერთმანო“ (მიცვალებულის სახელს ასენებდენ).

ქოქირას მოხსნისას, მგლოვიარე სამ კოტორს გამოაცხომდა, სანთელს აანთებდა, არაყსაც დასფგამდა და მიცვალებულს თაიტო-ჩებდა, შემდეგ სოფლის გარედ გადიოდა და ქოქირას იქ შეიხსნიდა. ქოქირას ფოჩის დაკუწყვდა და გადაყრიდა, ჯაჭვს კი თან წამოილებდა. თუშეთში ქოქირას წინათ ჟველგან ატარებდენ, მხოლოდ სოფ. ომალოს ქალები ხატის შიშით მას არ იკეთებდნ, რომ წასნეს ხატმა არ დაგვმიზეზოს. ქოქირას აქ უკვე არ ატარებდნ და ის დღეს იშვიათი სანახავია.

დ ე დ ა ტ ი რ ე ბ ა. წლის თავის გადახდა-ბდე ქირისუფალი ყოველ თვის პირველ დღეს ფაფას მოხარშეავდა, კომლზე დედაქაცს დაიწყვდა (მამაქაცი არ მიღიოდა) და მიცვალებულის სულს შენდობით მოიხსენიებდენ. მაგრამ თუშებში ყველაზე მნიშვნელოვანია „წლის ალუდისა“ და მასთან დაკავშირებულ „სადგინისა“ (ქხენის რბევება) გადახდა. მიცვალებულის ამ წლისთავსაც ქირისუფალი დიდ ქელებით იხდის. ამისათვის იხარშება ლუდი, ცხვება პური და რამდენიმე საკლავი დაიხოცება. წლისთავზე დაწეეულია მთელი სოფელი. ნათესავ-მოკეთებს თან მიაქვთ „მოსანიქრედ“ კვერული ყველი, ზოგს კუდი ქერი, კედილა ან ძროხა, ფულით 1—5 მან. და სხვა. ამ დღეს მიცვალებულის ნიშანსაც გარედ დაასვენებენ. ნიშანზე გაშლილია მიცვალებულის ტანისამოსი, რამდენიმე წყვილი წინდა და ჩითა ალაგია. აქვეა სათამბაქო ქისა, გაპენტილი მატყლი, ქვამარილი, ხელადა არაყი, ბიჭინი და სხვა.

აგრეთვე სდგას ალუდიანი საწდე. ნიშანს დედაქაცები მოუსხდებიან და ტირიან. გამოღის ხუთი მხედარი და დალაობა დაიწყება. მოდალავე მიცვალებულის ცხენზეა შემჯდარი. ცხენი შავი საფენითაა დათალხული და ზედ ხურჯინიც კიდია. მოღალავე მხედარი შეუშია მოქცეული და ის სევდიან კილოთი დაიწყებს მიცვალებულის შექებას, სხვები კი მონოტონურად შეუბანებენ დ-ა-ლ-ა... დ-ა-ლ-ა...



სურ. მ. ქოქირა.

ამისთანავე კირისუფალი დედა თუ და მწარედ მოხატვის და  
მთელი ეს სურათი ჰქმის მწუხარების მძიმე შთაბეჭდილებას. და ა-  
ო ბა<sup>1</sup>. ასე იწყება:



სურ. 90. ქოქირიანი ქალი.

დალად თქვით, დალად, მხედრებო, ძნელი არს დალაობაო,  
ბრალი ხარ ბოსელაიძევ შენი ულაშეროდ სიკედილი,  
დედან გრირიან შეილობით დანი ძმობითა გრირიან.  
ვე შენი დედა ბეჩავი სანთლებურ ჩიმოლნებოდეს,  
ვე შენი ცოლი ბეჩავი სუროვით ექინებოდეს.  
შენის გვარისა ქალ—ზალი ზევით რო იმოსებოდეს,  
შენი ცხენი და აბჯარი ლაშერის არ იხარჯებოდეს.

<sup>1</sup> „დალა“ ქისტურ—ჩანჩურად Dalaе=დალვ, დალა, ნიშნავს ღმერთს.

(З. К. Малъсагов Ингушская грамматика со сборником ингумских слов, Владик. 1915 г. № 139; проф. Б. А. Ахборов, Ингушское „Гальерди“ и осетинское „Аларди“, Изв. Ингуш. Научно-Исслед. инст. Краеведения, Владик. 1918 г. № 356.) და ამ სიტყვიდან უარმატ-ბული თუშური დალაობა ნიშნავს „ღმერთი ვახსენოთ“. საყურადღებოა, რომ ჩვენში ამავე სახელით ცნობილია სეანური ქალ-ღმერთი დას.

ლაშქარს კითხვენ სწორები, მაგ შენის ლუჯის ცხენითა,  
შენის სიათის თოფითა ლაშქარს ხარ წითლის დროშაო.  
ხმლიანო, სახელიანო, მომტრეო, მოსამართლეო,



სურ. 91. დალაობა.

გამრიგევ თუშეთისაო, ჩვენის მხარისა თვალიო.  
კარზე გიდგანან სტუმრები, შინამ არ შეუძლებია?  
ვაჟი ხარ სახელიანი, კარგამ არ დაუხედებია?  
ლომო, შენ ბოსელაიძევ, სტუმართვის დღე ხარ მზიანი.  
შენი ნაცეამი სამოსი დარბაზს არ იცვითებოდეს,  
შენი ნაწოლი ლოგინი ია-ვარდივით ქვენბოდეს,  
შენი წვერი და ულვაში მწვანილად ამოდიოდეს.  
კახეთში კახნი გიყითხვენ: არს ქრისტეს დიჩინსთანო,  
დიჩინიანთა გიყითხვენ: არს ქალაქს ჯარებს ყრისაო.  
ქალაქს კითხულობს ბატონი წასუალა უფალთანაო.

ნეტა შენ სიიქიოსა, შენ შეხვეალ მტრედის ფერადა, სუფრა გიდგ გარიგებული გაკეთებული თეთრითა, კოდნიც გიდგანან საესენი გადმომდინარი პერითა, ზედ გიდგას შელვინები, ხუცესნი დიაკვანითაო. ამოილებენ, დალევენ ვერცხლისა ვაშრაპებითო, შენდობა ბოსლაიძე, ღმერითმა გაცხონოს სულითა.



სურ. 92. დედისძმისას მიმავალი მხედრები.

დალაობის ღროს მხედრებს მწლეები ლულით საგსე ჯიხურებს აწედიან. მხედრები ცოტა ლულს ცენის ფაფარზე დაასხამენ და შესვამენ. დასასრულს „ჭირისპატრონი“ მხედრებს შეთხოეს „დედისძმათკე არმიეთ ცხენებიო“ და მხედრებიც ხელში ბაირალით მიცვალებულის დედისძმისას მიდიან. ბაირალი შემოსილია ფაბრიკულ თავშალით (ალამი) და ზედ ჩამოჰკიდებულია ერთი წყვეილი ჩითა, წინდა და სათამბიქო. მხედრებს წინ „მელუდე“ გაუძლევება, რომელსაც ალუდი და სუფრა მოაქვს.

სოფელში მიცვალებულს დედისძმა თუ არა ჰყავს მხედრებს დედისძმის საგვარეულოდან ერთი ვინმე დახვდება და წესისამებრ მიიღებს. დედისძმისას ფლასს გაშლიან და სოფელში საღმე მიცვალებულის ნიშანი ასევენია მას ინათხოვრებენ და ამ ფლასზე დაასვერე-

გენ. თუ არადა მასშე ქერს დაჰყრიან და „ნაწილს“ დააწყობენ; მარცხნივ რილს, მატყლს, წინდებს, ჩითებს, საზედაშე პურებს ხორცით, არაუს, ლუდიან საწდეს დი ტაშტით რძეს, რომელზედაც ქაჯო (შეკონილი გალახი) დევს.



სურ. 93. დალაობა დედისძმისას.

მხედრები მოსულისთანავე ბაირალს ნიშანშე დაასკენებენ და აქაც დალაობას იგივე წესით შეასრულებენ. მხედრებს მწიდეები სთავაზობენ ლუდიან ჯიხურებს, მელვინეები კი ხის თასებით ყველას დაუკლიან და შესანდობარს შეასმევენ. დალაობის დასასრულს მხედრები ცხენებს ფაფარზე თეთრ ნაჭრებს შეაბამენ, თითო მუქა ქერს შეაქმევენ და რძეს ქაჯით გულ-მკრაზზე შეასხამენ. ბაირალს დედისძმისას ერთი თუ ორი წინდა უნდა ჩამოჰკიდონ. მხედრებს დედის ძმა სახლშიაც დაიწევეს და მცირე სუფრას გაუშლის. შემდევ მხედრები ბაირალს აიღებენ და მიცვალებულის სოფელში ბრუნდებიან, სადაც სადგინი (დოლი) იმართება.

სადგინში მონაწილეობის მიღება მიცვალებულის სოფელში ცველას შეუძლია. სხვა სოფლებიდან კი ჭირისუფლის ნათესავები გზავნიან თავიანთ ცხენოსნებს, რაც მათთვის სასახელოა.

სადოლე ცხენს წინათ თუშები საგანგებოდ წროვიდენ და მას დასახურებდენ. ყოფილა ისეთი ცხენი, რომელსაც 53 ალამი აუღია და ასეთ ცხენს პატრონი საგანგებოდ ინახავდა და მას არ ჰყიდდა. ჩბევის წინ ცხენოსნები შეჯგუფდებიან და სადოლე ცხენებს ნიშანიდან აღვაძეს თითო მუქა ქერს შეაჭმევენ და უარის უარის უარის და აუგო და აუგო საც ჩაუწინავენ.



სურ. 94. საზედაშე ნიმკლები.

დოლის ადგილი და მანძილი სოფელში განსაზღვრულია და მებაირახტე აილებს ნიშანზე დასვენებულ ბაირალს და ჭენებით მივადანიშნულ ადგილზე და ბაირალსაც იქვე ჩასვამს. — ცხენოსნებიც შეჭურდებიან სარბევის მიჯნაზე. მათ წინ დაუდგება ხელჯოხიანი მოხუცი, რომ ნიშნის მიცემიამდე ცხენი არავინ გააქციოს და ამით წესრიგი არ დაირღვეს. მხედრები აქ ჩბევაში გაწროთნილ ბიჭებს თავითან ცხენებზე შესვამენ და მოხუცის ნიშნის მიცემისთანავე ყველანი გაჭენდებიან. ბაირალთან სდგას მეთვალყურე, რომელიც დაწინაურებულ ცხმ-

ნოსნებს მოსვლის რიგის მიხედვით ნომრებს ურიცებს. პირველ ტექსტის ნოსანს ერგება ალამი, მეორეს ჩითა, მესამეს წინდა, მეოთხეს ქუჩა (ზელთამანი), მეხუთეს სათამბაქო ქისა. ღანარჩენებს კი, „ცხენჯამა-გირში“ ეძლევათ ხეთ მხედარს ერთი თოხლი, რომელსაც თვითონ ინაწილებენ. ცხენოსნები უკან ბრუნდებიან და ბაიროლს ისევ მიცეა-ლებულის ნიშანზე დასკვენებენ. ნიშანთან სდგამენ ალუდიან კოდს და იქვე გამჭურიებულია „საზედაშე ხინკლები“. ეს პური მრგვალ ფორ-მისაა და მეცომურთა რიცხვის მიხედვით ცხვება. ამ ხინკალზე მოქლე ჭობია ჩამსული და ზედ ჩამოყიდებულია თეთრი ან წითელ ფერის ნაქერი და გაპენტილი თეთრი მატყლი, გვერდმი უდევს კოშტი მარილი. ნიშანს დედაკაცები მოუსხდებიან და ერთი მოთქმით იტირებს. მოვ-ლენ მხედრებიც და ისევ დალაობას დაიწყებენ. შემდეგ ქალების სუფრა გაიშლება და ქალი და კაცი ცალცალკე ჩამჭურივდება. სუფრაზე უხვად ჩამოარიცებენ პურს, ქუმელს, ყველს და ხორცს. ყველანი შეექცევიან და მიცეალებულის შესანდობარსა სვამენ. ამ დღეს „პირისმერავი“ მიცეალებულის დედ-მამას ან და-ძმას, ვინც წლამდის ხორცს არ სკამდა სალუდეში შეიკვანდა, ხელში მისცემდა ლუდიან თას, რო-მელშიაც ლვიძლის ნაქერი ეგდო და მას შეასმევდა. ამის შემდეგ გელოვიარე ხორცს სკამდა. ქელების დასასრულს შესანდობარი ხინ-კალი მეცომურებს შინ მიპქონდათ. კირისუფალი მოსანიკრეებს ატან-და ერთ ვაშრაპა ლუდის და პურს თავის სატანით, (ხორცი, ყველი). ამით მოსანიჭრე თავის სოფელში მეზობლებს უმასპინძლდებოდა, სა-დაც იტყოდნენ: „ნამცხვარ-ნადულარი ეისიც იყოს მოიხსენოსო“. ბოლოს იმართება „შაბაში“, ლუდიან ჯიბურებს ერთმანეთს გადა-ულოცვენ და ამ გადაქარბებულ სმაშიაც კოდი დაიკლება. ამის შემდეგ მიცეალებულის ნიშანს იღებენ და თავიანთ „ცხენჯამაგირის“ მისალებად ცხენოსნებს დაუძახებენ და ვისაც რა ერგება იქვე აძლე-ენ: ალამს, ჩითებს, წინდებს, თოხლს და სხვა. მიცეალებულის ცხენს წინათ დედის ძმას თურმე აჩქებდენ, ტანისამოსს კი ლირიბ ნათე-სავებს უნაწილებდენ. ზოგჯერ მკითხავსაც შეეკითხებოდენ, თუ ვი-სოვის მიეცათ ცხენი. მეითხავი იტყოდა, რომ სული თხოულობს ამას (დაასახლებდა ვინქს) მიეცეს. დღეს ამ ცხენსა და ტანისამოს არავის აძლევენ და ოჯახშივე რჩება.

ცველაზე დაწინაურებული ცხენოსანი მონაგებ ალამს სახლში წა-ილებს და იქ ოთახში ჩამოჰკიდებს, რაც იქ ესახელებათ. სოფ. შენა-ქოში არის ოჯახი, საღაც ათამდის ასეთი ალამია კედელზე გამჭური-ვებული. ნიშანზე რაც კი დარჩება: მარილი, მატყლი, წინდები, ჩითები და მოსანიჭრეების მიერ მოყვანილი თოხლი „ღაბახზე“ ან „საის რევლოზე“ გაიტანენ და მარილის ნაცვლად პურს ჩასდ-გამენ. კირისუფალი ირჩევს „მეცვლეს“, რომელიც ლაბახობის მანძილს ს. მაკალათია, თუშეთი.

განსაზღვრავს და მოისრუებსაც თავს მოუყრის. შეთვალყურედ ღამას, ზე ერთს დააყენებენ, რომელსაც ევალება ისრის მონახველრის გა-  
სინჯვა და ღაბახობაც დაიწყება.



სურ. 95. შეილდოსნები.

შეილდოსნები რიგით ისერიან და ვინც ნიშანში ამოლებულ სა-  
განს მოახველებს ჩითა იქნება, წინდა თუ სხვა ის ნივთი მისია. თუ  
პურის მოხვდება, მაშინ მარილი ან თოხლი ერგება, იმის მიხდევით  
ეს პური რომლის სანაცვლოდ არის ჩადგმული. როცა სროლის ერთი  
რიგი მოთავდება, იწყება შეორე და მესამე და ასე სანამ ნიშანში  
ჩადგმულ ყველა საგნებს არ აიღებენ. იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და  
იგივე საგანს ჩამდენიმე ამხანაგმა მოახველრა, მაშინ წილს ყრიან  
და ის ერთს ერგება, მაგრამ მან სხევების წილი უნდა შეისყიდოს.

ღაბახობის პირიქით ხეობის ზოგიერთ სოფლებში შეილდისრის  
ნაცვლად ფეხით გაქმნება სკოდნიათ და ვინც ნიშანში ჩადგმულ  
ნიეთს პირველად ხელს დაავლებდა ის მას რჩებოდა.

ამ ღაბახით თავდება მიცვალებულის ეს წლის თავი, რომელზე-  
დაც საშუალოდ იხარჯება 5 კოდი პური, 9 კოდი ალუდი, ხეობი  
საკლავი, ყველი, ერბო და სხვა. საწლისთაო სადგინ-ღაბას თუმცები  
მხოლოთ მამაკაცებს უხდიან, ხნოვანებით არა ნაკლებ ცხრა წლისას.

დედაკაცებში კი „დაქლევს“ თუ გადაუხდიან ე. ი. უპატრონი  
და უმემკვიდროს და ისიც იშვიათ შემთხვევებში. ზოგჯერ უშვილო

ბერივაცი ამ ქალებ-სადგინს სიცოცხლეშივე იხდიდა, რასაც „თვაზობისა“ და მარხვას უწოდებდენ. თვითდამარხვის დღეს ცოცხალი მიცემა- ლებული თავის ქელებში არაფერს შეკამდა, პურისა და ხორცს არ მიეკარებოდა — ნაკურთხიათ. მოღალავე მხედრებსაც თვითონვე უმას- პინძლდებოდა, ცხენოსნებსაც ალამ-წინდებს ურიგებდა. მოსანიკრე- ებს ის ასაწუქრებდა ტანისამოსით, ლოგინით, ჭურჭლით და სხვა. თვითდამარხვის ეს წესი თუშებში დღეს მოსპობილია.

მაგრამ მიცეალებულს თუშები შემდეგშიც არ იყიწყებენ და მას სუფრაზე ყოველდღე შენდობით იხსენიებენ. ამასთანავე წლის განსაზღვრულ დღეებში მიცეალებულს აქ ტაბლას უდგამენ.

უცელიერის წინ „ხორციელის კერას“ ოჯახებში აცხობენ ორ დიდ ხინკალს (პურს) და მიცეალებულს ტაბლად დაუდგამენ. ამ დღეს სახლს არ დაგვიან, რომ მტკერი მკვდარს არ დაეყიროს, ქას არ ისერიან მკვდარს მოხედებათ და არც ჯოხს და სახრეს მო- იქცევენ რომ მკვდარს არ მოხვდესო.

დიდმარხვის პირველ ხუთშაბათს, სულთაკრების დღეს აქ იციან „იერ უმსალეთობა“ და იცხობენ ერთ ლიტრიან დიდ პურს, მოხალვენ სამ გირვანქა ბიჭონს, სატრად ლობიოს ავზადებენ და ერთ ხელადა არაყსაც დასდგამენ. ოჯახის უფროსი ბიჭონსა და პურს კერის გარშემო სამჯერ შემოატარებს და იტყვის: „ჩენთა მევდართა წუაო, მშვიდობითაც იმგზავრებენო, ავი და არამიც ნუვინ დაეწევაო, რო- გორც ჩენი ალალია, ისე თქვენი ალალი იყოს. სხვათა ზიარ ნუ დარჩე- ბითო, სხვათა ნუ უყრებთაუ, ალალიდამც მოვივალსთაუ“. მზის ამის- ვლის შემდეგ სუფრას კარში გადგამენ, პურს დასკრიან და უცელას აქცევენ. ელიუმსალეთობის ეს პური ხალხურ რწმენით დიდი უნდა იყოს, რომ გაგორდეს იერუსალამის კარებს მაგრად დაეჯახოს, შეა- ლოს ის და მიცეალებულს მიუჟიდესო.

დიდ მარხვის ერთ რომელიმე საღამოს წინათ თუშები შეიკრი- ბებოდენ ახლადმიცეალებულის ოჯახში, სადაც მიპჟონდათ წანდი- ლი და სანთელი. აქ დეკანოზები მიცეალებულის შესანდობარს იტყოდენ და შემდეგ უცელანი წანდილს შეიქცეოდენ. ამავე ლროს მიცეალებულის სახლიდან ახალგაზრდა ქალები ჩუმად გიპარებოდენ რომ ქშმაკებისთვის ყური დაეგდოთ და მათი ზრახვანი გაეგოთ. ქალები სახელებს იცვლიდენ და საღმე მოშორებულ ხევის ჩირგვებში დაიძალებოდენ. მარჯვენა ფეხებს ფერფლშე დასლებამდენ და იქ განა- ბულები ისხდნენ. ღამის წყველიაღში ხმაური მათ ტირილად ან სიმღე- რიად ესმიოდათ და ამის მიხედვით წინასწარმეტყველებდენ ამა თუ იმ ოჯახის ბედზე. რომელიმე ოჯახიდან ტირილის ხმა თუ მოესმოდათ, იქ წლის განმამავლობაში ვინმე უნდა მომკვდარიყო. ცრუმორწმუნე სო- ფელს ეს სჯეროდა და განწირული ოჯახიც თავის ბედისწერას ელოდა.

თუშებს სულისა და საიქიოს არსებობაც სწამთ და აქ შეიცვალებულის სულის მოყვანაც იციან. წყალში, ან ზვავში დაღუპულ ადამიანის სულის მოსაყვანად ხელსურულიდან იბარებენ კარატელ დეკანოზს, რომელიც თავის დროშით გადმოდის. დეკანოზი მივა მიცვალებულის დაღუპის ადგილზე, იქ დროშის ჩაჰყოფს, შემდევ ისევ ამოილებს და ძენძულით მიცვალებულის სახლში გამოიეცვა და აქ ამ დროშის დაბერტყავას. ხალხის რწმენით ამ დღიდან მიცვალებულის სული ოჯახში ბრუნდება და მას ტაბლასაც უდგამენ.

თუშების წარმოდგენით სულეთის (საიქიო) მფარეველი „ბარონია“ და სულეთის წინ „მეუფროსენი სხედან“, რომლებსაც ხელში მაკატლები თურმე უჭირავთ და ცოდო-მადლს გაიკითხავენ“:

სულეთისამ ვინ იცის, სულეთს რა სამართალია,  
სულეთს რომ სამნი ხე დგანან წვერ ცაში მიბჯენილია,  
იმ ხის ძირ წყარო გამოდის სასმელად სანატრელია,  
შიგა სდგას თასი ვერცხლისა, ხელში აღებად მადლია.  
ბევრი მოდგება ცხენ-ჯორი, ძუა ფაფარი კრულია,  
იმაზედ მჯდომი მხედარი პირს ლატხი დადებულია,  
იმას მოხყება ქალ-რძალი ჩოხ-პაჭურ მოჭუჭულია,  
ინათ მოხყება უმაწვილი, დედმამის მოძებარია.  
სულეთში მატყლი, მარილი, თეთრის ხარისა ფასია,  
თამაქოი და ბიქონი ერისა მარგებელია.

სულეთში სამოთხე და ჯოჯოხეთი გაყოფილია ანთებულის კუპრის წყლით და მასზე გადებულია ბეწედის ხილი. ამ ხილიდან ცოდვილი კუპრით ანთებულ ჯოჯოხეთში თურმე ვარდება. საიქიოში ცოდვის მქნელს ენის წვერს ანთებულ კუპრის ქვაბში უყოფენ. სამანის შემრყეს მეუფროსენი მიუსჯიან ჯოჯოხეთში ზურგით მძიმე ქვების ზიდვასათ:


„სამნის სამძღვრისა შემრყესა, ზურგზე აპკიდეს ქვანიო“  
ნათლიდედის შეცდენა მძიმე დანაშაულიათ:

„მის გამოსჭრიან სამწვადესა, შიგ უყრიან დანის წვერსა.“  
ტყუილის მოქმედს ენის წვერს აჭრიან:

„მოევნეტენ ენის წვერსა, რათ არ იუბნე სწორია.“

წისქვილში ქურდობა და ობლების გაწირვა დიდ ცოდვად ითვლება:

„წყალ-წისქვილის მოლალატეს ჯოჯოხეთში ქონდეს ალიო,  
დედას, ობლის გამშირავესა, ყელს ახეია ჭრელი გველიო.“  
ცოლქმრის გაყრა და შეილების დაგდება მძიმე დანაშაულიათ და  
ასეთი ცოლქმრიც საიქიოში იტანჯებიანო:



სამზეოს მოკლებულები, სამოთხეს იყრებიანო,  
ანთებენ სანთელს კელაპტარს წინ სუფრას გაიშლიანო,  
ახალგაზრდანი ქალები სანთლის შექს ჩამოსხდიანო,  
ახალგაზრდანი ბიქები ფეხზე გალობდიანო.

ახალგაყრილთა მეუღლეთ ყმაშვილნი ეძებდიანო,  
ტირილით დედას ეძებენ, ხელკრიან გამარუნიან,  
ჩეენგან შენ დედა გქვიანო, ჩეენი დამგდები ხარიო,  
შიმშილით შეწუბებული ხმა ეეღარ ამაილიან,  
წყლისა მოწყურებულს თითებ იქამიანო.

ახალგაყრილთა მეუღლეთ მანდაც ატყობდიანო,  
არც თვალებს ჰქონდა სინათლე, არც ბაგე ეშიალიანო,  
უფლის ნაკურთხსა გვირგვინსა ტოტები სწყდებოდიანო.  
სულეთს ბერი და მოხუცნი საკლავებს მელოდნიანო,  
ეისაც არა ყავს მოწყალე პირუჟულმ წაბრუნდიანო,  
მე მაგის მომლექსებელი ბაკეიანთ კობე მქეიანო.

## 7 ცოდნული მუსიკა.

თუშეთის საზოგადოებრივობა თემურ წყობილებას არ გასცი-  
ლებია და მისი რწმენა და იდეოლოგია ამ თემობრივობის სულით  
იყო გაელენთილი. საზოგადოების ამ საფეხურს ახასიათებს მაგიურო-  
ბის რწმენა, როდესაც ანიმისტურ რწმენით შეპყრობილი ადამიანი,  
ბუნების სარგებლიან გამოყენების მიზნით, ჯალისნურ ხერხებით მი-  
მართავდა რაღაც უჩინარ და საიდუმლო ძალას.

მაგიურობის რწმენის ამგვარი გადანაშთები თუშებში დღემდის  
შემონახულა.

„მ შ ე ბ უ დ ობ ა“. გაუთვითცნობიერებელ ადამიანისათვის მნის  
ლეთაებრივობა უდავო ქეშმარიტება იყო. მზე სინათლისა და სით-  
ბოს დაუშრეტელი წყაროა და ცრუმორწმუნე ადამიანი მას თაყეანსა  
სცემდა და სხვადასხვა რიტუალის შესრულებით ცდილობდა მის  
კეთილ განწყობილების მიპოვებას. ამ მიზნით თუშები ცხრა დეკემ-  
ბერს, როდესაც იწყება „ზამთრის მნის მობრუნება „მზებუდობის“  
რიტუალს ასრულებენ და მნის ანგელობსს მაკატს უცხობენ. ამ მაკ-  
ატს ხავიწით, არყით და ერმოთი ხონჩაზე დააწყობენ. ოჯახის უფ-  
როსი დედაკაცი ან მამაკაცი სანთელს აანთებს, ერბოს ცეცხლს წაუ-  
კიდებს და ასე დაილოცება: „მზეო, მნისყოლო ანგელოზო, დაგელო-  
ცა საევალი და სადგომიო. დაგვადექი თვალწალმე და გულწალმე  
ბუდით მომავალო, დაგვიწერე კაც-საქონელს ჯვარი, ნურის მოგვცემ  
რიან - ზიანსა. ჯვარ დაგვწერე კაცსა მთაშიო და ბარშიო. გვიმატე

ფურსა, ფურის ხბოსა, ფურის „წველასა“ - თ. და ორცა მზე სახლს მო-  
ადგება სარკმელში სდებენ მაჭუარს, მატყლს, ერბოს და ანთებულ  
სანთელს.

ამას ჩქარია მოპყება 25 დეკემბერი, ორდესაც მზე მატებას იწ-  
ყებს და ამ დღეს თუშები შობას დღესასწაულობენ და იცხობენ  
„ალილს კოტორს“<sup>1</sup>. სალამის სოფელში მეალილო დაიყლის  
მიგა ოჯახში და დაიმღერებს: „ალილი და ქრისტე ღმერითო ოცდა-  
ხუთსა იმ თვესათ შობა გათენდებათ, ჩიტი შემოჯდა ღობესა იძახის  
ქიშმიშობასა, ყველა მრიგალჯელ დაგასწროთ ახალწელ ქრისტო-  
ბასო. ვინც კარგ პურს გამოგვიცხობს კაი ყმისა აკვანიო, ვინც მონა  
პურს გამოგვიცხობს ფსია ქალის აკვანიო“. ღიასახლისი მეალილოეს  
ალილოს კოტორს გამოუტანს.

წელი წელი თაბა. ზამთრის სადღესასწაულო რიტუალს შორის  
ყველაზე მნიშვნელოვანია ახალწლის შეხედრა, ორმელსაც ხალხი თა-  
ვის ოჯახის ბედს თუ უბედობას უკავშირებს<sup>1</sup>. მიტომ თუშებიც თა-  
ვიანთ „წელიწლობა“ ს. მოწიწებით ეგებებიან. საახალწლოდ თუშე-  
თის სოფლებში არაყსა ხდიან და ლუდს აღულებენ. ლუდს საგვა-  
რეულო ამზადებს, მისი მოხარშვა ევალება გვარის ნათეს. გვარში  
შემავალ ოჯახებს ამ მიზნით ნათესთან მიაქეთ თითო კაბიწი ფორი  
და შეზა. ლუდის დამზადებაში ნათეს შეველიან გვარშივე არჩეული  
სამი „მაქალათი“, რომელსაც ევალებათ აგრძელებენ პურჭლის დასუფ-  
თავება და საახალწლო სუფრის მომზადება.

საახალწლოდ ოჯახებში აცხობენ ერთ გულიან კოტორს „ქრის-  
ტეს საგძალს“, კაცუზე „ბაცუას“ და ქალზე მრგვალ კვერს. იცხობენ  
აგრძელებენ დამახასიათებელ ნიშნებიან საქონლის კვერებს. ხარისას რქე-  
ბი აქვს გამოყვანილი, ძროხისას — დუძუბი, ცხვრისას — დუმა, ცხენისა  
კი ნალის ფორმისაა. ყველა ამ კვერებს ხონზე დაალაგებენ და ზედევ  
სდებენ: მატყლს, მარილს, ყველს და ერბოს და ამ სუფრის მეცვლეს  
მოსელამდის ხელს არავინ ახლებს. ღიასახლისი აგრძელებენ აცხობს სახ-  
ლის ანგელოზის ან ფურის ანგელოზის კვერს და „კურის კურის“.  
ეს კერის კვერი პატარია და მრგვალია, მას შიგ ნალექრდალში ჩასწევა-  
ვენ ან თუ გამოიიღებენ მას სადმე კერხოში მიაგდებენ და იქ თავვი  
შესჭამს.

ახალწლის ღამეს ღიასახლისი ჩუმიდ ადგება და ოჯახის ყველა  
შევრებს ლოვინში თითო ლუდა პურს ჩაუდებს. შემდევ საქონლის  
ბოსელში შედის და აქაც პურის ნატეხებს საღმე შესდებს. საახალ-  
წლოდ იჩინვენ მეცვლეს, რომელსაც მოაქვს პური და ამ პურზე ალ-

გია: ერბო, ყველი, მატული და რაიმე ტკბილეული. მეკველეს ხელშიიც არაყიც უჭირავს. ოჯახში შემოსვლისას მეკველე პურს შემოაგორებს არაყიც უჭირავს: „შექმოდგი ფეხი, გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა, კაი წელი გამოგიცვალოთ, მრავალი ერთი ესე, ათასი სხვა. გაგიმრავლოთ შინ ოჯახი, გარეთ საქონი“ - თ. შემდეგ მეკველე ცეცხლთან მიერა, აიღებს ორ მუკუზალს, ერთმანეთს გაუხასენებს, ნაცერწელები გასცვივა და იტყვის: „ამდენა ჯალაბობით გიმრავლოსთ ცხვარი, ძროხა, ცხენი კახეთსა და თუშეთსა“ - თ. მეკველე ოჯახის წევრებს ტებილეულით დააბერებს. გაიშლება სუფრა და ქრისტეს საგაძალ პურს სულზე დასჭრიან და ყველას ჩამოურიგებენ. ვინც ოჯახიდან გასულია მას თავის წილს უნახავენ. ბედის კვერებსაც ერთმანეთს გაუცვალიან და იქვე შესკამენ.

მეკველე ოჯახიდან რომ გავა, დიასახლისი ბოსელში შევა, კვერს შეაგორებს და საქონელს ჩალას დაუყრის. ვინც ოჯახიდან გავა თან ყველ - პური მიაქვეს და სადაც წავა იქ უნდა მიიტანოს. ამ დღეს წყალზე რომ წავლენ წყალში ჯერ პურისა და ყველის ნამცეცს ჩაგდებენ და წყალს შემდევ იღებენ. ოჯახში მისელისას ქალის სახელს არ დაიძახებენ, თუ ოჯახში მხოლოდ ქალებია, მათ მამაკაცის სახელით გამოუძახებენ.

ამ დღეს ძაქალათი „საახალწლო სუფრა“ - ს ოჯახებში ჩამოატარებს. ის შედის ოჯახში და ულოცავს წელიწლობას, ოჯახის პატრონს შეაკმევს ხორცს და არაყს შეასმევს. სამაგიეროდ ოჯახის პატრონში მაქალათს უნდა დაალევინოს არა ნაკლებ სამი ყანწი არაყისა. ვინც მეტს შეასმევს და რომელი მაქალათიც მეტს დალევს ეს ოჯახისათვის პატივი და სახელია. მაქალათს ოჯახის პატრონი თუ არ დაუხედა მაქალათი მის წილ არაყს სახლის კედლებს მიასხამს, პურსა და ხორცს იქვე საღმე შესდებს.

წელიწლობა ღამეს სოფლის გვარები ერთ რომელიმე ოჯახში იქრიბებიან, მიაქვთ თავთავიანთი პურ - არაყი და იმართება „გამოყარა და მე“, რომელსაც შულტა აწყობს და ხალხს ლუდით უმასპინძლდება. ეს ლზინი შეაღამებდის გრძელდება და შემდევ გვარები დაიშლებიან. გაყრის წინ გვარები მეკველეს პურს „საკედეში“ (ლუდში) ამოაწონინებენ და თავიანთ ოჯახებში მიაქვთ.

წელიწლობას მომჟყება „ნათეობა“, რომელსაც ხუთ იანვარს იხდიან. ამ დღეს სოფელი გვარდიგვარ მიღის ნათესთან სალუდეში, სადაც ის ამ გვარებს ამწყალობლებს, სუფრას გაუშლის და ლუდით უმასპინძლდება. სალუდეში მაქალათის სკამზე სხევას ჯდომა არ შეუძლია და ვინც უნებურად ჯდება მას იქვე დააბამენ და სანამ „ქვაბსაკლავს“ (ბოთლ არაყს და მწვარებს) არ მიიტანს არ გაანთავისუ-

ფლებენ. ნათეს დამშეცალობლების შემდეგ გვარები თავითან საგვარეულოს ერთ რომელიმე ოჯახში შეიკრიბებიან და იქვე მიაქვთ სუთ-რაც, სადაც დროს სმასა და ლხინში ატარებენ. შექვეითიანებული მამაკაცები „ტყვეობა“ ს აწყობენ. ერთი გვარის მამაკაცები მიეპარებიან და მოულოდნელად დაცულიმიან მეორე გვარის ოჯახს, ასტენ სროლას და ტყვეებს წამოასხამენ. მასპინძელმა ეს ტყვეები „ქვაბ-საკლავით“ უნდა გამოისყიდოს.

თებერვლიდან ზამთარი ილევა და ბუნებაც გამოლევიძებას იწყებს. ახლა სოფელი შეუდგება საგაზაფხულო რიტუალის შესრულებას. ამ მიზნით ყველიერში თუშები ასრულებენ მთელ რიგ წესებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბუნების განაყოფიერებას.

ყველიერის შაბათს იციან „ქალთვორობა“ და ამ დღეს ოჯახებში იცხობენ გველიან ქადას. სოფელი შეიკრიბება ერთს ოჯახში და ხელში ქადებით მიელენ უხუცესთან, რომელიც მათ ამშეცალობებს, შენდომით იხსენიებს მიცვალებულებს და ქადებსაც დასკრის. ამასთანავე ის ყველა იქ მყოფთ თითო მუქა „ბიჭონს“ ჩამოურიებენ. ადგება ფეხბელნიერი მეკვლე, პირს აღმოსაელეთით იბრუნებს, სამ მეტა ბიჭონს გადაყრის და იტყვის. „ღმერთო, ქარგი პერი მოიყვანე“ - ა

ამას მოჰყვება კოტორის გატაცება. ახალგაზრდა ქალი, თუ ვაჟი მალულად კოტორს გაიტაცებს სხვები მას გამოეკიდებიან და თუ კოტორი ქალებმა წართვეს ბიჭებმა ქვაბ - საკლავი უნდა გადაიხადონ, თუ ბიჭებმა წართვეს, მაშინ ქალები იხდიან. გაიმართება ლხინი და თამაში. მოულოდნელად ერთს ვინმეს ტალახით ან მურით მოთხოვნიან. ამის დანახვაზე ყველანი ერთმანეთს დაერვეინ და თხეპნიან. შემდეგ დათხეპნულები მდინარე წყალშე წაელენ და იქ პირს დაიბანენ. ახლა „საკბილა“ - ს ჩასდგამენ. ამისათვის ჯამში, თუ გობში პატარა ჩისირს „ქოს“ ჩასვამენ და წყალსაც ერთ მტეაველშე დაუყენებენ. სათითაოდ მიდიან და ამ ქოს კბილით იღებენ. ვინც ვერ ამოიღებს მან ჯარიმად ქვაბ - საკლავი უნდა გადაიხადოს. შემდეგ მიწაზე ბეჭედს დააგდებენ, მას გარშემო შემოუსხდებიან, ზურგზე ხელებს დაიკრეფენ და ბეჭედს კბილით ისე იღებენ. ვინც ვერ აიღებს ქვაბ-საკლავით ჯარიმდება და სხვა.

ყველიერშივე ეწყობა „ბერიქა“. ამ დღეს კოტორს იცხობენ, ფაფას ხარშავენ და სტამენ. შუალლისას სოფელში ბერიკები გამოელენ. ბერიკობას სამი პირი ასრულებს. ერთი ვაეურად აცვია და ორს ქალურად, პირზე მური აქვთ წასმული. ზოგჯერ ბერიკას ნაბლის ნილაბს სახეზე ააფარებენ და გაპენტილ მატულის გრძელ წერ-ულაშსაც უკეთებენ. ქალებში ერთი ბერიკას ცოლია მეორე კი დედა. ბერიკას ხელში ხის „ხმალიკა“ უჭირავს და ცეკვით უვლის. ვინც მას არ ვა-

ეთამაშება ბერივა ხმლით გამოეკიდება და სცემს. ბერივა პირში ნაბა შირნალეს წყალს ჩაიყენებს და ეინც სალმის მისაცემად მიუახლოე-დება შიგ სახეში შეასხამს. წინათ იხალვაზრდობა ბერივას ცოლს მოსტაცებდა თურმე და მას მიმალავდენ. ბერივას კი მოატყუებდენ, რომ ცოლი მოგიყვდათ. ბერივა ტირილს დაიწყებდა და ცოლს ექებ-და. ამ დროს ვინმე დაიძახებდა, ბერივა, შენი ცოლი ცოცხალია. ბერივა ცოლს მივარდებოდა: გენაცვალე ცოცხალი ხარ-“ო, გადაეხვე-ოდა და კოცნიდა. იხლა ბერივა” კა მატყუარას შმლით გამოუდებოდა და თუ მას დასკრიდა მატყუარას ქვაბ - საკლავი უნდა მოეტანა. სა-ლამოს იმართებოდა „შიყარა“ (არუფანა) და სოფელი ერთ რომე-ლიმე ოჯახში იქრიბებოდა და აქ საერთო ხარჯით პატარა ლხინი ვაჩალდებოდა.

ყველიერშივე უქმბობენ „შიოობა“ - ს და ამ დღეს ოჯახში არ მუშაობენ. აცხობენ მაქვატს და შიოს ანგელოსებზე ასე დაილოცე-ბიან: „შიო მუშავო, შიო მაშვარალოვო, ძვალნიშც გვპოხებიანო, ჯვარსამც დაგვიწერავ კაცსავ და საქონსა, ხვავ ბარაქეს დაგვიდებო ერუმსალეთის მადლითაო“.

დადგება დიდმარხევა და მის პირველ კვირას „მგელჯიხობა“ - ს გამართავენ. ამისათვის აცხობენ: ჯიხეის, ირმის, მგლის, დათვის და სხვა ნადირთა ქანდაკებებს, რომლებიც შემჟულია ხილით და ტებილე-ულით. ამ ნამცხვრებს მოედანზე სდგამენ და ბავშვები მას შეილდ - ისა-რით თოფავენ. ეინც მოახველოებს ნამცხვარიც მისია. ზოგჯერ აქე კირისუფალი ჩასდგამს მიცვალებულის კვერს „ბაცუკა“ - ს, რომ ჩემს ბალლს მიუჟიდესო და თუ ისარი ეინმემ მას მოახველოა შესან-დობარი არაყი უნდა მოიტანოს და იქვე დალიონ. მარხევა გრძელდე-ბა რამდენიმე კვირა და როცა ის მიიწურება დიდ შიბათს საღამოს იმართება „მარხე ის ტყება“ . ბავშვები იღებენ გოლორს, მას ჩალით გატენენ და სოფლის მიჯნაზე გაიტანენ. აქ გოლორს ცეც-ხლს წაუკიდებენ და სოფლისკენ ცემით მოაგორებენ, თან იძინიან „მარხევა ჩავტკიცოთაო, აღარ მოგვივაო“. ასე გოლორს სოფელს ჩამო-ატარებენ და შემდეგ გადააგდებენ.

დადგება თუ არა გაზაფხულის პირი თუშები ხენა - თესეის თა-დარიგს შეულგებიან და ამისათვის 25 მარტს „ოცობა“ - ს ასრუ-ლებენ. ამ დღეს გლეხი კარის ყანაზე სამ კვალს გაავლებს და ერთ წუჭა ქერსა და პურს დასთესავს, და სანამ ეს ჯეჯილი არ ამოვა, მანამ ოჯახში არავინ წნელს არ მოგრეხევს, რომ ჯეჯილი დაგრეხი-ლი არ ამოვიდესო. ამ დღეიდან ოჯახიდან ცეცხლი და „სულადი“ (ქერი და პური) არ გიცემა, სანამ ხენა - თესეის არ მორჩებიან. ხა-რებსაც ქუდზე „უნძრიახის თრუსესს“ ჭითელ ძაფით შეაბამენ. ამ

დღეს დედაქაცები თავს დაივარცხნიან, რომ ყანა დაიწმინდებათ. ბაშტედიან ძროხებს პირეულად გამოიყვანენ და მათ კუდის ბოლოებს ცოტათი შეაქრიან და დანაშე გადაატარებუნ, რომ კლდიდან არ გადავარდესო.

ჩემი დაიწყება ხენა - თესვა. მაგრამ სინამ ყანაში გავლენ ასრულებენ „ულელდება“ - ს. აცხომენ ჯერიან ლიდაშს და სამუშარა ხმიაღს, აანთებენ სანთელს და არაყაც ჩამოასხატენ. მამაკაცი ამ ჯვრიან პურს სამჯერ ულელზე შემოატარებს, კარგ მოსავალზე დაილოცება და ულელზე გასტესს და ორივე ხარს შეაქმეს. ულელდების პურის გამომცხომი დედაქაცი სხვის ოჯაბში ვერ შევა, პურის ბარაქა გაყვებათ, არც მამაკაცი სხვისას წაეიღოდა, კვალი უნდა შეენახა, რომ კვალი სხვის ოჯაბში არ შესულიყო. თესვის რომ მომწერიან ყანაში მიღალ ჯოხს ჩაარკობენ და მას თავს გრძლიად გადმოუტრიან, რომ ასეთი თავთავიანი პური ამოვიდესო.

მაგრამ დათესილ ყანას ხშირად ანადგურებს, მინდვრის მანებლები და ქარ-სეტყვა, რომლებსაც გულუბრყვილო და ცრუმორწმუნე გლეხი უქმის შენახვით ებრძეის. თავგმა და კალიამ ნათესი რომ არ ვააფუჭოს „მ კრელთ უქმეს“ ინახავენ და ამ დღეს არ საქმობენ. ქარის წინააღმდეგ „ქარობა“ - ს უქმობენ, სერუყის წინააღმდეგ „ს ტყვის უქმეს“ ინახავენ. ამასთანავე გახაფხულის პირთან სხვადასხვა ცრუმორწმუნებობაცაა დაკავშირებული: როცა ენძელ აუგავდება მის თავთავს შუახე გახლებენ, ორივე ყურიან მიიღებენ და იტყვიან: „ენძელ, ენძელ ყურადაო, კიაღვია კარადაო, შენ ქვას ქვედა მე ქვას ხედა, შენ ქვიშითა ქვით გამძლარიო, მე პურით და ცველით გამძლარიო“.

ადამიანი გაზაფხულზე გუგულმა რომ არ დასძლიოს, პურის ლუქმი ჯიბით დააქვთ და ის გუგულის დაძახებამდის უნდა შესჭიმონ, წინააღმდეგ შემთხვევაშიო, ძლეულს საიქიოში ჩითებს დახდიან და ფეხშიშმდელა ატარებენო.

გაზაფხულზი პირეულ დაქტებაზე გულზე და წელზე რკინას მიიღებენ და იტყვიან: „თავ რკინა, გული მაგარი, ჩემი ყანა გამაძლარი, ლევის ყანა დამპალი. ჩემი წელი მაგარი, ლევის წელი დამპალი“. - ო; ახალ მთვარის დანახევისთანავე იტყვიან: „მთვარე ვნახე გორანქედა, საქმე ხანგაზედა, საფუარი მაფუანი, ხელი ბარაქიანი, შენამც გზაი გიხანდება, მენაც საქმე მიხანდება, კბილი მთელი, კია მკვდარი“ - ო.

„თ ით ბეჭედა“ - ს (ცისარტყელა) დაინახამენ თუ არა ხელს დამალვენ, რომ მუწუკი არ დაგვეყაროს: „თითბეჭედა დავინახე, თითი კარგა შემინახე“ - ო. ცველიერის შაბათს უქმობენ „ან გელონ ბაბა“ - ს. ამ დღეს ხალხის რწმენით მიწაზე მფარველი ანგელოზები

ჩამოდიან და ყველას თავიანთი მფარეველი ანგელოზი მხარზე აჯდებათ. ანგელოზები უწინარია და რომ არ დატროხენ და არ ჩამოცვივდენ ორ დღის განმავლობაში მხარის განძრევაც არ შეიძლება.

დაღვება ზაფხული და ნათესი იშვებს ზრდასა და დაპურებას, მაგრამ ზოგჯერ გვალვა ნიადაგს შეკრავს და ყანაც აიჩილება. ნამის მისაღებად სოფლის გოგოები გამართავენ „საწვიმარა გუგა ა ი“ -ს. გოგოები ჯოხს პატარძლის ტანისამოსით შემოსავენ და ამ გუგით ისინი სოფელს შემოუფლიან და წყალზე წავლენ. აქ გუგის წყლით დანამავენ და გოგოები დაიმდერებენ: „აღარ გვინდა გორანი, ლერ-თო, მოგვეც ტალახი“ -ო. შემდეგ სოფელში შემობრუნდებიან და აქ „შიყარას“ კრეფენ, დასხდებიან და ღროს მხიარულად იტარებენ. ბოლოს გუგის ტანისამოსს გახდიან და ჯოხს გადააგდებენ.

გვალვის დროს იციან აგრეოვე წყალში მიცვალებულის ძელის ჩაგდება. თუ ამან გამოიწევია ხანგრძლივი ავდარი, მაშინ ძეალს ისევ ამოიღებენ და გოგოები გაიძახიან: „აღარ გვინდა ტალაზი, ახა გვინდა გოროხით“. ათენენობას, დაახლოვებით 20 მეტათვეს აქ ცელად გა-სვლა ს ასრულებენ. ოჯახის უხუცესი მოსთიბავს სამ კონა ბალას-და ამის შემდეგ უველანი სათიბად გადიან. წინათ ამ დღეს წლის ნათესა და შულტას ევალებოდა ორი ქვაბი ლუდის მოღულება, ხატის ნიშთან სამ ცხენს გამოაქცევდენ და რომელიც დაწანურდებოდა მას „ჩხუტას“ (სუფრას) უდგამდენ. შემდეგ უხუცესი დაიძახებდა: ორშაბა-თი შავინახოთ, თუ შაბათიო. ხალხი ერთ ამ დღის უქმობას დააღვენ-და და ვინც შათქმულ დღეს გასტეხავდა და იმუშავებდა, მას თემი აჯარიმებდა. მაგრამ თუ სამუშაო საშური იყო, მაშინ ლუდის მოაღ-ლებდენ და ისევ ხატს შეივეღრებოდენ: „ეს დღე შაგითქვით, მაგრამ გვაძარი შათქმული უნდა გავტეხოთო“, და შემდეგ მუშაობდენ.

როცა პური მოიქმება და გასაღებად კალოზე გაიშლება „კა-ლოს სალოცავს“ გადაიხდიან. ამისათვის აცხობენ გულიან კო-ტორს, აანთებენ სანთერს და არაყით პურის ბარაქიანობაზე დაიღო-ცებიან.

ამგვარივე ცრუმი არწმუნებობა და ავაგშირებული ადამიანსა და შინაურ საქონელთან. თუშები საქონლის მომრავლებას „თხურსიესი არ დოტრისას“ შესთხოვენ, რომლის ხატი ჭონთომშია. წინათ ოჯა-ზი დეკეულის პირველ მოგებულ ხბოს მარიამწმინდობას ამ ხატს სწი-როვდა. ამ ხბოს ოჯახში გამოყენება არ შეიძლებოდა და ის თავის მონაგებით ხატში მიპყავდათ და არღოტის ლეთისმშობელს ასე შე-ვედრებოდენ: „ლეთისმშობელო არღოტისაო, შენ ჩაგვიგდე ხეაიდ ბარაქა, გვიმატე ფურსა და ფურის ხბოსაო, კაცია კაცრეულობასასა, ცხვირსაო, ცხვრის მერავსაო; შენ გეხვეწებით, დაგვიწერე მზეწევლასა

ჯეარიო, შენ გეხევწებით და გევეღრებით თაედაბლითაო და გულ-  
მართლითაო, ნაძახებ გაგვიგონიდი, ნაქადებს არ გიმტუნითაო. შენ  
შემოგწირავ სანთელ ზედაშეო, შენ მორიგე ლმერთს შეწირიდი,  
ლეთის წყალობა გამოგვითხოვდი, შენ მაღლ სახელის ჭირიმება-ო.

თუ ძროხა რჩოდას, წიხლს ისტრის და არ იწევლის, მაშინ ძრო-  
ხა რომ „დაამინდეს“ პატრონი ხახმატის ჯვარს ევეფრება და რო-  
ცა ეს ძროხა ხბოს მოიგებს მას ყურს იუსტინ (ნიშანს ადგებნ) და  
საწირით ხახმატის ჯვარში წავლენ სილოცავად. აეთვალით შელახულ  
საქონელს სამი დღე ზურგშე წყალს უნძრახად (უსმოდ) ასხამენ ან  
„უნძრახ თრუსას“ კუდზე წითელ ძაფით შეაბამენ. ჩხუტში რძე კარგიდ  
რომ შეიღლებომს და კარაქიც ბარაქიანი იყოს, აეთვალის წინაამდებელ  
ჩხუტშე ჩამოჰკიდებენ „უნძრახ თრუსას“ და გახვერეტილ სიპ ქეას.  
ზოგჯერ ამავე მიზნით შეაბამენ ერთმანეთში არეულ თაფლაბუსა  
და ეკლის ბუდეს (ბალახია).

ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა დაკარგიერებულია იგრუფე ნადი-  
რობასთან. თუ მონადირეს თვიურიინი დედაკაცი ახლოს არ გაეკა-  
რებოდა — თოფი შეიკერებათ. ასეთი დედაკაცი მას პურსაც ვერ გამო-  
უცხობდა — მონადირე შეიკურისაო. საერთოდ როდესაც ოჯახში დე-  
დაკაცს „მოვარე“ მოსდიოდა მონადირე სანადიროდ ვერ წავიდოდა.  
სანადიროდ მიმავალს გზაში ვერავინ შეექითხებოდა, თუ სად მიდი-  
ოდა ის. ყველანი სალმისთანავე ეტყოდენ „ლმერთმან ხელი მოვიმა-  
თოს“-ო. სანადიროდ მიმავალს მუგზალს ესროდენ, რომ მონადირე  
შინ ცარიელი არ დაბრუნდესო და სხვა.

შეილიერობას და ადამიანის მომრავლებას შესთხოვენ თხურ-  
სიეხის ხატის, რომელსაც საწირ-საკლავათ ეველრებიან და ნაუ-  
ფიერებას შესთხოვენ. მის ხატობის დღეს, იმალების მეორე კი-  
რას, შეხვეწილი დედაკაცები თხურსიების ხატში ჩიდიან საკლავ-სა-  
წირით და აქ მათ დეკანოზი ამწყალობლებს. ოჯახის კეთილდღეობას  
კი შესთხოვენ ფუძისა და სახლის ანგელოზებს, რომლებსაც ყოველ-  
დღიურად იხსენიებენ და ზოგჯერ მათ კვერებსაც უცხობენ, სანთ-  
ლებს უნთებენ და ისე ეველრებიან.

ცრუმორწმუნე ადამიანი ავადმყოფობის ღროსაც ცდილობს  
შელოცვებითა და სხვდასხვა ჯადოსნურ წესებით განიკურნოს და  
ამით ოჯახს მოსალოდნელი უბედურება ააკლინოს.

სოფლიდ ყველაზე გაერცელებული სენი აჟვაულია“, რომლის  
წინააღმდეგ თუშეთის მოსახლეობა უძლურია და ხალხი ცდილობს  
ამ ყველილის ანგელოზების დაყვაება — მოფერებით სახადისაგან თავ-  
დაცვას. ამიტომ ყვავილიან აეგადმყოფს და მის კეთილ ანგელოზებს  
ოჯახში ჩონგურის დაკერით და ტებილ სიმღერით ართობენ. მთელი

ოჯახიც უქმობს და არ საქმობს. ართავენ მხოლოდ თითისტარს, მათი რწმენით ეს ანგელოზებს უხარითოთ. ჩეჩევა კი არ შეიძლება, ბატონებს რეინა ლჟაერებათთ: მძიმე ივალმყოფობის დროს „თავ შე - მოვლა“ იციან. შემოავლებენ ხარს, ან ზოგჯერ შეიღება და ანგელოზებს შეევედრებიან ივალმყოფის განკურნებას. ივალმყოფი თუ მორჩა ამ ხარით სამღვთოს გადაიხდიან, თუ არადა ხარი რჩება და მას ამუშავებენ. ამასთანავე ივალმყოფს მკურნალობენ სხვადასხვა შელოცვებითაც. ივალმყოფის ბოდეს მიაწერენ ივსულებს და მათი გამოსადევნად ივალმყოფს თავზე სამჯერ შავ თხას ან ქათაშს შემოავლებენ, შემდეგ მას დაპქლავენ და გზაჯვარედინზე ჩაფლავენ.

თვალის შელოცვა. თვალო მეხო, მედგარო, სისხლ შევრეტელო, ფერწამლებო, კონიანის გონწამლებო, ქალუქმაროს ქალისაო, უცოლო ბიჭისაო. რაგინდა ტანშიო, სტომაქშიო. არ ისძევ, არ იქმევ არაზე გაისცელებიო. თვალს წამწმიდან გამოგიყენ, ასოიდან გამოგიყვან, შავის კულით გიმოგიყვან, ქვარცინას კულით გამოგიყვან. ვინ შემოგხედა აეი თვალითაო, ვინ შემოგხედა აეი გულითაო. თვალით ამოარდეს, გულით გადმოვარდეს. ვინ არ დაგწერის ჯვარიო, ჯვარიმც ნუ ელირსებაო. ხნავ-გუთანის დამყენეო, მფევავ-წივევილის დამყენეო. მოდიოდეს ცხრანი დანი, ცხრანი თქროს კოშლიანი, მოდიოდეს ცხრანივ ძმები, ცხრანი თქროს ქოჩრიანი, ამოილეს თეთრი ქუსი (ხაჭო) ცხრა ძმათ ცხრა ნაწილი ცხრა რიგად გაიყვესო. ქართ გაგაყოლებ მქროლართაო, წყალთ გაგაყოლებ მდინარსაო. დაგვომავ იგეთშიო არ გიყურებოდეს ყივილი ქათმისი, არ გეყურებოდეს კყივილი ლორისი. ლოცვა ჩემი რგება ლვთისი, ლშერთო შენ დასწერე ჯვარი.

ავთვალის წინააღმდეგ, როცა ამას მოზრდილს ულოცავენ, ტყეის ნაქერს აიღებენ და ჯვარივით გააკეთებენ. ამ ჯვარს მლოცავი დედაქაცი სამჯერ შეულოცავს და ივალმყოფს გულზე ჩამოჰკიდებს. ავთვალნაკრავი სამჯერ უნდა მიიღიდეს და მლოცავმაც შელოცვა სამჯერ გაიმეოროს. ისე რომ მთლად ცხრა წყება უნდა შეულოცოს. ბავშეისათვის დედის თმას შეულოცავენ და ამ შენალოც თმას წვრილად დაწნავენ და ბავშეს მაჯაზე შეაბამენ. ზოგჯერ ბავშეის შელოცვის დროს შემლოცავი იღებს ცხრა მუქა წყალს მარცხნა ხელით და მასში ცხრა ნახშირს გაურევს და ამ წყლით ავალმყოფ ბავშეს პირს მობანენ და აკიანსაც გადაასხამენ. ნახშირს კი აკვნის საგოგავებით გაფშენეტენ.

ავთვალნაკრავ საქონელსაც ასე შეულოცავენ და ნახშირ წყალსაც ზედ გადაასხამენ.

გულის შელოცვა. გულო თქროს ყუთისაო, გულო ჩაჯვებ

ალაგებაო. ოქროს ბუდეში ნაჯღომი; აეთ ხმით შეგაშინა, აეთ საათონ  
შეგაშინა, ქორი ქანდარასაო, ქათამი ბუდებაო.

ამის სამჯერ შელოცვენ. შელოცვის წინ ავადმყოფს მეტრლ  
ბაშრით გაუზომვენ და შელოცვის შემდევ გაზომვისას ბაწარი მეტი  
თუ აღმოჩნდა, მაშინ გული ამოვარდნილი ექნებაო.

შაკიკის შელოცვა. შაკიკი შემოჩევულა სათივისა ბოლო-  
საო, ეგრე სჭამდა რეინისა, როგორც ხარი თვევისა, დასწეველის  
წმინდა გიორგიმ, გაიძაროს დილითაო. რა არის მაგის წამალი: ამალი,  
მამალი, გახურებული რეინა, ეგ არის მაგის წამალი.

შაკიკს ხელში გაცხელებულ რეინით ულოცვენ.

კვალის ლოცვა. დღეს რომე პარასკევია ქრისტე წენი წვე-  
ულია, ბაგა ლოაინი, კოვზი ტაშატი. შუა დამე რო შეიქნა დადგა  
წივილ-კივილიო. რაიქნა რა მმბავია. დედა მარიამს ვეალი დაადგა,  
ეგ წივის, ეგ კივისო. რა არის მაგის წამალი. მოსწევიტოს სამი კა-  
ნაფიო მხარზე გადაკრესაო. ეს არის მაგის წამალიო.

შელოცვის დროს კანაფს გაწერენ, არაუში ამოავლებენ და მას  
ჰეალზე დაადგებენ.


ფრჩხილი ლიბრად (თეთრად) თვალს გადაეკერის, ადამიანს თვა-  
ლი უსიედება და ცრემლი სდის. შელოცვის დროს ხორბლის ცხრა  
მარცვალი სამჯერ უნეა დაითვალოს და იქევ მდგარ ჯამში ჩაიყაროს  
და თუ მას გუგუმა დააჯდა სატკივარი მაშინ გამჯდარია. შელოცვა-  
ვენ დღეში სამჯერ და ნალოც წყალს იავდმყოფს თვალებში შეასხამენ.

თავის ტკივილი. ორივე ხელს თავზე მოიქერენ და იტყვინ: „ქორი ქანდარასა, ქორი ბუდესა, ხარი ბაგასა და ტვინო ალაგებაო.  
სამჯერ).

ბედრიანის ლოცვა (უსახელო მუწუკია). ბედო, ბედო ბედ-  
ნიერო, ტურფაო და მშვენიერო. სად გაიზარდე, სად დაიბადე? ქორის  
თბოზე დაიბადე, ჯიხვის რქაში გაეიზარდე. რა არის მაგის წამა-  
ლიო? უცეცხლო თაფლი, უწყლო კარაქი და წყლის ბაყაყიო.

შელოცვის დროს წაუსვამენ მუწუკზე თაფლია და ერბოს.

წითელი ქარი. ახალ სახელო ლოისაო, მამისა და ძისაო.  
შეგილოცავ ქარისასა ქარ-სურავანდისასა, წითელ ქარისასა, თეთრი  
ქარისასა. გამოდი გამონიავდი, თუ არ მოვლენ ინგელოზები, გაქანე-  
ბენ ქარივითა, გაგაწყალიბენ წყალივითა, ჩაგადებენ ხევში, ხევ-ხრატ-  
ში, შექამს ყვავი და ყორანი, ჭიანჭველა ბოლო ფრთიანი. გაქრა,  
გაიარა.



შელოცვის დროს სიმსივნეზე წაუსვამენ შმარსა და ცარცსა შეცვლის  
ითუნიშეთში მორჩეულს.

ხორცის ლოცვა. ღმერთმა უთხრა ინგელოზსა, გადახედე  
ხმელეთსათ, ან ქვრივა ხომ არ წუხდება ან ობოლ ხომ არ ტირსათ.  
არც ქვრივ წუხდება, არც ობოლ ტირისა. სოფიოს (იტყვიან აეად-  
მყოფის სახელს) წელი უტკინია, ის სჩივის და ის სტირისო. გადავიდეს  
გახჩაშიო, გადმოილოს სამქენა ფოთოლიო, ქალ მოუზილოსა, ქალ  
მოპოხოსათ, ინგელოზებ ამინობენ, ღმერთო შენ დასწერე ჯვარი.

წელს უზელავენ ერბო-კარაქით და თან რეინეულსაც გადაუს-  
ვამენ.

გველის შელოცვა. პიტი, პიტი პისტანაშია, ასტანგა და აჩა-  
ნავა, გველო მოგვირაკრაკლი, მოხრილო ჯოხო, გაშეშდი. ფირქსა  
ფირქი მაცვია, ფირქთა ბეჭედი მაცვია, ფირქისა ლთისამშობელო შენ  
გააშეშე გვილია.

ამ შელოცვის დროს გველს თხილის ჯოხი უნდა გადაუქნიო და  
იქვე გაშეშდებათ.

როდესაც საქონელი ღამე კარში დარჩება ბაწრით შეკრავენ  
გურჩის (ფილთაქვის), დუქარდს და იტყვიან: „ინისანი, რეინისანი  
კირკუტონი რეინისანი, პირ შევკარი მგლისა, მუხლი შევკარი მტრისა  
ჩემ საქონელზე მომავლისა“-ო.

## 8 საკულტო აღგილ-სამლოცველოები და ათავან დაძავშირებული რიტუალი.

თემურ თუშეთში თითოეულ საგვარეულოს თავისი სამლოცველო ხატი პეონდა, სადაც სადგურებმდა გვარის მფარველი ღვთაება. ამ ხატთან წლის განსაზღვრულ დროს მთელი საგვარეულო იყრიბებოდა და გვარის დეკანოზიც ხალხს ამწყალობმლებდა. წარმართულ დროის ეს ხატები თუშეთში დღესაც მრავალია დაცული და თითოეულ სოფელს თავისი სამლოცველო ნიში აქვს, სადაც დაცულია ხატის დროშები და რიტუალური ქრისტელი.

ამასთანავე წარმართულ თუშეთში ქრისტიანობაც აღწევები ჟეკია, მაგრამ მისი მოძღვრება ხალხისათვის გაუკებარი დარჩა. მართალია თუშეთი ოფიციალურად გაქარისტიანდა და საქართველოს ეკლესიამ ის დაუქვემდებარა ხარჭა შნელ ეპისკოპოსის სამწყსოს, მაგრამ ფაქტიურად ეს კუთხე ისევ წარმრთობას აღიარებდა, ამიტომ თუშეთი ქრისტიანულ ძეგლებით ღარიბია, ძევლი ტაძრები და საეკლესიო განძულობა აქ არ მოიპოვება. აქ არც ძევლი წარწერებიც და ხელნაწერები გვხდება, რომ შეიძლებოდეს ამ კუთხის ქრისტიანულ რწმენისა და კულტის შესახებ ვიქონიოთ გარკვეული წარმოდგენა. მთათუშეთის ზოგიერთ მოზრდილ სრულებრივ მოიპოვება დღეს უკვე გაუქმებული ეკლესიები, მაგრამ ეს ეკლესიები აშენებულია მე-19 საუკუნეში მონარქიულ რუსეთის ბატონობის დროს, რომელიც მიზნად ისახავდა „ურწმინო“ მთიელების გაქრისტიანებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეკლესიებთან ხალხის რელიგიურობას ნაკლები კავშირი ქონდა და აქვს და აქაური ხატობა-დღეობებიც წარმართულ ნიშებთან სრულდება, რომელსაც აქ ხატს უწოდებენ.

ხატი ცველა სოფელშია, ზოგ სოფელში ორი თუ სამი ხატი ვკვედება. თუშერი ხატი ჩვეულებრივი ტიპისაა. ის ნაგებია სიპი ქვით შერალად და უტალახოდ, ფორმით კუხოვანია და ერთ მხარეზე ნიში აქვს დატანებული, რომელშიაც საწირ-სანთელსა სდებენ. ზოგიერთი ხატი შემქულია ჯიხვისა და ირმის რქებით. თვითეული ეს ხატი დაკავშირებულია ერთ რომელიმე წმინდანთან ან ლვთავებასთან, რომლის სახელსაც ხატი ატარებს: ლაშარის ხატი (ჩილოში), მარიამიშვილი (ომალოში), კურების ჯვარი და ნიკოლის ჯვარი (შენაქო), შაფერთის ხატი (ქუმელაურთა), ფარსმის წმ. გიორგი (ფარსმი), მადონის ნათლამცემელი, თხურსიების ჯვარი და გორითივი (ჭონთიო), მაღალოელი, მარიამშვილი და იახასარი (დართლო), ბიჭახვორის წმ. გიორგი (დიკლი), ხითანოს წმ. გიორგი (ჯვარბოსელი), სამების წმ. გიორგი (წოვათა) და სხვა.



ზოდ ემზადება და შემდეგ ერთ დიდ ხატობაში ხალხი მას იჩვენ და მთელი სიცოცხლე მან ხატის სამსახურს უნდა შეალიოს.

ხატობის წინ ხელოსანს ევალება სიწმინდე დაიცვას და ამ მის. ნით ის დედაქაც არ გაიკარება, არც ლორისა და ქათმის ხორცის შესკამს, რომელსაც კვერცხის ჭამაც კი ეკრძალება. მას ევალება ხატში მღლუაც მხვევწართა დახელოსნება. წინათ დეკანოზს ამასთანავე თემში ძლიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გავლენაც ჰქონდა და თემის საქმიანობაში მის რჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლეოდა, რომელიც ხშირად ხელში დროშით სალაშეროდ მიმავალ ლაშქრს წინ მიუძლოდა. ხალხის რწმენით დეკანოზში სულიწმინდა იყო დასა-დგურებული, რომლის დასამტკიცებლად დეკანოზი ხატობას უბეში დამალულ მტრედებს თურმე გამოუშევებდა.

დეკანოზს ჰყავს თანაშემწე შულტა, რომელსაც გვარების მი-ხედვით ირჩევენ და თემში რამდენიც გვარია შულტაც იმდენია. შულტას გვარები მორიგობით ირჩევენ ერთი წლის ვადით იანვრიდან იანერამდის. შულტას „ქვაბის შედგმა“ ევალება და ხატის ჭირნახუ-ლიდან შულტა ხატობას ლუდს ალულებს, ერთ საქლავსაც დაპეკლავს და ხალხს უმასპინძლდება. თუ ხატი უმამულოა, მაშინ შულტა სოფ-ლის მაღლობიდან ხალხს „მოუსიტყვებს“, რომ ყველამ სალუდეზი მიიტანოს თავიანთი წილი ფორი, შეშა და წყალი. ხატობას შულტა დეკანოზს შევლის, საკლავს ხოცავს და ზოგჯერ მხევწარს ახელო-სნებს. ლუდის დამზადებაში შულტას შევლის „მგოლავი“, რომელ-საც გასამრჯელოში ხოტი ეძლევა.

ამასთანავე გვარს ჰყავს თავისი ნათე, რომელსაც წელიწლობას ერთი წლის ვადით ირჩევენ. ნათე ცოლიანი უნდა იყოს ნათეს ევა-ლება ხატის მამულის დამუშავება და მეთვალყურობა. ხატის შემთ-საელიდან მას „ნათეობის“ ხარჯი უნდა გაელო. ამისათვის ნათე გიო-რგობა დღეს ძროხას დაპეკლავდა და დაამირილებდა. საახალწლოდ ამ ხორცის ის მოხარშვდა და სალუდე ქვაბსაც ჩამოქადებდა. სალუ-დე ჭირნახულს ნათე ხატის მამულიდან იღებდა. ამ მამულს სოფელი მორიგობით ხნაედა და ამუშავებდა, ძეაში კი ნათეს ყველანი შევ-ლოდენ. ხატის ჭირნახულს ნათე გაოლეწავდა და ნათეობისათვის ლუდს ხარშვდა იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ქვაბი იყო დაკეთილი ნარჩენ ჭირნახულს ძევლი ნათე ახალს გადააბარებდა.

ხატი თუ უმამულო იყო, მაშინ ცეხერის ბინებში ერთი დღის ყველს აგრძელებდენ და ამის საფასურით ნათე ჭირნახულს ყიდულო-ბდა და ლუდს ხარშვდა. ამ ლუდითა და ხორცით წელიწლობას ნა-თე გვარს ნათეობას გაუმართავდა, რომლის შემდეგ ახალ ნათეს ირ-ჩევდენ და ძევლი ნათეც „სა ფიცარს“ გამართავდა. ამისათვის ნათე თავის სახლიდან გამოიტანს ერთ საკედე (პატარა ქვაბი) ლუდს, იქვე

დაალაგებს ნათეობაში ნარჩონი ფაფას, პურს, ფორს, ფქვილს, ქერს და სხვა, რაც სასოფლოა, დაიბარებს გვარს და დაიფიცება ასომ ამის მეტი ჩემს სახლში ხატისა არაფერი დარჩენილა: „აი ეს ხატი გამიწყრეს (ასახელებს), თუ მე თქვენთვის მელალატნოს და საფიცრად ზედაშეც მომიტანია. თუ მელალატოს გამიწყრეს, თუ არა და მშეალობდესო.“ ხალხი ნარჩონმს გასინჯავს, ნათეს უკანევ უბრუნებს და ეტყვის: „შეგეწიოს და წყალობა მოგცეს ხატმო.“ ნარჩონმი ქერი ერთ თვეში ძეველნა ნათემ ახალს უნდა გადააბაროს.

ახალ ნათეს ეს ქერი და ჭურჭელი თავის ოჯახში გადააქვს. ამ დროს რომელ დედაკაცსაც სურს იმ წლის განმავლობაში ნათეს ოჯახში იაროს ჭირნახულის შეტანისას იმის ოჯახში უნდა მოექცეს, თორემ შემდეგ ის იქ ვერ შევა, ხატის დამიზეზების შიშით. ხატის ჭირნახულს ნათე თავის სახლის ჭერხოში ინახავს და ქერიან კოდზე ის საზედაშე არაყს დასრგამს. ყოველ თვის დამდეგს ნათე იქ ერთ ვინმეს აიყანს, დაილოცება და საზედაშე არაყს ისევე დაცლიან, სამაგიეროდ ახალ არაყს ჩაასხამენ და ეს ასე წლამდის გრძელდება ახალში ნათემ იმ წლის განმავლობაში უნდა იწმინდოს და დედაკაცოან არ დაწვეს. წინააღმდეგ წერთხევევაში ვაჟი თუ გაუჩნდა არ გაიზრდებათ დ ამისათვის მან „ძეგლი უნდა ჩამოჰკიდოს“, რომ ვაჟი შერჩესო. ძეგლად ერთი ქვაბი ლუდია დაწესებული. ცდომილი ნათეუ ლუდს მიადულებს და ხატს შეევედრება ეს ვაჟი გაგირზარდე და ეს ძეგლი დამიდგიათ: „ ნუ დაგვილევ ძესა არ დაგილებ ძეგლ-საო“.

ნათეს პყავს დამხმარე „მაქალათი“, რომელსაც გვირი ირჩევს. გვარში წილს პყრიან და ერთი წლის ვადით ირჩევენ სამ მაქალათს, რომლებსაც ვვალებათ ნათეობა დღეს ჭურჭლის დარეცხა და სუტრის მომზადება. ზოგჯერ მაქალათს თვითონ ნათე ირჩევს. ის შევა ოჯახში, ერთ ვინმეს ქუდს ესვრის და იტყვის უწყალობა ხატისა-“ო. ის პირი შევე არჩეულად ითვლება და მას ხატის შიშით უარის თქმა არ შეუძლია. მაქალათებში ერთი დედაკაცია (დედა), ორი ქალვაჟი (შვილები) და ესენი შველიან ნათეს: ქალები პურს აეხომენ, ქაცები ლუდს ხარშავენ. მათ ერთი მესაუზრეულ პყავთ, რომელსაც ალუდი აბარია. ნათეობას მაქალათები სალუდეში არიან და მათ ერთი კვირა ექრძალებათ სახლებში შესვლა. თუ საღმე ოჯახში შეასწრეს, დაიკერენ და იქვე ფეხით ჩამოჰკიდებენ და ის ოჯახში ქვაბ-საკლავით უნდა დაიხსნას.

ხატობა-დღეობები თუშეთში იყლისის პირეველ რიცხვებში იწ- შება (ძეველი სტილით) და ერთი თვე გრძელდება. დრო ხერხიანად არის შერჩეული. გლეხობა ამ თვეში მინდვრის მუშაობას არ ეწევა

და ისევნებს. ამინდიც დარიანია და მხევეშარს საშეალება ეძღვევა, ხატში თავისიუფლად იძგნავროს. ხატობას სოფლები ზედიზედ იხდიან და ზაფულის ხატობის ემ ციკლს „ათ ნიგენა“-ს უწოდებენ.

ათ ნიგენ თბა სრულდება ადგილობრივ ხატში და ეს დღე-სასწაულიც ამ ხატის სახელსაც ატარებს. მაგალითად, სოფ. ომალოში მთავარ ანგელოზის ნიშია და აქ სრულდება ივლისში მთავარ ანგელოზის ათნიგენობა, ქუმელაურთაში შატუროს წმ. გიორგი ათნიგენა, ქეშოში მიქელეგაბრიელ ათნიგენა, ფარსმის წმ. გიორგი ათნიგენა და სხვა.

ათნიგენობა მთათუშეთში იწყება ჩილოს ლაშარის ჯერის ხატობით, რომელიც აქ მთავარ სალოცავია. ხატობა იციან 19-20 ივლის (ახალ სტილით). მთის დაქლაპილ ბილიჭზე გაიბა მგზავრთა უწვერი რეალი. ცხენით თუ ფეხით კველანი ხატში მიემურებოდება. სურ-სათ-სანოვაგით დაბარვულ ცხენებზე კრელი ხურჯინები ეყიდა, რომლის თვლებში ბავშვები იყო მოთავსებული, ზოგიერთებში კი ბატქნებიც. ახალგაზრდობა კოხტად შექმაზულ ცხენებს ძიაჯირითე-



სურ. 97. ხატში მიმავალი მხევეშარი.

1. ათნიგენობა დაკავშირებულია საქრისტიანო წმინდანის ათინიგენის ხატვნასთან (იხ. K.C. ქეკელიძე, იერუალიმელი VII ა. თუ. 1912 წ. გვ. 19-20, 288-294).



გდა. ისმის საკლავების საცოდავი ბლავილი, შეზარხოშებულ მხედვარის სიმღერა და ლრიინცელი. მეზატეთი ამ პროცესიაში სოფ. ჩილოდან შეც გაეცრი. ლაშარის ხატი ჩილოს მთის დაეგებაზეა აშენებული. მიღამო ლამაზია. ხატი შემოზღუდულია ყორის მაღალ გალავანით, რომელსაც ერთი შესავალი ქარი აქვს დატანებილი. გალავანს ოხი თავწევეტანი ბოძი აქვს, რომელზედაც ხატას ალამია ალმართული. შესავლის მარცხნივ ხატის ნიშია, სადაც დეკანოზი ხალხს ამწყალობლებს. აქვეა ერთი პატარა ოთახი „სადეკანოზო“, სადაც დეკანოზი წმინდობს, ისვენებს და საწირს აგროვებს. სადეკანოზოში დგას ზურგდავრელებული მერის და დეკანოზის საკამ-სავანძელი. ხატზე ალავია ჯიხვისა და ირმის რქები.

ხატის შესავალი ქარი ამ დღეს მორთული იყო ხატის დროშებით და ალამებით. თუშური ხატის დროშა თეთრი მიტქლისაა, ოთხკუთხებით და სამყურზე მიკერტული აქვს წითელი გრძელი სალტა. ამ დროშას გრძელ ჯოხებს შეაბამენ და წეერზე ზანზალაქს უკეთებენ. შეხეეწილები დროშას ამასთანავე ჩამოჰქიდებენ წითელ და თეთრ ნაჭრებს.

შემოსილი დროშა ინახება ხატში ან ძეველ ციხეში, რომელსაც ხატობის წინ დეკანოზი გამოიტანს და ხატის ნიშთან მიაყუდებს.

შეის გადახრისას დეკანოზი და მისი თანაშემწე შულტები ხატის ნიშთან დადგნენ, სანთლები აანთეს და დეკანოზი დამწყალობლებას შეუდგა. ხატის მოედანზე მხედვარი თუშები შეჯგუფდენ. ქალებში ბავშვებსა და მოხუც დედაკაცების (უთეიუროს) გარდა სხევები ხატისაგან მოშორებით იდგნენ. მხედვარი საწირით მიღიოდა, ხელში კვერტებით, სანთლებით და ხელადა არაყით. ამ საწირს შულტა ართმევს, დეკანოზი სანთლებს აანთებს, ახსენებს მხედვარის სახელს და ასე დაილოცება: „დიდებაღმერთსა, მადლი ღმერთსა, ღმერთო გაუმარჯვე წმ. გიორგის ლაშარისას დიდად საღილებელსა, ძვირად სახსენებელსა, მუხის წვერის ანგელოზთა დიდად სადიდებელსა, ძვირად სახსენებელსა, წმ. გიორგი შენ შეგვეწიე, შენ გეხვეწიებიან სამსახურის მომღებნი თავი დაბლითა, გული მართლითა, ნაშახეეს გაუგონებდი, ნაქადებს არ გიმტუნიან. შორს მყოფი ახლოს დაუხდიდე, დაიცვი დიოფარე ზვავისაგან, წყლიდან, სენიდგან, სასჯლიდან. ლალ მწარე სიკვდილსა თავს თქვენ შეუქცია დიოთა. ზამთარ ვშვილობისა წაგვარეთა, ზაფხულ გამარჯვებისა მოგვარეთა. ჯოხ აილონ ვახშამ მისცითა, სახელს სარგებლიანს მიატანითა, სავნებელ მოაშო-

რეთა, მტრის ხელით ხმალ ახადითა, სიკვდილობას  
აუსუბუქითა. მტერთან ჭირს ნუ დაუკარგავ, სწორთა  
სამართალს, მხარგუთანს წალმწაგვარეთა. ყანა-მეტა  
შოგვარითა, ღონესა ქონესა უმატითა. ცხვარ ცხვრის  
მკრავს უმატითა, პურსა და პურის მჭამელს უმატი-  
თა, დიღო ბედნიერო ანგელოზნო, შენ გეხვეწებიან  
თავი დაბლით, გულის მართლითა მეშვეოლი მწყალო-  
ბელ არის თქვენი. გაუმარჯოს ჩვენ სალაცავებს, გაუ-  
მარჯოს ყმებს ლაშარის გიორგისას-“.



სურ. მ. დამწყალობნება ლაშარის ჯვარში.

საზედაშე არაყს დეკანზი შესვამს და იქვე მდგარ თურქში  
ასხამენ. საწირ-ნამცხვარის ნაწილსაც დეკანზი იტოვებს. ბავშვით  
შეხვეწილებს დეკანზთან ბავშვები მიჰყავთ, საკლავით შეხვეწილები  
კი ცნობით მიღიან. ცხვარს დეკანზი რქაზე სანთელს მიაკრავს და

ისე დაიღოცება. შემდევ ამ სანთლით ცხვარს შებლს შესტრუსაც და შუღლას გადასცემს, რომელიც ზვარაქს ხანჯლით ყელს გამოსტონის და დალმართში დააგორებს, ხალხი დაიძიხებს „წყალობა ხატისა“-ო. ცხვრებს ბავშვები იჭერენ და ვინც პირველად ხელს დაავლებს იმ ცხვრის ჯიგარიც იმისია. შეხვეწილები ხატს სწირავენ თეთრსა და კრელ საღროშე ხილაბანზებს, რომლებსაც დეკანზი ართმევს და დროშაზე შეაბამს.

მზე ჩავიდა. დეკანზმა დროშა აიღო და ერთ მაღლობზე დადგა. მას გვერდში შუღლები ამოუღენ და ერთმა მათგანმა დაიძახა: „ხალხო, დღეს ვევედრებით ჩენ ლაშარს და აქ ამოვაბრძანეთ მისი დროშაო. ჩილოელებო, ეს ხატობა ისე გაატარეთ, რომ ერთმანეთის წყინება ნუ იქნება. ნურც ჩისტი იქნება და ძეველი შურიძიება სხვაგან და სხვა დროს ეძიეთო. აქ მოესულვართ სალოცავიდ და არა საჩეუბრად. ამიტომ გთხოვთ დროები მშეიღად გაატაროთ. აქ ლაშარის კარზე ნურაფერი დაიკარგება. მოვნელი მოვიდეს დარბაზში დეკანოზთან და მას ჩააბაროს და უთხრას ვიპოვნე და ჩაიბარეო. იყოს სიტკბო და მხიარულებაო. ხალხო, დედაკაცების ჯარი (სადგომი) იქით იქნება და მამაკაცებისა აქეთაო. არავინ გამეულს დედაკაცების ჯარში ლამე გადასვლაო. მამაკაცებს ევალებათ შეშახე წასვლა და მისი მოზიდეა. ამისდა მოწმად თემიდან ვირჩევთ თითო კაცსაო, რომ მათ ეს წესები სასტიკად დაიცანო“-ო

არჩეული პირები იქვე დაასახელეს და დასასრულ დეკანზმა დაიძახა: „გწყალობდეთ წმ. გიორგიო“, დროშას ხელი წაავლო და ხატში გაიქცა. დეკანზი თავდამართზე ისე უნდა დაეშვას, რომ ფეხი არსად წაუბორდიკდეს. ის ხატთან დროშას მიიტანს და იქვე დააუდებს.

მლოცველი ორად ვიციო. ერთ გორაკზე ქალები დაბანაცდენ, მეორეზე კი კაცები. ახალგაზრდობა შეშახე წავიდა, მოზიდეს ხმელი ფიჩხები და დანთეს დიდი ცეცხლი. ლამის მოეველი ქალებიც თავიანთვის ფუსუსებდენ. ლია ცის ქვეშ მწვადი იწოდა და ხორცი იხარშებოდა. ზოგან სუფრა იყო გაშლილი და ვახშმობდენ. ისმის სიმღერა და ლხინი. ცეცხლის პირას თუშები ჩამწკრივებულან და ყურს უგდებენ ახალგაზრდა თუშის აბრო ელანიდის ჩონგურის ელერას, რომელიც მღეროდა გიორგი თილიძის ლექს.

თილიძე სოფ. ყეველოდან ყოფილა და მას მტრობა ჰქონია ფშავლებთან. ლაშარობას თილიძე ფშავში მისულა, თეთრი კურატი მიუცვანია და იქ დაუკლავს. თილიძეს თუშ-ფშავლების შერიგება უთხოვია და ორივენი ლაშარში ძმად გაფიცულან. სიმტკიცის ნიშნად თილიძეს

ლაშარის დროშა თუშეთში გადმოუტანია და აქ ჩილოს მთაზე იღუ-  
მართავს, სადაც ლაშარის ეს ხატიც აუგიათ.



სურ. 99. ჩონგურის დაქერა ხატში.

შუალამისას შულტამ დაიძახა, მამაკაცებო გოხოვთ „კოდის ლო-  
ცვაზე“ - თ. მოიტანეს ლუდიანი დიდი კოდი. რომლის ნაპირზე ანთე-  
ბული სანთლები გაამწერივეს. ჩილოელებმა კოდთან მიიტანეს ლაშა-  
რის წმ. გიორგის საღმრთოდ ორ-ორი მრგვალი პური და ცხერის ხორ-  
ცი. ამ საღმრთოს შულტა ამზადებს, რომელსაც ჩილოელები აძლევენ  
ქერს და ამ ქერიდან შულტა ლუდს მოამზადებს, საკლავს ყიდულობს  
და პურის აცხობენ. კოდის მეორე მხარეზე ხატში მოსულ გარეზე  
შეეწართა (არა ჩილოელები) სამღვთო ჩამწერივეს. ამ ალუდიან  
კოდთან მამაკაცებმა გააბეჭს განიერი წრე და დაიწყო შეხმატებილე-  
ბული „კოდის ლოცვა“. სიმღერა უთხართ ერთსაო, შეეცემენით  
ღმერთსაო, ღმერთო, გვიცოცხლე ესენი, ღვინოს გვახლიან გვერდისაო

ქალწყალზე დაგვიიანდები დაბანის ხელპირისაო, ეაერ დარბაზთ და-  
გვიანდება, შესმასა ბარძიმისო. ცხვარსა უმატე გიორგი, თუ გინდა  
ქაჯანგიანი, პურსა უმატე გიორგი, თუ გინდა კოდი სავსენი, უმათა  
უმატე გიორგი, თუ გინდა მოსახელენი. წმინდის გიორგი კარზედა  
ხე ალვად ამოსულიყო, იმას დევსხა ყურძენი საჭმელად მოწეულიყო,  
იმის შემცირე ქალ-ვაერ უდროოდ დაშაულიყო". დასასრულს დაიძა-  
ხეს: გაუმარჯვოს ლაშარის წმ. გიორგისაო. იმას მღერიან სამ წყებად.  
იწყებენ დეკანოზ- შელტები და იმასვე იმეორებენ ჯერ ჩილოელე-  
ბი და შემდეგ სხვა სოფლებიდან მოსული ჯგუფები.

კოდის ლოცვაზე ქალებს არ უშევებენ. ცეცხლის პირის განიერ  
რეალად ხალხი ჩამწერიედა და ხუთ კაცზე ერთი სალმრთო ჩამო-  
რიგეს. „მიშუე“-ები ან მწედენი კოდიდან ლუდს ილებენ და ხის თა-  
სებით ხალხს აწვდიდენ. მხრარული ვახშამი დასრულდა და მლოცვე  
მოსვენებას მიეცა. რომ არაფერი დაკარგულიყო და ქალების ბანაკ-  
ზი მამაკაცები არ გაპარულიყნენ ყარაულები დააყენეს. ლამის მთე-  
ველების ერთი ნაწილი ცეცხლს შემოუსხდა, ერთმა ახალგაზრდა  
თუშია ჩინგური გამართა და სკელიან პანგით დაალილია:

ზამილსა დაუბარებავ თუშების მუქარაზეო,  
ვაიგო ბელად დაეითმა მიღდ-მოღგებოდა ბანზეო,  
სალაშქროდ ყმანი შეყარა გაუდგებოდა გზისაო,  
ავიდოდ იალალზედა ცივსა ჩამოვლენ შთაზეო.  
საყორნის ლელეს ბუღობენ ნარჩევ დადესტნის ყმანიო,  
დაეით ეწვია ლეკებსა სადილობისა ხანზეო.

— აბა თქვენ თუშთა შეილებო, იხლა იშიშვლეთ ხმალიო,  
თოფითა, ხმლითა ვიომნეთ გულს ერქოს ხანჯლის ტარიო,  
ხმლის ფხაზე სისხლი დაგუბდეს აღარა სტრიდეს ხმალიო.  
თუშნი და ლეკი შეიბნენ სისხლისა დადგა ტბანიო,  
დამარცხედა ზამილის ჯარი ასამდის წაწვა მკედარიო,  
შიდ მოღიოდნენ ყორნები საით ჩავშალოთ მხარიო.  
ემანდ ამბობენ დაეითსა სისხლისა უდგა ტბანიო,  
ეგ რომ ვაიგო შამილმა მღვრიე დაედო ფერიო,  
მე თუშებმა როგორ დამკეს მე კაცი აღარ ვარიო,  
ქალი ვარ ჩიქილიანი თმა გრუზა კოწოლიანი.

ვეზირებმა წყალი მიართვეს ამით იგრილე გულიო.

გათენდა. დეკანოზმა დროშა დააულარუნა. მლოცვა წამოიშა-  
ლა. სუფრები გაიშალა და დაიწყო სმა და ლხინი. იმას მოპყა „ქორ-  
ბელელდა“ და ცხენების რბევა. მამაკაცები ხელებით და მხარ-ბეჭებით  
ერთმანეთს გადაებნენ და გაკეთდა მაგარი წრე, რომელზედაც იყი-  
და მეორე წყება და ეს ორსართულიანი წრე ხარჯისაკენ დაიძრა სიმ-  
ღერით:

„დღეს ამ დღეობა ვისია, წმ. გიორგისია,  
ჯვარ-ჯვარის ქრობა ვისია, წმ. გიორგისია,  
გიორგი გალავანზედა უსარტყლო იარებოდა,  
გიორგის გადმონავალზე ხე ალვად ამოდიოდა,  
მაგის შემცოდე ქალ — ვაჟი უდროოდ დაშავდებოდა.“



სურ. 100. ქორბელელა.

ქორბელელას ხალხიც მიპყა, რადგანაც მათი ჩწმენით ვინც  
ქორბელელაში არ ჩაებმის ხატი დამიშეზებსო. ქორბელელა ხატის  
კარებამდის მწყობრად და დაუშლელად უნდა მივიდეს, რაც გინდ ცუ-  
დი და გრძელი გზაც არ უნდა იყოს გასაულელი. ხატის კარებთან  
ქორბელელა სამჯერ შემოტრიალდება და დაიძახებს „გწყალობდეთ  
ლაშარის ჯვარით“ და იქვე დაიშლება. შულტა სადეკანოზოდან  
ლუდს გამოიტანს და ჯიხურით ქორბელელის შემსრულებელს შეასმევს.  
ამის შემდეგ მლოცვავი აიშლება. კველანი ცხენებს კმაჩავენ, ბარეს

ალაგებენ და მიღიან. ახალგაზრდობა ცხენებს აჯირითებდა. შინათ ხატში ქალაგად დაცემა აქაც სცოდნიათ და ქადაგიც ხატის ნებას წინასწარმეტყველებდათ.

ათნიგენობას ასეთივე ხატობა 27 ივლის სოფ. ქუმელაურთაშიაც გაიმართა „შათურრთის გორაზე“. შათურთის ხატი ფიჭვნარშია მოთავსებული და აქ ერთ დიდ ფიჭვის ხესთან პატარა ყორეა ირ-ვისა და ჯიხეის რქებით შემკული. ეს შათურრთის ხატია. შუალლისას მლოცავი ამ ტექში შეგროვდა და ხელოსანიც მხევწარის დამწყალობლებას შეუდგა. დეკანოზი ფიჭვის ხესთან იდგა ხელში ანთებულ სანთლით და მასთან „შეხევწილები მიღიოდნენ ხელში საწირით, რომელიც შესდგებოდა ორ კვერისაგან, ერთი სამკუთხედია და შეორე კი ჩლიქისებური „ბაცუკა“ საქონლის მომრავლებისათვის, ხელოსანი მლოცავს ამწყალობლებდა და ანთებულ სანთლებს ფიჭვზე აკრიყდა. ყველანი ერთმანეთის სთავაზობდენ საზედაზე არაყს და მისალმებისას იტყობდენ: „წყლობა ხატისაო“ გაიშალა სურტები. ქალები ცალკე და მოშორებით დასხვნენ და ცეკვა-თამაში გააჩალეს, კაცები კი ხატთან დაბანაკდენ, ერთმა ჩინგურზე დაუკრა და ტკბილის ხმით დაამლერა ალუდა ქეთელაურისა და კოპალა — იახსარის ლეჭით. ახალგაზრდობა ქალებისაკენ მიიწყევდა. მოხუცნი მათ ამას უშლიდენ, რადგანაც წინად ქალებში გარევა და იქ თამაში აკრიძალული ყოფილა. შაგრამ შეხარხოშებული ახალგაზრდობა მაინც იჭრებოდა ქალების წრეში და იქ ლეკურს უფლიდა.

ამას ჩქარია ცხენების რბევა მოჰყევა. ხატიდან 50 მეტრის დაშორებაზე ტყის ბილიკის თავზე დედაკაცები დაირაზნენ და გზა შეკრეს. ხელში მათ ეჭირით გრძელი ჯოხები და შოლტები. ხატთან ცხენოსნები შეჯგუფდენ და ერთბაშად ქალებისაკენ გაქენდენ, რომ მათი წრე გაერლევიათ და გამარჯვებული გასულიყვნენ. დედაკაცებმა ასტეხეს საშინელი ყიუინა და ცხენებს შოლტები დაუშინეს. შეიქნა ერთი ორომტრიალი. ცხენები დაფრთხენ და ყალყზე დგებოდენ. ზოგი უკანვე გამოიქცა, ზოგი ტყის ფერდობზე დაქანდა, მაგრამ ცხენოსნობაში გაწეროვნილ თუშები გახელებულ ცხენებს უშიშრად იცენებდენ.

ამ პირველ შეტევას მეორე და მესამეც მოჰყეა. ქალები შოლტებს ისევ მაგრად სცემდენ, ეავეკაცურად იბრძოდენ და მოზღვავებულ ცხენოსნებს იგერიებდენ. დამარცხებული ცხენოსნები კი უკანვე გარბოდენ. მეოთხე შემოტევისას დედაკაცების ეს მაგარი წრე ცხენოსანთა ერთმა ჯგუფმა გაარლევა და სოფლისაკენ გაქენდა.

პირველად გასულ მხედარს „ერთი ჩხუტი“ (სუფრა) ეძლევა და მას სოფელი პურ-არაყ-ლუდით უმასპინძლდება. დედაკაცებმა ახლა-



ჯოხები დაყარეს, წრე ისევ შეპერეს და შემოტეულ ცხენოსნებს ხელით იქერდენ. დედაკაცები ცხენოსნებს ერთბაშად მისკვიდებოდენ,



სურ. 101. შოლტებით შეიარაღებული ქალები.

ხელს წაავლებდენ ლაგამზე, უნაგირებზე, ცხენის ფაფარზე თუ სხვა-  
გან და დიდის ბრძოლით მხედარს ცხენიდან ჩამოათრევდენ. მხედარი  
უმკუდავდებოდა და ამგვარად იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა; მაგ-  
რამ ამ ბრძოლაში დედაკაცები იმარჯვებდენ, მაშაკაცებს ცხენებიდან  
ჩამოათრევდენ და იქვე ტყის ფერდობზე ცალი ფეხით ჩაათრევდენ  
და ამას „ჩათარა“. ს უწოდებენ. არც ერთ მამაკაცს ქალები ჩაუთრე-  
ვეს არ ატარებენ, რადგანაც მათი რწმენით ასეთ პირს ხატი დამი-  
ზებას. ვინც ბრძოლის გუნებაზე არ იყო, ის ცხენიდან ჩამოდიოდა  
და ფეხით გაიკლიდა, დედაკაცებსაც ნებდებოდა და მას იქვე ჩაათ-  
რევდენ.

ჩათარაც დასრულდა. დედაკაცები დაიშალნენ და ხალხი სოფ-

ლისკენ დაიძრა. ქუმელაურთაში დაირევა ხახმატის ჯერის ზარი და ბეჭის ხალხიც სალოცავად აქ აფიდა. დეკანოზმა მხვეწარი დამწყალობა, საელავები დაიხოცა. ხალხი გაიძახოდა „წყალობა ხატისა შეგეწიოს-ოს-ო. ტარჯოშით ლუდი ჩამოარიგეს და გაიმართა „ქორბელელა“. ხატიდან ქორბელელა სოფლისაკენ დაიძრა, მას შემოუარა და სოფლის მოედონზე დაიშალა. ამას მოჰყვა კიკვა-თამაში, სტუმრების ოჯახებში დაწვევა და ვახშმობა.



სურ. ცხენების რბევა.

მამაკაცების ჩათრევა აქ სხვა სოფლებშიც იციან. ჩიგლაურთაში ათნიგენობას (წმ. გიორგი) დედაკაცები მამაკაცს ჩაათრევენ და ის ამხანაგმა ქვაბ-საელავით უნდა გამოისყიდუს. სოფ. ილურთაში ხატობას სტუმრის მოტაცება და დათრევა იციან. ქალები სტუმრს



მიეპარებიან და თუ ის მიჯნაზე გადაათრიეს, მასპინძელმა სტუმარი ჰევბ-საკლავით უნდა გამოისყიდოს.

მესამე ხატობა, რომელსაც მე დავესწარი 9 აგვისტოს (ახალ სტილით) ეს იყო ქონთიოს ნათლისმცემლობა. ეს ხატი მოთავსებულია კონთიოში აღვილ „მადოლზე“ და მას მაღოლის ნათლი მცემელს უწოდებენ. მისი ნიში დანგრეულია, დროშა ინახება ნასოფლარ ჰელოს ციხეში. ხატობის წინ დეკანოზი ამ დროშას ჩამოიტანს და მადოლზე დაასცენებს. პირიქითის ხეობის მხევწარი აქვე გროვდება და ნათესათან მოაქვთ საწირასანთელი, რომელიც ხალხს ამოწყვალობებს: „დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა. ღმერთო, გაუმარჯვე ღმერთსა კვრაისაო. ღმერთო გაუმარჯვე ღლესა ღლევანდელსა. თქენ გეხვეწებით, თქვენ გეხვეწებით დიდო ღვთის შეილებო, დიდაღ საღიდებელო, ძეირაღ სახსენებელო, თავის დაბლითა, გულის შართლითა, თქვენთვის შემოუწირავთ სანთელ ზედაშეი თქვენს მორიგე ღმერთს შესწრევითაო, წყალობა გამოუთხოვითაო, ჯვარ დაუწერითაო კაცის საქონსაო, დიდსა და პატარასაო, ორ ფეხსა, ოთხფეხსა ღეეშველენითა და ღეეშმარებითაო. სადაც მოგხსენდებათ გაჭირვებულნი, მთის ნაქარი, ჭალას ყირვან მოაშორებდითაო, გაქლიბულისარ მოაშორებდითაო, ალვარებულ წყლას მოაშორებდითაო. ნუ დაუკარგიდით, მტერთან ჭირი, სწორთან სარართალით, კაბის კარის ქვეშ შეაფარებდითაო. გეყმობითა, გემსახურებითაო. ცხვარს ცხვრის კრავს მოუმატებდითაო, ფურს ფურის ხბოს მოუმატებდითაო, ქალს-ქალიშვილს მოუმატებდითაო, წულს წულტოლს მოუმტებდითაო“. დასასრულ ღეკანოზი ზედაში მოსვამს, სანთლით საქლავს შუბლს შესტრუსავს და ყელს გამოსჭრის, მლოცავი დაიძახებს: „იოანე ნათლიკცემელი შეგეწიოს, წყალობა მოგცის“.

ამავე ღლეს პირიქითელები ნათეობასაც იხდიან, რადგანაც ზამთარში ისნინი ბარში ჩადიან და მით საშუალება ესპობათ იანეარში ნათეობა აქ შეასრულონ. ამისათვის ნათეებმა აქ მოტანილი სახედაშე არაყი და კვერები მოაგროვეს, რომ ამით ნათეობის ვახშამი გამართონ. დამწყალობლების შეძლევ კონთიოს სერჩე სუფრები გაიშალა, ვაიმართა სმა და ლხინი. აჭიდავეს შამილი და შეთე. შამილი გადაცმული იყო ქისტურად, შეთე კი თუშურად. ორივე შეიარალებული იყო ხის ხმლებით. შეთეს გულზე ეკიდა ჩერის მენდლები და მხრებზე ჩინები ეკრა. ორივე ხის ხმლებით იბრძოდნ, მაგრამ გამარჯვება

ჭრეულს შეთეს დარჩა. ზოგჯერ შამილი თურმე იმარჯვებს. შამილისა და შეთეს ასეთივე შებრძოლება ფარსმაშიაც იყიან. გამარჯვებული შეთე მხიარულობდა და ხუმარის როლსაც ასრულებდა.



სურ. 103. შეთესა და შამილის შებრძოლება.

მზის ვადახრისას ნათემ დროშა დააკლარუნა და ყველანი აიშალნენ. დაიწყო წილი: ყრით ახალ ნათერის არჩევანი. კენჭის კანდიდატებს უყრიონ და ვისაც კენჭი ამოუა იმ წილის ნათედ მას ირჩევენ. არჩევანიც გათავდა. ახლა ქორბელელა გამართეს, რომელსაც პურის კვერების სროლა მოჰყეა. კვერები პირველად ნათერიმა ესროლეს ხალხს, შემდეგ ყველანი მას მიჰყენენ. კვერების ერთმანეთის დაშენის დროს ნათემ დროშას ხელი დაავლო, ცხენზე შეჯდა და ჰელოსაკენ გამჭენდა, სადაც დროშაც დააბინავა.

მლოცვაც აიშალა და სოფ. გირვეში ჩაეიდა. აქ ძელშა ნათემ ნათეობის ვახშამი უნდა გამართოს. მაქალათებმა ხორცი მოხარშეს, ლუდი და საღმრთო პურები დაამზადეს და ხალხს კოდის ლოცვაზე დაუძახეს. ლუდიანი კოდი სანთლებით იყო გაჩალებული. ნათერიმა

კოდზე დაილოცეს და ამის შემდეგ ვახშამი გაიშალა. მწლევები ჩა.


მოატარეს ლუდით საესე ჯიხურები და ტარქოშები.

გირეველი პატარძლები საწირით მოვიდენ, მათ მიეგება ახალ-გაზრდობა დაფის დაკვრით და დიდის ლენით მიეიღონ კოდთან და აქ ისინი ნათემ დაამწყალობა. ხატობა მეორე დღესაც გავრძელდა. ოჯახებში სუფრები გაიშალა და ყველან სია და ლზინია. გაიმართა თამაშობანი. მაქალათები ოჯახებში იპარებიან და სცდილობენ რამე მოიპარონ, მაგრამ პატრონი თუ შეასწრებს მაქალათს ფეხით ჩამოვიდებენ და ის დედობ და ძებმა ქვაბმ-საკლავით უნდა გამოისყიდონ, წინაღმდევ შემთხვევაში, პატრონმა ჯარიმა უნდა გაილოს, რომ მოპარული ნიეთი უკანვე მიიღოს. ამ დღეს სალუდეში თუ კინებ შემთხვევით შევიდოდა მაქალათები მას ჩამოვიდებდენ და ის ქვაბ-საკლავით სოფელს უნდა დაეხსნა.

წინედ საღილზე მაქალათების დედას კინმე ჩუმად ცხვრის უკერებს ჩამოვიდებდა თურმე. ამაზე დედა გაიბუტებოდა და სუფრიდან წავიდოდა. მასვე გამყებოდა შეილებიც (მაქალათები). ლუდიან ტარქოშით სთხოვდენ დედას უკან გამობრუნებას, მაგრამ ის უარ-ზე იდგა, სანამ ახალ ტანისამოს და შექმაზეულ ცხენს არ მიართოვდენ. დედას ცხენზე შესვამდენ და მუსიკით უკანვე აბრუნებდენ. ამავე დროს კინებ მას მოპარებოდა და ხურჯინში ყოჩის ყვერებს ჩაუდებდა და დაიძახებდენ: „ხურჯინში კი საგზალი გაქვსო“. დედა ხურჯინში ჩაიხედიდა და ყვერებს მოიღებდა. ამაზე ერთი ალიაქოთი ასტყდებოდა და საქმის გასარჩევად ბჭებს ირჩევდენ, რომლებიც მაქალათებს დედის დაუკველობისათვის ჯარიმად ქვაბ-საკლავს მიუსჯიდენ.

მაქალათებმა გამართეს „ხინჯლის აღების ლაშე“. დაიდგა სუფრი რა რამდენიც მაქალათია და ამ სუფრაზე ეწყო: ყველი, ხინჯლები, ცოტა შატული, ხორცი და სხვა. თვითეული მაქალათი ამ სუფრას სამჯერ შემოუვლის და სუფრასაც იღებს. ამით თავდება მაქალათების წლიური ჯერი და სამსახური.

ათინგენობას მთათუშეთში გაღმოლიან ხევსური დეკანოზებიც, დაახლოევებით იელისს შუა რიცხვებში და აქ ხალხს ამწყალობებენ. ხევსურეთიდან გაღმოლიან კარიატიანი და ხახმატიანი დეკანოზები ცალ-ცალკე ჯგუფად და დეგებიან თავიანთ ხატის ნიშთან. ხევსურეთის ხატები თუშებს სწამო და მათ დეკანოზებსაც აქ ძლიერ ვავლენა ჰქონია. გამირების დროს თუში იტყვის: „კარიატის ჯვარით დამწერ ჯვარით“. ხევსური დეკანოზები თუშებს თურმე არწმუნებენ, რომ ჩეენი გმირი კოპალე ამბობს: „თუშეთში წაგიდეან და იქ მაკაცეთ ტოლ-ამხანაგებთანო“. ჩეენი ხატები ძალას გვატანენ, ხევსურეთში მარტობით შევწუხდით და ჩეენ ძმებთან თუშებთან გაგვატარეთო. ხატების ეს ნება თუ არ შევასრულეთ ისინი გაჯავრდებიან და დაგვიზიზეავენო.



ხევსურები და თუშები ერთმანეთს ბიძაშეილებად სთვლიან და მომღერად ასე ესასამებიან: „გამარჯობა ბიძაშეილ“.  
ომისა და ლაშერობის ეამს თუშები იწვევდენ ხახმატის დეკანოზებს,  
რომლებიც ლაშქარს წინ თურმე მიუძღვდენ.

ხევსურულ ხატებში თუშებს განსაკუთრებით სჭამთ კარატისა  
და ხახმატის ჯეარი და ამ ორ ხატს თუშებში ყველგან თავიანთი სა-  
ლოცავი ნიში აქვთ იგებული. ხატისაგან დამიზეზებული მკითხავის  
რჩევით ხშირად ამ ხატებს ევედრება და საწირ-სანთელსაც შეუ-  
თქვამს. მაგრამ ხევსურეთი შორი და ძნელი მისავალი კუთხეა და  
მლოცავს ეძნელება თუშეთიდან კარატში და ხახმატში გიდასელა,  
ამიტომ ამ ხატის დეკანოზები თუშების დასამწყალობლად თნივე-  
ნობას აქ ვადმოდიან და გომეწრის ხეობიდან დაწყებული მთელ  
თუშეთს დროშებით შემოიელიან. სოფელში მისელისას კარატისა  
და ხახმატის დეკანოზები თავიანთ ნიშნთან დგებიან და დროშების  
ელარუნით ხალხს ამცნობენ ხატების მობრძანებას. შეხვეწილები  
საწირ-საკლავით მიღიოდენ და მათ აქ დეკანოზები ამწყალობდებდენ,  
საკლავსაც აქვე დახოცავდენ და დეკანოზს ეძლეოდა მისი ბეჭ-ტყავი  
და თავ-ფეხები. ესაც იეაღმყოფი „შეშინებული“ ბჟავდა „და სა-  
კო ჭად“ მიპყავდა. აეაღმყოფს ხატის წინ აჩოქებენ და მას  
დროშების ელარუნით დეკანოზები სამჯერ შემოუვლიან, საკლავსაც  
იქვე დაჭელავენ, რომლის სისხლით დაკოჭილი მარჯვენა ხელს გა-  
ნიბანს.

ზოგი თუში დეკანოზს სახლსაც აკოჭინებდა. სნეულ ოჯახს  
მკითხავი ეტყოდა, უწმინდურ დედაკაცს ოჯახი შეუბლალავს და თუ  
გინდათ ფათერაკი მოიშოროთ ხევსურ დეკანოზს სახლი დააკოჭინეო.  
დეკანოზი დროშის ელარუნით დასაკოჭ სახლს სამჯერ შემოუვლიდა  
შემდეგ ბანზე ავიდოდა და დროშას გადმოაყუდებდა. ცხვარსაც იქვე  
დაჭელავდა და ბანიდან ძირს გადმოაგდებდა. დაკოჭილ სახლში თვი-  
ურიან დედაკაცს არ უშევებდენ.

ესაც ბეჭრი ცხენები მყავდა ხევსურ დეკანოზებს ცხენის ჯო-  
გით მიეკებებოდა და ავთვალის წინააღმდეგ აკოჭინებდა. ამის შემ-  
დეგ კარატიონი და ხახმატიონი დეკანოზები საწირ-საკლავით აშურ-  
გულები, რომლებსაც თან მიპერნდათ აუარება ტყავი, ხორცი, პუ-  
რი და სხვა უკანკე ბრუნდებოდენ გომეწრის ხეობით და აქ დეგებო-  
დენ ჯავახეს (ვეძის თავში) მინდორზე, სადაც კარატიონი და ხახმა-  
ტიონები შეიყრებოდენ და იმართებოდა დიდი ხატობა.

წინათ დეკანოზების გადმოსკლას მღვდლები თურმე ეწინააღმ-  
დეგებოდენ, რადგანაც ამით მღვდლებს შემოსავალი უმცირდებოდათ.

მაგრამ ხევსურები 1929 წლამდის თავისულად გადმოდიოდნენ თუ შეთში და საწირ-საქლავსაც ეზიდებოდენ. ამ წლიდან კი ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხევსურ დეკანოზების ეს გასტროლიორობა აქრძალა და ისინიც არ გადმოსულან.

ამ დიდ მთავარ ხატებთან თუშეთში მრავალი პატარა ხატ-სამლო-ცველოებია, რომელებსაც ადგილობრივი მოსახლეობა თაყვანსა სცემს. ასეთია ომალოს „მარიამწმინდის“ ხატი, რომლის ნიში 1903 წ. აუშენებია პეტრე მოზაიქეს. აქეება ფიჭვის დიდი ფულურო ხე, სადაც თურმე ხატის განძულობა ინახებოდა. ხატის ამ ხის ხელის ხლება აკადალულია. ხალხურ თქმულებით ერთხელ რუსის ჯარს ამ ხის ტოტის შექრა განუზრახავს, მაგრამ ხატს იქცე გაუშეშებიან. ამ ხატის უკან ფიჭვალი კლდეა, რომელიც ხატის საეუთოებად ითველება და მისი დაშლა-გამოყენებაც მორჩმუნეს კერძალება. მოზაიქეს სახლისათვის ქვა დასკირებია, საქლავი დუკლავს და მარიამწმინდის ხატისათვის ამის ნებართვა უთხოვია. მოზაიქეს სახლი აუშენებია და მაღლობის ნიშად აქ ხატის დარბაზი აუგია. ამ ხატში დაცულია ლითონის უბრალო თასები და ერთი სპარსული სტილის ზარი, რომელიც შემკულია კერძალის ზარნიშიან წნულებით და აღიმინის ფიგურებით. ობილოშია ხატის ტუე, სადაც მოთავსებულია მთავარ-ანგელოზის ხატი. ხატის ამ ტუის მოქრა წინათ სასტიკად ყოფილია კერძალული, დღეს კი ამ ტუიდან შეშას თავისუფლად ეზიდებიან.

შენაქოში რამდენიმე ხატია. ექ არის კურეხის ჯვარი, რომლის ნიში დაშლილია. კურეხის ხატს გაეითანხმას შესხვოვნება და ვასაც ვაეფი გაუჩინდება საწირით და კურატით იქ მიღის და მას მაღლობას სწირავს. შენაქოშია ნივრის ჯვარი, რონელსაც დამიწეხების ზიშით დედაკაცი კერ გაეკარება და თუ მიეიღდა ხატი გაჯვარდება და ავდარი სეტყვით მოვათ. შენაქოს მახლობლათ აგვირთი ს ნასოჭლარია, სადაც დაცულია აგვერთის ხის ხატი, რომელიც ირმისა და ჯიხეის რქებითა შემკული. ვისაც ვაეფი არ ებედება სალოცავად იქ მიღის და ამ ჯვარს გაეითანხმას შესხვოვნება. ხატობა დღეს სახევწრალ მოსულ უძეო მამეჯაერს ბრევები გაიტაცებენ და არგვეთის ჯვრიდან ჩაათარევენ ირმის რქებით მორჩოს ყორეზე. აქ მას დეკანოზი და-მწყალობლებს და გაეითანხმას უსურევებს.

დართლოში რამდენიმე ხატია. სოფლის თავზე მაღალ თელის ხატია და ამ ბატონს მაღალოელს (ლეთისმშობელია) მხოლოდ ბატ-ქებს სწირავენ. შეორე ხატი აქ მარიამწმინდის და მას დეკეცლის პირეელ ხმოს სწირავენ. როდესაც ხმო ცხრა დღის გამ-დება ამ ხატში დაპერავენ, რადგინაც ხალხის რწმენით ეს ხმო მაინც არ გაიზრდებათ. დართლოში იასარის ძლიერი ხატი, რომელიც ჯიხეის რქებით არის შემკული.

ფარსმაში ორი ხატია. ერთი ხატი ირმის წყაროზეა და მას მიქელგაბრიელს უწოდებენ. ამ ხატის ნიში სკეტისებურია და მას ქვაკაცის ეძინიან. მეორე ფარსმის წმ. გიორგის ხატია, სადაც 6 აგვისტოს (ახალ სტილით) ათნიგენობას იხდიან და შეთესა და შემიღება აჭიდავებენ. ამავე ხეობაშია თხურსიერის ცნობილი ხატი. თხურსიები კონტიოდან ოთხი კილომეტრითაა დაშორებული. ეს ფურების ხატია და შეხეეწილი დედაკაცები ამაღლების მეორე კვირას საჭირაკლავით იქ მიღიან და ევედრებიან საქონლის მომრავლებას, ფეხმიმის „მშევიდობის მუხლის მოვებას“ და სხვა.

გომეწრის ხეობაში ამგვარ ხატებს შორის საყურადღებოა ჯვარებისელში დაცული ხითანოს წმ. გიორგი. იქ ხატის ორი სკეტისებური ფორმისა და ირმის რქებით შემკული ნიშია. იქ წინად გომეწრის საზოგადოების მთავარი სელოცავი ყოფილა და ათნიგენობის ერთ ორშაბათს დიდი ხატობა იმართებოდა. ხითანობა ახლა შეიცვალია და მხევწართა რიცხვიც მცირეა.

ძეველ წოვათაში დღეს დაცულია სამების წმ. გიორგის ხატი. ეს ხატი პატარა ბორცვზეა აგებული და წარმოადგენს თაღლიან პაწია ოთახს, სადაც წოვების ახლად შემოსილი ორი დროშა ინახება. ეს დროშა ჩვეულებრივი თუშური ტიპისაა. სამების ხატი წოვებს ძლიერ სწამო. მისი ნიში ტბათანაშიც არის დაცული. შეიცვალი წოვები სამების სალოცავად ათნიგენობას ტბათანიდან წოვათაში გადაღიან და ამ მამაპაპურ ხატის წინაშე ლოცულობენ. წინათ წოვათაში აგრეთვე ყოფილა ეთელტისა და ფიწალოს წმ. გიორგის ხატი, რომლის სახელით წოვები ფიცულობდენ: „აგაშოროს ვირი ფიწალოს წმ. გიორგიმ“-ათ. წოვების ძლიერ ხატად ითვლება აგრეთვე „სპერონ ზის წმ. გიორგი“, რომლის ნიში ტბათანის გაღმა სპერონის მოთავსებული.

სალშირთო რიტუალს წოვებში იგივე ხელოსნები და ნათები ასრულებენ ჩვეულებრივი თუშური წესებით. ხელოსანი მხევწარს ქართულად ამწყალობლებს, ზოგჯერ ის წოვურადაც ასე დაილოცება:

„დალე ლამრე წიბროე ლეტლე ვარ რჯულ საქრისტიანუინ, ვი და ჩუქუშნ, ვი ბერჩუშნ წყალობებ. მამინ.“ (ლმერთო, მთისა და ბარის ტანგელოზნო, ვარშველე ჩენ საქრისტიანუს, ჩენ მოკეთეებს და წყალობა გააყოლე მათ ყველის. მინ).)

დღეს წოვა თუშებში ხელოსნობა, ნათეობა და ხატის მსახურების რიტუალი უკვე შეიცვალია, წინათ კი წოვათაში სამების წმ. გიორგობას მრავალი მლოცავი თურმე ეტანებოდა, რომელიც შევენივრად ილწერილი აქვს ი. ვ. ბუქულრაულს თავის საყურადღებო წერილში „ტბათანიდან წოვათამდე“ (ეურ მომჩე 1897 წ. № IX 83-41-53).

დასასრულ უნდა აღნიშნო, რომ მთათუშეთში ამ საცულტო აღილების სიწმინდე დღეს ზებლალულია. ცრუმორწმუნეობის ბურუსი ლევანდელ პოლიტიკურ-ეკონომიკური მშენებლობის ზევი-ლენით უკვე გაფანტულია და აქაურ ახალგაზრდობას ხატი და ხატობა შეგნებულად არა სწამს. დღეობებსაც უფრო გართობის მიზნით ეტანებიან, სადაც იმართება ცყველამაში, ცნენების ჯირბათ, მხიარული სუფრა და სხვა. მთებში მომწყელეული ახალგაზრდობა კულტურულ გართობებს ჯერჯერობით მოქლებულია და ის იმულებულია თავი შეიქციოს ამ ცრუმორწმუნეობით გაელენობლ ჩვი-ცებით.

### ეძსახდილის გარშემო.

მთათუშეთის შემსწავლელი ექსპედიცია შესდგემოდა სამი პირი-სავან: ექსპედიციის ხელმძღვანელი სერგი მაკალათია, ხალხურ სიტყვიერების შემქრები და ჩამწერი თუში მასწავლებელი ირაკლ ელანიძე და მხატვარი გ. ცაგარელი ექსპედიცია ტურისი-დან გავიდა 7 ივლისს, ლამის პირველ საათზე კახეთის მატარებლით და 8 ივლისს დილის 9 საათზე თელავში ჩავიდა, თელავიდან ექსპე-დიცია ეტლით სოფ. ფშაველში გაემგზავრა.

თელავიდან ფშავლამდის ოთხი საუზმე გზაა; პირველი, თელავ-ახმეტა-ბახტრიონ-ალვანი-ლალისყური-ფშაველი. ეს გზა გრძელია, 45 კილომეტრია, ალაზანზე ხიდი არარის და საშიშია. მეორე გზა, თე-ლავ-ვარდისუბანი-ალავერდი-ალვან-ლალისყური-ფშაველი, მანძილი 28 კილომეტრია, ალაზანზე ხიდი არარის და ესეც მნელი გზაა. მე-სამე, მოკლე გზაა-თელავ—ყარაჯელა-(ახატელი)-ფშაველი, 13 კილო-მეტრია, მაგრამ ალაზანზე ხიდი არც ამ მინართულებით არის. მე-თხე გზა, თელავიდან გადის ალაზნის გზატეცილით ხიდზე და სოფ. შაქრიონ-ნაფარეულ-სანიორეთი მიდის სოფ. ფშაველში. ვხის მანძილი უდრის 25 კილომეტრს, ალაზანზე ხიდია და გზა უშიშრი. ამ გზით ექსპედიცია სოფ. ფშაველში დღის ორ საათზე ჩავიდა. ეს უკანას-კრელი სოფელია და აქედან იწყება მთათუშეთის გზაც. ექსპედიცია შეუდგა ცხენების შონის თაღარიგს.

9 ივლისს დღის ხუთ საათზე დაბარგულ ცხენებით ექსპედიცია ფშაველიდან გავიდა და მდინარე სტორის ხეობით მთათუშეთის გზის გაუდგა. სალამის ჩავედით სოფ. ლეჩიურში, სადაც გადმოსხელებული ფშაველები სცხოვრობენ.

ლეჩიურიდან მთათუშეთისაკენ ორი გზა მიდის: დიდგევრ დ-ნ ქერალისა და კვანისა გზა. პირველი შედარებით უკეთესია მეორე კი უფრო მოკლე, მაგრამ მნელ გასაულელია. ექსპედიცია ამ

გზაჯვარედინ სოფელში შეჩერდა. გაიმართა თაბერი გზის არჩევანზე.

წინასწარ შემუშავებულ გეგმით ექსპედიცია უნდა გამგზავრებულიყო დიდგვერდ-ნაქერალის გზით, მაგრამ აქ შემოგვეყარენ თუში მგზავრები, რომლებიც კეპანზე მიღიოდენ და ჩვენც გვიჩიის ამ გზით გამგზავრება. იმასთანავე გვაფრთხილებდენ, რომ ნაქერალზე მოსალოდნელია ბანდიტ-უჩალების თავდასხმა. ამან ექსპედიცია დააფიქრა და თუშებთან ერთად კეპანის გზას გაუდგა.

სალამის 9 საათზე დავბინავდით ტუში „კიდურის ბოლოზე“. ცა მოილრუბლი. გავშალეთ კარავი. შუალამისას ეუეუნა წყიმა დაუშეა. გათენდა. ორუბლის ნაფლეთები ირევიან. დილა ნისლიანია. ექსპედიცია შეუდგა გამგზავრების თადარიგს: ცხენები დაიკაზმა და დაბარგულები კეპანის წყლის ხევით გზას გაუდექით. ბილიკი დაქლაკნილია, დასხლეტილი და ღიადალუდა.

მალე დაუშევი კოკისპირული წყიმა. მიედიყართ ფორთხვით და ხოხვით. გზის გაგრძელება შეუძლებელია და დაებანაკდით ორწყლის დავაკებაზე, სადაც კეპანის წყალს აბახოს წყალი უერთდება, რომელსაც ორწყალს უწოდებენ. გაიშილა კარავი და დაწუწულები უცდით გამოდარებას.

უკვე დღის 11 საათია და არ დარობს. თანამგზავრი თუშები არ იცდიან, გვაჩქარებენ, რომ ღამის ბანაკზე დროზე მიგვესწრო. ისევ ავიბარებენით და თავსხმაში შეუდექით კეპანის გადასავალს დაკლაკნილი ბილიკი ლაპია და ძნელ გასავლელი.

გვიარეთ 7 კილომეტრამდის და კეპანის ტუში „წყაროსთან“ ხმა გაისმა: „რუკი ვერხ“-ო და მგზავრებიც გავშემდით. წინ გადმოკვეთდება თოფ მოლერილი ყაჩალი. მან დაუშტვისა და სხევბიც გამოჩენენ. მოვიდა მათი ბელადი კალი. ეს ტიპიური ლეკია, ხანშიშესული და მრისხანე. მას ახლდა თვისი ახალგაზრდა ქალიშვილი გაეცრად გადაცმული და შეიარაღებული.

უაჩალი თხისია და თხისივე დიდოელი. გაგზარიკეს. ჯიბე-უბეში რაც რამ გვებადა წაგვაროვეს. ფული გასინჯეს და იკოტავეს. ვალმა ჩვენი ვინაობა გამოიძია. ვალი ყოფილი ნაიბი და ნამამასახლისარია. ძლიერ ახერხებს ქართულ-რუსულ ლაპარაკეს. გვისინჯავს საბუთებს და თან დაბოცეთ გვემუქრება.

უაჩალებს ჩვენი ბარგი კოოპერატივის საქონელი ეგონა და ჩვენ კი საგანგებო დავალებით მიელინებული მოხელეები. ყაჩალებმა ბარგი გახსნეს, რაც მოწონათ ამოალაგეს და წიილეს. შემდეგ ბარგი ისევ შევვაკვრევინეს და ცხენებზე ავკიდეთ. ჩვენ გვეგონა გვისტუმრებენ და ცოტაოდენი შვება ვიგრძენით. მაგრამ ამაოთ. ახლა უშლი მოვალეოვეს.

მძიმე იყო ექსპედიციისათვის ამის შესრულება. ეს ნიშნავდა

ექსპედიციის მუშაობის ჩაშლას და ხელიარიელი უკან გამომრუნვებას. ფულის არ მიცემაც საბედისწერო იყო. ფული კი უკრში გვქონდა ჩაეტილი.

ფული თან არა გვაქვს; უპასუხეთ ჩეენ, ფოსტით უნდა მიეღოთ. ამაზე ვალი გაცეცხლდა. ბრძანა ყუთი გავვეხსნა. გასალები ვერ მოვხელე და ყუთიც თოვის კონდახით ჩალეწეს. მაგრამ გადა-მალული ფული მაინც ვერ იპოვნეს.

აბა ახლა ხევში ჩადით, ბარგიანი ცხენები აქ დასტურეთ და სანამ ფულს არ ჩაგვაბარებთ მანდ იყავითო. თან თოვებით ვეიტე-ვენ.


ჩემმა თანამგზავრმა ი რაკლი ელანი ძეგმ წამჩურჩულა: ხევში ჩასვლა სიკედილის ნიშინია, მე თუში ვარ და ვაჟკაცურად უნდა მოვეკდეო, თქმა და რევოლვერის ამოლება ერთი იყო. ნიშანზი ვალი ამოილო, ჩაბმახი ამუშავდა, მაგრამ დანესტიანებული სახედის-წერო ტაქტია არ გავარდა. თუშს რევოლვერი ყაჩალებშია გამოსტაცეს, დაითრიის და სცემეს. კოქისპირული წეიმია. ექსპედიცია მძიმე წუ-თებს ჯანიცედის.

ამდროს ტყეში გაისმა მგზავრთა ბმაური და ცხენების ჭიხეი-ნი. ყაჩალები შეშფოთდენ. ერთმა ყაჩალმა მგზავრები შეაყენა. ესენი კახეთში მიმდევალი თუშებია და კეპანის ეს გზა უნდა გაევლოთ.

ერთი თუში ჩვენსკენ გამოემართა, მიესალმა ვალს და დიდო-ურად დაუწყო საუბარი. მოქლე თაბბირის შემდეგ, მძიმე პირობებში შესაძლებელი შეიქნა ჩვენი განთავისუფლება და ნაშუადლევის სამ საათზე გაძარცული და შეშუოთებული ექსპედიცია შეუდგა კუ-პანის აღმართის გადალახვას<sup>1</sup>.

სალამოს 6 საათზე დაებანაკრით „თობელაანთ საპარსავშე“. ამინდი ცრიაკია და ციეი. ლრუბლებში მოსჩანს ყორნის მთა, განჯა-ურა და ფურთკალო. გითენდა. ძლიერი ჯანყია. ცივა. დილიდანეც შეუდევით კეპანის ვადასავალს. შუადლისას შევისვენეთ ნაგომჩალ-ზე. ეს ალპიური ზოლია. მთის ჩაბრამულებში თოვლი არ გამდნა-რა. მდელო ნორჩია და მინდერის ყვავილიც იშლება. ვავიარეთ თოვ-ლიანი სერები და ზეთავის გადასავალით შეცუდებეით კაფესიო-ნის ქედის გადალახვას.

1. ექსპედიციის გაძარცულის ცნობა თელავის პოლიტსამართველოს იმავე სა-ლამის მიეღოდა და რაზმელები ჩაეგზავნა. რაზმელებმა კეპანის მიღამო შექრეს და 17 ივლის ოთხივე ფაჩალი დახოცეს.



ზეთავის კლდოვანი მწვერვალი ძნელი გადასავალია, რომელს სიმაღლე უდრის 3101 მ. დღის პირველ საათზე ზეთადიდან დავეშვით ალატოვანის დამართვებული ალატოვანის თოვლით დაფარული სერები და ჩაზვავებული ხრამები აქ იწურება და მდინარე ალატოვანის ეს ნაკადები შეუილით ჩამორბიან.

ალატოვანით იწყება მთათუშეთის ტერიტორია. დღე ცრიავი და ცივია. დღის ორ საათზე ექსპედიციამ შეისვენა ალატოვანის ჭახთან და შემდეგ შეუდგა ალატოვანის ხორბზე გადასვლას. ეს ქედი დაძლეულია და ახლა დაიწყო ქალჯვარის დიდი და ძნელი დალმართი, დაქანებული თავებე, წვიმა და ტალახი.

გავიარეთ საგველის ფერდობი და საღამოს 7 საათზე ჩავედით ახილურის ქალაში, სადაც ერთდება ორი წყალი ალატოვანი და წინვა. აქ ხის ხიდია. ღამეც ამ ნახილურის ქალაში დაებანაკლით. ტაროსია, შეგრძელ ცივი. დაინთო დიდი ცეცხლი. ვთხებით და ვშრებით.

12 ივლის, დღის 7 საათზე ექსპედიცია შეუდგა ნახილურის ზოაზე გადასვლას. შეუდგინა და მთათუშეთის სოფლები: ხისო, ნაციხარი და ჩილაურთა. ჩავედით ხისოს წყალში და იქ შევისვენეთ. ორ საათზე სოფ. ხისოში გავიარეთ, გომეწრის ალაზნის ხიდზე გავედით და საღამოს 6 საათზე ომალოში ვიყავით.

ექსპედიცია სოფ. ომალოში დაბინავდა და ჩაღმის თემის ყოფა- ხოერების შესწავლის შეუდგა. მუშაობა აქ გაგრძელდა ერთ თვემდის აგვისტოს პირველ რიცხვებში ექსპედიცია სამუშაოდ პირიქით ხეობაში გადავიდა. შემდეგ კი გომეწრის ხეობაში დაბინავდა სოფ. ჯვარ- ბოსელში და აქედან აწრმოებდა წოვათას შესწავლისაც.

29 აგვისტოს წოვათუშების შესასწავლად ექსპედიცია ტბათანაწი გაემგზავრა. სოფ. ალისგორიდან გზა მრდის ჯავახეზე, სადაც ხევსური დეკანოზები ათნივენობას დგებიან. გავიარეთ საქინჯერის ხევი, დიდოთ ლელე, სადაც ხალხურ გადმოცემით დიდოელები მდგარან, მთა საკერპო და მიჯნის ხევი, რომელიც წოვათას ჰყოფს მთათუ- შეთისაგან. დღის 4 საათზე ჩავედით ალაზნის თავში. დაგბანაკლით ალაზნის მესაქონლეთა კოლექტივის ბინაში. ეს მეცხვარის ჩეუელი- ბრივი ქოხია. აქ წოვები გაგვიმასპინძლდენ. დაბეჭებს ბატყანი, მო- ხარშეს გორდილი და მწყემსებმა გულუხვი და მხიარული გაბშამი გა- მართეს. ცივა. ცეცხლთან ეთბებით. მწყემსებმა ცხერის ფარა მორე- კის და ქოხი მოსვენებას მიეცა. მეორე დღეს დილიდანვე შეცუდექით საყორნის მთის აღმართს და პირველ საათზე კაეგასიონის ქედის ეს გადასავალი გავიარეთ და წიფლოვანის ხევში დავეშვით. გაველით წიფლოვანის წყალშე. ბილიკი მიღდის წიფლოვანის ტყით შასარის გა- დასავალშე. დღის ხუთ საათზე გავიარეთ რკინის მთა. ამ კლდოვან



მთას გასდევს ვიწრო დაქლაქნილი ბილიკი, რომელსაც რეინის გზას უწოდებენ. ეს ბილიკი შეტად ძნელი და საშიში გასაყლელია. აქი-დან მოჩანს მყინვარშვერი (ყაზბეგი). აქვეა იორის სათავეც. გავიარეთ საქისტოს მთა და საღამოს 8 საათზე ტბათანაში ვიყვათ.

ტბათანა წოვების საზაფხულო სადგომია და აქ ვაწარმოებდით მათ ყოფა-ცხოვრების შესწავლას. სექტემბრის პირველ რიცხვებში ტბათან-ბირჟიან-ბახტრიონის გზით ჩავედით ზემოალვანში და რეა სექტემბერს ალვან-ალავერდ-ვარდისუბან-თელავის გზით ექსპედიცია ტფილისში დაბრუნდა.

პ ი პ ლ ი თ ა ზ რ ა ფ ი ა.

1. ალბანელი — თუშეთის ორი გუჯარი, კვალი 1897 წ. № 50-52. მისივე — თუშური სიმღერები, კვალი 1897 წ. № 13-15, 17, 20, 23, 37, 49.
2. ბუქურაული ივ.— ტბათანიდან წოვამდე, მოამბე 1897 წ. № VIII, IX. მისივე — თუშების თქმულებანი მეცე ერიქლე ქ-ის შესახებ, ივერია 1895 წ. №№ 118, 119, 121, 122, 125. ჩაწერილი ლექსები, კრებული 1899 წ. № XI. განკ. 2 ძველი საქართველო ო. II ტფილ. 1911-1913 წ. განკ. V
3. გელოვანი — თუშ— ფშავური ლექსები, ცნობის ფურცელი, 1906 წ. № 2991 დამატ. № 376.
4. გომელაური ივ.— ხალხური ლექსები ჩაწერილი თუშეთი, კვალი 1897 წ. № 29:
5. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია. ტფილისი 1904 წ.
6. როსტომაშვილი დავ.— თუშური სიმღერები, მოამბე 1895 წ. № 3; 1897 წ. № I-IV; 1896 წ. № XII.
7. ხახანაშვილი ალ.— მგზავრის დღიურიდაბ (თუშეთი). გან. იუერია 1888 წ. № 173, 177, 181, 185.
8. Буш—По горам и ущельям Хевсурин и Тушетии (Труды Имп. СПБ. ботанич. сада XXIII, 3).
9. Н. Я. Диник—Путешествие Пшавии и Тушетии, Зап. КОРГО-ва XV.
10. Цискаров И.—Записки о Тушетии, газ. Кавказ, 1846 г. № 50, 1849 г. № 7, 8, 10—13.; Дикло и Шемако, Кавказ, 1846 г. № 27; Тушинские песни, Кавказ 1849 г. № 38.; Кочующая Тушетия, Закав. Вестник 1846 г. № 20, 21.
11. Эристов Р.—Записки о тушино-пшаво-хевсурском округе. Зап. КОРГО. т. III.
12. Сапаров—О тушинской овцеводстве, Каз. Сельское хоз. 1896 г. № 149.
13. Хаханов А.—Тушкины. Этнограф. обозрение 1889 г. № 2.
14. Мачабели М. В.—Экономический быт крестьян Тионет. уезда Тиф. Губ. (Мет. Экон. быта государ. крест. т. V, Тифлис 1887 г.)

15. Радде Г.—Хевсуря и Хевсуры, Тиф. 1881 г. стр. 269.
16. Гаврилов и Симонович—Геологич. наблюд. в обл. речн. долин Иоры и Алзаны (мат. для геол. Кавказа сер., II, кн. 9, 1895 г.).
17. Антоний, Епископ Горийский—Религиозно-антографический очерк Пшаво-Тушено-Хевсуретии, Тифлис 1914 г.
18. Гурко—Кряжин В.—В нагорной Тушетии, газ. „Заря Востока“ 1929 г. № 210, 212, 226, 234.
19. Демидов Г.—В высокогорьях Кавказа, Москва 1931 г. Горная Тушетия стр. 71-104.
20. Дубровин—История войны на Кавказе 1871 г. т. I, кн. 2.
21. Ковалевский М.—Народное право хевсуре и тушин. (Закон и обычай на Кавказе т. II, Москва 1890 г. зг. 102-124).
22. Худадов В.—Гірська Тушетія й Андійське койсу (Східний світ № 4-5 (13-14) 1930 г.).
23. Шифнер А—Краткая характеристика тушинского языка (Учен. Зап. И. А. Наук 1855 г. т. III, вып. I).
24. Schieffner A — Versuch über die Tuschisprache oder die kistinische Mundart in Tuschetien. (Зап. И. Ак. наук сер. VI. т. IX 1856 г.).
25. Merzbacher—Aus den Hochregionen des Kaukasus. В. II, Leipzig 1901 г. зг. 113-413.
26. Déchv, Kaukasus, Band II, Berlin 1906, зг. 40.


ტ 0 6 8 0 6 0 6 0 6      ს ა დ ი დ ი ლ ი .

აგ ერთიან ხატი 210 სალოცავია.  
 ათწიგენა 196 ხატობაა.  
 აკაზია 69 საქსოვის ყდა (იბ. სურ. 26).  
 ალილის კოტორი 182 კვერია.  
 ანგელოზობა 186 რიტუალია  
 აფე 73, ტერია  
 აკედავდომა 159 შინის გაცემის წესია.  
 ახია 100 ლხინი.  
 ბანედია 137 ბანია  
 ბატი 68 ჯარას ნაწილია (იბ. სურ. 24)  
 ბაჟვი 8 ტრინკელია  
 ბაშტე 33, 132 ბოსელია  
 ბაჟუა 182 კვერია  
 ბაკურია 15 ქისტურიად თუშია.  
 ბარეზიანის ლოცვა 190  
 ბარდედა 99 ოჯახის უშროისი დიასახლისი  
 ბარიკა 184  
 ბარი 99 უცერისი ძამაცევი.  
 ბ ხენ 101 საბასო ადგილი.  
 ბიქონი 166 დახალული ხორბალი.  
 ბოვრაცი 84 დროშა.  
 ბონი 35 ჩითას ელემენტია.  
 ბოძური 53 ცხერის სერია (იბ. სურ. 13).  
 ბომავება 61 ცხერის სერია.  
 ბოუნელი 63 კარაქის სათლევბია (იბ. სურ. 20).  
 ბუჭილუნა 116 კალტის ხავიწია.  
 ბაგლევილა 164 სათამაშოა.  
 გააზღავნება 68 დართვა.  
 გამოხატეველა 145 (იბ. სურ. 81).  
 გამოყალული 53 ცხერის სერია (იბ. სურ. 13).  
 გამოყარის ღამე 183  
 განებრება 54 დამაკება.  
 გაელჩეტა 37 გაელეტა.  
 გარდანა 110 საჭმელია.  
 გარემო 78 (იბ. სურ. 35).  
 გველის ლოცვა 191.  
 გვრიშა 111 მსხვილიად დატეტა.  
 გვრკალი 82 ჩიხრისის ნაწილია. (იბ. სურ. 43).

გორიდილა 110 საჭმელია  
 გოხი 35, 57 ქვა.  
 გოხგავლებული 26  
 გრჩება 146  
 გვარიტა 8 გუგულია  
 გულის შეღლოცვა 189  
 დაკუპა 29 რიტუალია.  
 დაჭა, დალაობა 171, 172  
 დანისბირი 51, ცხერის სერია (იბ. სურ. 13)  
 დარე 112 ლუდის წევნი.  
 დაშიტა 68  
 დედატირება 171  
 დეზი 81 თვალი.  
 დეკანზი 193 ხატის მსახური.  
 დელამიწი 57 შედელებული ყველი.  
 დელულა 8 ცხოველია  
 დიკა 47 პურეულია  
 დუღუკა 68 გორგალი  
 დურიატყავი 141  
 დურკი 142 ქასრია  
 ძლი 23  
 ერბოანევა 110 საჭმელია  
 ერქანი 46, 47 (იბ. სურ. 9 და 10).  
 ვაშრაბა 142 თენგი  
 ვილილი 70 (იბ. სურ. 26).  
 ვისირბილე 38  
 ვიკი 145  
 ვეღაშეუა 132  
 ვირნა, ი 146 სირმის გრეხილი  
 ვაშემოცლა 189  
 თექა 39  
 თვალის შეღლოცვა 189  
 თვეებ 68 (იბ. სურ. 24).  
 თვითდამარჩვა 179  
 თოთხევედა 186 ცისარიტულია  
 თვეკანი 164  
 თოის სხმა 169  
 თოხლი 54  
 თურქული 61  
 თურნიხე 161, 188, 211 ხატია.  
 თხანთხალი 28 ტომიული.

თხორი 69 (იბ. სურ. 26).  
 თახარი 210 ხატია  
 ცელება 8  
 ცერუმშალეთობა 179  
 ისარი 68 (იბ. სურ. 24).  
 კაბიწი 50 საწყაოა.  
 კავი 47 (იბ. სურ. 10)  
 კაკუტა 114 (იბ. სურ. 55),  
 კალდამ 130.  
 კალთხ ხალოცავი 187  
 კაჭტი 58 ხაქოს კვერია.  
 კა პიანი 57 ბოჭკოიანი  
 კაბრაშა 73.  
 კარძ 137  
 კბილია 75 (იბ. სურ. 31).  
 კრის კვერი 182  
 კვალიად გასვლა 159  
 კვაჭულა 75  
 კვეთა 160  
 კრირთი 78  
 კრანა 132 კერა  
 კრელთ 116 მაგარი  
 კიკინ 169, 144  
 კაჭტე 63 კალტის გალია  
 კოდის დალოცა 200  
 კოტორი 157 კვერია  
 კრიველი 67  
 კრივუნა 61 ცხერის ხენი.  
 კროპა 142 (იბ. სურ. 73).  
 კროჭუნაობა 164 თამაშია.  
 კოწოდი 143 ნაწნავი  
 კოჩით 58  
 კურების ჯვარი 210  
 კუპის ხმობა 61  
 კუპურა 143 (იბ. სურ. 74).  
 კოტმები 62 (იბ. სურ. 18).  
 ლიბი 26 საძირკველო.  
 ლიფოშენა 8 ლოკოკინა  
 ლიკვი 135 ჯირეკია  
 ლუბდება 55  
 მაღოლის ნათლისმცემელი 206 ხატია  
 მარბა 61 თხის სწერულება.  
 მარხების ტყება 185  
 მარია 34  
 მაჟალათი 182, 196 ნათეს თანამერწერწერ.  
 მარჯანიათი 153  
 მაღალოვათი 210 ხატია  
 მარქატი 109 ნამცხვარია

მაღლაჯინვობა 164, 185  
 მგოლავი 194 ხატის მსახური.  
 მეცნარი 24  
 მენი 141 გრძელი სკამი  
 მიშუე 201 მწდე.  
 მიხი 81 (იბ. სურ. 40).  
 მორივე ღმერთი 188  
 მონამცელე 67 მეზობელი  
 მოხანიერი 171  
 მოხმულა 110  
 მოხექ 15  
 მოწი 111 ფიტვის წევნი.  
 მზებულობა 181  
 მუსხუტება 110  
 მექელთ უქმე 186  
 მხარი 46 (იბ. სურ. 9).  
 მხივ 73  
 მჯიღი 49  
 ნაბარევი 61  
 ნათე 194 ხატის მსახური  
 ნათლია 183  
 ნაკუდი 49  
 ნაფოტა 75 (იბ. სურ. 31)  
 ნაცაფი 62  
 ნება 62 (იბ. სურ. 18).  
 ნივრის ჯვარი 210 ხატია  
 ნიხი 111 ხასმელია.  
 იჩხარი 101  
 იცობა 185  
 იჭი 111 ქვეით.  
 პებელა 61 ცხერის სენია  
 პირსამსანილო 169  
 პირისმერავი 177.  
 უაბი 50 დრო  
 უანჯალო 144 ხამკაულია  
 უაუერია 40.  
 რეტი 61  
 რიჭი 49  
 ხაბეჭები 68  
 ხაბუხურმანი 41  
 ხაგორიავი 72 ხატენი  
 ხადგინი 171, 175 დოლი.  
 ხადედისძმის ჯვარი 157  
 ხაზედაშე ხინჯალი 177  
 ხაზიწენე ნავი 113.  
 ხათვალა 150  
 ხათვექილა 141 მუთაქა.  
 ხათონია 47



ଶେଷକର୍ମଚାରୀ 177  
 ଶେଷିଲା 184  
 ଶ୍ରୀଦୁର୍ଗ 120  
 ଶାଲାନଳ୍ଦା 164 ସାତମାଶତା.  
 ଶାଲାଫାଟ 99  
 ଶାଖିକୀ ଫ୍ରି. ଗୋଟିଏ 211  
 ଶାନ୍ତିକିରଣ 101 ସାଧାକ,  
 ଶାନ୍ତିକିରଣ 78 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 35).  
 ଶାର୍କାଳୀ 58  
 ଶାଶ୍ଵତାତ୍ମକ 78 ହିତାକ କାଳାପିନ୍ତ୍ରି  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 194  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 98 ସାଧିକ.  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 158  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 69  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 113 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 54).  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 47 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 10).  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 166  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 110 ମେଜ୍‌ପ ଫଳ ସାଧିକ.  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 114 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 55).  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 187  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 62  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 145 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 9).  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 68  
 ଶାଶ୍ଵତିକାରୀ 145 ସାରତ୍ତ୍ପରିଷଦ.  
 ଶେର୍ପିଟ 49  
 ଶେର୍ପିଟ ଉପରେ 186  
 ଶେଷ 47  
 ଶେଷିଲା 61  
 ଶେଷିଲା 46  
 ଶେଷିଲା 4 ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା ଫ୍ରି. ଗୋଟିଏ 211.  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 159 ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 26  
 ଶେଷିଲା 114 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 55).  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 100 ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା 67, 71 ଶେଷିଲା ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା 184  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 186  
 ଶେଷିଲା 144  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 159  
 ଶେଷିଲା 72  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 26 ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା 53 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 13).  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 190  
 ଶେଷିଲା 164 ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 184  
 ଶେଷିଲା 40.  
 ଶେଷିଲା 186

ଶେଷିଲା 175 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ  
 ଶେଷିଲା 34.  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 164 ସାତମାଶତା.  
 ଶେଷିଲା 47  
 ଶେଷିଲା 61 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 142 ଶେଷିଲା.  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 201  
 ଶେଷିଲା 170 ସାମ୍ବଲପିନ୍ଦାର ଜୁକ୍‌ପାଇ  
 ଶେଷିଲା 62 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 19).  
 ଶେଷିଲା 118.  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 182 ଶେଷିଲା.  
 ଶେଷିଲା 164 ସାତମାଶତା.  
 ଶେଷିଲା 47, 109  
 ଶେଷିଲା 81 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 46 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 9).  
 ଶେଷିଲା 145 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 80).  
 ଶେଷିଲା 82  
 ଶେଷିଲା 68 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 24).  
 ଶେଷିଲା 61 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 110 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 114 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 55).  
 ଶେଷିଲା 109 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 188  
 ଶେଷିଲା 8 ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା 61 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 57 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 190.  
 ଶେଷିଲା 111 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 203.  
 ଶେଷିଲା 148 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 80).  
 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ 160  
 ଶେଷିଲା 185  
 ଶେଷିଲା 185 ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା 70 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 26).  
 ଶେଷିଲା 8 ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା 194 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 68 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 24).  
 ଶେଷିଲା 55, 59  
 ଶେଷିଲା 47.  
 ଶେଷିଲା 62  
 ଶେଷିଲା 204 ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା 120 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 56).  
 ଶେଷିଲା 68 ଶେଷିଲା ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 76 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 36, 37, 38) ମନ୍ଦିରା-  
 ପ୍ରକାଶ ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 142 ଶେଷିଲା - ସାମାଜିକ ପ୍ରକାଶ.  
 ଶେଷିଲା 115 ଶେଷିଲା  
 ଶେଷିଲା 81 (ନଂ. ପୃଷ୍ଠ. 43). ତଥାପି ସାମାଜିକ

ჩოგა 110 განედული ცველია.  
 ჩხუტი 187 სუფრა.  
 ჩხუტი 68 (იბ. სურ. 20) კარაქის სადლები  
 ცელად გასვლა 187  
 ციკო, ციკო დამურ 164 სათამაშოა.  
 ციხეშემოსა 166  
 ცრემლა 81 საქსოვი წილი.  
 ძუძუს მაშრაველა 61 ცხვრის სენია.  
 ზათლიალა 53 (იბ. სურ. 13). ცხვრის სენია  
 ზაფა 57 კველის შრატი.  
 ზამოთლიალი 53 (იბ. სურ. 15). ცხვრის  
 სერია.  
 ზელიაწყობა 182 ახ:ლი წელიწადი.  
 ზებო 70 (იბ. სურ. 26).  
 ზითელა ქარი 190  
 წინა გვამი 148 (იბ. სურ. 80).  
 წიურ 70 პირობელი ჯობი.  
 ჭლის აღუდი 171.  
 ჭყალზე გასვლა 158  
 ჭედილა 54  
 ჭერხი 132 სახლის ზემო სართული.  
 ჭვალის ლოცვა 190  
 ჭავრეთი 190 (იბ. სურ. 40).  
 ჭირკვება 81 (იბ. სურ. 40)  
 ჭვავ 162  
 ჭვანტი 61. ჭაობია.

ხევი 112 ლუდის საწერი პარეკა.  
 ხელცუცა 111 ფიცეის ყლორტია.  
 ხარისხეცერა 91  
 ხარმოხნა 1 1.  
 ხაშლაშა 110.  
 ხელმისაცემლო 165  
 ხერცეული 68  
 ხეჩანი 162 შალის ნაპერი.  
 ხევდე 112  
 ხითანის წმ. გიორგი 211 ჩატია.  
 ხინდე 68  
 ხშალა შება 147  
 ხომი 78 (იბ. სურ. 35).  
 ხორცის ლოცვა 191  
 ხოტი 111.  
 ხრიცები 149 საკიძი, დუღმა.  
 ხუხუ 110 სელის ხინკალია.  
 ჯანველი 62  
 ჯარანა 75 (იბ. სურ. 31).  
 ჯარანტარი 68 (იბ. სურ. 24).  
 ჯარობა 152 ლხინი.  
 ჯარვა 46 (იბ. სურ. 9).  
 ჯვარის ქარად 159, 162  
 ჯვარხამწერლო 156  
 ჯინი 141  
 ჯღართვი 8 ჭრობა ტრიმცელია

## ს უ რ ა თ ი ა ბ ი ს ხ ი ს


### მათი შინაარხი.

№ №	გვ.
1. თებულოს მთა . . . . .	7
2. დიქლოს მთა . . . . .	9
3. ირმის ქანდაკება . . . . .	13
4. ირმის ქანდაკება . . . . .	14
5. ბრინჯაოს ბალთა . . . . .	15
6. ადამიანის ქანდაკება . . . . .	16
7. სოფ. წაროში აღმოჩენილი ნივთები . . . . .	18
8. შეთე გულუხაძე . . . . .	42
9. თუშური სახნუელი . . . . .	46
10. კავი . . . . .	47
11. მიწის ხენა . . . . .	48
12. ყანის სამყალად მიმავალი თუშის ქალი . . . . .	49
13. ცხერის სერი . . . . .	53
14. თუში მეცხვარეები . . . . .	54
15. ალაზნისთავის ცხვრის ბინა. მეცხვარეები მარილს ნაყავენ	55
16. ცხერის წველა . . . . .	56
17. ყველის დამზადება . . . . .	58
18. მარხილი . . . . .	62
19. ტეირთსაზიდი კეხი „ქოჭი“ . . . . .	62
20. ჩხუტი . . . . .	63
21. კარაქის შედლება . . . . .	64
22. კოლმეურნე ქალი ყველს აკეთებს . . . . .	66
23. ძაფის ღართვა . . . . .	67
24. ვარა . . . . .	68
25. ვარაზე ძაფის გრეხა . . . . .	69
26. საქსოვი იქაზმა . . . . .	70
27. ტოლის ქსოვა . . . . .	71
28. ტოლის თელვა . . . . .	72
29. თუშური ფარდაგი . . . . .	73
30. თუშური ფარდაგის სახეები . . . . .	74



31. ფარდაგის სახის ელემენტები . . . . .	75
32. ახალ სახითი ფარდავი . . . . .	76
33. ძველებური ხურჯინი . . . . .	77
34. ეხლანდელი ხურჯინი . . . . .	
35. ჩითას ნაწილები . . . . .	78
36. თუშური ჩითები . . . . .	
37. სადიაცო ჩითა . . . . .	79
38. საკაცო ჩითა . . . . .	
39. ჩითას ნაჭრელის ცვლა . . . . .	80
40. ჩითას ელემენტები . . . . .	81
41. ქალი ქსოვით სათიბში მიმავალი . . . . .	82
42. თუშური ჯარანაიანი წინდა . . . . .	83
43. ჩიხრისი . . . . .	83
44. ჩიხრისით საბლის გრეხა . . . . .	84
45. წინდის მქსოველი ბავშები . . . . .	85
46. თუშის მოქრილი ლექის მარჯვენა ხელი . . . . .	94
47. მტრის ხელებ მიკრული თუშური სახლი . . . . .	95
48. საფრინდაო . . . . .	98
49. თუში სოფ. შენაქოდან . . . . .	102
50. წოვა თუშის ქალი . . . . .	105
51. წოვა თუშები . . . . .	106
52. თუშის ქალები სოფ. ომალოდან . . . . .	108
53. სალუდე . . . . .	112
54. საზიწვნე ნაეი . . . . .	113
55. ტარკოშა და საწდე . . . . .	114
56. სოფ. ომალო და მისი ციხე . . . . .	116
57. ინდურთის სამი ციხე . . . . .	118
58. სოფ. დართლო . . . . .	119
59. დართლოს ციხე და მისი ჭრილი . . . . .	121
60. დართლოს ციხის გეგმა . . . . .	122
61. გორევის ციხე . . . . .	123
62. ფარსმის ციხე . . . . .	125
63. ნისოფლარი ეთელტა . . . . .	128
64. სოფ. დართლოს იგლდამა . . . . .	130
65. თუშური ჩირდახიანი სახლი . . . . .	131
66. ჩირდახიანი სახლი და მისი ჭრილი . . . . .	133
67. ჩირდახიანი სახლის გეგმა . . . . .	134
68. ჩირდახიანი სახლის ორნამენტები . . . . .	135
69. თუშური გადაკეთებული სახლი . . . . .	138
70. თანამედროვე თუშური სახლი . . . . .	139

# 8012- თუმანის რუკა



8012- თუმანის რუკა  
1801 წელი  
1:200000

1:200000

8012- თუმანის რუკა  
1801 წელი  
1:200000

